ჰუმანიტარული კვლევები

Ivane Javakhishvili
Tbilisi State University

Faculty of Humanities

STUDIES IN THE HUMANITIES

Annual

II

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჰუმანიტარული კვლევები

წელიწდეული

II

თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

UDC(უაკ)050.8(479.22)
ჰ-952

სარედაქციო საბჭო: ზაზა ალექსიძე, ვინფრიდ ბოედერი (გერმანია), დევიდ ბრაუნდი (დიდი ბრიტანეთი), იოსტ გიპერტი (გერმანია), რისმაგ გორდეზიანი, რუსუდან ენუქიძე, დარეჯან თვალთვაძე, ენტონი ისტ-მონდი (დიდი ბრიტანეთი), მარიამ ლორთქიფანიძე, ჰიროტაკე მაედა (იაპონია), ირინე მელიქიშვილი, დამანა მელიქიშვილი, ირმა რატიანი, აპოლონ სილაგაძე, ბერნარ უტიე (საფრანგეთი), აკაკი ყულიჯანიშ-ვილი, მზექალა შანიძე, კარლ შმიდტი (დიდი ბრიტანეთი), ქეთევან ჭკუასელი, ელგუჯა ხინთიბიძე, გოჩა ჯაფარიძე.

სარედაქციო კოლეგია: ზაზა სხირტლაძე (რედაქტორი), გიული შაბაშ-ვილი (პასუხისმგებელი მდივანი), დარეჯან გარდავაძე, არიანე ჭანტუ-რია, რამაზ ჭილაია.

EDITORIAL COUNCIL: Zaza Aleksidze, Vinfried Boeder (Germany), David Braund (Great Britain), Ketevan Chkuaseli, Antony Eastmond (Great Britain), Rusudan Enukidze, Jost Gippert (Germany), Rismag Gordeziani, Gotcha Djaparidze, Elguja Khintibidze, Akaki Kulidjanish-vili, Mariam Lortkipanidze, Hirotake Maeda (Japan), Irine Melikishvili, Damana Melikishvili, Irma Ratiani, Mzekala Shanidze, Carl Schmidt (Great Britain), Apolon Silagadze, Darejan Tvaltvadze, Bernard Outtier (France).

EDITORIAL BOARD: Zaza Skhirtladze (Editor), Giuli Shabashvili (Executive Secretary), Arrian Chanturia, Ramaz Chilaia, Darejan Gar-davadze.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012

ISSN 1987-894X

შინაარსი

ფილოსოფია

ლელა ალექსიძე

„მე“, „სხვა“ და მათ შორის მიმართება პოლ რიკიორის ფილოსოფიაში 11

აღმოსავლეთმცოდნეობა

ნინო კვირიკაშვილი

მიმღეობა ყურანში 29

ისტორია

თემურ თოდუა

ათენელი მეტოიკოსები 41

მამუკა წურწუმია

ფრიზები და ქართველები წმინდა მიწაზე 57

თეიმურაზ პაპასქირი

გერმანელთა შეტევა არდენებში და უინსტონ ჩერჩილის 1945 წლის 6 იანვრის წერილი სტალინისადმი 63

ვასილ კაჭარავა

ეიზენჰაუერის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის პირველი ნაბიჯები 80

ელენე მეძმარიაშვილი

ქალის პოლიტიკური აქტიურობის ზოგიერთი საკითხი აშშ-ში, ევროპის ქვეყნებსა და საქართველოში. შედარებითი ანალიზი 96

ეთნოლოგია

როზეტა გუჯეჯიანი

ართვინის ვილაეთის (თურქეთის რესპუბლიკა) ეთნიკურ ქართველთა თანამედროვე ყოფა და კულტურა 113

ფილოლოგია

ირინა გველესიანი

„კანონისმიერ მემკვიდრეობასთან“ დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები ქართულ, რუსულსა და ინგლისურ ენებში 143

მაია ჯავახიძე

„გულის“ კონცეპტუალიზაცია ქართულ და იტალიურ ფრაზეოლოგიურ კორპუსში 157

იოსტ გიპერტი

წმინდა ეკატერინეს მონასტერში აღმოჩენილი ახალი ხელნაწერები. ნაწილი II 170

ნესტან სულავა

წმინდანის ხატ-სახის ბუნებისათვის ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში 185

მაგდა მჭედლიძე

მიქაელ ფსელოსის და იოანე იტალოსის კომენტარები გრიგოლ ღვთისმეტყველის გამონათქვამზე: „...ამიტომ მონადა, დასაწყისიდან დიადისაკენ დაძრული, ტრიადამდე დადგა“ 203

ხელოვნებათმცოდნეობა

ზაზა სხირტლაძე

მეფეთა მეფის ფრესკა გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ეკვდერში. მასალები შესაძლო გაიგივებისათვის 223

თეო ჯალაღანია

გარემოს გავლენა საცხოვრებელი არქიტექტურის თავისებურებებზე: აწმყო და წარსული 256

რეცენზიები 285

ქრონიკა 295

Contents

Philosophy

Lela Alexidze

'Self', 'Other' and their Interrelationship in Paul Ricoeur's Philosophy 11

Orientalistics

Nino Kvirikashvili

The Participle in the Koran 29

History

Temur Todua

The Athenian Metoikoi 41

Mamuka Tsurtsumia

Frisians and Georgians in the Holy Land 57

Teimuraz Papaskiri

The German Offensive in the Ardennes and Winston Churchill's January 6, 1945 Letter to Stalin 63

Vasil Kacharava

The First Steps in the Foreign Policy of the Eisenhower Administration 80

Elene Medzmariashvili

Some Questions of the Political Activity of Women in the USA, European Countries and Georgia (Comparative Analysis) 96

Ethnology

Rozeta Gujejiani

The Modern Way of Life and Culture of the Ethnic Georgians of Artvin Vilayet (North-East Turkey) 113

Philology

Irina Gvelesiani

Lexical Units Related to 'Legal Inheritance' in the Georgian, English and Russian Languages 143

Maia Javakhidze

Conceptualization of "Heart" in Georgian and Italian Phraseology Corpus 157

Jost Gippert

New Manuscript Finds in St. Catherine's Monastery. Part II 170

Nestan Sulava

Concerning the Nature of a Saint's Icon and Image in Hagiography and Hymnography 185

Magda Mtchedlidze

The Commentaries of Michael Psellus and John Italus on Gregory the Theologian's Expression: 'Therefore the Monad, Moved From the Beginning to the Dyad, Stood Until the Triad' 203

Art Criticism

Zaza Skhirtladze

Fresco of the King of Kings in the South-Eastern Chapel of the Main Church of Gelati Monastery Matrials for Possible Identification 223

Teo Jalagania

Impact of the Environment on Architecture: Past and Present 256

References 285

Main Events 295

ფილოსოფია

ლელა ალექსიძე

„მე“, „სხვა“ და მათ შორის მიმართება პოლ რიკიორის ფილოსოფიაში

„სხვა“: რა არის „სხვა“? როცა ამ კითხვას „მე“ სვამს, მაშინ „სხვა“ – „არა-მე“ არის. მაგრამ რა არის „არა-მე“? სხვა – ჩემში? სხვა – ჩემ გარეთ? რა არის „მე“-სი „სხვა“-ში ან რამდენად არის „სხვა“ – „მე“-ში? „მე“ არის *იგივე* საკუთარი თავის მიმართ და „მე“ არის თავად ის, რაც არის *თვითონ*; „სხვაც“ *იგივეა* თავისი თავის მიმართ (მისი – ანუ საკუთარი თავის – იდენტურია) და ის *თვითონ* არის, რაც/ვინც არის. არის თუ არა „მე“-ს იგივეობა საკუთარი თავის მიმართ და „მე“-ს თვითობა *იგივე,* რაც „სხვის“ იგივეობა საკუთარი თავის მიმართ და სხვის თვითობა? თუ ეს *სხვა* იგივეობა და თვითობაა?

ეს არის რამდენიმე სპონტანურად დასმული კითხვა, რომელიც ნებისმიერ „მე“-ს უჩნდება, როცა ის ჩაფიქრდება იმაზე, თუ რა არის თავად ის – „მე“. ჩაფიქრება, ფიქრით მსჯელობა „მე“-ზე „სხვა“-ობის გარეშე არ გამოდის; საკუთარი თავის და საკუთარი თავის იდენტური „მე“-ს განსაზღვრა უკვე „სხვა“-ობის დაშვება და მიმართების კვლევაა „მე“-სა და „სხვა“-ს შორის, აგრეთვე იდენტურობასა და სხვაობას შორის. ის უამრავ საკითხს მოიცავს, რომელთა წრე ყოველ ახალ კითხვასთან ერთად ფართოვდება, ღრმავდება და იტოტება.

ჩემი მიზანია, პოლ რიკიორის ფილოსოფიაში, მისი დახმარებით და მასზე დაყრდნობით, შეძლებისდაგვარად გავერკვე „მე“ და „სხვა“-ს მიმართების იმ სფეროში, სადაც „მე“ განიხილება, ერთი მხრივ, როგორც საკუთარი თავის იდენტური, ხოლო მეორე მხრივ – როგორც „სხვა“ საკუთარი თავის მიმართ. შევეცადოთ, მოვძებნოთ პასუხები ზოგიერთ კითხვაზე, რომელიც ამ თემასთან დაკავშირებით ჩნდება, ან, როდესაც ეს ძნელია, უბრალოდ მივყვეთ ანალიზს იმ საკითხებისა, რომლებიც ყველა *ჩვენს* – როგორც ცალკეულ „მე“-თა – წინაშე დგას. ვფიქრობ, „მე“-ს „სხვა“-ობის წარმოჩენა და გაცნობიერება არის ერთ-ერთი საშუალება, რომელიც შეიძლება დაგვეხმაროს უკეთ გავიგოთ და დავაფასოთ „სხვა“ (ვგულისხმობ არა მხოლოდ „მე“-ს „სხვა“-ს ან „მე“-ს როგორც „სხვა“-ს, არამედ გარეშე, არა-„მე“-ს „სხვა“-საც) და მისი თავისთავადი, არა-ჩვენეული „მე“-ობაც.

პოლ რიკიორი (1913-2005) თანამედროვე ფრანგული ფილოსოფიის ერთ-ერთი დიდი და, როგორც ამბობენ, ყველაზე „არაპრეტენციოზული“ და ყველაზე ნაკლებ საკამათო წარმომადგენელი იყო.[1] მისი ნაშრომები ფილოსოფიის საფუძველზე სხვადასხვა დისციპლინას შორის (ისტორია, თეოლოგია, ფსიქოლოგია, სემიოტიკა) დიალოგს ეძღვნება. ამიტომაც არის ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებისთვის – და არა მხოლოდ ფილოსოფოსებისთვის – ძალიან საინტერესო. მეტიც: რიკიორის ანალიზში ჩართულია ადამიანის ქცევის, ეთიკისა და ესთეტიკის ისეთი სფეროები, რომელიც ყოველი ადამიანისთვის ახლობელია, იმის მიუხედავად, არის თუ არა ის შესაბამისი დისციპლინის სპეციალისტი. რიკიორის ანალიზი იმასაც ეხება, რაც აბსტრაქტული რეფლექსიისთვის შეიძლება მიუწვდომელიც იყოს; ასეთია ნება, ბოროტება, სწრაფვა, ტრანსცენდენტური. რიკიორი აკვირდება მათ გამოხატვას ხელოვნებაში, ლიტერატურაში, ზნეობაში, რელიგიაში, სამართალში, ისტორიაში. მას განსაკუთრებით აინტერესებს ენა, როგორც სიმბოლურის გამოხატვის ფორმა და შუამავალი, აგრეთვე თხრობა და მეტაფორა.[2]

რიკიორის შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი თემა არის „მე“: მე როგორც თავისთავადობა და იგივეობა, და მისი მიმართება მისივე თავთან როგორც „სხვა“-სთან.[3] ამ საკითხსაც რიკიორი, ჩვეულებისამებრ, ენის სფეროში, მხატვრულ ნაწარმოებებში და, ასე ვთქვათ, „რეალური“ სინამდვილის (ეთიკა, მორალი,[4] სამართალი) დონეზე აანალიზებს. განსაკუთრებულ როლს მასთან თხრობა („ნარატიულობა“) ასრულებს, რომ-

---

[1] იხ. C. Albert, Ricoeur, Paul, *Die großen Philosophen des 20. Jahrhunderts. Biographisches Lexikon*. Hrsg. von B. Lutz (München, 1999), S. 372.

[2] იქვე, გვ. 372-373.

[3] რიკიორის ამ მიდგომას „თავისი თავის ჰერმენევტიკას“ („Hermeneutik des Selbst“) უწოდებენ, იხ. P. Welsen, Paul Ricoeur, *Philosophie der Gegenwart in Einzeldarstellungen von Adorno bis v. Wright*. Hrsg. J. Nida-Rümelin, 2. Aufl. (Stuttgart, 1999), S. 622-627, განსაკუთრებით გვ. 623-624.

[4] პირობითად რიკიორი შემდეგ განსხვავებას ადგენს ეთიკასა და მორალს შორის: ეთიკა არის ის, როგორც ცხოვრება სრულდება, ხოლო მორალი არის ეს ცხოვრება, ნორმების მიხედვით განხილული. ეთიკა უპირატესია მორალთან შედარებით. P. Ricoeur, *Soi-même comme un autre* (Paris, 1990), p. 200-201.

ლის შიგნითაც სინამდვილე და შესაბამისი ცნება ყალიბდება, ვითარდება და სხვა რეალობებთან და ცნებებთან მიმართებაში იცვლება. ამ თემას ეძღვნება პოლ რიკიორის წიგნი „თავისი თავი როგორც სხვა“ („Soi-même comme un autre“).

რა არის „მე“? რომელი „მხრიდან“ შეიძლება მას მივუდგეთ და მასში გავერკვათ?

ამოსავალი „მე“-ს კვლევისთვის რიკიორისთვის დეკარტეს cogito არის, ანუ cogito-ს აბსოლუტური სუბიექტი: „მე“.[5] მას რიკიორი სამი ასპექტით იხილავს:

1. „მე“-ს უშუალობა, რომელსაც „მე“-ს შუალობითობა უპირისპირდება, რასაც სხვადასხვა ენაში შესაბამისი გამოხატვა აქვს (ფრანგული soi, ქართული „თავი“, გერმ. selbst, ინგლ. self).

2. ისევ „მე“-სთან და „თავისთავთან“ (და არა მარტო ამასთან) დაკავშირებული „იგივეობა“ (l'identité), რომელსაც ორმაგი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, და ორივეს ერთი და იგივე ფრანგული même (საკუთარი თავი, იგივე) გამოხატავს. ერთი მნიშვნელობა გულისხმობს ლათ. idem-ს: ეს არის იგივეობა, რომელიც დროში უცვლელ საგნებს ახასიათებს, მეორე მნიშვნელობა კი შეესაბამება ლათ. ipse-ს და ნიშნავს „თვითონ“-ს, „თავად“-ს, ანუ იმას, ვინც თავს ისეთად ინარჩუნებს, როგორადაც ჰქონდა განზრახული.

3. ყოველივე ზემოთქმული გულისხმობს *იგივესა* და *სხვის* (Même et l'Autre) დიალექტიკას, რომლის საწყისებს ანტიკურ აზროვნებაში ვპოულობთ. მისი განახლება, რიკიორის აზრით, შესაძლებელია, თუ საკუთარ თავთან მიმართებაში „სხვა“-ზე ორგვარად ვილაპარაკებთ: „საკუთარი თავი *როგორც* სხვა“-ში „როგორც“ (comme) შეიძლება ნიშნავდეს შედარებას და იმავე დროს მიანიშნებდეს უფრო მჭიდრო კავშირზე, რომელიც ასეთი გამოთქმითაც შეიძლება გამოიხატოს: „თავისი თავი რამდენადაც ის სხვაა“.[6]

---

[5] შდრ. J. Lacroix, *Panorama de la philosophie française contemporaine*, 2-ème éd. (Paris, 1968), p. 1-10.

[6] P. Ricoeur, დასახ. ნაშრომი, გვ. 11-25. *იგივესა* და *სხვის* პრობლემებისთვის თანამედროვე ფილოსოფიურ აზროვნებაში შეიძლება თვალი გადავავლოთ ფრანგული ფილოსოფიური ენციკლოპედიის შესაბამისი თავისა და მისი ქვეთავების სათაურებს: თავის სათაური: „სხვისი სხვა-ობა“, ქვეთავები: „რელატიური სხვა-ობა, ანუ *იგივეს* სხვა“, „აბსოლუ-

„მე“-ს „იგივე“-დ (ანუ „საკუთარი თავი“, „თავად“, „თვითონ“-ის მნიშვნელობით) განხილვას პიროვნების გაგებასთან მივყავართ. რა არის პიროვნება და როგორ ხდება მისი იდენტიფიკაცია?

პიროვნების ყველაზე მარტივი და პირველადი გაგება მისი იდენტიფიკაციით მიიღება. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდის როგორც *იგივეს* (même) სახით იმის ჩვენება, რომ ესა თუ ის ვინმე (თუ რამ) არის *იგივე* საგანთა მრავალგვარობაში და *იგივე* დროსა და სივრცეში.[7]

პიროვნების ცნება ატრიბუციით ყალიბდება. პიროვნება არის „იგივე რამ“, რომელსაც მიეწერება, ერთი მხრივ, ცნობიერება, ფიქრები, გრძნობები, მეორე მხრივ კი ფიზიკური მდგომარეობა. პრედიკატების მიწერა ხდება ერთნაირად, ე.ი. განურჩევლად იმისა, ისინი საკუთარ თავს მიეწერება თუ სხვას. ამდენად, მიწერისას პრედიკატები ერთნაირად არის ნახმარი: როცა სუბიექტი არის თავისი თავი და როცა სუბიექტი არის სხვა. ატრიბუცია სხვისადმი ისეთივე მარტივი რამ გამოდის, როგორც ატრიბუცია თავისი თავისადმი. მაგრამ პიროვნების კვლევაში „მე-შენ“-ს ვერ ავცდებით, რადგან დგება ატრიბუციის კრიტერიუმის საკითხი: სხვაა ატრიბუციის კრიტერიუმი, როცა ლაპარაკია „მე“-ზე, და სხვა არის ის სხვა შემთხვევაში.[8]

რიკიორი პიროვნებას მისი გამოხატვის თვალსაზრისით განიხილავს საუბარში, ურთიერთობაში. როგორ გამოიხატება სუბიექტი ურთიერთობაში, საუბარში? ეს გულისხმობს „მე“-სა და „შენ“-ს შორის მიმართებას. აქ პიროვნება არის „მე“, რომელიც „შენ“ გელაპარაკება. რაც შეეხება პიროვნებისადმი ისეთ მიდგომას, რომელიც რეფერენციულ იდენტიფიკაციას ნიშნავს (ანუ დახასიათების საფუძველზე სუბიექტის გაიგივებასა და განსაზღვრებას), აქ პიროვნებად წარმოდგებოდა მესამე პირი, რომელზეც მიმდინარეობს მსჯელობა. პრობლემა სწორედ ის არის, გავიგოთ, ერთი მხრივ, თუ როგორ შეიძლება დიალოგის „მე-შენ“ გამოიხატოს „მას“-ში ისე, რომ არ დაიკარგოს თავისი თავის აღნიშნვის უნარი, ხოლო მეორე მხრივ როგორ შეიძლება „ის“, რომელიც არის რეფერენციული

ტური სხვა-ობა, ანუ სხვა როგორც სხვა“, „მიმართებითი (relationelle) სხვა-ობა, ანუ თავისი თავის სხვა და სხვისი სხვა“. იხ. P.-J. Labarrière, L'altérité de l'autre, *Encyclopédie philosophique universelle*, vol. I, Éd. A. Jacob (Paris, 1998), p. 80-86.

[7] P. Ricoeur, დასახ. ნაშრომი, გვ. 39-48.

[8] იქვე, გვ. 49-54.

განსაზღვრების ნაყოფი, „შემოვიდეს“ სუბიექტში, რომელიც თავის თავს თვითონვე გამოხატავს.[9]

პირველ პირში მოლაპარაკე თავისთავად გულისხმობს მეორე პირს, მოსაუბრეს. „მე ვადასტურებ“ ნიშნავს „მე გიდასტურებ“. ამდენად, მოლაპარაკეს მე-ობის გამოხატვა ხდება პარტნიორ სხვა-სთან ურთიერთობაში. ესაა პიროვნებათა შორის დიალოგური გაცვლის საფუძველი.[10]

გამოხატვაში (საუბარში) პირველი ინდიკატორი არის „მე“. სხვა ყველაფერი მასთან მიმართებაში განისაზღვრება: „შენ“, „ეს“, „ის“, „ახლა“. „მე“ შეიძლება მითითებულ იქნეს ან ნაჩვენები იყოს, მაგრამ არ შეიძლება მასზე რეფერენცია ან მისი აღწერა. რეფერენციულ მიდგომაში, განსხვავებით რეფლექსური მიდგომისგან, პირველ ადგილზე მესამე პირია. არის თუ არა რეფლექსური „მე“ იგივე, რაც რეფერენციული „თვითონ“? ხომ არ იკარგება „მე“ მაშინ, როცა მასზე რეფერენცია ხდება როგორც საგანზე? ან, სხვა სიტყვებით, როგორ არის შესაძლებელი, რომ სუბიექტი, რომელიც რეფერირებს და აღნიშნავს, იყოს აღნიშნული როგორც საგანი და იმავე დროს დარჩეს სუბიექტად?[11] დაბოლოს, როგორ არის შესაძლებელი ორი მიდგომის ერთმანეთთან დაახლოება? პირველ შემთხვევაში (იდენტიფიკაციური რეფერენცია) პიროვნება წარმოგვიდგებოდა იმ ერთეულად, რომლის დაყვანა სხვა რაიმეზე შეუძლებელია. ეს პიროვნება იყო „ის“, ვის შესახებაც არის ლაპარაკი და ვისაც მივაწერთ ფიზიკურ და ფსიქიკურ ატრიბუტებს. მეორე მიდგომა (გამოხატვის რეფლექსურობა) გულისხმობს სუბიექტს, რომელიც წარმოგვიდგება როგორც ის, ვინც ლაპარაკობს და მეორე პირთან ურთიერთობს. მესამე პირი ამ დროს გამორიცხულია, იგი უ-პიროდ არის ქცეული (non-person). ამ ორი მიდგომის ურთიერთდაახლოების საფუძველი, რიკიორის აზრით, არის ასიმილაცია „მე“-სი, როგორც გამოხატვის სუბიექტისა, და პიროვნების, როგორც სხვაზე დაუყვანელი ერთეულის. ეს ჩანს ჩვეულებრივი ჩაწერის აქტის მაგალითზე: მე, რომელიც გამოვიხატები როგორც სუბიექტი, ჩაწერილი ვარ როგორც ობიექტი და რეფერირებული ვარ ჩემი სახლის, დაბადების ადგილისა და თარიღის მიხედვით. სხეულიც ასეა: ის არის სამყაროს ფაქტი და თან სუბიექტის ორგანო, რომელიც არ ეკუთვნის იმ

---

[9] P. Ricoeur, დასახ. ნაშრომი, გვ. 55-56.

[10] იქვე, გვ. 56.

[11] იქვე, გვ. 60-64.

ობიექტებს, რომელთა შესახებ არის ლაპარაკი.[12]

პიროვნება გულისხმობს, რომ ის არის მოქმედი. მოქმედი ნიშნავს, რომ ის მოქმედებს. ამდენად, პიროვნების, „მე"-ს კვლევას ბუნებრივად მივყვართ მოქმედის, მოქმედებისა და მათ შორის მიმართების ანალიზთან.

მათ შორის კავშირის გამოსავლენად პოლ რიკიორი იხილავს ნებელობითი და ნების საწინააღმდეგო ქმედების შესახებ არისტოტელურ (შეიძლება ითქვას, ზოგადანტიკურ) შეხედულებას: ნებელობითი მოქმედების საწყისი ჩვენშია, რაც შესაძლებელს ხდის დავაკავშიროთ ეს საწყისი იმ ნაცვალსახელთან, რომელიც პასუხობს კითხვაზე „ვინ?". სწორედ ეს მიუთითებს კავშირზე მოქმედებასა და მოქმედს შორის. საწყისის ცნება შეიძლება საერთო იყოს ფიზიკისთვის (ანუ სხეულოვანი ქმედებისთვის) და ეთიკისთვის, რადგან ორივე შემთხვევაში ეს არის ხდომილების, გახდომის, ცვლილების, მოძრაობის, მოვლენის საფუძველი.[13] და მაინც, რა აკავშირებს ყველაზე მეტად მოქმედებას მოქმედთან? ეს არის საწყისი, რომელიც არის „თვითონ". ეთიკურის სფერო ვრცელდება ფიზიკურზე, რამდენადაც ჩვენი თავისუფალი არჩევანი მოქმედებს იმ სფეროში (მათ შორის ფიზიკურში), რომელშიც ჩვენ ხელგვეწიფება მოქმედება.[14] გადაწყვეტა, არჩევანი არის მოქმედების გათავისება; ეს არის, თავისებურად, საკუთრება და ფლობა. ამდენად, ფიზიკური და ფსიქიკური თავისებურებები განეკუთვნება პიროვნებას.[15]

პიროვნების გაგება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მის იდენტურობას, იგივეობას, თვითობას. იგივეობის (mêmeté) ცნებას, როგორც ვთქვით, ორი გაგება აქვს: იგივეობა (idem, sameness, Gleichheit) და თავისთავადობა (ipséité: ipse, selfhood, Selbstheit). ამ ორ იგივეობას შორის დაპირისპირება ყოველთვის თავს იჩენს, როცა დროში პერმანენტულობის საკითხი დგება. პიროვნების შემთხვევაში დროში ისეთი პერმანენტულობა იგულისხმება, რომელიც მოითხოვს პასუხს კითხვაზე: „ვინ ვარ მე?"[16] ჩემი ბუნება, ჩემი ხასიათი, ეს ვარ მე, ipse. მაგრამ ეს ipse

---

[12] P. Ricoeur, დასახ. ნაშრომი, გვ. 68-72.

[13] იქვე, გვ. 75, 86-87.

[14] იქვე, გვ. 110-117.

[15] იქვე, გვ. 109.

[16] იქვე, გვ. 140.

ცხადდება როგორც idem („იგივე“). პიროვნება ვლინდება ცალკეული ნიშნების მეშვეობით და მისი რეიდენტიფიკაცია ხდება როგორც *იგივესი*. ეს ის მომენტია, სადაც პიროვნებაში ერთმანეთს ხვდება „იდენტურობის“ ორივე ასპექტი: „იგივე“ და „თავისი თავი“.

რიკიორის ფილოსოფიის ყველაზე უფრო სპეციფიკური და, ალბათ, ძლიერი მხარე ნარატივის კვლევაა. ერთ-ერთი მთავარი თემა, რომელიც ნარატივისა და პიროვნების კვლევას ორგანულად აერთიანებს, არის პიროვნული იდენტურობა ნარატივში, ანუ პიროვნების ნარატიული იდენტურობა (იგივეობა) და თავისთავადობა, აგრეთვე ამ ორი მომენტის ურთიერთმიმართება.[17]

მოვლენათა შორის კავშირს ქმნის „ინტრიგა“ (სიუჟეტის შექმნა: la mise en intrigue). რიკიორი იყენებს დილთაის ცნებას: „ცხოვრების მიმდევრობა“ (Zusammenhang des Lebens), რომელიც ცხოვრების ისტორიას ნიშნავს. მის საფუძველზე რიკიორი აგებს პიროვნული იდენტურობის ნარატიულ თეორიას. იდენტურობას, ნარატიულად გაგებულს, შეიძლება ვუწოდოთ პერსონაჟის იდენტურობა. პერსონაჟის იდენტურობა იქმნება „ინტრიგასთან“ ერთად; მას ლიტერატურული სიუჟეტის აგების თავისებურებები განაპირობებს.[18] ნარატივში პიროვნული იდენტურობისკენ ნაბიჯი მაშინ იდგმება, როცა მოქმედებიდან პერსონაჟზე გადავდივართ. პერსონაჟი ის არის, ვინც ქმნის მოქმედებას თხრობაში. საკითხავი ის არის, თუ რას ჰმატებს პერსონაჟის ნარატიული კატეგორიები პიროვნულ იდენტურობას. რიკიორის აზრით, პერსონაჟის იდენტურობა გულისხმობს მასზე ინტრიგის გადატანას, რომელიც თავდაპირველად მოთხრობილ მოქმედებას მიეწერებოდა. ამგვარად, პერსონაჟი თავად იქცევა ინტრიგის სუბიექტად. ასე იქმნება კორელაცია მოქმედებასა და პერსონაჟს შორის. მოთხრობილ ისტორიაში პერსონაჟი ინარჩუნებს იდენტურობას, რომელიც თავად ამბის, თხრობის შესაბამისია.[19] პერსონაჟი თავის განუმეორებლობას იძენს ცხოვრების ერთიანობიდან, განუმეორებელი დროითი ტოტალურობიდან. დროით ტოტალურობას მუდმივად ემუქრება გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი მოვლენებით „დაჩეხვა“, რომელიც კონტინუიტეტს არღვევენ. შემთხვევითობა ბედისწერაში გადადის და,

---

[17] P. Ricoeur, დასახ. ნაშრომი, გვ. 146-147.

[18] იქვე, გვ. 168.

[19] იქვე, გვ. 168-170.

ამავე დროს, ისტორიის (ამბის) ფონზე პერსონაჟის იდენტურობა განისაზღვრება.[20]

პიროვნების იდენტურობასთან ერთად დგას მისი იდენტურობის დაკარგვის საკითხიც. იდენტურობის დაკარგვას რიკიორი რ. მუზილის რომანის საფუძველზე განიხილავს: „კაცი თვისებების გარეშე" – მისი იდენტიფიკაცია შეუძლებელი ხდება სამყაროში, რომელიც სავსეა თვისებებით ადამიანთა გარეშე. მაგრამ რას ნიშნავს იდენტურობის დაკარგვა? რიკიორის აზრით, ესაა გაშიშვლება ipse-სი იმის ხარჯზე, რომ idem-ის მხარდაჭერა იკარგება.[21]

რას ნიშნავს ეს? რა არის ipse, როცა მას idem-ის მხარდაჭერა აღარ აქვს?

რიკიორის აზრით, ნარატიული თხრობა აერთიანებს ორ პოლუსს: ხასიათის პერმანენტულობას დროში (თხრობაში მოქმედებისთვის ხასიათის მინიჭებით) და თავისთავადობის შენარჩუნებას (საყვარელი და პატივსაცემი პერსონაჟებისთვის თვისებების მინიჭებით). როცა თვისებების ჩამოცილება ხდება (მუზილი), როცა კაცი ამბობს: „მე არაფერი არა ვარ", ეს „არაფერი" არ განეკუთვნება „მე"-ს. ამგვარად, ეს არის თავისი თავი (soi), რომელიც მოკლებულია იგივეობის (mêmeté) მხარდაჭერას.[22] ამ შემთხვევაში კითხვა „ვინ ვარ მე?" არარაობაზე კი არ მიგვანიშნებს, არამედ თავად შეკითხვის სიშიშვლეზე.[23]

ამგვარად, გაშიშვლებული შეკითხვა: „ვინ?" უპირისპირდება ამაყ პასუხს: „ეს მე ვარ!" როგორ შეგვიძლია ნარატიულ პლანში ipse-ს პრობლემატური ხასიათი შევუთანხმოთ მტკიცებით ხასიათს მორალურ სიბრტყეზე?[24] აქედან გამომდინარე, რიკიორი ბუნებრივად სვამს საკითხს ნარატიულ თეორიასა და ipse-ს ეთიკურ თეორიას შორის მიმართების შესახებ. ეს კითხვა იმიტომაც ისმის, რომ თხრობა, რიკიორის აზრით, ყოველთვის ეთიკურ გადაწყვეტილებებსაც შეიცავს. წარმოსახვაში ჩა-

---

[20] P. Ricoeur, დასახ. ნაშრომი, გვ. 175.

[21] იქვე, გვ. 177-178.

[22] პიროვნული იდენტურობა გულისხმობს იმას, რომ ხდება მოცილება არა მხოლოდ იგივეობის იდენტურობისა, არამედ თავისი თავის იდენტურობისაც. ეს თითქოს თავისი თავის აპოფატურ გაგებას გულისხმობს. იქვე, გვ. 196.

[23] იქვე, გვ. 196.

[24] იქვე, გვ. 197-198.

ძირვა, პერსონაჟებზე დაკვირვება სიკეთისა და ბოროტების საკითხში გარკვევაც არის. ისტორიოგრაფიული თხრობაც კი, რომელიც თითქოს ყველაზე ნეიტრალური უნდა იყოს ამ თვალსაზრისით, არასოდეს არაა ნულოვანი შეფასებებში. კითხვები, რომელიც ამ დროს ჩნდება, ასეთია: როგორ შევინარჩუნოთ ეთიკურ პლანში თავისთავადობა, რომელიც ნარატიულ პლანში წაშლილი ჩანს? როგორ ვთქვათ ერთდროულად: „ვინ ვარ მე?“ და „ეს მე ვარ!“? შესაძლებელია თუ არა მინიმუმამდე დავიყვანოთ გამიჯვნა ნარატიული იდენტურობასა და მორალურ იდენტურობას შორის?[25]

ეს კითხვები რიკიორს უბიძგებს, კიდევ უფრო მეტად ჩაუღრმავდეს „მე“-ს როგორც „თავისი თავის“ კვლევას ეთიკურ ჭრილში. თუ აქამდე ipse-ს კვლევა ენობრივ, პრაქტიკულ და ნარატიულ დონეზე ხდებოდა, ახლა ის უპირატესად ეთიკურ განზომილებაში განიხილება, რომელიც წინებთან კავშირშია. ეს ოთხი მიდგომა ფაქტობრივად თავისებურად პასუხობს კითხვაზე: „ვინ?“: ვინ ლაპარაკობს? ვინ მოქმედებს? ვინ ვლინდება თხრობაში? (qui se raconte?) ვინ არის, მაგალითად, განსჯის მორალური სუბიექტი?

ჩვენ ვერ გავდივართ ipse-ს პრობლემატიკიდან, სანამ ვრჩებით „ვინ“ შეკითხვის ფარგლებში; მაგრამ ეთიკური და მორალური განსაზღვრებები, ნარატიულობის ფონზე ჩამოყალიბებული, ერთგვარად ახალი სახის პრედიკატებია, ხოლო მათი მიმართება მოქმედების სუბიექტთან – ახლებური შუამავლობაა თავისი თავისკენ დაბრუნების გზაზე.[26]

ცხოვრება ჩვენ მიერ ფასდება. სწორედ აქ ვლინდება ცხოვრების ნარატიული ხედვის კავშირი ეთიკურ ხედვასთან. ცხოვრების მიზანი ანტიკური გაგებით, რომელსაც „კარგად ცხოვრება“ ეწოდება, თითოეულისათვის არის იდეათა და ოცნებათა სფერო, რომელთან მიმართებაში ჩვენი ცხოვრება მეტ-ნაკლებად სრულყოფილად თუ არასრულყოფილად განხორციელებულად (acomplie ou inacomplie) აღიქმება. ეს არის ის, რის მიმართაც სრულდება მოქმედებანი, რომელთა შესახებ ჩვენ ვამბობთ, რომ მათ მიზანი თავის თავში აქვთ. მაგრამ ეს მიზნობრიობა ხელს არ უშლის მოქმედებათა (pratiques) თვითკმარობას, როცა მათი მიზანი უკვე დადგენილია და ასეთად რჩება; ნარატივს იმით არაფერი

---

[25] P. Ricoeur, დასახ. ნაშრომი, გვ. 193-195.

[26] იქვე, გვ. 199.

აკლდება, რომ არსებობს უზენაესი მიზნობრიობის იდეა, რომელიც მუდამ ადამიანური ქმედების შინაგან ღერძია (c'est l'idée d'une finalité superieure qui ne cesserait pas d'être intérieure à l'agir humaine). ამასვე უკავშირებს რიკიორი ადამიანის განსაზღვრებას, როგორც ცხოველისა, რომელიც თავისი თავის ინტერპრეტაციას ახდენს (Ch. Taylor: „l'homme est un self-interpreting animal").[27] რიკიორის აზრით, თავისთავადობის ცნება ძალიან მდიდრდება იმ მიმართებით, რომელიც ტექსტში მოქმედებების ინტერპრეტაციასა და პერსონაჟის ავტოინტერპრეტაციას შორის გამოიხატება. ეთიკურ ჭრილში თავისი თავის ინტერპრეტაცია საკუთარი თავის ღირსების აღქმად (estime de soi) იქცევა. თავის მხრივ, საკუთარი ღირსების აღქმა მიჰყვება ინტერპრეტაციის თავისებურებებს და, მასთან ერთად, გზას უხსნის წინააღმდეგობებს, ინტერპრეტაციების კონფლიქტებს, პრაქტიკულ განსჯას.[28]

რა არის საკუთარი ღირსების საფუძველი? მთავარია არა გაკეთებული საქმეები, არამედ, ძირითადად, უნარები (capacité). ეს არის „მე შემიძლია" ეთიკურ განზომილებაში, რომელიც კარგ მიზანს გულისხმობს. აქ ძირითადი აქცენტი ზმნაზე მოდის: შეძლება – გაკეთებას ეთიკურ დონეზე შეესაბამება განსჯის (juger) შეძლება. ამაში კი უკვე „სხვაც" შემოდის მთელი თავისი მრავალფეროვნებით და, მასთან ერთად, პოლიტიკური თეორიის პრობლემებიც წამოიჭრება. ასე დგება „სხვისი", როგორც შუამავლის, როლის საკითხი „მე"-სთან მიმართებაში. ამავე კონტექსტში რიკიორი განიხილავს მეგობრობის (philia) არისტოტელურ გაგებას. არისტოტელესთან მეგობრობა ქმნის გადასვლას „კარგად ცხოვრებიდან", ანუ საკუთარი ღირსების მოაზრებიდან (რაც, ერთი შეხედვით, მარტოობით ფასდება) სამართლიანობის სფეროში, რომელიც პოლიტიკური ხასიათის ადამიანური პლურალიზმის ფასეულობაა. „ბედნიერ კაცს მეგო-

---

[27] P. Ricoeur, დასახ. ნაშრომი, გვ. 211.

[28] იქვე, გვ. 211. აქვე რიკიორი სვამს კითხვას: რა მიმართებაა „საკუთარ ღირსებას" და „ჩემს ღირსებას" შორის? რიკიორის აზრით, საკუთარი ღირსება (estime) არ ნიშნავს ჩემს ღირსებას. რა თქმა უნდა, ჩემობა ipse-ში გარკვეულად მოცემულია, მაგრამ ipse-ობიდან ჩემობაზე გადასვლა ხასიათდება დამატებითი ცნებით „ყოველ ჯერზე" (à chaque fois – je ჰაიდეგერისა): ჰაიდეგერის თქმით, საკუთარი თავი ყოველ ჯერზე ჩემია („Sein und Zeit", §25). P. Ricoeur, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

ბრები სჭირდება“ – სწორედ ამ პრინციპს ემყარება საკუთარი თავის სიყვარულის – philautia-ს – ცნება; ამდენად, საკუთარი თავის სიყვარულის ცნებას მნიშვნელობა ენიჭება ინტერსუბიეტურობაში, „სხვა“-სთან მიმართებაში.[29]

ასეთია, მოკლედ, პოლ რიკიორის თვალით დანახული საკითხთა ერთი სპექტრი, რომელსაც „მე“-ზე, როგორც საკუთარ თავზე და როგორც „სხვა“-ზე დაფიქრება ქმნის. რიკიორის წიგნი „Soi-même comme un autre“ ერთგვარი შეჯამებაა მისი წინამორბედი წიგნებისა, იმ თვალსაზრისით, რომ მასში კვლევა წარმოებს რიკიორის შემოქმედებისთვის ყველა იმ უმნიშვნელოვანეს სფეროში, რომლებსაც, ცალ-ცალკე, მისი სხვა ნაშრომები მიეძღვნა: ენა (სხვადასხვა ენათა გრამატიკის დონეზეც), მეტაფორა, ნარატივი, ზნეობა, ბოროტება,[30] ისტორია, დრო, ხსოვნა[31] და სხვა. პოლ რიკიორის ერთ-ერთ ყველაზე დიდ და ცნობილ ნაშრომს, რომელიც ამ ფენომენებს ერთგვარად ერთმანეთთან აკავშირებს და თხრობის საშუალებით დროითი და ისტორიული ცნობიერების კონსტიტუციას ეძღვნება, „დრო და თხრობა“ ეწოდება.[32] პოლ რიკიორის ანალიზი ყოფიერების სხვადასხვა სფეროთა ზღვარზეა (რაც საერთოდ მის შემოქმედებას ახასიათებს) და გარკვეულწილად, მათ შორის არსებულ განსხვავებებს და კავშირებს „მე“-ს, „თავისი თავისა“ და „სხვის“ მიმართების ასპექტით

---

[29] იქვე, გვ. 211-221. ყოველივე ეს უკავშირდება ego-ს, alter ego-ს და „სხვის“/“სხვების“ ურთიერთმიმართების საკითხებსაც. ამიტომ რიკიორი აქვე ლევინასსაც ეხება და აღნიშნავს, რომ მისი ფილოსოფია ეფუძნება *სხვის* ინიციატივას ინტერსუბიექტურ მიმართებაში. იქვე, გვ. 221.

[30] P. Ricoeur, *Le mal. Un défi à la philosophie et à la théologie* (Paris, 1986).

[31] ისტორიის, დროისა და ხსოვნის ურთიერთკავშირს ეძღვნება რიკიორის ერთ-ერთი უკანასკნელი წიგნი: P. Ricoeur, *La mémoire, l'histoire, l'oubli* (Paris, 2000). მის შესახებ იხ. ლ. ალექსიძე, პოლ რიკიორი ხსოვნის შესახებ, *ადამიანის არსება ცვალებად გარემოში* (თბილისი, 2005), გვ. 75-93.

[32] P. Ricoeur, *Temps et récit*, tome I: *L'intrigue et le récit historique* (Paris, 1983); tome II: *La configuration du temps dans le récit de fiction* (Paris, 1984); tome III: *Le temps raconté* (Paris, 1985). იხ., აგრეთვე, J. Lacoste, *La philosophie aujourd'hui* (Paris, 1997), p. 190-194 (თავის სახელწოდებაა "Paul Ricoeur et le temps humain").

ჩვენთვის ჩვეულ სფეროებში და თან ახლებური პერსპექტივით დაგვანახებს. ერთი პატარა მომხიბლავი შტრიხი, რომელიც რიკიორს, როგორც პიროვნებასა და ფილოსოფოსს (და, მასთან ერთად, ალბათ, საერთოდ XX საუკუნის ფრანგულ ფილოსოფიას) ახასითებს, ის არის, რომ ის არ კმაყოფილდებოდა საკუთრივ ფილოსოფიით (ეს, სხვათა და სხვათა შორის, მის მიერ ნარატიულობის ინტენსიურ კვლევაშიც გამოვლინდა). ამ დაუკმაყოფილებლობაზე, რომელიც გზას ხსნიდა ყოფიერების სხვადასხვა სფეროებში ფილოსოფიური ანალიზისკენ, რიკიორის ეს სიტყვებიც მიგვანიშნებენ: „მე არა მგონია, რომ ფილოსოფია ცხოვრებაში ყველაფერია. სიყვარულიც უნდა შეგვეძლოს.“[33]

ბიბლიოგრაფია

References

C. Albert, Ricoeur, Paul, in: *Die großen Philosophen des 20. Jahrhunderts. Biographisches Lexikon.* Hrsg. von B. Lutz (München, 1999), S. 372-375.

L. Alexidze, Paul Ricoeur on the Memory, *in: The Essence of Man in the Transient Environment* (Tbilisi 2005), pp. 75-93.

P.-J. Labarrière, L'altérité de l'autre, in: *Encyclopédie philosophique universelle*, éd. A. Jacob, vol. I (10) (Paris, 1998), p. 80-86.

J. Lacroix, *Panorama de la philosophie française contemporaine*, 2-ème éd. (Paris, 1968).

P. Ricoeur, *Soi-même comme un autre* (Paris 1990).

P. Ricoeur, *Temps et récit*, tome I: *L'intrigue et le récit historique* (Paris, 1983); tome II : *La configuration dans le récit de fiction* (Paris 1984); tome III: *Le temps raconté* (Paris, 1985).

P. Ricoeur, *Le mal. Un défi à la philosophie et à la théologie* (Paris, 1986).

P. Ricœr, *La mémoire, l'histoire, l'oubli* (Paris, 2000).

P. Welsen, Paul Ricoeur, in: *Philosophie der Gegenwart in Einzeldarstellungen von Adorno bis v. Wright,* Hrsg. J. Nida-Rümelin, 2. Aufl. (Stuttgart 1999), S. 622-627.

[33] C. Albert, დასახ. ნაშრომი, გვ. 375.

Lela Alexidze

‘Self’, ‘Other’ and their Interrelationship in Paul Ricoeur’s Philosophy

The aim of the paper is to analyze the relationship between the ‘self’ and the ‘other’ in Paul Ricouer’s (1913-2005) philosophy, where the ‘self’ is considered as the ‘I’, the ‘same’, and the ‘other’. Ricoeur’s book ‘*Soi-même comme un autre*’ (Paris, Éditions de Seuil, 1990; English translation ‘*Oneself as Another*’, translated by K. Blamey, University of Chicago, 1992), devoted basically to this theme, is the principal source of the present paper.

Ricoeur discusses the relationships between the ‘self’ and the ‘other’ in the domain of linguistics, semantics, narrative and pragmatics (ethics, moral, law).

The analysis of the dialectic of the ‘self’ and the ‘other’, among various issues, embraces the following ones: the immediate character of the ‘self’, expressed in the first person singular (the ‘I’); the self-utterance of the speaking subject; the relative character of the ‘self’ and its relation to ‘oneself as another’; the ‘self’ and interpersonal relationships; the reflexive utterance of the ‘self’: identification of the ‘self’ by means of attribution and ascription of the predicates; the correlation between the ‘self’ and the ‘other than self’; the dialectic of the ‘same’ and the ‘other’; the identity of the ‘self’ in the domain of mind-body dualism, and in temporal and spatial variability; the correlation between the self-designation of the person and his or her expression by other means (identifying reference) implying the interconnection between the first, second and third grammatical persons; correlation between the referential theory and the theory of reflexive utterance; person as an acting subject (agent); interconnection between agent and action; will as the cause of physical and psychological action; personal identity and the ‘self’ as the same; person in a narrative: identity of the person expressed through the identity of the character and by the construction of the plot; personal identity and narrative identity; personal identity viewed in the ethical self-estimation and in the relationship to other persons.

Ricoeur’s basis for analysis of the ‘self’ is Descartes’ *cogito* that means the absolute subject of cogito. Person appears as a basic particular, irreducible to anything else. Ricoeur discusses ‘oneself’ in the following aspects: (1) the immediacy of the ‘self’ to which its referential character is opposed and is expressed variously in different languages (French *soi*, German *selbst*, English *self*); (2) Identity related to the ‘self’ that may have dual meaning and both are expressed by the French *même* (oneself, same). One meaning implies the Latin

idem. This is identity, which is characteristic of subjects, which remain the same in different times and places. The second meaning corresponds to the Latin *ipse*, meaning 'oneself' ('himself' or 'herself') or one who preserves his or her identity in the way he or she intended. (3) the dialectics of the 'self', 'same' and 'other' as far as we can speak about the 'other' in respect to 'oneself' in two ways: in the expression 'oneself *as* another' 'as' (French *comme*) may mean a comparison ('oneself similar to another') and, at the same time, may have a meaning of implication, which may be expressed by such a phrase as well: 'oneself inasmuch as being other'. In this case, the selfhood of oneself implies otherness to such degree that one cannot be thought of without the other.

Consideration of the 'self' as 'same' means his or her comprehension as a person which is obtained through his or her identification. This is a demonstration of an individual as the *same* in the heterogeneity of things, as well as in time and space. The selfhood of a person can be expressed through conversation, implying relationship between 'I' and 'you'. The selfhood of a speaker is expressed in his or her relationship to the partner, who is the 'other'. As for the referential identification, where the subject is identified and designated by means of certain attributes, predicates and characteristics, in such a case it is the third person who emerges and becomes the subject of the discourse.

In a conversation, 'I' can be indicated or shown but it cannot be referred to or described. The reflexive utterance implies the person who is speaking and the other one to whom the former is speaking. The person is a basic particular irreducible to anything else; he or she is neither repeatable nor divisible without alteration. The third person who has become a nonperson is excluded in such a case. Unlike the reflexive approach, in the referential approach it is the third person that is privileged. The person of whom one is speaking can be designated as an entity to which predicates of different order are ascribable. In Ricoeur's view, the two above-mentioned approaches come closer to each other through the assimilation between the 'I' as the subject of the utterance and the person as the basic irreducible particular, as far as the 'I' can be taken as a subject of attribution, as an objective person and as a reflecting subject. This kind of result of the interconnection of reflexivity and identifying reference can be viewed in the acts of registration: I express myself as a subject and, at the same time, I am registered as an object and referred according to my home, place, date of birth, etc. Thus, the same person is the object of identifying reference and the subject of the utterance. The inscription itself performs this conjunction.

The personality implies that he or she is an acting subject (agent, actor). This means that he or she acts. The origin of voluntary action is within us. It is the basis of a correlation between action and its agent. The concept of this basis may be common for physical (corporeal) and ethical actions; in either case it determines the happening, becoming, change, motion, event.

The concept of a person implies his or her identity, sameness and selfhood. On the one hand, identity is considered as 'sameness' (Latin *idem,* French *mêmêté*, German *Gleichheit*), and, on the other, as selfhood (Latin *idem*, French *ipséité*, German *Selbstheit*,). Selfhood is not sameness; it is with the question of permanence in time that the confrontation between two versions of identity becomes a real problem. In the case of a person, such permanence requires an answer to the question: 'Who am I?' My nature, my character, this is me (*ipse)*, but this *ipse* is manifested as the 'same' (*idem*) in the continuity of time which makes cognition recognition. Personal identity can be articulated only in the temporal dimension. Thus, person is revealed by means of certain features and words, and its re-identification occurs as the 'same'. This is the point at which both aspects of 'identity' come together in the person, who is 'same' and 'self'.

The most specific and probably strongest side of Ricoeur's philosophy is his study of narrative. One of the principal themes that organically unites the study of narrative and of person is the personal identity in narrative, confronting the dialectic of the distinction between sameness and selfhood.

A link between events is created by a plot, while the identity of a character is expressed along with the plot. The inimitability of the character takes shape in a single, unique line of the life through the unforeseeable and unexpected events (encounters, accidents, etc.) that permanently threaten its temporal uninterrupted continuity. Chance is transmuted into fate, and it, too, serves the expression of person's identity. Thus, there is a dialectic of concordance and discordance developed by the employment of action. The identity of the character is constructed in connection with that of the plot. The narrative constructs identity of the character (his or her narrative identity). The identity of the story makes the identity of the character. The character is able to constitute the limit point where the problem of *ipse* becomes indiscernible from that of *idem,* and where they are not distinguishable by the criterion of the permanence in time.

A person's identity can be faced with the question of losing his or her identity. To the loss of the identity of the character corresponds the loss of

the configuration of the narrative. In the framework of the dialectic of *idem* and *ipse* the loss of identity can be interpreted as exposing selfhood by taking away the support of sameness though, in Ricouer's view, when properties are being deprived, when a man says, 'I am nothing', this 'nothing' does not refer to 'self' ('I'). A self is deprived of the help of sameness, but the 'I' remains. Therefore, the question 'Who am I?' refers not to nullity but to the nakedness of the question itself, and the simple question: 'Who?' meets the proud answer: 'Here I am!'. How can we maintain on the ethical level a 'self' which, on the narrative level, seems to be lost? How can one say at one and the same time 'Who am I?' and 'Here I am!'? Ricoeur naturally poses the question of the relationship between narrative theory and the ethical theory of *ipse*. This question is posed for the reason that narrative, in Ricoeurs's view, always involves ethical decisions as well. Narrative is never ethically neutral. Even historiography, the narrative form intended to be the most neutral, never reaches the zero degree of evaluation.

The life we live is evaluated by us. Man carries out the interpretation of himself. This reveals the link of narrative vision of life with ethical vision. On the ethical plane, self-interpretation becomes self-esteem. The 'self' is declared to be worthy of esteem. The ethical intentions aim at the 'good life' with and for others. The 'good life' is for each person a certain complex of ideals and dreams of achievements, with regard to which a life is considered as more or less fulfilled or unfulfilled. In Ricoeur's view, the concept of selfhood is enriched by the links that can be found in the text between the interpretation of the events and the character's self-interpretation. Self-constancy is for each person the manner of conducting himself or herself so that others can count on that person. This implies the concept of responsibility and, together with it, the various aspects of relationships with the 'other'.

Thus, the 'other' appears on the scene, and together with it, everything that implies discourse and evaluation in social, political and, in general, interpersonal context. This is how the 'other' plays a role of mediator to 'oneself'.

Thus, Ricoeur's analysis starts with the intuitive 'selfhood' and naturally continues as a very interesting journey that leads 'self' 'out' of oneself. As a result, we can find 'self' as 'other' in various domains of culture and reality. The analysis of the 'otherness' of 'self' is one of the means that can help us in better understanding of not only the 'self' as 'another' but also of an 'outsider' 'other' (non-'I'), that means, of 'another self': the otherness of the other and its original selfhood, which is not the same as ours.

აღმოსავლეთმცოდნეობა

ნინო კვირიკაშვილი

მიმღეობა ყურანში

მიმღეობა, როგორც სახელისა და ზმნის სინკრეტული ფორმა და წინადადებაში ორივეს ფუნქციების მატარებელი, სემანტიკური მრავალ-ფეროვნებითა და გამოყენების ფართო არეალით ხასიათდება.

ყურანის ტექსტში პარტიციპის გამოყენების რამდენიმე ათასი შემთხ-ვევა დასტურდება.

სალიტერატურო არაბულში, მსგავსად სხვა, მათ შორის, არასემი-ტური ენებისა, მიმღეობა, ერთი მხრივ, განიცდის გაარსებითებასა და გაზედსართავებას, მეორე მხრივ კი, შენარჩუნებული აქვს ზმნური ნიშნები,[1] რაც ყურანის ტექსტშიც სათანადოდაა ასახული.

1. გასუბსტანტივებული და გაადიექტივებული პარტიციპი ყველა იმ სინტაქსური ფუნქციის მატარებელია, რაც არსებით და ზედსართავ სახელებს აქვთ წინადადებაში.

ნომინალი წინადადების ქვემდებარე და შემასმენელი:

وما صاحبكم بمجنون

„თქვენი მეგობარი შლეგი არ არის“.[2]

أيتها العير إنكم لسارقون

„ჰოი, მოგზაურნო, თქვენ დიახაც ქურდები ხართ“.[3]

ვერბალი წინადადების ქვემდებარე:

ولا يفلح الساحر حيث أتى

---

[1] Б. Гранде, *Курс арабской грамматики в сравнительно-историческом освещении* (Москва, 2001), с. 185-186; W. Fischer, *Grammatik des Klassischen Aabisch* (Wiesbaden, 1972), S. 63-64; H. Rekendorf, *Die Syntaktischen Verhältnisse des Arabischen* (Leiden, 1895), S. 88-89; W. Wright, *A Grammar of the Arabic Language*, vol. I (Beirut, 1996), p. 178.

[2] ყურანი, 81:22.

[3] იქვე, 12:70.

„და ვერ იხაროს ჯადოქარმა, სადაც უნდა წავიდეს“.[4]

დამატება ვერბალ წინადადებაში:
وجعل بين البحرين حاجزا
„და აღმართა ორ ზღვას შუა ზღუდე“.[5]
ليسئل الصادقين عن صدقهم
„რათა ჰკითხოს მართალთ თავიანთ სიმართლეზე“.[6]

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი:
إنه كان عاليا من المسرقين
„იყო იგი ქედმაღალი ზღვარგადასულთაგან“.[7]

ამასთან, გაზედსართავებული მიმღეობები ხშირად ატრიბუტული განსაზღვრების ფუნქციას ასრულებენ:
يهدى من يشاء إلى صراط مستقيم
„დაადგენს, ვისაც ინებებს, ჭეშმარიტ გზაზე“.[8]

პარტიციპთა გაადიექტივებას, საერთოდ, ის ფაქტი უწყობს ხელს, რომ მიმღეობებსა და ზედსართავებს შორის არაერთი მსგავსებაა: არაბულ ტრადიციაში პრაქტიკულად ყველა ადიექტივი განიხილება როგორც ნაზმნარი სახელი და ორ ჯგუფად იყოფა: მიმღეობები და საკუთრივ ზედსართავები – ე.წ. „ცრუ“ მიმღეობები.[9] ზედსართავი სახელი მოქმედებითი და ვნებითი გვარის გაგებასაც კი იძენს, მაგალითად, faʿūl ყალიბის ადიექტივებს, როგორც წესი, მოქმედებითი გვარის მნიშვნელობა აქვთ, faʿīl-ს კი – ვნებითისა; თუმცა, ეს ზოგადი სურათია და ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება საპირისპირო ვითარებაც გვქონდეს.[10] ამავე დროს, რა თქმა უნდა, პარტიციპთა და ადიექტივთა

---

[4] ყურანი, 20:69.
[5] იქვე, 27:61.
[6] იქვე, 33:8.
[7] იქვე, 44:31.
[8] იქვე, 2:142.
[9] Н. Юшманов, *Грамматика литературного арабского языка* (Москва, 1985), с. 178.
[10] W. Wright, *A grammar of the Arabic Language*, vol. I (Beirut, 1996), p. 136.

შორის სხვაობაა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, იმაშიც ჩანს, რომ მიმღეობებს აშკარად გამოკვეთილი ზმნური ბუნება აქვთ; რაც, მაგალითად, სახელის ბრალდებით ბრუნვაში მართვის უნარით გამოიხატება. ეს კი არ ახასიათებს ადიექტივებს.

გასუბსტანტივებული და გაადიექტივებული პარტიციპები სრულ ტრანსპოზიციას გვიჩვენებენ, თუმცა ყურანის ტექსტში საკმაოდ ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა ტრანსპოზიცია არასრულია და სიტყვის ლექსიკური ფიქსაცია კარგავს სიმყარეს:

هل يهلك إلا القوم الظالمون

„დაიღუპება განა ვინმე, თვინიერ უსამართლო ხალხისა?“[11]

أولايك هم الظالمون

„ისინი უსამართლონი არიან“.[12]

პირველ წინადადებაში الظالمون („უსამართლო“) ატრიბუტული განსაზღვრების ფუნქციითაა წარმოდგენილი, მეორე მაგალითში იგი საზღვრული სიტყვის გარეშეა, თუმცა კი ინარჩუნებს თავის ლექსიკურ მნიშვნელობას.

საზღვრულთან ერთად თუ ამ უკანასკნელის გარეშე, ყურანის ტექსტში ასევე ხშირად გვხვდება: صالح, جاهل, مسلم, كافر და სხვ. სხვადასხვა წინადადებაში ისინი ინარჩუნებენ მიმღეობის (resp. გაზედსართავებული მიმღეობის) მნიშვნელობას, მაგრამ აშკარად იგრძნობა ტენდენცია მათი გასუბსტანტივებისა. ეს არაბული ენისთვის (და არა მხოლოდ არაბულისთვის) ჩვეულებრივი მოვლენაა, რადგან ადიექტივი საზღვრული სიტყვის გარეშე, ან ამ უკანასკნელის ხშირი თუ მუდმივი ელიფსისას იქცევა ლექსიკურად ფიქსირებულ სუბსტანტივად. აღნიშნული გზით პარტიციპთა გასუბსტანტივება საკმაოდ გავრცელებულია.

2. ყურანის ტექსტში დადასტურებული მიმღეობის უდიდესი ნაწილი საკუთრივ პარტიციპებია, რომელთაც არ განუცდიათ გასუბსტანტივება ან გაადიექტივება. მათ ყველა ის სინტაქსური ფუნქცია აქვთ, რაც გაარსებითებულ და გაზედსართავებულ მიმღეობებს ახასიათებთ, თუმ-

[11] ყურანი, 6:47.

[12] იქვე, 5:45.

ცა, როგორც მოსალოდნელი იყო, პრიორიტეტი მათ კვალიფიკატივად გამოყენებას ენიჭება.

لهم فيها أزواج مطهرة

„ეყოლებათ იქ განწმენდილი მეუღლენი“.[13]

وكلم الله موسى تكليما رسلا مبشرين ومنذرين

„და დაელაპარაკა ალაჰი მოსეს პირისპირ. მოციქულთ – მახარებელთ და შემგონებელთ“.[14]

ის ფაქტი, რომ მიმღეობა ყველაზე ხშირად ზედსართავის პოზიციაში გვევლინება (მაგ., ატრიბუტულ მსაზღვრელად) დამახასიათებელი აღმოჩნდა მთლიანად ყურანის ტექსტისთვის.

3. მიმღეობა საინტერესო სისტემას ქმნის მრავლობითის წარმოების თვალსაზრისით. შინაგანი ფორმებისადმი განსაკუთრებულად ძლიერ ტენდენციას გასუბსტანტივებული პარტიციპები იჩენს, სწორი (სუფიქსური) მრავლობითი კი გაადიექტივებულ მიმღეობებსა და ატრიბუტულ მსაზღვრელად გამოყენებულ პარტიციპებს ახასიათებს.[15] თუ კვალიფიკატივი პიროვნების სახელს ერთვის, მაშინ იგი, როგორც წესი, სწორ მრავლობითს იღებს, ხოლო როცა საზღვრული პიროვნებებს აღნიშნავს, მაშინ – შინაგანს.

والشعراء يتبعهم الغاوون

„და მელექსენი – მათ კვალში უდგანან გზააბნეულნი“.[16]

إن الله لا يهدى القوم الكافرين

„ჭეშმარიტად არ დაადგენს სწორ გზაზე ალაჰი ურწმუნო ხალხს“.[17]

4. მიმღეობათა (მოქმედებითი გვარის) გარკვეული ნაწილი პრედიკატის როლში გამოდის.

პარტიციპის ზმნური ფუნქციონირების შესახებ შუა საუკუნეების არაბი გრამატიკოსებიც აკეთებდნენ მინიშნებებს. ბასრის გრამატიკული

---

[13] ყურანი, 4:57.

[14] იქვე, 4:164-165.

[15] ა. ლეკიაშვილი, *სახელთა სქესისა და რიცხვის წარმოება სემიტურ ენებში* (თბილისი, 1963), გვ. 33.

[16] ყურანი, 26:224.

[17] იქვე, 5:67.

სკოლის წამომადგენლები აქტივის პარტიციპის აღსანიშნავად იყენებდნენ სპეციალურ ტერმინს فعل دائم („მუდმივი ზმნა“), რომელიც წარსული, აწმყო და მომავალი დროის გამოსახატავად გამოიყენებოდა. ბასრის გრამატიკული სკოლის წარმომადგენლები არ უარყოფდნენ მიმღეობის ტემპორალურ მნიშვნელობას, თუმცა მიიჩნევდნენ, რომ მას მხოლოდ აწმყო დროის გამოხატვა შეუძლია.[18]

ყურანის ტექსტში პარტიციპთა პრედიკატის ფუნქციით გამოყენებისას წინადადების სტრუქტურა ნომინალურია. იმის გამო, რომ ნომინალ წინადადებაში შემასმენელი დროის გარეშეა (ექსტრატემპორალურია), პარტიციპს შეუძლია აღნიშნოს როგორც აწმყო, ისე ნამყო და მყოფადი (ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა კონტექსტს), თუმცა პრიორიტეტი აწმყო და მომავალი დროის გადმოცემას ენიჭება (ამასთან, მიმღეობით წარსული დროის გამოხატვის შესახებ მსჯელობა მხოლოდ გარკვეული პირობითობით შეიძლება, რადგანაც ასეთ შემთხვევებში პარტიციპით გამოხატული მოქმედება წარსული დროისაა იმდენად, რამდენადაც დამოკიდებულ წინადადებაშია და მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლით გადმოცემული მოქმედების თანადროულ მოქმედებას გვიჩვენებს).

ما فى السموات والارض كل له قانتون

„რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, ყოველივე მას ემორჩილება“.[19]

إنا لفاعلون

„ჩვენ, ჭეშმარიტად, ასე მოვიქცევით“.[20]

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მიმღეობა-პრედიკატით მოქმედება გადმოიცემა აწმყოსა და მომავალში ზოგადად, ხოლო როდესაც პარტიციპი ოპოზიციაში შედის ფინიტურ ზმნასთან და კონკრეტულ დროს აფიქსირებს (თანაობის *ვავ*-ით), იგი კონკრეტულ მომენტზე მიუთითებს:[21]

وأخاف أن ياكله الذئب وأنتم عنه غافلون

---

[18] В. Мамедалиев, *Категории времени лица и наклонения глагола в современном арабском литературном языке* (Баку, 1979), с. 5-6.

[19] ყურანი, 2:116.

[20] იქვე, 12:61.

[21] W. Reuschel, D. Blohm, A. Sammaraie, *Lehrbuch des modern Arabisch* (Leipzig, 1981), S. 34-35.

„ვშიშობ, რომ შეჭამს მას მგელი, როცა თქვენ უგულისყურონი იქნებით მის მიმართ“.[22]

ის, რომ მიმღეობებს შენარჩუნებული აქვთ ზმნური ბუნება, კონკრეტულად გამოიხატება მათ მიერ ვერბალური მართვის შენარჩუნებაშიც:

إني جاعل في الأرض خليفة

„მე დავადგენ ქვეყანაზე ნაცვალს“.[23]

თუ მიმღეობა ნაწარმოებია ისეთი ზმნისაგან, რომელიც მართავს სახელს კონკრეტული წინდებულის მეშვეობით, მაშინ ეს უკანასკნელი პარტიციპთანაც ძალაში რჩება:

إني ذاهب إلي ربي

„მე მივდივარ ჩემს უფალთან“.[24]

إن الله قادر علي أن ينزل أية

„ალაჰს ხელეწიფება გარდმოავლინოს ნებისმიერი სასწაული“.[25]

აღსანიშნავია, რომ, მიმღეობათა ზმნური ბუნების მიუხედავად, მათ მიერ აწმყო და მომავალი (იგულისხმება როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული აწმყო და მომავალი) დროის გამოხატვას სისტემური ხასიათი არ აქვს; სალიტერატურო არაბულში ამ ფუნქციას, როგორც წესი, იმპერფექტივი ასრულებს, რაც სათანადოდ აისახა ყურანის ტექსტში.

მიმღეობის პრედიკატული გამოყენების შემთხვევებიდან გამოსაყოფია ე. წ. „აბსოლუტივი“, რომლის აღსანიშნავად გამოიყენება სპეციალური ტერმინი – არაბ. ḥāl (მდგომარეობის გამომხატველი აკუზატივი). მას ინდოევროპულ ენებში გერუნდიული კონსტრუქცია შეესატყვისება.

მდგომარეობის გამომხატველი აკუზატივი პრედიკატული განსაზღვრების ფუნქციას ატარებს და ავლენს სინტაქსურ კავშირს როგორც წინადადების პრედიკატთან, ისე მის სუბიექტთან და მოქმედების თვალსაზრისით განსაზღვრავს მათ. კონსტრუქციაში შინაარსობრივად ორი მოქმედება გამოიხატება: ერთი – უღლებადი ზმნით (შემასმენლით), მეო-

[22] ყურანი, 12:13.

[23] იქვე, 2:30.

[24] იქვე, 37:99.

[25] იქვე, 6:37.

რე – მდგომარეობის აკუზატივით. ფინიტური ზმნა და აქტივის მიმღეობა თანადროულ მოქმედებას გვიჩვენებენ:[26]

ولا تعثوا في الارض مفسدين

"Do not act corruptly, making mischief in the earth."

"И не творите зла на земле, распространяя нечестие».[27]

ყურანის ტექსტში გერუნდიული კონსტრუქციები ხშირად გვხვდება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ყველა ფუნქცია, რომელსაც ავლენს მიმღეობა ყურანის ტექსტში (იგულისხმება როგორც გაარსებითებული და გაზედსართავებული პარტიციპები, ისე საკუთრივ მიმღეობები და მიმღეობა-პრედიკატები), ზოგადად, დამახასიათებელია სალიტერატურო არაბული ენისათვის. ამასთან, ყურანში აქტუალიზებულია პარტიციპის ატრიბუტულ მსაზღვრელად გამოყენება, რაც სპეციფიკური ჩანს მთლიანად ყურანის ტექსტისთვის.

თუ პარალელს გავავლებთ სხვა სემიტურ ენებთან, განსხვავებულ სურათს აღმოვაჩენთ. მაგალითად, ებრაულში, ენის განვითარების ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზე, აშკარად იჩენს თავს პარტიციპთა პრედიკატად გამოყენების ტენდენცია (როგორც აწმყო, ისე ანალიტიკური დროების გამოსახავატად), რასაც მოგვიანებით (მიშნის პერიოდიდან) სისტემური ხასიათი ეძლევა.[28] პარტიციპი ზმნის სისტემის განუყოფელი ნაწილად იქცა თანამედროვე არამეულშიც.[29]

მსგავსი ტენდენცია შეინიშნება არაბული ენის აღმოსავლურ დიალექტებშიც – მიმღეობები, იმპერფექტივთან ერთად, აქტიურ მონაწილეობას იღებს ზოგადი თუ კონკრეტული აწმყო დროის გადმოცემაში.[30] აღნიშნული ფაქტი, ერთი მხრივ, შეიძლება ჩრდილო სემიტური ენე-

---

[26] Д. Семенов, *Синтаксис современного арабского литературного языка* (Москва, 1941), с. 117.

[27] ყურანი, 2:60.

[28] კ. წერეთელი, *ბიბლიის ებრაული* (თბილისი, 2001), გვ. 160-161.

[29] კ. წერეთელი, *არამეული ენა* (თბილისი, 1982), გვ. 99-100.

[30] В. Ахведиани, *Бухарский арабский диалект* (Тбилиси, 1985), с. 60-61, 78-79; გ. წერეთელი, შუა აზიის არაბული დიალექტები, *ენიმკის მოამბე*, I (1937), გვ. 296-297; Г. Шарбатов, Выражение времени в современном египетском диалекте, *Арабская филология*, II (1968), с. 124-128.

ბის ზეგავლენით აიხსნას, მეორე მხრივ კი – ზოგადად სემიტური ენების ტენდენციით, ჩასვას პარტიციპი ზმნის სისტემაში.

რაც შეეხება კლასიკურ არაბულ ენას, როგორც აღინიშნა, აქ მიმღეობა ზმნის სისტემის კუთვნილება ვერ გახდა, რაც სხვადასხვა მიზეზით შეიძლება აიხსნას, თუმცა ეს ცალკე მსჯელობის საგანია.

ბიბლიოგრაფია

References

V. Akhvlediani, *Bukharian Arabic Dialect* (Tbilisi, 1985) (in Russian).

W. Fischer, *Grammatik des Klassischen Arabisch* (Wiesbaden, 1972).

B. Grande, *A Course of Arabic Grammar in the Historical-Comparative Light* (Moscow, 1963) (in Russian).

A. Lekiashvili, *Derivation of Gender and Number in the Semitic Languages* (Tbilisi, 1963) (in Georgian).

V. Mamedaliev, *The Categories of Tense, Person and Mood of Verb in Literary Arabic Language* (Baku, 1979) (in Russian).

H. Rekendorf, *Die Syntaktischen Verhältnisse des Arabischen* (Leiden, 1895).

Reuschel W., Blohm, D., Samarraie, A., *Lehrbuch des Modernen Arabisch* (Leipzig, 1981).

D. Semionov, *Syntax of Modern Literary Arabic Language* (Moscow, 1941) (in Russian) .

G. Sharbatov, Time Reference in Contemporary Egyptian Dialect, *Arabic Philology*, II (Moscow, 1968) (in Russian).

G. Tsereteli, *Arabic Dialects of Middle Asia* (Tbilisi, 1937) (in Georgian).

K. Tsereteli, *Aramaic Language* (Tbilisi, 1982) (in Georgian).

K. Tsereteli, *Biblical Hebrew* (Tbilisi, 2001) (in Georgian).

W. Wright, *A Grammar of the Arabic Language*, vol. I (Beirut, 1996).

N. Yushmanov, *A Grammar of Literary Arabic Language* (Moscow, 1985) (in Russian).

Nino Kvirikashvili

The Participle in the Koran

The paper deals with the functions of the participle in the Koran. Several thousand cases of the use of the participle in the text are evidenced.

Substantivized and adjectivized participles, as well as participle proper, bear all the syntactic functions that nouns and adjectives have.

Substantivized and adjectivized participles show complete transformation. However, cases are frequent in the Koran of the transposition being incomplete and the lexical fixation of a word is lost.

Some of the participles fulfill the role of predicate; in this case the structure of the sentence is nominal, while the participle retains the character of a verb. As the predicate in a nominal sentence is without tense (it is extratemporal), the participle may denote both the present and the past and future (in this case the context is taken into account), though priority is given to conveying the present and future tenses.

Notwithstanding the verbal nature of participles, the expression of the present and future by them is not of systemic character; in literary Arabic this function is, as a rule, performed by the imperfect, which found appropriate expression in the texts of the Koran.

Out of the cases of predicative use of the participle, the so-called gerundival constructions are discussed separately, for they occur rather frequently in the text of the Koran.

In conclusion, it may be said that all the functions revealed by the participle in the text of the Koran are generally described for literary Arabic. At the same time, the attributive use of the participle is attested in the Koran, which appears to be specific for the text of the Koran.

If we draw a parallel with other Semitic languages, we shall find a different picture. For example, in Hebrew, at the early stage of development of the language, the tendency to use participles as predicates is clearly evidenced both to express the present and the analytical tenses, which was given a systematic character later (from the period of Mishnah).

A similar tendency is noticeable in the eastern dialects of Arabic as well: participles, along with the imperfect, take an active part in rendering general or concrete present tense. This fact may be accounted for by the influence of

Northern Semitic Languages and, on the other hand, by the general tendency of placing the participle in the verbal system.

As to Classical Arabic, as noted above, here the participle failed to become part of the verb system, which can be explained by various reasons, though this is a subject of a separate discussion.

ისტორია

თემურ თოდუა

ათენელი მეტოიკოსები

ძველ საბერძენთში უცხოელი მოქალაქეები „ქსენოსებად“ და „მეტოიკოსებად“ იწოდებოდნენ, მაგრამ ეს ტერმინები არსობრივად ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. ქსენოსში, კონკრეტულად, ამა თუ იმ პოლისში დროებითი მცხოვრები, ხოლო მეტოიკოსში ემიგრანტები და მუდმივად მოსახლე პირები იგულისხმებოდნენ.

მეტოიკოსის მსგავს ფორმას, me-ta-ki-ta-ს სახით, ჯერ კიდევ მიკენურ ტექსტებში ვხვდებით. ისინი არსობრივადაც თითქმის იდენტური ტერმინებია. მეტაკიტაც „ჩამოსახლებულს“, ემიგრანტს ნიშნავდა.[1] არქაული და კლასიკური ეპოქის საბერძნეთში კი ტერმინი მეტოიკოსი პირველად ძვ.წ. 510 წლის ერთ-ერთ წარწერაში ფიქსირდება,[2] ხოლო ნარატიულ წყაროებში ძვ. წ. V საუკუნეში იხსენიება.

ათენურ სოციუმში მეტოიკოსები უკვე სოლონის დროს ფიგურირებენ. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პლუტარქეს ერთი მრავალმხრივ საინტერესო ცნობა. აი ისიც: „დიდ სიძნელეს წარმოადგენს სოლონის იმ კანონის კარგად გაგება, რომელიც ათენის მოქალაქედ უცხოელის აღიარებას ეხება. სოლონი ათენის მოქალაქის უფლებას ანიჭებს მხოლოდ იმას, ვინც სამუდამოდაა გამოძევებული სამშობლოდან და იმ პირსაც, რომელიც მთელი ოჯახით გადმოსახლდება ათენში, რათა აქ ხელი მიჰყოს ხელოსნობას. ამბობენ, სოლონმა ასეთი კანონი სხვა უცხოელების თავიდან მოშორების მიზნით კი არ გამოსცა, არამედ იმიტომ, რომ სწორედ ზემოხსენებული პირნი დაემკვიდრებინა ათენში. ესენი, მისი აზრით, მტკიცე მოქალაქენი გახდებოდნენ და ერთგულებიც იქნებოდნენ – ერთნი საკუთარი სამშობლოს იძულებითი დაკარგვის გამო, მეორენი კი იმიტომ, რომ თავიანთი მხარე ნებით მიატოვეს“.[3]

---

[1] რ. გორდეზიანი, *ძველი ისტორიის ნარკვევები* (თბილისი, 2009), გვ. 212.

[2] D. M. Whitehead, *The Ideology of the Athenian Metic* (Cambridge 1977), p. 64.

[3] Plutarchus, Solo: 24.

პლუტარქეს ეს ვრცელი ამონარიდი ორ დამოუკიდებელ ნაწილად შეიძლება დაიყოს. პირველი ნაწილი უშუალოდ უცხოელებისათვის ათენის მოქალაქეობის მინიჭების სოლონისეულ კანონს ეხება, ხოლო მეორე სოლონის თანამედროვეებისა თუ პოსტსოლონისეული თაობის კომენტარებს აღნიშნული კანონის თაობაზე. პირველი ნაწილიდან ჩანს, რომ მეტოიკოსებად მხოლოდ ათენში იძულებითი ან მთელი ოჯახით გადმოსახლებული პირები ითვლებოდნენ. თანაც, კანონი სწორედ ამ კატეგორიის უცხოელებს ანიჭებდა მოქალაქის სტატუსს და არა იმ პირებს, რომლებიც ეკონომიკური თუ სხვა მოტივაციებით ინდივიდუალურად, თვითნებურად იყვნენ ათენში გახიზნულები. აღნიშნული ნაწილიდან ისიც ჩანს, რომ ათენის საპატიო მოქალაქეობა ხელოსნობის განვითარებას ეწირებოდა. სოლონი ათენში ხელოსნობის აღორძინებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. მან ათენის ეკონომიკური გაძლიერებისათვის სპეციალური კანონი გამოსცა. ამ კანონის მიხედვით, შვილი არ იყო ვალდებული ერჩინა მამა, თუ იგი რაიმე ხელობას არ შეასწავლიდა.[4] ასე რომ, სოლონი ათენის მრეწველობის განვითარების უზრუნველყოფისათვის ისეთ უკიდურეს დათმობაზე მიდიოდა, როგორიც მეტოიკოსებისათვის ათენის მოქალაქეობა იყო, ვინაიდან მის სრულუფლებიან მოქალაქეებად მხოლოდ მკვიდრი ათენელები ითვლებოდნენ. მართალია, სოლონი მეტოიკოსებს მოქალაქეობას პირდებოდა, თუმცა, იმ პირობით, თუ ისინი ხელოსნობაში დასაქმდებოდნენ. მიუხედავად ამისა, ამ სფეროში დასაქმებული მეტოიკოსები ათენის სრულუფლებიან მოქალაქეებად მაინც არ ჩაითვლებოდნენ, რადგანაც ამგვარ სტატუსს მხოლოდ მიწისმესაკუთრეები ფლობდნენ. მეტოიკოსებს კი მიწისმფლობელობა კანონით აკრძალული ჰქონდათ.

რაც შეეხება პლუტარქეს ზემომოტანილი ცნობის მეორე ნაწილს, ის როგორც აღინიშნა, სოლონის დროინდელი ან გვიანდელი პოლიტიკოსებისა თუ რიგითი მოქალაქეების, შესაძლოა მეტოიკოსების, კომენტარებია. თუმცა ამ ნაწილშიაც გარკვევით არ ჩანს, თუ რა ხარისხის მოქალაქეობის სტატუსს ანიჭებდა სოლონი ათენში გადმოსახლებულ მეტოიკოსებს.

მოგვიანებით, მეტოიკოსები კლისთენეს რეფორმების არეალში მოექცნენ. არისტოტელეს ცნობით, ათენის მოქალაქეთა რიცხვის გაზრდის მიზნით, კლისთენემ „ფილეებში მრავალი უცხოელი, მონები და

[4] Plutarchus, Solo:22.

მეტოიკოსები ჩართო".[5] არისტოტელეს ეს ცნობა მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მ. კუტორგას მიხედვით კლისთენემ ფილეების წევრი გახადა „მრავალი მეტოიკოსი უცხოელი და მრავალი მეტოიკოსი მონა".[6] მაგრამ ამგვარი გაგება კლისთენემდე მეტოიკოსების, როგორც განსაკუთრებული წოდების, არსებობის მცდარ მოსაზრებაზეა დაფუძნებული. ათენელი მეტოიკოსები, როგორც წოდება, პირველად ძვ.წ. 460-იან წლებში იხსენიება.[7] კ. მატიეს აზრით კი კლისთენემ ფილეებში მრავალი უცხოელი ჩართო, ხოლო მონები მეტოიკოსები გახადა,[8] მაგრამ მის ჰიპოთეზას ზოგიერთი გრამატიკული შეუთანხმებლობა აუფერულებს. მ. ჰიგნეტის მოსაზრებით, არისტოტელესეულ ტერმინს „მონები-მეტოიკოსები" აბუჩად აგდების ელფერი დაჰკრავდა და ჰექტემორებს განეკუთვნებოდა.[9] ვფიქრობთ, საეჭვოა, რომ არისტოტელეს თავის თეორიულ ნაშრომში ისინი ამგვარი დამამცირებელი ტერმინოლოგიით მოეხსენიებია, თუმცა „მონები-მეტოიკოსები" IV საუკუნის ბერძნული ენისათვის ჩვეულებრივი იყო. გ. ბიკნელის ვარაუდით, „ქსენოსები" ტირანთა მოქირავნეებია, რომლებმაც ტირანიის დამხობის შემდეგ დიაპსეფისის შედეგად, მოქალაქეობა დაკარგეს, ხოლო მერე კლისთენეს მხარი დაუჭირეს და მოქალაქის სტატუსი ხელმეორედ მიენიჭათ[10]. ამგვარი მოსაზრება ძალზე ჰიპოთეზურია და წყაროებში არ დასტურდება.

მართალია, არისტოტელეს თანახმად კლისთენეს რეფორმების დროს ათენის მოქალაქე მრავალი უცხოელი გახდა, მაგრამ მას ეს აქტი რეფორმატორის მთავარ მიზნად არ მიაჩნდა. არისტოტელეს აზრით, ეს აქცია იყო არა ერთადერთი, არამედ ერთ-ერთი მექანიზმი პოლისის ცენტრალიზაციის განმტკიცებისათვის.[11] მართალია ისიც, რომ, არისტოტელეს

---

[5] Aristoteles, Politica:1275 b.

[6] М. С. Куторга, *Избранные сочинения*, т. I (Санкт-Петербург, 1894), с. 229.

[7] Inscriptiones Graecae: I, 188, 52.

[8] ციტირებულია ა. დოვატურის წიგნიდან: *Политика и политии Аристотеля* (Москва-Ленинград, 1965), с. 355.

[9] C. B. Hignett, *A History of the Athenian Constitution to the End of the Fifth Century B. C.* (Oxford, 1952), p. 133.

[10] P. Bicknell, Athenian Politics and Genealogy, *Historia* 23/2 (1974), p. 146.

[11] M. C. Broadbent, *Studies in Greek Genealogy* (Leiden, 1968), p. 165-167.

ზემოაღნიშნული ცნობა არცთუ ისე ნათელია, მაგრამ, როგორც ჩანს, ის არა რეფორმების ტექსტის ჩანაწერიდან, არამედ ატიოდოგრაფიული ტრადიციებიდან გამომდინარეობდა. ნიშანდობლივია, რომ კლისთენესეული რეფორმებით ათენის მოქალაქეთა რიცხვის ზრდის ტენდენცია უფრო ნათლადაა ასახული არისტოტელეს თეორიულ ნაშრომში – „პოლიტიკაში", ვიდრე ისეთი პრაქტიკული ხასიათის თხზულებაში, როგორიც „ათენის პოლიტია" იყო. ეს მომენტი იმით აიხსნება, რომ ფილოსოფოსი ამ შემთხვევაში ამოდიოდა მოქალაქეთა რიცხვის გაზრდის ხარჯზე სახელმწიფოს დემოკრატიზაციის თეორიებიდან, ხოლო მისი ცნობა კლისთენეს დროს ახალი მოქალაქეების მიღების შესახებ განიხილებოდა, როგორც ამ სიტუაციის ილუსტრაცია.[12]

მართლაც, ძვ.წ. IV საუკუნეში დემოკრატიულ გარდაქმნებს თან სდევდა მოქალაქეთა რიცხვის ზრდა, თუმცა VI-V საუკუნეებისათვის ეს არ იყო დამახასიათებელი. ამის მკაფიო ილუსტრაციაა პერიკლეს დროს მოქალაქეთა სიების გადახედვა-შემოწმება. ამიტომაც, არისტოტელესეული ცნობა – მეტოიკოსებისათვის ფართო მასშტაბით მოქალაქეობის მინიჭება – ძალზე საეჭვოა. უცნაური ჩანს ის ფაქტი, რომ თუკი ძვ.წ. 510 წელს სახალხო კრებამ მოქალაქეთა რიცხვის შემცირების საკითხი მოიწონა,[13] მომენტალურად შეცვალა პოზიცია და ნეოპოლიტების მასობრივ მიღებას დაუჭირა მხარი. ძვ.წ. VI საუკუნეში მოქალაქეობის უფლება პრივილეგია იყო, რომელიც „უცხოელებზე" უხალისოდ ვრცელდებოდა.

ვფიქრობთ, კლისთენეს დროს ნეოპოლიტების მიღების შესახებ არისტოტელესეული ცნობის საფუძველი იყო ის მომენტი, როდესაც ძვ.წ. 510 წელს ატიკის სოფლის მოსახლეობის გარკვეულმა კატეგორიამ ტირანიის დროს დაკარგა მოქალაქეობის სტატუსი და შემდეგ ის კვლავ დაიბრუნა. შესაძლოა, მეტოიკოს-ემიგრანტების გარკვეულ ჯგუფსაც მიელო მოქალაქეობა. აქვე იმასაც დავძენთ, რომ კლისთენეს რეფორმების მიზანი ახალი მოქალაქეების მიღება და მათი ადაპტაცია როდი იყო, თუმცა მათ თან ახლდა სამოქალაქო საზოგადოების გარკვეული ზრდა-განვითარება.

პერიკლეს დროს მეტოიკოსებს მოქალაქეობის მიღება კიდევ უფრო უნდა გართულებოდათ, ვინაიდან პერიკლეს კანონით, ათენის მოქალაქე

---

[12] J. M. Day, M. C. Chambers, *Aristotle's History of Athenian Democracy* (Berkeley, 1962), p. 111.

[13] Aristoteles, Athenaion Politeia : 13, 5.

უნდა ყოფილიყო ის, ვინც დედით და მამით ათენელი იყო. სამაგიეროდ, პერიკლეს რეფორმები მეტოიკოსებს ათენში შრომით საქმიანობას არ უზღუდავდა. პირიქით, მის დროს მეტოიკოსები აქტიურად ჩანან ჩართულნი ხელოსნობაში. წარმოების ამ დარგში მეტოიკოსების ადგილის, მათი ხარისხობრივი და რაოდენობრივი კოეფიციენტების შესახებ ერთობ მრავალმხრივ საინტერესო ინფორმაციის შემცველია ერეხთეიონის სამშენებლო ანგარიშები, ეპიგრაფიკული დოკუმენტები, რომლებიც ძვ. წ. 409-407 წლებში, ტაძრის მშენებლობის ბოლო ეტაპზე შედგა.[14]

აღნიშნული ანგარიშიდან ირკვევა, რომ ერეხთეიონის მშენებლობაში სხვადასხვა პროფესიისა და სხვადასხვა სოციალური კატეგორიის პირები მონაწილეობდნენ. შედარებით უფრო მრავალრიცხოვან მასას ქვისმთლელები შეადგენდნენ. როგორც აღინიშნა, ხსენებული ანგარიში მშენებლობის ბოლო ფაზას განეკუთვნება, როდესაც ტაძრის კედლები უკვე ამოყვანილი იყო და მხოლოდ ჭერის გადახურვა და კოლონების კანელურება რჩებოდა.[15] ერეხთეიონის სამშენებლო ანგარიშში დაფიქსირებულია თოთხმეტი ქვისმთლელი მეტოიკოსი, რომლებიც რაოდენობრივად ჩამორჩებოდნენ მონებს (16), ხოლო აღემატებოდნენ ქვისმთლელ მოქალაქეებს (9). ქვისმთლელი მეტოიკოსი ათენელი მოქალაქეების მსგავსად, კოლონების კანელურებით იყვნენ დაკავებულნი, რაც მათ მაღალ კვალიფიკაციაზე მიუთითებს. მონები კი ძირითადად შავ სამუშაოს ასრულებდნენ.

ერეხთეიონის მშენებლობაში ხითხუროებს განსაკუთრებული ადგილი ეკავათ. ამ სფეროში შვიდი მეტოიკოსი, ხუთი მოქალაქე და ოთხი მონა იყო დასაქმებული. შვიდი მეტოიკოსიდან ორი ტაძრის სახურავისათვის ხის კესონებს ამზადებდა, სამი მათგანი ხეზე კვეთით იყო დაკავებული, დანარჩენი კი მოდელების დამზადებით. მეტოიკოს ხუროებს სანარდო ხელფასი ეძლეოდათ.

ერეხთეიონის მშენებელთა შორის ფიგურირებენ ასევე სკულპტორები. ანგარიშის მიხედვით, მშენებლობაში რვა მოქანდაკე იყო დაკავებული. სამი მათგანი მოქალაქე, ხუთი კი მეტოიკოსი იყო, რაც მათ მაღალ კვალიფიკაციაზე მეტყველებს. სკულპტორები ასაკოვანი მამაკაცის ფიგურის დამზადებისათვის 60 დრახმას, ხოლო მოზარდის ფიგურისთვის 30 დრახ-

---

[14] IG: I², 372.

[15] R. Randall, The Erechtheion Workmen, *American Journal of Archaeology*, 57 (1953), p. 202-203.

მას იღებდნენ. ერეხთეიონის ანგარიშებში მშენებლობისათვის უჩვეულო პროფესიის მეტოიკოსებიც გვხვდება. ერთი მეტოიკოსი დიონისოდორი მხატვარი იყო, რომელმაც კიმატიები მოხატა; მეორე მეტოიკოსი სისიფოს მელიტელი კი მოომქროვებელი.[16] მას როზეტები მოუვარაყებია. სისიფოსი, შესაძლოა, არც ყოფილიყო პროფესიონალი მომვარაყებელი. იქნებ ის მხატვარი ან ოქრომჭედელი იყო. ამ პროფესიის ხელოსანი მეტოიკოსები დღიურად ორი დრახმის ოდენობით ჯამაგირს იღებდნენ. აღსანიშნავია, რომ ერეხთეიონის ანგარიშებში მეტოიკოსი არქიტექტორი არ არის წარმოდგენილი. აქ მხოლოდ ორი ათენელი მოქალაქე არქიტექტორი ფიგურირებს და თანაც ისინი მუდმივად დღეში ერთ დრახმას იღებდნენ.[17] როგორც ჩანს, აღნიშნული პროფესია მხოლოდ ათენელი მოქალაქეების პრეროგატივა იყო.

მთლიანობაში ერეხთეონის მშენებლობის ბოლო ფაზაში დასაქმებული 106 ხელოსნიდან 24 ადამიანი მოქალაქე იყო, 43 მეტოიკოსი, 22 მონა, ხოლო 17 გაურკვეველი სოციალური სტატუსის პირი, ე.ი. ჩვენთვის ცნობილი 89 სოციალური სტატუსის პირთაგან 27% ათენელი მოქალაქეა, 48,3% მეტოიკოსი, 24,7% კი მონა.[18] როგორც ჩანს, ერეხთეიონის მშენებელთა შორის პროცენტულად მეტოიკოსები ჭარბობდნენ. მართალია, ისინი ხარისხობრივი კოეფიციენტით ათენის სრულუფლებიან მოქალაქეებს ჩამოუვარდებიან, მაგრამ მეტოიკოსები საკმაოდ მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი ხელოსნები იყვნენ.

როგორც ცნობილია, მეტოიკოსები არა მარტო ხელოსნობაში, არამედ სავაჭრო ოპერაციებში მასობრივად მონაწილეობდნენ. აღნიშნულ წარწერიან სტელაზე სხვადასხვა პროფესიის ვაჭარ-მეტოიკოსები ფიგურირებენ. ესენი იყვნენ: ზეთით მოვაჭრენი, თხილის, ხახვის, შალის, ყურძნის, ფქვილის, ტყავის, პურის გამყიდველები;[19] მეტოიკოსები აქტიურად მონაწილეობდნენ ასევე საბანკო ოპერაციებში. ათენის ტრაპეზიტთა უმრავლესობას ბანკირი მეტოიკოსები შეადგენდნენ. პოლისური კანონმდებლობით, მეტოიკოს ტრაპეზიტებს, ხელოსნებსა და ვაჭრებს მოქალაქეობის, მიწის გირავნობის, უძრავი ქონების შეძენის, მაღაროების არენდით

[16] IG: I², 374. 99.

[17] IG: I², 374. 109.

[18] В. Кузнецов, Строители Эрехтейона, *Вестник Древней Истории*, 4 (1990), с. 38.

[19] IG: II², 2404.

აღების უფლებები ეკრძალებოდათ.[20] ამგვარი უფლებები, ათენის სახალხო კრების დადგენილებით, მხოლოდ ცალკეულ პირებს ენიჭებოდათ პოლისის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

მეტოიკოსებს ათენის სამხედრო სამსახურშიც იწვევდნენ, თუმცა ისინი, როგორც წესი, დამხმარე ფუნქციას ასრულებდნენ და უპირატესად ატიკის საზღვრების დაცვა ეკისრებოდათ. ექსტრემალური სიტუაციისას მეტოიკოსების სამხედრო შენაერთები აქტიურ საბრძოლო ოპერაციებშიც მონაწილეობდნენ. ამგვარ შემთხვევას ადგილი ჰქონდა პელოპონესის ომის დროს, როდესაც, თუკიდიდეს ცნობით, „ათენელები, პერიკლეს მეთაურობით, მთელი თავისი ძალებით, მოქალაქეებითა და მეტოიკოსებით მეგარიდაში შეიჭრნენ“.[21]

მეტოიკოსები ზოგჯერ ათენის პოლიტიკურ ავანსცენაზეც ჩანან. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ათენის აკროპოლისზე აღმოჩენილი სტელის ფრაგმენტზე წარმოდგენილი დეკრეტის ტექსტი „ოცდაათი“ ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში ათენელი დემოკრატების მომხრეთა დაჯილდოების შესახებ.[22]

როგორც ცნობილია, მეტოიკოსებს ათენის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ, მაგრამ ექსტრემალური სიტუაციისას ათენელი პოლიტიკოსები მათ მხარდაჭერას საჭიროებდნენ. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ მუნიხიასთან ბრძოლის დროს დემოკრატების ლიდერი თრასიბულე ყველას „ისოტელიას“ პირდებოდა, ვინც ამ ბრძოლაში მონაწილეობას მიიღებდა.[23] ამ მოწოდებამ გამოხმაურება პოვა, ვინაიდან თრასიბულეს მომხრეთა რიცხვი მომენტალურად გაიზარდა. ქსენოფონტის ცნობით, თრასიბულემ 70-კაციანი რაზმით ფილეოსი დაიკავა; მალე მისი სამხედრო შენაერთები 700 გახდა.[24] „ოცდაათი“-ს ტირანიასთან დემოკრატების გამარჯვებისა და მათი ათენში დაბრუნების შემდეგ, თრასიბულე შეეცადა, თავისი თანამებრძოლებისათვის მოქალაქეობა ებოძა. თრასიბულეს კანონპროექტი სახალხო კრებამ მოიწონა, მაგრამ დემოკრატების მეორე ლიდერმა, არხინოსმა, გააპროტესტა.[25] ძველი ავ-

---

[20] *Античная Греция*, т. 1 (Москва, 1983), с. 240, 277.

[21] Thucydides, Historia: II, 31, 1.

[22] IG: II^2, 10.

[23] Xenophontis, Hellenica : I, 4, 25.

[24] Xen., Hell., II, 4, 25.

[25] Arist., Athen., Pol. 40, 2.

ტორები არაფერს გვამცნობენ იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწია თრასიბულეს პროექტს. მაგრამ როგორც აღნიშნული დეკრეტის ტექსტიდან ირკვევა, თრასიბულეს თანამებრძოლი მეტოიკოსების ნაწილი მოქალაქეობის უფლებით დააჯილდოვეს. დაჯილდოებულ მეტოიკოსთა რაოდენობის დადგენა არ ხერხდება. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, მათი რიცხვი 300 კაცამდე აღწევდა,[26] ზოგი კი 400 კაცამდე ვარაუდობს.[27] ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია, დემოკრატების არმიაში არაათენელ მეტოიკოსთა წილი საკმაოდ დიდი ჩანს. ეს გასაგებიცაა. ათენის დემოკრატიული მთავრობა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ვაჭრობისა და წარმოების განვითარებას, მეტოიკოსებს ყოველმხრივ იზიდავდა და სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობისათვის ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა.[28] დემოკრატები მეტოიკოსების უფლებებს უზრუნველყოფდნენ. ცხადია, ხელისუფლების სათავეში ოლიგარქოსების დარჩენა მეტოიკოსების პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებს გააუარესებდა. ამიტომაც, მეტოიკოსების მთელი მასა, ერგასტერიუმების მფლობელები, ემპორები, ტრაპეზიტები, ხელოსნები, მოიჯარენი ოლიგარქოსებთან ბრძოლაში დემოკრატებს თანაუგრძნობდნენ.

ათენის სახელმწიფოს ძნელბედობის დროს მეტოიკოსებმა დემოკრატებს ქმედითი დახმარება გაუწიეს. პელოპონესის ომში მეტოიკოსები ათენელთა არმიაში ჰოპლიტებად მსახურობდნენ, რაც უფრო საშიშ და რთულ პროფესიად ითვლებოდა, ვიდრე კავალერიაში სამსახური.

ათენის სამხედრო ფლოტის ეკიპაჟის მნიშვნელოვან ნაწილს ღარიბი მეტოიკოსები შეადგენდნენ. მეტოიკოსები ათენის ერთგულნი დარჩნენ მაშინაც კი, როდესაც სპარტელები მათ მაღალ ანაზღაურებას ჰპირდებოდნენ.[29] სამოქალაქო ომშიც მეტოიკოსები დემოკრატებს აქტიურად უჭერდნენ მხარს. მაგალითად, ძვ.წ. 411 წელს ოლიგარქოსების ლიდერის, ფრინიხოსის, წინააღმდეგ შეთქმულებაში მეტოიკოსებმა განსაკუთრებული როლი შეასრულეს. მოგვიანებით, ძვ.წ. 409 წელს მათ მაღალი ხარისხის ჯილდოები ებოძათ. ერთ მეტოიკოსს მოქალაქეობის

---

[26] A. W. Gomme, *The Population of Athens* (Oxford, 1933), p. 46.

[27] Л. М. Глускина, *Проблемы социально-экономической истории Афин IV в. до н. э.* (Ленинград, 1975), с. 73.

[28] Plut., Solo : 24; Arist., Polit., III, 1, 10.

[29] Thuc., I, 143.

სტატუსი მიენიჭა, ხოლო დანარჩენებმა უძრავი ქონების შეძენის უფლება მოიპოვეს.[30] ძვ.წ. 404-403 წლებშიც მეტოიკოსები შეძლებისდაგვარად დემოკრატიას იცავდნენ. როდესაც დემოკრატებმა „ოცდაათის“ მმართველობასთან ბრძოლა გააჩაღეს, მათ მრავალი მეტოიკოსი მიემხრო. ისინი დემოკრატებს ფულით და იარაღით ეხმარებოდნენ.[31]

სამწუხაროდ, ძვ.წ. 401-400 წლებში, აღნიშნული დეკრეტის ცუდი დაცულობის გამო, დაჯილდოებულთა ზუსტი რიცხვის დადგენა არ ხერხდება. სამაგიეროდ, ათენის აკროპოლისისა და ეგინური დეკრეტების ფრაგმენტებით შესაძლებელია დემოკრატების მხარდაჭერისთვის დაჯილდოებულ მეტოიკოსთა სოციალური შემადგენლობის განსაზღვრა.

როგორც წარწერებიდან ირკვევა, დაჯილდოებულთა შორის ჭარბობენ მცირე და საშუალო შეძლების მეტოიკოსები, რომლებიც ხელოსნობით, დაქირავებული შრომით თუ ვაჭრობით თავს ირჩენდნენ. წარწერებში იხსენიებიან მიწის მუშაკები, დაქირავებული მუშები, ვაჭრები, დურგლები, მთელავები, ხაბაზები, მენაღეები.[32] დასაჩუქრებულთა შორის იყვნენ ვაჭრებიც, მაგრამ დაჯილდოებულთა უმრავლესობას მცირე მეწარმეები შეადგენდნენ. დაჯილდოებულთა სიაში საკმაოდ სოლიდური რაოდენობითაა წარმოდგენილი სოფლის მეურნეობის მუშაკები. ტექსტში მოხსენიებულ 69 კაციდან, 19, ე.ი. 25% მეურნეა. ისმის კითხვები: 1. რით შეიძლება აიხსნას სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მეტოიკოსთა მაღალი პროცენტი, მაშინ როცა მათ უძრავი ქონების შეძენის უფლება არ ჰქონდათ; 2. რატომაა, რომ ჩვენამდე მოღწეულ სიაში დემოკრატების მხარდამჭერთა შორის ნაკლებად ფიგურირებენ მდიდარი მეტოიკოსები, რომლებიც დემოკრატიის პირობებში მნიშვნელოვან სარგებელს ნახულობდნენ? რაც შეეხება პირველ კითხვას, ვფიქრობთ, ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ფილეში მის მოსაზღვრე დემებიდან ადვილად შეიძლებოდა შეღწევა. ნიშანდობლივია, რომ არხინოსის დეკრეტში ფილეებისა და მათი მეზობელი დემების მრავალრიცხოვანი მოსახლეა დაჯილდოებული. მეურნე მეტოიკოსები მიწისმფლობელები კი არ იყვნენ, არამედ არენდატორები, ვინაიდან დაჯილდოებული მუშები განსაკუთრებით აღინიშნებიან. მიწის არენდირების უფლება კი მეტოიკოსებს ჰქონდათ.

---

[30] Sylloge Inscriptionum Graecarum[3]: 108.

[31] Lysias, Oratio, XIII, 54.

[32] IG: II[2], 2403.

რაც შეეხება არამოქალაქეთა შორის ღარიბი მეტოიკოსების სიჭარბეს, ვფიქრობთ, დემოკრატიულ მოძრაობაში სწორედ ამ კატეგორიის მეტოიკოსები მონაწილეობდნენ, მაშინ როცა მდიდარი მეტოიკოსები ამგვარი ქმედებებისაგან თავს იკავებდნენ და დემოკრატებს მხოლოდ ფულადი სახსრებით ეხმარებოდნენ. ამის თვალსაჩინო ილუსტრაციაა ცნობილი ორატორის ლისიასისა და მისი ძმის პოლემარხოსის თავგადასავალი. ისინი დემოკრატიულ წრეებთან იყვნენ დაკავშირებულნი და ათენი მანამ არ დატოვეს, სანამ პოლემარხოსი არ დააპატიმრეს, ხოლო ლისიასმა გაქცევით უშველა თავს.[33] მდიდარი მეტოიკოსები, რომლებიც მონებსა და ერგასტერიუმებს ფლობდნენ, ათენის დატოვების შემთხვევაში თავიანთ ქონებას კარგავდნენ და ამიტომ მოცდა ამჯობინეს, სანამ ათენში სიტუაცია უკიდურესად არ დაიძაბებოდა. რაც შეეხება მეტოიკოს ემპორებს, ნავკლერებსა თუ ტრაპეზიტებს, მათ ადვილად შეეძლოთ გამგზავრება და თავიანთი ქონების სხვა, მშვიდობიან ქალაქში გადატანა. ღარიბი მეტოიკოსები კი თავს ვერსად შეაფარებდნენ. მართალია, დევნა-შევიწროება პირველ რიგში შეეხო მდიდარ მეტოიკოსებს, რომელთა ქონების ჩამორთმევასაც ოლიგარქოსები ცდილობდნენ, მაგრამ ტერორი გავრცელდა ღარიბ მეტოიკოსებზეც, რომლებიც პროდემოკრატიული ორიენტაციით იყვნენ ცნობილნი.

ასე რომ, მეტოიკოსების ყველა სოციალური კატეგორიის ფენები თავიანთ ბედს დემოკრატიას უკავშირებდნენ. აი, სწორედ, ამიტომაც მიიღეს მათ აქტიური მონაწილეობა დემოკრატიულ მოძრაობაში, რისთვისაც მეტოიკოსებმა სხვადასხვა ხარისხის ჯილდოები დაიმსახურეს: ზოგმა ფულადი პრემია მიიღო, ზოგს მოქალაქეობის სტატუსი ებოძა, ხოლო ზოგიერთმა უძრავი ქონების შეძენის უფლება მოიპოვა.

ძვ.წ. V საუკუნის დასასრულს, ათენში დემოკრატიის რესტავრაციის შემდეგ, მეტოიკოსების მიმართ უწინდელი პოლიტიკა აღდგა. ამიერიდან მოქალაქეობისა და უძრავი ქონების უფლება ნაკლებად გაიცემოდა. ამ მხრივ, ვითარება რამდენადმე შეიცვალა ძვ.წ. IV საუკუნიდან, როდესაც ათენში პოლისური სისტემის კრიზისი დაიწყო.

ძვ.წ. 360 წელს ათენში, ვ. ერენბერგის გაანგარიშებით, 25-50 ათასი,[34] ხოლო ძვ.წ. 313 წელს, ა. გომის თანახმად, 10 ათასი მეტოიკოსი ცხოვ-

---

[33] Lys., XXXI, 8-9.

[34] V. M., Ehrenberg. *The Greek State* (London, 1969), p. 78-79.

რობდა.[35] მათი აბსოლუტური უმრავლესობა წინანდებურად ხელოსნობა-ვაჭრობასა და საბანკო ოპერაციებში იყვნენ დასაქმებულნი. აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტი პოლისურ სტრუქტურებს დიდ საფრთხეს უქმნიდა, რადგან პოლისის ფინანსები არამოქალაქეების, მეტოიკოსებისა თუ ქსენოსების ხელში აღმოჩნდა. ათენის ძლიერების დროს, პოლისის ადმინისტრაცია მის განეიტრალებას მეტოიკოსებზე დაწესებული ლიტურგიების, საგანგებო გადასახადების გზით ახერხებდა და მათ არაწარმოებით სფეროში აბანდებდა. IV საუკუნიდან კი, ათენის ადმინისტრაციული სისტემის მოშლასთან ერთად საკუთრების ახალი ფორმა ვითარდება. ამის შესახებ ჯერ კიდევ ბერძენი მოაზროვნეები მიანიშნებდნენ. მაგალითად, არისტოტელე იოკონომიკოსსა და ქრემასტიკოსს ერთმანეთისაგან მიჯნავდა.[36] საკუთრების ძველი, ტრადიციული ფორმა ჯერ ერთი, მოქალაქეობის სტატუსს უკავშირდებოდა, ხოლო მეორე, ეს, უწინარეს ყოვლისა, მიწისმფლობელობაა. საკუთრების ნოვაციური ფორმა კი კერძო საკუთრება იყო. ის არანაირად არ უკავშირდება მოქალაქეობის სტატუსს და პირველ რიგში წარმოადგენდა საკუთრებას ფულსა და მონებზე, რომლებსაც IV ს-ში ძირითადად მეტოიკოსები ფლობდნენ.

ვფიქრობთ, ამგვარმა პროცესმა პოლისის ბედზე სერიოზული ზეგავლენა იქონია, რაც პოლისური სისტემის კრიზისით დასრულდა. პოლისური სტრუქტურების კრიზისის გაღვივებასა და ათენის სოციოეკონომიკურ სფეროში მეტოიკოსების როლის ზრდის მიმანიშნებელია ასევე ის ფაქტი, რომ IV საუკუნეში ათენის მიწათმფლობელობის სისტემაში მეტოიკოსები ეტაპობრივად მკვიდრდებოდნენ. თუმცა, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, მეტოიკოსები მიწის დასაკუთრებას არ ცდილობდნენ, ვინაიდან მათი საქმიანობის ძირითადი სფერო ვაჭრობა და ხელოსნობა იყო.[37] მართალია, ვაჭრობა და ხელოსნობა უფრო შემოსავლიანი ჩანდა, ვიდრე მიწათმოქმედება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, მიწისმფლობელობა მაინც მეტოიკოსებისათვის მიმზიდველი უნდა ყოფილიყო, რადგანაც ათენში მიწის შეძენის უფლების მოპოვება ჯილდოდ ითვლებოდა.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, მეტოიკოსები შესაძლოა საზოგადოებრივი მიწის არენდატორებიც ყოფილიყვნენ,[38] რაც, ჩვენი აზრით, ეჭვს

---

[35] A. W. Gomme, დასახ., ნაშრომი, გვ. 224.

[36] Arist., Pol., I, 3, 11,-17, 1256-1257a.

[37] D. M. Whitehead, დასახ. ნაშრომი, გვ. 73-75.

[38] Л. Глускина, Аренда земли в Аттике IV в. до н. э., *Вестник Древней Истории*,

იწვევს, რადგან, ჯერ ერთი, ეპიგრაფიკული მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ მეტოიკოსები უპირატესად ქალაქის დემებში ცხოვრობდნენ. გარდა ამისა, ჩვენამდე მოღწეული 30 არენდატორთა შორის არც ერთი მეტოიკოსი არ ფიქსირდება. ასე რომ, მეტოიკოსები პრაქტიკულად საზოგადოებრივი მიწის ნაკვეთების საარენდო პროცესში არ მონაწილეობდნენ. აქ, მხოლოდ ათენელი მოქალაქეები ფიგურირებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ მეტოიკოსები კერძო მიწების საარენდო პროცესშიც ნაკლებად მონაწილეობდნენ.

ძვ.წ. IV საუკუნეში ათენის პოლიტიკურ და ეკონომიკის ზოგიერთ სფეროში მეტოიკოსებისა და მოქალაქეთა უფლებების გათანაბრება ხდება. მაგალითად, პირველად ათენის სასამართლო პრაქტიკაში მეტოიკოსისა და მოქალაქის უფლებები გათანაბრდა.[39] აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნულ ეპოქაში, მეტოიკოსებსა და მოქალაქეებს შორის სოციალური კონტაქტები გაფართოვდა, რაც ტრადიციული სამოქალაქო სოციუმისთვის უცხო იყო. მოქალაქეებსა და მეტოიკოსებს ერთობლივად შეეძლოთ კრედიტირება. ათენელი მოქალაქე საკრედიტო ოპერაციების დროს მეტოიკოსების შუამავლებად ან თავდებებად გვევლინებიან;[40] საბანკო ოპერაციებს კი მხოლოდ მეტოიკოსები აწარმოებდნენ.

კარგადაა ცნობილი, თუ რა როლი შეასრულეს IV საუკუნის ბერძნულ პოლისებში ბიზნესმენ-ტრაპეზიტებმა, რომლებმაც მიმოქცევაში ჩართეს არა მარტო თავიანთი, არამედ მეანაბრეთა სახსრები. ჩვენთვის ცნობილი IV საუკუნის 26 ათენელი ტრაპეზიტიდან ორი ათენელი იყო, 14 არაათენური წარმომავლობის, თანაც 11 მათგანი მეტოიკოსი, ხოლო ერთი მეტოიკოსის ვაჟიშვილი.[41]

მეტოიკოსების აქტიური მონაწილეობა საზღვაო ვაჭრობის საკრედიტო ოპერაციებშიც არ დასტურდება. ეს გასაგებიცაა, რადგან ტრაპეზიტები მეანაბრეთა ფულით სარგებლობდნენ და ეს საკმაოდ რისკიანი ოპერაცია იყო. ამიტომაც, ტრაპეზიტების საქმიანობა ძირითადად შიდა ათენური ოპერაციებით შემოიფარგლებოდა. ზოგიერთმა მათგანმა ისეთ წარმატებებს მიაღწია, რომ ათენის სახელმწიფოს მატერიალურად ეხ-

---

2 (1968), c. 42-43.

[39] P. N. Gauthier, *Sumbola* (Nancy, 1972), p. 93-94.

[40] Demosthenes, Oratio, XXXII, 2, 8.

[41] *Античная Греция*, т. 2 (Москва, 1983), с. 41.

მარებოდნენ და მეტოიკოსისათვის მაღალი ჯილდო – ათენის მოქალაქეობის სტატუსი დაიმსახურეს. ზოგიერთი მკვლევარი მიანიშნებს, რომ ელინისტური ხანის ათენში მიმდინარეობდა მდიდარი მოქალაქეებისა და მდიდარი მეტოიკოსების შერწყმის პროცესი, რაც მათი საერთო სოციოეკონომიკური ინტერესების თანხვედრით იყო განპირობებული.[42]

ძვ.წ. IV საუკუნიდან ათენის მოქალაქე არაერთი მეტოიკოსი გახდა.[43] მიუხედავად ამისა, არც ამ დროს და არც წინა საუკუნეებში მეტოიკოსები ათენის სრულუფლებიანი მოქალაქეები არ გამხდარან. ისინი მუდამ ახალ მოქალაქეებად, „ახალ ათენელებად" ითვლებოდნენ. შესაბამისად მათი უფლებებიც შეზღუდული ჩანს. მეტოიკოსებს არასოდეს ხელი არ მიუწვდებოდათ ათენის სახელმწიფოს მაღალ თანამდებობაზე, მათ ათენის ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ; მეტოიკოსების აბსოლუტურ უმრავლესობას მიწის შეძენის, გირავნობის და მადნეულის წარმოების უფლებაც არ ჰქონდათ. ასე რომ, ათენის „მოქალაქე" მეტოიკოსთა უფლებები გარკვეულწილად შეზღუდული იყო. ამ მხრივ, ისინი ემსგავსებიან თანამედროვე, ე.წ. „ნატურალიზებულ" მოქალაქე ემიგრანტებს, რომლებიც მოქალაქეობას მთავრობის რეკომენდაციით იღებენ. ამგვარსტატუსიან მოქალაქეებს იმდენი უფლებები არა აქვთ, რაც მკვიდრ მოქალაქეებს გააჩნიათ. მთელ რიგ ქვეყნებში ნატურალიზებულ მოქალაქეებს აკრძალული აქვთ პრეზიდენტობაზე კენჭი იყარონ, ან პოლიტიკური პარტიები ჩამოაყალიბონ (აშშ, გერმანია, ეგვიპტე და სხვ.); ზოგიერთ ქვეყანაში კი (ავსტრია, მექსიკა, ესპანეთი და სხვ.) ნატურალიზებულ მოქალაქეებს, სასამართლოს წესით, შეიძლება მოქალაქეობა გაუუქმდეს.[44]

როგორც ჩანს, ემიგრანტებისათვის მოქალაქეობის მინიჭების საკითხი მუდამ აქტუალური და პრობლემური იყო. მოქალაქე ემიგრანტები, როგორც ანტიკურ, ასევე ზოგიერთ თანამედროვე სახელმწიფოში შეზღუდული უფლებებით სარგებლობენ. მიუხედავად ამისა, ისინი, თავიანთი „მეორე სამშობლოს" სოციოეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში

---

[42] R. Padgug, Classes and society in classical Greece, *Arethusa* VIII/1 (1975), p. 208.

[43] Hypereides, Demosthenes: 2, 13, 14.

[44] თ. თოდუა, *სახელმწიფო მართვა: ისტორია, თეორია, პრაქტიკა* (თბილისი, 2008), გვ. 168-169.

განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ. სწორედ, ამგვარი როლი შეასრულეს მეტოიკოსებმა ძველი ათენის განვითარებაში, თუმცა მეტოიკოსთა ამგვარმა აქტივობამ პოლისური სტრუქტურების დეფორმაცია გამოიწვია, რაც საბოლოოდ ძვ.წ. IV საუკუნეში ათენის სახელმწიფოებრივი სისტემის კრიზისით დასრულდა.

ბიბლიოგრაფია

References

Ancient Greece, t. 1-2 (Moscow, 1983) (in Russian).

P. Bicknell, Athenian Politics and genealogy, *Historia* 23/2 (1974).

M. C. Broadbent, *Studies in Greek Genealogy* (Leiden, 1968).

Day J. M., Chambers M. C., *Aristotle's History of Athenian Democracy* (Berkeley, 1962).

A. I. Dovatur, *Politics and Politica of Aristotle* (Moscow-Leningrad, 1965) (in Russian).

V. M. Ehrenberg, *The Greek State* (London, 1969).

P. N. Gauthier, *Sumbola* (Nancy, 1972).

L. M. Gluskina, *The Problems of Economic and Social History of Athens in the Fourth Century* (Leningrad, 1975) (in Russian).

L. M. Gluskina, Land Rent in the Fourth Century Attica, *Vestnik drevnei Istorii*, 2 (1968) (in Russian).

A. W. Gomme, *The Population of Athens* (Oxford, 1933).

L. R. Gordeziani, *Studies in Ancient History* (Tbilisi, 2009) (in Georgian).

C. B. Hignett, *A History of the Athenian Constitution to the End of the Fifth Century B.C.* (Oxford, 1952).

M. S. Kutorga, *Collected Works,* t. I (Sankt-Peterburg, 1894) (in Russian).

V. D. Kuznetsov, The Builders of the Erechtheion, *Vestnik Drevnei Istorii*, 4 (1990) (in Russian).

R. Padgug, Classes and Society in Classical Greece, *Arethusa*, VIII/1 (1975).

R. Randall, The Erechtheion Workmen, *American Journal of Archaeology*, 57 (1953).

T. T. Todua, *Public Administration: History, Theory and Practice* (Tbilisi, 2008) (in Georgian).
D. M. Whitehead, *The Ideology of the Athenian Metic* (Cambridge, 1977).

Temur Todua

The Athenian Metoikoi

In ancient Greece foreign citizens were called *xenoi* and *metoikoi*, but these terms differed essentially. *Xenoi* implied a person living temporarily in this or that polis, while metoikoi was applied to immigrants and persons residing permanently. A form similar to metoikos occurs back in Mycaenian texts in the form of *me - ta - ki - ta*. Essentially they were almost identical terms. *Metakita* too denoted a man 'settled', an immigrant. In archaic and Classical Greece the *Metoikos* is attested for the first time in an inscription of 510 BC, and in narrative sources it is mentioned in the fifth century BC.

Metoikoi figured in the Athenian socium back in Solon's time. He promised the *metokoi* citizenship, on condition that they would engage in artisanship. Neverthelens, *metoikoi* engaged in this field were not considered to be citizens. Now, the *metoikoi* were forbidden by the law to own land. Later, *metoikoi* came within the area of Clisthenes' reforms. In his time a definite group of *metoikoi* may have received citizenship, though the purpose of Clisthenes ,reforms was not the adoption of new citizens and their adjustment. In the epoch of Pericles *metoikoi* faced obstacles in receiving citizenship. Instead, Pericles' reforms did not restrict the *metoikoi* in work activity in Athens. On the contrary, in his era the *metoikoi* appear to have been actively engaged in artisanship. This is proved by the fact that the percentage of *metoikoi* engaged in building the Erechtheion was higher; at the same time, they stood out for high qualification. *Metoikoi* were also actively involved in trade and bank operations. They were conscripted for military service as well, though they performed an auxiliary function and were largely charged with defending the borders of Attica. Occasionally they appear on the political scene of Athens as well. In the struggle against the thirty 'tyrants' strata of all social categories of the *metoikoi* gave active support to the democrats. For such support the *metoikoi* won various awards: some received monetary awards, some were granted citizenship, and some received the right to purchase real estate. To-

wards the end of the fifth century BC, following the restoration of democracy in Athens, the right to citizenship and real estate was seldom granted. In this respect, the situation altered somewhat from the fourth century BC, when the crisis of the polis system began in Athens. The *metoikoi* established themselves in the system of land ownership by stages. In the court system of Athens quite a few *metoikoi* received lands and citizenship, yet their rights were still limited. In this respect, they became similar to the modern so-called 'naturalized' immigrant citizens, who received citizenship by the recommendation of the government. Nevertheless, immigrant citizens performed a special role in the socio-economic and political life of both classical and modern states. It was precisely the role which the *metoikoi* performed in the development of ancient Athens. However, their activity led to the deformation of polis structures, ending in the fourth century BC with a crisis of the state system of Athens.

მამუკა წურწუმია

ფრიზები და ქართველები წმინდა მიწაზე

წმინდა მიწის გარშემო არსებულ დასავლეთევროპულ ლიტერატურაში მრავალი ცნობა მოიძიება ქართველთა შესახებ. საუკუნეების მანძილზე ევროპელები აღწერდნენ ქართველებს, როგორც კარგად შეიარაღებულ, ძლევამოსილ და წმ. გიორგის თაყვანისმცემელ ხალხს; საგანგებოდ აღნიშნავდნენ, სხვა პილიგრიმთაგან განსხვავებით, წმინდა მიწაზე ქართველთა მიმოსვლას ამაყად, მხედრულად და გაშლილი დროშებით.[1]

ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ იმ ცნობებზე, რომლებშიც ევროპელი ავტორები ქართველთა ერთ თვისებაზე მოგვითხრობენ და გარკვეულ შედარებასაც იყენებენ მათ დასახასიათებლად. 1355 წლით დათარიღებულ „ქვემორაინული აღმოსავლეთის აღწერაში“ მისი უცნობი ავტორი, სასულიერო პირი კიოლნიდან, გვამცნობს, რომ „ქართველები [Georgiani] არიან მეტად მძლავრი ხალხი, აქვთ საკუთარი ენა, [სხვადასხვა] ქვეყნებში მოგზაურობენ ამხედრებულნი დიდი რაზმებით, როგორც ფრიზები, ატარებენ წმინდა გიორგის დროშას, რომლის მიხედვითაც ეწოდებათ გეორგიანები. სულთანის ქვეყანასა თუ სხვა წარმართულ ქვეყნებში მგზავრობენ ბაჟის გადაუხდელად, რადგან ისინი [სიმძლავრით] აღემატებიან წარმართებს... ამიტომ ჰქვია ამ ხალხს ქართველები, არიან მამაცნი და მძლავრნი, მოგზაურობენ ამხედრებულნი დიდ, მრავალრიცხოვან რაზმებად, როგორც ფრიზები“.[2] გერმანელი ანონიმი მაღალ შეფასებას აძლევს

---

[1] ვრცლად ქართველთა შესახებ შუა საუკუნეების ევროპულ წყაროებში იხ. გ. ფერაძე, *უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ*, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გ. ჯაფარიძემ (თბილისი, 1995), გვ. 25-69; ა. თვარაძე, *საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში* (თბილისი, 2004), გვ. 125-176.

[2] ა. თვარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 163-164; A.-D. von den Brincken, *Die "Nationes Christianorum Orientalium" im Verständnis der lateinischen Historiographie von der Mitte des 12. bis in die zweite Hälfte des 14. Jahrhunderts* (Köln, 1973), p. 122-123.

ქართველთა სიმამაცესა და საბრძოლო თვისებებს, რაც სრულიადაც არ არის მოულოდნელი, თუკი მანამდე არსებულ პილიგრიმულ ლიტერატურას გადავხედავთ. ახალია ფრიზებთან ქართველების შედარება: ტექსტში ანონიმი ორგზის ადარებს ქართველებსა და ფრიზებს და აღნიშნავს მათ საერთო თვისებას – ემგზავრათ რაზმების სახით.

ასეთ შედარებას კიდევ ერთ ევროპელ ავტორთან ვხვდებით. 1360-1375 წლებში დაწერილ ნაშრომში იოჰანეს ფონ ჰილდესჰაიმი მოგვითხრობს: „ქართველები [Georgiani] ეწოდებათ ხალხს ზედა საქართველოს სამეფოდან... როდესაც სახლისაკენ მიემგზავრებიან, იკვრებიან დიდ რაზმებად, როგორც ფრიზები ან უნგრელები. აქვთ წმინდა გიორგის დროშა, არიან მძლავრი ქრისტიანები... სულთანის ქვეყანაში თავისუფლად მგზავრობენ და არც ბაჟს იხდიან, თითქოს მათი საკუთარი ქვეყანა იყოს“.[3] აშკარაა, რომ ქართველების აღწერისას ჰილდესჰაიმი ძირითადად მისდევს „ქვემორაინულ აღმოსავლეთის აღწერას“. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ორივე ცნობის ავტორი გერმანელია, ისინი კარგად იცნობდნენ ფრიზებს და შესაბამისად, უნდა ვიფიქროთ, რომ გარკვეული საფუძველიც გააჩნდათ ამ შედარებისათვის.

ვინ იყვნენ ფრიზები და რატომ ადარებდნენ მათ ქართველებს, რას გულისხმობს ეს შედარება და რა საერთო უნდა ჰქონოდათ ამ ორ ხალხს?

ფრიზები ნიდერლანდების ჩრდილოეთ ნაწილში სახლობენ და ცნობილი იყვნენ, როგორც მეზღვაურები. შუა საუკუნეების მემატიანეები აღწერენ ფრიზების მიმოსვლას ჯგუფურად, რაზმების სახით და ახასიათებენ მათ, როგორც მებრძოლ ხალხს, რომელმაც შიში არ იცის და ბრძოლისას იმარჯვებს ან თავს დებს სახელისათვის.[4]

ფრიზებმა თავიანთი კვალი დატოვეს ჯვაროსნულ ლაშქრობებშიც. მათი მონაწილეობა სათავეს იღებს პირველი ჯვაროსნული ლაშქრობიდან, როდესაც 1097 წელს ფრიზთა ფლოტი ტარსუსთან გამოჩნდა.[5] 1147 წელს, მეორე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, ფრიზები, სხვა ჯვაროს-

---

[3] ა. თვარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 166; A.-D. von den Brincken, დასახ. ნაშრომი, გვ. 123-124.

[4] J. A. Mol, Frisian Fighters and the Crusade, *Crusades,* ed. by Benjamin Z. Kedar and Jonathan Riley-Smith, vol. 1 (2002), p. 91.

[5] იქვე, გვ. 93.

ნებთან ერთად, პორტუგალიელებს ეხმარებიან ლისაბონის აღებაში.[6] 1189 წელს, მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, ფრიზთა 50 გემი ჩადის წმინდა მიწაზე და მონაწილეობს აკრას ალყაში.[7] განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ფრიზებმა მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობაში, დამიეტას ალყის დროს, 1218-19 წლებში. 1218 წელს ცხარე ბრძოლაში კოშკისათვის, რომელიც ჯაჭვებით კეტავდა ქალაქის მისადგომს, ერთ-ერთმა ფრიზმა ძირს დასცა მუსლიმთა მედროშე და სულთნის ყვითელი დროშა იგდო ხელთ.[8] 1270 წელს ფრიზების 50 გემი კვლავ მონაწილეობს თუნისის ჯვაროსნულ ლაშქრობაში.[9]

როგორც ვხედავთ, ფრიზები სისტემატურად მონაწილეობდნენ ჯვაროსნულ ლაშქრობებში და თავიც ბევრჯერ გამოიჩინეს. ეს ბუნებრივია, ფრიზები სახელოვანი მეომრები იყვნენ, მათი შეტევა კი – განთქმული.[10] ფრიზების ბრძოლისუნარიანობა და სიმამაცე კარგად იყო ცნობილი იმდროინდელ ევროპაში და განაპირობებდა მოთხოვნილებას მათზე, როგორც შეუპოვარ მეომრებზე. 1188 წელს სალაჰ ად-დინისადმი მიწერილ წერილში, რომელიც მიზნად ისახავდა სულთნის დაშინებას უძლეველი არმიით, ფრიდრიხ I ბარბაროსა ფრიზთა დაუოკებელ შეტევას აღნიშნავს.[11] 1226 წელს, იმპერატორი ფრიდრიხ II მოუწოდებს და იმედს ამყარებს ფრიზთა მონაწილეობაზე მის ჯვაროსნულ ლაშქრობაში.[12] 1250 წელს, როდესაც ეგვიპტეში დამარცხების შემდეგ აკრაში მყოფი ლუი IX

---

[6] S. Runciman, *A History of the Crusades,* vol. II (Cambridge, 1952), p. 258.

[7] J. A. Mol, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

[8] T. C. Van Cleve, "The Fifth Crusade," *A History of the Crusades,* ed. by Kenneth M. Setton, vol. 2 (Wisconsin, 1969), p. 401.

[9] J. A. Mol, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

[10] როგორც ი. მოლი წერს, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენდა მუსლიმებზე ფრიზთა შეტევა, რომელთაც, ახოვნების გამო, დანტე „ევროპის გოლიათებს" უწოდებდა. J. A. Mol, დასახ. ნაშრომი, გვ. 110.

[11] *Chronicle of the Third Crusade, a translation of the Itinerarium Peregrinorum et Gesta Regis Ricardi,* translated by Helen J. Nicholson (Aldershot, 1997), p. 51.

[12] Thomas C. Van Cleve, "The Crusade of Frederick II," *A History of the Crusades,* ed. by Kenneth M. Setton, vol. 2 (Wisconsin, 1969), p. 444.

ლათინური სახელმწიფოების დაცვასღა ცდილობდა, პაპი ინოკენტი IV საგანგებო წერილს უგზავნის ფრიზებს და სთხოვს მათ, დაუყოვნებლივ დაძრულიყვნენ წმინდა მიწის გადასარჩენად. წერილში პაპი ყურადღებას ამახვილებს ფრიზთა წარმატებებზე ჯვაროსნულ ლაშქრობებში.[13] 1268 წელს ლუი IX უკვე პირადად ეპატიჟება ფრიზებს ჯვაროსნულ ლაშქრობაში.[14]

ახლა, როცა გავეცანით ფრიზებს და მათ თვისებებს, ადვილია პარალელი გავავლოთ ქართველებთან. ნათელი ხდება, თუ რას გულისხმობდნენ ევროპელი ავტორები, როდესაც ქართველებს ფრიზებს ადარებდნენ. იმდროინდელი აღწერებიდან ჩანს, რომ ქართველები ასევე ძლიერი მეომრები იყვნენ („ისინი [სიმძლავრით] აღემატებიან წარმართებს") და მუსლიმურ ტერიტორიებზე პილიგრიმობისას დისციპლინირებული, კომპაქტური ჯგუფების სახით მოძრაობდნენ. დროშებგაშლილი, მჭიდრო წყობით და ამაყად მავალი ქართველთა ჯგუფები დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ევროპელ პილიგრიმებზე და სახელგანთქმულ ფრიზთა რაზმებს ახსენებდა მათ.

ეს ცნობები და შედარებები კიდევ ერთხელ მიუთითებს შუა საუკუნეებში ქართველთა მაღალ საბრძოლო თვისებებზე და იმ პრესტიჟზე, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ დასავლეთ ევროპელთა თვალში.

ბიბლიოგრაფია

References

A.-D. von den Brincken, *Die "Nationes Christianorum Orientalium" im Verständnis der lateinischen Historiographie von der Mitte des 12. bis in die zweite Hälfte des 14. Jahrhunderts* (Köln, 1973).

Chronicle of the Third Crusade. A Translation of the Itinerarium Peregrinorum et Gesta Regis Ricardi, Translated by Helen J. Nicholson (Aldershot, 1997).

P. Jackson, *The Seventh Crusade, 1244-1254: Sources and Documents* (Aldershot, 2007).

---

[13] P. Jackson, *The Seventh Crusade, 1244-1254: Sources and Documents* (Aldershot, 2007), 198.

[14] J. A. Mol, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

J. A. Mol, Frisian Fighters and the Crusade, *Crusades*, ed. by B. Z. Kedar and J. Riley-Smith, vol. 1 (2002).

G. Peradze, An account of the Georgian monks and monasteries in Palestine as revealed in the writings of non-Georgian pilgrims, *Georgica*, 4-5 (1937).

S. Runciman, *A History of the Crusades, vol. II: The Kingdom of Jerusalem and the Frankish East, 1100-1187* (Cambridge, 1952).

A. Tvaradze, *Georgia and the Caucasus in European Sources* (Tbilisi, 2004) (in Georgian).

Th. C. Van Cleve, *The Fifth Crusade. A History of the Crusades. Ed. by K. M. Setton*, vol. 2 (Wisconsin, 1969).

Th. C. Van Cleve, *The Crusade of Frederick II. A History of the Crusades. Ed. by K. M. Setton*, vol. 2 (Wisconsin, 1969).

Mamuka Tsurtsumia

Frisians and Georgians in the Holy Land

Many reports can be found in West European sources about the Georgians in the Holy Land. Throughout the Middle Ages Europeans described the Georgians as well-armed, victorious people revering St George. They made special mention of the fact that, unlike other pilgrims, Georgians in the Holy Land marched proudly on horseback with flying colours.

Interestingly enough, two German reports of the fourteenth century compare the Georgians to Frisians. A fourteenth-century anonymous author, an ecclesiastic from Cologne, gives a high appraisal of the courage and fighting qualities of the Georgians. At the same time, the author twice compares the Georgians and Frisians with each other, noting their common feature of travelling in detachments. This comparison is repeated by Johannes von Hildesheim in a work written in 1360-75. It should be noted that the authors of both reports are Germans, with good knowledge of the Frisians, and presumably had good ground for their comparison.

The Frisians inhabiting the northern part of the Netherlands were known to be navigators. Medieval chroniclers described the Frisians as moving in detachments, characterising them as warlike people who had no fear and triumphed in battle or laid their lives for fame. Beginning with 1097, the Frisians

took systematic part in the crusades and often distinguished themselves. They won especial fame in the Fifth Crusade, at the siege of Damietta in 1218-19. There were renowned fighters and their attack was acclaimed. Their fighting capacity and courage were known well in Europe, hence the demand for them as fearless fighters. The Pope, the king of France and German emperors placed their hopes on their participation in the crusades.

Now it is clear what European authors had in mind when they compared Georgians to the Frisians. It is evident from the descriptions of those times that Georgians were also strong warriors and in their pilgrimage on Muslim territories they moved proudly as disciplined, compact units, with their colours flying, producing a strong impression on European pilgrims and reminding them of the famed Frisian bands.

These reports and comparisons point once again to the high fighting qualities of Georgians in the Middle Ages and the prestige they enjoyed in the eyes of West Europeans.

თეიმურაზ პაპასქირი

გერმანელთა შეტევა არდენებში და უინსტონ ჩერჩილის 1945 წლის 6 იანვრის წერილი სტალინისადმი

1944 წლის 16 დეკემბერს გერმანიის არმია გადავიდა ფართომასშტაბიან შეტევაზე დასავლეთის ფრონტზე. ასე დაიწყო მეორე მსოფლიო ომის დასკვნითი ეტაპის ერთ-ერთი გადამწყვეტი ბრძოლა, რომელმაც დიდი გავლენა იქონია ომის შედეგებზე. აღსანიშნავია, რომ ისტორიოგრაფიაში დღემდე არსებობს გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა ამ ბრძოლის შეფასებებში. თუ ამერიკელი და ბრიტანელი მკვლევრები პრაქტიკულად ერთხმად აცხადებენ, რომ ბრძოლა არდენებში მოგებული იქნა მხოლოდ ამერიკელი ჯარისკაცების სიმტკიცისა და გმირობის ფასად,[1] რუსი ისტორიკოსები ყოველნაირად ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ გადამწყვეტი როლი დასავლელი მოკავშირეების წარმატებაში მიუძღოდა გერმანელების წინააღმდეგ საბჭოთა ჯარების მიერ 1945 წლის 12 იანვარს პოლონეთში დაწყებულ შეტევას.[2] ამგვარი საკამათო სიტუაციის წარ-

---

[1] H. Cole, *The Ardennes. Battle of the Bulge* (Washington, 1965), p. XI-XII; J. Ehrman, *Grand Strategy. October 1944 – August 1945*, vol. VI (London, 1956); B. H. Liddell Hart, *The History of World War II* (London, 1970), p. 603; J. Toland, *Battle. The Story of the Bulge* (New York, 1959), p. 379-380 და სხვ.

[2] Г. А. Деборин, *Вторая мировая война* (Москва, 1958), с. 357; В. М. Кулиш, *Второй фронт. Операции в Западной Европе в 1944-1945гг.* (Москва, 1960), с. 307; В. М. Кулиш, *История второго фронта* (Москва, 1971), с. 545; В. Л. Исраэлян, *Дипломатическая история Великой Отечественной войны* (Москва, 1959), с. 277-279; В. Л. Исраэлян, *Дипломатия в годы войны* (Москва, 1985), с. 325-327; Н. Н. Яковлев, *Франклин Рузвельт - Человек и политик. Новое прочтение* (Москва, 1981), с. 384; *Великая Отечественная война Советского Союза 1941-1945. Краткая история* (Москва, 1984), с. 384; О. А. Ржешевский, *История второго фронта: Война и дипломатия* (Москва, 1988), с. 36; В. А. Секистов, *Война и политика* (Москва, 1989), с. 402; О. А. Ржешевский, *Сталин и Черчилль. Встречи. Беседы. Дискуссии. Документы, комментарии. 1941-1945* (Москва, 2004), с. 490 და სხვ.

მოშობას საკმაოდ შეუწყო ხელი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა და მის მიერ 1945 წლის 6 იანვარს სტალინისადმი გაგზავნილმა წერილმა, რომლითაც ჩერჩილმა, ფაქტობრივად, დახმარება სთხოვა საბჭოთა ლიდერს დასავლეთის ფრონტზე კატასტროფის თავიდან ასაცილებლად.[3]

არდენებში დაწყებული შეტევა მოკავშირეებისათვის საკმაოდ მოულოდნელი გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირეთა მთავარსარდლობა უშვებდა გერმანელების მხრიდან შემოტევის შესაძლებლობას, მათ აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ ეს ამდენად მასშტაბური ოპერაცია იქნებოდა.[4] უფრო მეტიც, თვით შეტევის დაწყების შემდეგ გენ. ბრედლი (მოკავშირეთა მთავარსარდლის დუაიტ ეიზენჰაუერის მოადგილე, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამერიკულ არმიებს) თვლიდა ამ ოპერაციას შეზღუდული ხასიათის კონტრშეტევად, რომელიც მიზნად ისახავდა მოკავშირეთა ახალი იერიშების თავიდან აცილებას.[5] თავი იჩინა თავდაჯერებულობამაც. არდენებში შესაძლო კონტრშეტევის შესახებ აშშ-ის სტრატეგიული სამსახურების სამმართველომ (OSS – Office of Strategic Services) სარდლობას ჯერ კიდევ დეკემბრის პირველ რიცხვებში შეატყობინა, მაგრამ მე-9 ამერიკული არმიის სარდალმა, გენ. ჰოჯესმა, ამ ინფორმაციის მომწოდებლებს „ჭკუიდან გადასულები“ უწოდა.[6] საჰაერო დაზვერვაც ცხადყოფდა, რომ გერმანელები თავს უყრიდნენ მნიშვნელოვან ძალებს, მაგრამ ამერიკელმა სარდლებმა ყურადღება არც ამ მონაცემებს

---

[3] *Переписка председателя совета министров СССР с президентами США и премьер-министрами Великобритании во время Великой Отечественной войны 1941-1945гг., в 2-х томах*, т. I, *Переписка с У. Черчиллем и К. Эттли (июль 1941г. - ноябрь 1945г.)* (Москва, 1957), с. 298.

[4] N. Gelb, *Ike and Monty: Generals at War* (London, 1994), p. 381.

[5] იქვე, გვ. 382-383.

[6] R. Dunlop, *Donovan: America's Master Spy* (Chicago – New York – San Francisco, 1982), p. 460; H. R. Smith, *OSS: The Secret History of America's First Central Intelligence Agency* (Berkeley, CA, 1972), p. 358. ჰოჯესი ვერც შეტევის დაწყების შემდეგ მიხვდა, თუ რა იყო გერმანელთა მიზანი და ჩათვალა, რომ მათ სურდათ მხოლოდ რურის დამბების წინააღმდეგ მიმართული მოკავშირეთა ოპერაციის შეჩერება (იხ.: G. Forty, *Road to Berlin: The Allied Drive from Normandy* (London, 1999), p. 140).

მიაქციეს.[7] გერმანელებმა შეტევის მიმართულებად აირჩიეს არდენები – მთიანი და ტყიანი რეგიონი ბელგიასა და საფრანგეთში. მოსალოდნელი გარღვევის ადგილას თავმოყრილ იქნა ოცამდე გერმანული დივიზია, რის წინააღმდეგაც 75-კილომეტრიან მონაკვეთზე ამერიკელებს მხოლოდ ოთხი დივიზია ჰყავდათ განთავსებული.[8]

თავის მხრივ, გერმანელების მიზანი იყო ანტვერპენის აღება და მოკავშირეებისათვის ახალი დიუნკერკის მოწყობა. ოპერაციის მთავარსარდლად დაინიშნა ფელდმარშალი გერდ ფონ რუნდშტედტი, თუმცა ამ უკანასკნელს არ სწამდა ოპერაციის წარმატების და, ფაქტობრივად, მხოლოდ ნომინალურად ასრულებდა თავის ფუნქციებს. ბ. ლიდელჰარტის ცნობით, მან შეტევის ხელმძღვანელობა თავის ხელქვეითებს მიანდო, თავად კი საბრძოლო მოქმედებების წარმოებისაგან განზე გადგა.[9]

გერმანელი სარდლის სკეპტიციზმის მიუხედავად, შეტევა უაღრესად წარმატებულად დაიწყო. 17 დეკემბერს გერმანელებმა გაარღვიეს ფრონტის ხაზი და წაიწიეს მდ. მაასისაკენ. შეტევის ცენტრალურ მონაკვეთზე ამერიკელებმა თითქმის 100 კილომეტრით დაიხიეს უკან. გერმანელებმა ალყა შემოარტყეს საკვანძო პუნქტ ბასტონს, რომლის დასაცავადაც ამერიკელებმა დამატებითი ძალები გადაისროლეს. გარდა ამისა, ამერიკელების მდგომარეობა გაართულა იმანაც, რომ მე-9 და 1-ლმა ამერიკულმა არმიებმა კავშირი დაკარგეს ბრედლის შტაბთან. 19 დეკემბერს ეიზენჰაუერი იძულებული გახდა, ისინი დაექვემდებარებინა ბრიტანული არმიების სარდალ ბერნარდ მონტგომერისათვის.[10] ამავე დღეს,

---

[7] *The Army Air Forces in World War II,* vol. 3. *Europe: Argument to V-E Day. January 1944 to May 1945* (Chicago, IL., 1951), p. 673-682; H. St. George Saunders, *Royal Air Force 1939-1945,* vol. 3, *The Fight is Won. With concluding chapter by Hilary St. George Saunders and Denis Richards* (London, 1993), p. 205.

[8] D. Eisenhower, *Crusade in Europe* (New York, N.Y., 1948), p. 342.

[9] B. H. Liddell Hart, დასახ. ნაშრომი, გვ. 603.

[10] უნდა აღინიშნოს, რომ ეს გადაწყვეტილება ძალიან არ მოეწონა ბრედლის, თუმცა სხვა გამოსავალი შექმნილ სიტუაციაში უბრალოდ არ იყო (იხ.: N. Gelb, დასახ. ნაშრომი, გვ. 383). თავის მხრივ, მონტგომერი უაღრესად გახარებული დარჩა ამგვარი გადაწყვეტილებით და თავის დღიურში ისიც კი ჩაწერა, რომ ჰოჯესი (მე-9 ამერიკული არმიის სარდალი) და სიმპსონი (1-ლი ამერიკული არმიის სარდალი)

გენერალმა პატონმა (მე-3 ამერიკული არმიის სარდალი) მიიღო ბრძანება, მთელი შესაძლო ძალებით დაძრულიყო ბასტონის გარნიზონის დასახმარებლად. მართლაც, 23 დეკემბერს პატონი სამი დივიზიის თანხლებით საარის ოლქიდან ბასტონისაკენ გაემართა და 26 დეკემბერს გაარღვია ალყა,[11] თუმცა ამის შემდეგაც გერმანელები ერთი კვირის განმავლობაში ცდილობდნენ ამ საკვანძო პუნქტის დაუფლებას.

მიუხედავად პირველი წარმატებებისა, გერმანელებმა ვერ შეძლეს დასახული მიზნების სისრულეში მოყვანა და სკეპტიციზმი სარდლობაში კიდევ უფრო გამყარდა. 1944 წლის 25 დეკემბერს ფელდმარშალმა გუდერიანმა მოსთხოვა ჰიტლერს, შეეწყვიტა ოპერაცია არდენებში, რომელიც აბსოლუტურად უპერსპექტივო იყო, და სანამ ეს დაგვიანებული არ იქნებოდა, გამოეყვანა იქიდან მთავარი ძალები და გადაესროლა ისინი აღმოსავლეთის ფრონტზე, სადაც, მისი აზრით, უმოკლეს ხანებში მოსალოდნელი იყო საბჭოთა ჯარების შეტევაზე გადასვლა.[12]

ამასობაში მოკავშირეებმა დაიწყეს არდენებში კონტრშეტევის მომზადება. ეიზენჰაუერისა და მონტგომერის ურთიერთშეთანხმებით, ეს კონტრშეტევა უნდა დაწყებულიყო 1945 წლის 3 იანვარს. მართლაც, დათქმულ დროს 1-ლი ამერიკული არმია გადავიდა შეტევაზე არდენის შვერილის ჩრდილოეთით და მოკავშირეებმა მთლიანად ხელთ იგდეს ინიციატივა არდენებში. ამიერიდან გასარკვევი იყო მხოლოდ შემდეგი საკითხი: შეძლებდნენ თუ არა მოკავშირეები, ეფექტურად გაერღვიათ მოწ-

---

კმაყოფილები იყვნენ, რომ ახლა მათ ჰყავდათ მტკიცე ბრძანებების გამცემი მეთაური (*The Memoirs of Field-Marshal the Viscount Montgomery of Alamein* (London, 1958), p. 455; W. B. Breuer, *Feuding Allies: The Private Wars of the High Command* (New York, 1995), p. 266).

[11] მ. ჯიევანევსკის თქმით, სწორედ პატონი, რომელმაც „განახორციელა მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში უმსხვილესი შენაერთის უმოკლეს დროში გადასროლა ყველაზე გრძელ მონაკვეთზე“, იქცა მოკავშირეების ნამდვილ მხსნელად არდენებში (იხ.: M. Dziewanewski, *War At Any Price: World War II in Europe, 1939-1945* (Eaglewood Cliffs, NJ., 1987), p. 316). ა. ტეილორი კი თვლის, რომ პატონის ძალების ბასტონის დამცველებთან შეერთების შემდეგ გერმანელების გამარჯვების ყველანაირი შანსი გაქრა (A. Taylor, *The Second World War* (London, 1975), p. 215).

[12] J. Erickson, *The Road to Berlin: Continuing the History of Stalin's War with Germany* (Boulder, CO., 1983), p. 431.

ინააღმდეგის თავდაცვა და სწრაფად გადაელახათ თოვლიანი არდენები, რათა გაენადგურებინათ, ან ხელთ ეგდოთ გერმანელთა მნიშვნელოვანი ძალები.[13]

მიხვდა რა არდენებში შეტევის ჩაფლავებას, ჰიტლერმა სცადა მოწინააღმდეგის ყურადღების გადატანა სხვა მიმართულებით და ბრძანა იერიშზე გადასვლა ვოჟის მთებში. 1945 წლის 1 იანვარს გერმანელებმა წამოიწყეს ოპერაცია „ჩრდილოეთის ქარი“ (“Nordwind”). პირველ დღეს გერმანელებმა მოახერხეს 12 კმ-ით წინ წაწევა, რითაც საფრთხე შეუქმნეს არმიათა მე-6 ჯგუფში შემავალ გენ. პეტჩის მე-7 ამერიკულ არმიასა და გენ. დე ლატრ დე ტასინის 1-ლ ფრანგულ არმიას. ამიტომ ეიზენჰაუერმა უბრძანა არმიათა მე-6 ჯგუფის სარდალ გენ. დეევერსს, ეკონომიურად გამოეყენებინა ძალები და დაეტოვებინა სტრასბური.[14] ბუნებრივია, ამან

---

[13] ცნობილი გერმანელი გენერლის, ჰასო ფონ მანტოიფელის დაკვირვებით, მოკავშირეთა კონტრშეტევა ნაადრევად იქნა დაწყებული. მისი აზრით, ეს რომ ოდნავ მოგვიანებით მომხდარიყო, გერმანელთა დაჯგუფება მთლიანად იქნებოდა განადგურებული (იხ. Х. фон Мантейфель, Арденны, წიგნში: *Роковые решения (Воспоминания немецких генералов), ред. П. А. Жилин* (Москва, 1958), с. 215). მისი თქმით, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი შეასრულა იმ გარემოებამ, რომ გერმანელები წლების განმავლობაში მიჩვეული იყვნენ თოვლსა და ყინვაში ყოფნას, რისი წყალობითაც მათ დროულად დაიხიეს უკან (H. Jacobsen, J. Rohwer, *Decisive Battles of the Second World War: The German View* (New York, 1965), p. 410). არსებობს სხვა მოსაზრებაც: გენ. ჯ. პატონი თვლიდა, რომ არდენებში შესაძლებელი იყო გერმანული არმიის მთლიანად ხელში ჩაგდება, მაგრამ მონტგომერის პასიურობამ ხელი შეუშალა სრული წარმატების მიღწევას (G. S. Patton, *War As I Knew It* (Boston, MA., 1946), p. 377).

[14] პ. კალვოკორესი აცხადებს, რომ ეს მხოლოდ ჰიპოთეტური შესაძლებლობა იყო (იხ.: P. Calvocoressi, G. Wint, J. Pritchard, *Total War. The Causes and Courses of the Second World War* (London, 1989), p. 551). საბჭოთა მკვლევრების (ო. რჟეშევსკი) მტკიცებით, ეს ოპერაცია უდიდეს საფრთხეს უქმნიდა დასავლელ მოკავშირეებს, თუმცა კ. ბონის მონოგრაფიიდან, რომელიც მიძღვნილია ვოჟის მთების კამპანიისადმი, ნათელი ხდება, რომ ეს შეტევა არ წარმოადგენდა დიდ საფრთხეს, ხოლო 5 იანვრისათვის უკვე თვით გერმანელებისათვის გახდა ცხადი, რომ ის ჩაფლავდა (იხ.: K. E. Bonn, *When the Odds Were Even: The Vosges Mountains Campaign, October 1944 – January 1945*

გამოიწვია სერიოზული წინააღმდეგობა ფრანგების მხრიდან და 3 იანვარს შარლ დე გოლმა კატეგორიულად მოსთხოვა ეიზენჰაუერს სტრასბურის დაცვა. ამ საუბარს შეესწრო ჩერჩილიც, რომელიც იმ დროს ეიზენჰაუერის შტაბში იმყოფებოდა.[15] საბოლოოდ, დე გოლის არგუმენტებმა გასჭრა და ეიზენჰაუერმაც შეცვალა პირვანდელი გადაწყვეტილება. მან მისცა სათანადო მითითებები გენ. დევერსს, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ელზასში გერმანელთა შეტევის დაწყების შემთხვევაში.[16] 5 იანვარს ამერიკელები კონტრშეტევაზე გადავიდნენ, რის შედეგადაც სიტუაცია ამ მიმართულებით მთლიანად შეიცვალა.[17] ამ დღეს გერმანულმა სარდლობამ პრაქტიკულად აღიარა მარცხი ვოჟის მთებში, რის მიზეზადაც მიიჩნია ჯარების გადაღლა, რაც გამოწვეული იყო უმძიმეს ვითარებაში წარმოებული შეტევებით.[18] მართალია, ამავე დღეს გერმანელებმა მდგომარეობის გამოსასწორებლად წამოიწყეს შეტევა ელზასში, მაგრამ ეიზენჰაუერის მითითებები დევერსისადმი აბსოლუტურად სწორი აღმოჩნდა და შეტევა პრაქტიკულად იმავე დღეს იქნა შეჩერებული.[19]

და აი, ასეთ ვითარებაში, როდესაც არ იყო არავითარი საფუძველი შიშისათვის, ჩერჩილმა 1945 წლის 6 იანვარს საბჭოთა ლიდერს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აღნიშნა, რომ დასავლეთის ფრონტზე მძიმე სიტუაცია შეიქმნა და მოკავშირეთა მთავარსარდლობას შეიძლებოდა ყო-

---

(Novato, CA., 1994), p. 209).

[15] როგორც ირკვევა, ჩერჩილის ვიზიტის მთავარი მიზეზი სწორედ სტრასბურის საკითხი იყო და მას სურდა, დაერწმუნებინა ეიზენჰაუერი, რათა ამ უკანასკნელს შეეცვალა თავისი გადაწყვეტილება სტრასბურის დატოვების შესახებ, თუმცა, საბოლოო ჯამში, მას ჩარევა არც დასჭირდა (იხ.: J. S. D. Eisenhower, *The Bitter Woods. The Dramatic Story, Told at All Echelons – from Supreme Command to Squad Leader – of the Crisis that Shook the Western Coalition: Hitler's Surprise Ardennes Offensive* (New York, 1969), p. 404).

[16] D. Eisenhower, დასახ. ნაშრომი, გვ. 363.

[17] H. Michel, *The Second World War* (New York, 1975), p. 667.

[18] K. E. Bonn, დასახ. ნაშრომი, გვ. 209.

[19] J. J. Clarke, R. R. Smith, *Riviera to the Rhine: United States Army in World War II. The European Theater of Operations* (Washington, DC, 1993), p. 519-520. ჯ. კიგანის აზრით, ამ შეტევებს რაიმე სერიოზული საგანგაშო სიტუაცია არ მოჰყოლია (იხ.: J. Keegan, *The Second World War* (London, 1989), p. 446).

ველ წუთს დასჭირვებოდა სერიოზული გადაწყვეტილებების მიღება. მან სთხოვა სტალინს, ეცნობებინა მისთვის, დაიწყებდა თუ არა უახლოეს მომავალში საბჭოთა არმია ფართომასშტაბიან შეტევას აღმოსავლეთის ფრონტზე და ხაზი გაუსვა, რომ ამის ცოდნა სჭირდებოდა ეიზენჰაუერს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად.[20]

ჩერჩილის ამ წერილმა უაღრესად დიდი გამოხმაურება პოვა ომის შემდგომ. საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ ის გამოიყენა იმის სამტკიცებლად, რომ დასავლელი მოკავშირეები არდენებში კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და ისინი კრახისაგან მხოლოდ საბჭოთა არმიის მიერ პოლონეთში დაწყებულმა შეტევამ იხსნა. თავის მხრივ, ინგლისელმა და ამერიკელმა მკვლევრებმა, რომლებმაც ნათლად დაამტკიცეს, რომ წერილის დაწერის დღისათვის ბრძოლა როგორც არდენებში, ისე ვოჟის მთებსა და ელზასში მოკავშირეებს პრაქტიკულად მოგებული ჰქონდათ, ვერანაირი ლოგიკური ახსნა ვერ მოუძებნეს ბრიტანეთის პრემიერის მოქმედებას. ამიტომ დასავლურ ისტორიოგრაფიაში ეს წერილი ან საერთოდ არ მოიხსენიება,[21] ან ცხადდება, რომ ჩერჩილი „არასწორად“[22] და „უჭკუოდ“[23] მოიქცა ამ ბარათის გაგზავნით.

დავუბრუნდეთ 6 იანვრის წერილს. მისი შინაარსიდან თითქოს მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ მოკავშირეებს ძალიან უჭირდათ და სასწრაფოდ ესაჭიროებოდათ დახმარება. ეს კი სრულებით არ

---

[20] *Переписка*, I, გვ. 298.

[21] ჩერჩილის ეს წერილი იგნორირებულია ისეთ გამოცემებშიც კი, რომლებშიც, ერთი შეხედვით, ის აუცილებლად უნდა ყოფილიყო მოხსენიებული. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ თუნდაც უკანასკნელ ათწლეულში გამოცემული რამდენიმე მონოგრაფია, რომლებიც ან საკმაოდ დაწვრილებით აშუქებს არდენის ბრძოლებს (იხ.: V. Stewart, *Three Against One: Churchill, Roosevelt, Stalin vs Adolph Hitler* (Santa Fe, N.M., 2002), p. 202-209), ან მიძღვნილია უშუალოდ „დიდი სამეულის“ ლიდერების დიპლომატიური ურთიერთობებისადმი (L. Rees, *WWII, Behind the Closed Doors: Stalin, the Nazis, and the West* (New York, N.Y., 2008); C. Catherwood, *Winston Churchill: The Flawed Genius of World War II* (New York, N.Y., 2009).

[22] Th. D. Parrish, *Roosevelt and Marshall. Partners in Politics And War. The Personal Story* (New York, 1989), p. 485.

[23] H. Cole, დასახ. ნაშრომი, გვ. 603.

შეეფერებოდა რეალობას და ჩერჩილმაც ბრწყინვალედ იცოდა ამის შესახებ, რადგანაც თვითონ იმყოფებოდა 3 იანვარს ეიზენჰაუერის შტაბში. უფრო მეტიც, 7 იანვარს მონტგომერიმ მოაწყო პრესკონფერენცია, რომელზეც განაცხადა, რომ არდენებში ბრძოლა მოგებული იყო და თავი ამერიკელების მხსნელად გამოაცხადა.[24] აქვე აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: 9 იანვარს ჩერჩილმა სტალინს სულ სხვა შინაარსის წერილი გაუგზავნა და აცნობა, რომ დასავლეთში მდგომარეობა უკვე არც ისე ცუდი იყო და სავსებით შესაძლებელი ხდებოდა გერმანელების განდევნა შვერილიდან და მათთვის დიდი ზიანის მიყენება.[25] საბჭოთა მკვლევრებს რატომღაც ავიწყდებოდათ ეს და ყურადღებას ამახვილებდნენ 9 იანვრის წერილის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელშიც ჩერჩილი მადლობას უხდიდა სტალინს საბჭოთა შეტევის უახლოეს ხანებში დაწყების შესახებ მიწოდებული ცნობისათვის.[26] მისი თქმით, ეს დაარწმუნებდა ეიზენჰაუერს, რომ გერმანელებს მართლაც მოუწევდათ ორ ფრონტს შორის რეზერვების გაყოფა.[27] არადა, რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება ფრონტებზე ამ სამი დღის განმავლობაში არ მომხდარა. თუმცა ყოველივე ეს არ ცვლის საქმის ვითარებას. როდესაც ჩერჩილმა წერილი დაწერა (6 იანვარს), მდგომარეობა სულაც არ იყო კრიტიკული. და ეს მან თვითონაც მშვენივრად იცოდა. ამას ადასტურებს მისი 5 იანვრის წერილი სტალინისადმი, რომელშიც აღნიშნავს, რომ მოკავშირეები „არდენებში სიტუაციის ბატონ-პატრონები იყვნენ“,[28] და 6 იანვრის წერილი რუზველტისადმი ამერიკელების მიერ უმძიმესი ბრძოლების შემდეგ არდენებში მიღწეული გამარჯვებების მილოცვით.[29]

---

[24] N. Gelb, *Ike and Monty*, p. 396. ამ განცხადებას მოჰყვა ამერიკელი სამხედროების, განსაკუთრებით პატონის, გაბრაზება, რის შედეგადაც მონტგომერი იძულებული გახდა, უკან წაეღო სიტყვები ამერიკელების „ხსნაში“ მის მთავარ როლზე (N. Polmar, Th. B. Allen, *World War II: America at War 1941-1945* (New York, 1991), p. 98-99).

[25] *Переписка*, I, გვ. 299.

[26] სტალინმა 7 იანვარს ამცნო ჩერჩილს, რომ საბჭოთა სარდლობა დაჩქარებული ტემპებით ემზადებოდა შეტევის დასაწყებად (*Переписка*, I, გვ. 298-299).

[27] *Переписка*, I, გვ. 299.

[28] *Переписка*, I, გვ. 297.

[29] W. S. Churchill, *The Second World War.* Vol. 6. Triumph and Tragedy

მაშ, რამ განაპირობა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მხრიდან ასეთი წერილის გაგზავნა, როდესაც, ხაზს ვუსვამთ, სიტუაცია დასავლეთის ფრონტზე არ იძლეოდა შეშფოთების რაიმე საბაბს? თავად ჩერჩილმა საკუთარ მემუარებში ეს ახსნა იმით, რომ ეიზენჰაუერს სჭირდებოდა ინფორმაცია, დაიწყებდა თუ არა საბჭოთა მხარე უახლოეს ხანებში შეტევას, რათა ამის საფუძველზე განესაზღვრა მოკავშირეთა ოპერაციის დაწყების ზუსტი ვადები.[30] მართლაც, ეიზენჰაუერმა ასეთი თხოვნა დიდი ხნით ადრე გაუგზავნა გაერთიანებული შტაბების უფროსებს და 1944 წ. დეკემბერში მიიღო ინფორმაცია, რომ სტალინმა აღუთქვა პრეზიდენტ რუზველტს ამ საკითხის განხილვა სამხედრო წარმომადგენელთან შეხვედრისას.[31] მოსკოვში გაიგზავნა მარშალი ტედერი, მაგრამ მან ამინდის გაუარესების გამო ორ კვირაზე მეტ ხანს ვერ ჩააღწია მოსკოვში. ამიტომ ეიზენჰაუერმა მხოლოდ ჩერჩილისაგან შეიტყო მისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი ინფორმაცია. მაგრამ აქ აღსანიშნავია სამი გარემოება: 1. ეიზენჰაუერმა თავისი სურვილი პირველად გამოთქვა არა იანვარში, არამედ დეკემბერში, ამერიკელთა მხრიდან არდენებში კონტრშეტევის დაწყებამდე, თუმცა ბრიტანეთის პრემიერმა მაშინ თავი შეიკავა საბჭოთა ლიდერთან კონტაქტისაგან; 2. თუ, რაც ნამდვილად სავარაუდოა, 1945 წლის იანვრის დასაწყისში ეიზენჰაუერმა გაუმეორა თავისი თხოვნა ჩერჩილს ამ უკანასკნელის მის შტაბში ყოფნის დროს, საინტერესოა, რატომ არ შეეხო ამ საკითხს ბრიტანეთის პრემიერი სტალინისადმი 5 იანვარს გაგზავნილ წერილში, რომელზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი; და 3. თუ წერილის დაწერისას ჩერჩილი ხელმძღვანელობდა მხოლოდ ეიზენჰაუერის თხოვნით, რა საჭირო იყო სტალინისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება და მდგომარეობის დამძიმება? საბჭოთა ლიდერი ისედაც უპრობლემოდ მისწერდა ბრიტანეთის პრემიერს, აპირებდა თუ

(Boston, MA, 1953), p. 277-278; W. F. Kimball, *Churchill and Roosevelt: The Complete Correspondence. Vol. III. The Alliance Declining. February 1944 – April 1945* (Princeton, N.J., 1987), p. 498-499 (წერილი რუზველტმა 7 იანვარს მიიღო, ამიტომ უ. კიმბოლს ის ამ თარიღით აქვს მოყვანილი).

[30] W. S. Churchill, დასახ. ნაშრომი, 6, გვ. 285.

[31] *Report by the Supreme commander to the Combined Chiefs of Staff on the operations in Europe of the Allied Expeditionary Force, 6 June 1944 to 8 May 1945* (Washington, D.C., 1946), p. 83.

არა შეტევაზე გადასვლას აღმოსავლეთის ფრონტზე უახლოეს ხანებში, იმის მიუხედავად, თუ როგორ ითხოვდა ჩერჩილი ამას, მით უმეტეს, რომ ტედერი უკვე ერთ კვირას მაინც აგვიანებდა და ეს მშვენიერი გასამართლებელი საბუთი იყო.

როგორც ჩანს, ჩერჩილს სხვა მიზანიც ჰქონდა, როდესაც წერილს სწორედ ამ სახით წერდა. ჩვენი აზრით, აქ ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას: 1945 წლის დასაწყისისათვის ინგლის-ამერიკის ჯარები დასავლეთში და საბჭოთა ნაწილები აღმოსავლეთში თითქმის თანაბარ მანძილზე იყვნენ ბერლინიდან და, რასაკვირველია, ბრიტანეთის პრემიერს სურდა დაესწრო სტალინისათვის გერმანიის დედაქალაქის აღება. მას კარგად ესმოდა, რომ ომის შემდეგ უფრო მოგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ის მხარე, რომლის ძალებიც პირველი შევიდოდნენ ბერლინში. ამიტომ, შესაძლოა, მან იფიქრა, რომ კარგი იქნებოდა, თუ საბჭოთა არმია გადავიდოდა ფართომასშტაბიან შეტევაზე აღმოსავლეთში. ჩერჩილი ალბათ იმედოვნებდა, რომ ასეთ ვითარებაში გერმანელები მთელ თავის ძალებს გადაისროდნენ ამ ფრონტზე, რაც ინგლისელებს და ამერიკელებს ხელ-ფეხს გაუხსნიდა დასავლეთში. როგორც ჩანს, მას ეგონა, რომ გერმანელები არ მისცემდნენ საბჭოთა ჯარებს პოლონეთში სერიოზული წინსვლის საშუალებას, რისთვისაც საჭირო იქნებოდა დასავლეთის ფრონტიდან ყველაზე ბრძოლისუნარიანი შენაერთების აღმოსავლეთში გადაყვანა. ეს კი გამოიწვევდა იმას, რომ ინგლისელები და ამერიკელები თითქმის უპრობლემოდ გადალახავდნენ ზიგფრიდის ხაზს და მოახდენდნენ რაინის ფორსირებას. მაგრამ საბჭოთა ჯარებმა ისეთი სისწრაფით გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვის ხაზი, რომ 1 თებერვლისათვის დაახლოებით 500 კმ-ით წაიწიეს წინ და, ფაქტობრივად, მთელი პოლონეთი დაიკავეს.[32] ამით პრაქტიკულად გადაწყდა, თუ ვის ერგებოდა

[32] *История Великой Отечественной войны* (შემდგომში *ИВОВ*), в 6 томах. т. 5 (Москва, 1963), с. 80; *История второй мировой войны* (SemdgomSi *ИВМВ*), в 12 томах, т. 10, Председатель редакционной комиссии Д. Ф. Устинов (Москва, 1979), с. 86. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა მკვლევრები სისტემატურად ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ მოკავშირეთა მოთხოვნის გამო საბჭოთა მხარემ დაგეგმილზე ადრე დაიწყო შეტევა პოლონეთში (В. М. Кулиш, დასახ. ნაშრომი, გვ. 542; В. А. Секистов, დასახ. ნაშრომი, გვ. 402 და სხვ.), თუმცა მათ რატომღაც ავიწყდებათ, რომ შეტევის დაწყების ვადამ გადმოიწია მხოლოდ

ბერლინი. ასე რომ, ჩერჩილის პროგნოზები და იმედები ამ მიმართულებით არ გამართლდა. რაც შეეხება საკუთრივ დასავლეთის ფრონტზე განვითარებულ მოვლენებს, გერმანელებმა მართლაც გადაიყვანეს აქედან აღმოსავლეთში 6 დივიზია, თუმცა ამ დროისათვის უკვე აშკარა იყო, რომ ბრძოლა არდენებში მათ წააგეს.[33] ეს ნათელი გახდა 1945 წ. 16 იანვარს, როდესაც მოკავშირეთა ნაწილები შეერთდნენ უფალიზთან და არ გვგონია, რომ ეს საბჭოთა ჯარების დამსახურება ყოფილიყო. იანვრის ბოლოსათვის მოკავშირეებმა აღადგინეს 16 დეკემბრამდელი პოზიციები და დაიწყეს მზადება ახალი შეტევისათვის, რომელიც 8-10 თებერვლისათვის

---

8 დღით – 20 იანვრიდან 12 იანვარზე. ამ სპეკულაციას გარკვეული შედეგებიც მოჰყვა და მათ ზოგიერთმა არარუსმა მკვლევარმაც აუბა მხარი (იხ.: C. Kondapi, *Allied War Diplomacy and Strategy, 1940-1945* (Madras, 1994), p. 412). საინტერესოა, მაგრამ ამის შესახებ არაფერია ნათქვამი ოფიციალური გამოცემების შესაბამის თავებში (იხ.: *ИВОВ,* 5, с. 47-91; *ИВМВ,* 10, с. 52-87). გარდა ამისა, იანვრის დასაწყისში ჰაინც გუდერიანმა, სადაზვერვო მონაცემებზე დაყრდნობით, აღნიშნა, რომ საბჭოთა შეტევა დაიწყებოდა სწორედ 12 იანვარს (იხ.: J. S. D. Eisenhower, *The Bitter Woods*, p. 404). არ არის გამორიცხული, რომ არანაირ ვადის შეცვლას ადგილი საერთოდ არ ჰქონია, ან თუ ჰქონდა, ეს ნამდვილად ჩერჩილის წერილამდე მოხდა. თავის მხრივ, სტალინმა ყირიმის კონფერენციის მსვლელობისას განაცხადა, რომ ბრიტანელებისა და ამერიკელების მხრიდან არ ყოფილა რაიმე მოთხოვნა აღმოსავლეთის ფრონტზე შეტევის დაწყების შესახებ და საბჭოთა მხარე არ განიცდიდა რაიმე ზეწოლას ამ მიმართულებით (*Foreign Relations of the United States. Diplomatic Papers. The Conferences at Malta and Yalta* (Washington, 1957), p. 587; *Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945гг. Т. IV. Крымская конференция руководителей трех союзных держав - СССР, США и Великобритании (4-11 февраля 1945г.), Сборник документов* (Москва, 1979), с. 61-62).

[33] ჰიტლერმა არდენებში თავი დამარცხებულად სცნო და ბრძანა ძალების გამოყვანა 8 იანვარს (იხ.: *A Military History of World War II with Atlas.* V. I. *Operations in the European Theaters* (West Point, NY, 1953), p. 531), თუმცა დამარცხების მთავარ მიზეზად მან მიიჩნია მისი ბრძანებების არშესრულება (H. P. Wilmott, *The Great Crusade: A New Complete History of the Second World War* (London, 1989), p. 436).

დაიგეგმა.[34] რასაკვირველია, პოლონეთში საბჭოთა არმიის შეტევაზე გადასვლამ ხელი შეუწყო არდენებში გერმანელთა უკან დახევას,[35] მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მხოლოდ დროის თვალსაზრისით. ბრძოლის ბედი უკვე დიდი ხანია გადაწყვეტილი იყო.

ბიბლიოგრაფია

References

A Military History of World War II with Atlas, vol. I, *Operations in the European Theaters* (West Point, N.Y., 1953).

Bonn K. E., *When the Odds Were Even: The Vosges Mountains Campaign, October 1944 – January 1945* (Novato, C.A., 1994).

Breuer W. B., *Feuding Allies: The Private Wars of the High Command* (New York, 1995).

Calvocoressi P., Wint G., Pritchard J., *Total War. The Causes and Courses of the Second World War* (London, 1989).

Catherwood C., *Winston Churchill: The Flawed Genius of World War II* (New York, N.Y., 2009).

Churchill W. S., *The Second World War,* vol. 6, Triumph and Tragedy (Boston, M.A., 1953).

Clarke J. J., Smith R. R. *Riviera to the Rhine: United States Army in World War II. The European Theater of Operations* (Washington, D.C., 1993).

Cole H., *The Ardennes. Battle of the Bulge* (Washington, 1965).

Correspondence Between the Chairman of the Council of Ministers of

---

[34] D. Eisenhower, დასახ. ნაშრომი, გვ. 364.

[35] აღსანიშნავია, რომ ამერიკელების განცხადებით, საბჭოთა შეტევის წარმატება მნიშვნელოვანწილად განაპირობა სწორედ არდენებში გერმანელთა უშედეგო შეტევამ. ჯ. მარშალის თქმით, არდენის ბრძოლის შემდეგ გერმანიას არ დარჩა სტრატეგიული რეზერვები, რის გამოც ვერ მოახერხა საბჭოთა შეტევების შეჩერება პოლონეთში (იხ.: *The War Reports of General of the Army George C. Marshall, Chief of Staff, General of the Army, H. H. Arnold, Commander General Army Air Forces, Fleet Admiral Ernest J. King, Commander in Chief US Fleet and Chief of Naval Operations* (Philadelphia–New York, 1947), p. 147, 198).

the USSR and the Presidents of the USA and the Prime Ministers of Great During the Great Patriotic War of 1941-1945, Vol. 1. *Correspondence with Winston S. Churchill and Clement R. Attlee (July 1941-November 1945)* (Moscow, 1957) (in Russian).

Deborin G. A., *The Second World War* (Moscow, 1958) (in Russian).

Dunlop R., *Donovan: America's Master Spy* (Chicago-New York-San Francisco, 1982).

Dziewanewski M., *War At Any Price: World War II in Europe, 1939-1945* (Eaglewood Cliffs, N.J., 1987).

Ehrman J., *Grand Strategy. October 1944 – August 1945*, vol. VI (London, 1956).

Eisenhower D., *Crusade in Europe* (New York, NY, 1948).

Eisenhower J. S. D., *The Bitter Woods. The Dramatic Story, Told at All Echelons – from Supreme Command to Squad leader – of the Crisis that Shook the Western Coalition: Hitler's Surprise Ardennes Offensive* (New York, 1969).

Erickson J., *The Road to Berlin: Continuing the History of Stalin's War with Germany* (Boulder, CO., 1983).

Foreign Relations of the United States. Diplomatic Papers. The Conferences at Malta and Yalta (Washington, 1957).

Forty G., *Road to Berlin: The Allied Drive from Normandy* (London, 1999).

Gelb N., *Ike and Monty: Generals at War* (London, 1994).

History of the Great Patriotic War, In 6 vols, vol. 5 (Moscow, 1963) (in Russian).

History of the Second World War, In 12 vols, vol. 10, Editor-in-Chief D. F. Ustinov (Moscow, 1979) (in Russian).

Israelian V. L., *The Diplomatic History of Great Patriotic War* (Moscow, 1959) (in Russian).

Israelian V. L., *War Years' Diplomacy* (Moscow, 1985) (in Russian).

Jacobsen H., Rohwer J. *Decisive Battles of the Second World War: The German View* (New York, 1965).

Jakovlev N. N., *Franklin Roosevelt – Person and Politician. The New Reading* (Moscow, 1981) (in Russian).

Keegan J., *The Second World War* (London, 1989).

Kimball W. F., *Churchill and Roosevelt: The Complete Correspondence. Vol. III. The Alliance Declining. February 1944 – April 1945* (Princeton, N.J., 1987).

Kondapi C., *Allied War Diplomacy and Strategy, 1940-1945* (Madras, 1994).

Kulish V. M., *History of the Second Front* (Moscow, 1971) (in Russian).

Kulish V. M., *The Second Front. Operations in the Western Europe in 1944-1945* (Moscow, 1960) (in Russian).

Liddell Hart B. H., *History of the Second World War* (London, 1970);

Manteufel H. von., Ardennes, in: *The Fatal Decisions (German Generals Remember),* ed. by *P. A. Zhilin* (Moscow, 1958) (in Russian).

Michel H., *The Second World War* (New York, 1975).

Patton G. S., *War as I Knew it* (Boston, MA, 1946).

Parrish Th. D., *Roosevelt And Marshall. Partners in Politics and War. The Personal Story* (New York, 1989).

Polmar N., Allen Th. B., *World War II: America at War 1941-1945* (New York, 1991).

Rees L. *WWII, Behind the Closed Doors: Stalin, the Nazis, and the West* (New York, N.Y., 2008).

Report by the Supreme Commander to the Combined Chiefs of Staff on the operations in Europe of the Allied Expeditionary Force, 6 June 1944 to 8 May 1945 (Washington, D.C., 1946).

Rzheshevsky O. A., *History of the Second Front: War and Diplomacy* (Moscow, 1988) (in Russian).

Rzheshevsky O. A., *Stalin and Churchill. Meetings. Conversations. Discussions. Documents. Commentaries. 1941-1945* (Moscow, 2004) (in Russian).

Saunders H., *Royal Air Force 1939-1945,* vol. 3, *The Fight is Won.* With concluding chapter by *Hilary St. George Saunders* and *Denis Richards* (London, 1993).

Sekistov V. A., *War and Politics* (Moscow, 1989) (in Russian).

Smith H. R., *OSS: The Secret History of America's First Central Intelligence Agency* (Berkeley, CA., 1972).

Stewart V., *Three Against One: Churchill, Roosevelt, Stalin vs Adolph Hitler* (Santa Fe, NM., 2002).

Taylor A., *The Second World War* (London, 1975).

The Army Air Forces in World War II, vol. 3, *Europe: Argument to V-E Day. January 1944 to May 1945* (Chicago, IL, 1951),

The Great Patriotic War of the Soviet Union, 1941-1945. The Short History (Moscow, 1984) (in Russian).

The Memoirs of Field-Marshal the Viscount Montgomery of Alamein (London, 1958).

The Soviet Union at the International Conferences during the Great Patriotic War of 1941-1945, Vol. IV, *The Crimean Conference of the Heads of Three Allied States – USSR, USA and Great Britain (4-11 February 1945). The Collection of Documents* (Moscow, 1979) (in Russian).

The War Reports of General of the Army George C. Marshall, Chief of Staff, General of the Army, H. H. Arnold, Commander General Army Air Forces, Fleet Admiral Ernest J. King, Commander-in-Chief of the US Fleet and Chief of Naval Operations (Philadelphia-New York, 1947).

Toland J., *Battle. The Story of the Bulge* (New York, 1959).

Wilmott H. P., *The Great Crusade: A New Complete History of the Second World War* (London, 1989).

Teimuraz Papaskiri

The German Offensive in the Ardennes and Winston Churchill's January 6, 1945 Letter to Stalin

On December 16, 1944 the German army launched a full-scale attack at the Western Front. Thus began the Battle of Ardennes, one of the decisive battles of the final part of the Second World War. It had a great influence upon the war results. Moreover, there exists some discord regarding the evaluation of the battle. While the American and the British researchers agreed that the battle was won thanks to the firmness and heroism of the American soldiers, the Soviet historians tried to prove that it was the Soviet attack in Poland, which was launched on January 12, 1945 that played the decisive part in the success of the Western Allies. It should be mentioned that it was the British Prime Minister Winston Churchill who greatly contributed to the creation of the dispute. On January 6, Churchill wrote to his Soviet colleague and practically asked for help in order to avoid the catastrophe in the West.

Churchill's letter drew a lot of attention after the war. The Soviet historiography used this letter as a proof that the Western Allies were in a critical position in the Ardennes, and only the Soviet offensive in Poland saved them from the catastrophe. On the other side, the British and the American scholars, who clearly proved that by that time the Allies had already won

the battle in the Ardennes, in the Vosges Mountains and in Alsace, could not find any logical explanation to Churchill's deeds. Because of this, the Western historiography either ignored, or denounced Churchill's letter as "incorrect" and "ill-wise".

If we look through Churchill's January 6 letter, it is easy to assume that the Allies were in a great trouble and they needed an immediate help. At the same time, this was not true, and Churchill knew about it. It is confirmed by his January 5 letter to Stalin, where Churchill pointed out that "it is thought that we have the mastery" in the battle in Belgium; and by his January 6 letter to Roosevelt with the congratulations regarding the victory achieved in the Ardennes. It should also be mentioned that Churchill's January 9 letter to Stalin contradicts January 6 letter. Churchill said that the situation in the West was not bad and it was quite possible to throw away the Germans from the salient with great losses for them. Soviet scholars never mentioned this in their researches, although they had paid a great attention to the second part of the message containing the gratitude for the prompt answer regarding the upcoming Soviet offensive at the Eastern Front, which would assure Eisenhower that the Germans would have to divide their reserves between two fronts. Nevertheless, it should be stressed upon that there were no significant changes in the situation at the Western Front between January 6 and January 9. Churchill's January 6 letter was written when the situation in the Ardennes was not critical for the allies at all.

What were the reasons of Churchill's letter then? The British Prime Minister explained in his memoirs that Eisenhower needed the information in order to fix the dates of the Allied operations. Eisenhower had indeed sent such enquiry to the Joint Chiefs of Staff, and was answered that Stalin agreed to discuss the question with the Allied military representative. Air Marshal Tedder had been sent to Moscow, but due to the bad weather he was late by more than two weeks. As a result, Eisenhower got the answer from Churchill. Nevertheless, three points should be mentioned: 1. Eisenhower asked for the information in December, not in January, before the Allies began their counter-attack, but the British Prime Minister did not contact the Soviet leader at that time; 2. it is highly probable that Eisenhower repeated his request to Churchill during British Prime Minister's visit to the Allied Headquarters early in January, but Churchill wrote nothing about it in his January 5 letter to Stalin; 3. even if Churchill thought about Eisenhower's request while writ-

ing to Stalin, there was no need to exaggerate the situation. The Soviet leader would answer him despite the form of the enquiry, since Tedder really was late. Therefore, it is probable that Churchill had something different on his mind when he was writing this letter. Attention should be paid to the fact that at the beginning of 1945, the British and the American armies in the West and the Soviet troops in the East had to cover nearly equal distance to Berlin. Of course, Churchill wanted to forestall the Soviets in the race for Berlin. He understood it well that the ally who would take the capital of Germany would be politically in a better position after the war. It is probable that he considered it a good idea if the Soviet troops launched the full-scale offensive at the Eastern Front. Supposedly, he thought that the Germans would not allow the Soviet armies to advance significantly, and would transfer their best units from West to East. This would make it much easier for the British and the American forces to pass the Siegfried Line and cross the Rhine. However, if he had such thoughts, they proved to be incorrect because the Soviet armies attacked the German positions in Poland with such strength that in three weeks they advanced for 500 kilometres and occupied nearly the whole territory of Poland. This determined the winner of the prize, and Churchill's hopes in that direction proved to be vain.

ვასილ კაჭარავა

ეიზენჰაუერის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის პირველი ნაბიჯები

ამერიკის ისტორიაში, ალბათ, იშვიათია ისეთი გამორჩეული და შეხმატკბილებული თანამშრომლობის მაგალითი, როგორიც დუაიეტ ეიზენჰაუერისა და მისი სახელმწიფო მდივნის, ჯონ ფოსტერ დალესის, ტანდემია. როგორც სპეციალისტები აღნიშნავდნენ, მათი სახით ამერიკელმა ხალხმა საერთაშორისო ურთიერთობებში მეტად გათვითცნობიერებული ადამიანები შეარჩია და ისინი ჭეშმარიტად ერთ გუნდს წარმოადგენდნენ.[1]

უმაღლესი რანგის დიპლომატები დალესს გვარში მოსდგამდა. ბაბუამისი პრეზიდენტ ბენჯამენ ჰარისონის სახელწიფო მდივანი, ხოლო ბიძა რობერტ ლანსინგი ვუდრო ვილსონის სახელმწიფო მდივანი იყო. დალესი ახალგაზრდობიდანვე, 1919 წლის პარიზის კონფერენციის დროიდან, ჩართული იყო საერთაშორისო პოლიტიკაში. რუზველტისა და ტრუმენის დროს იგი რესპუბლიკელთა პოზიციას გამოხატავდა საერთაშორისო საქმეებში, ხოლო 1948 წელს რესპუბლიკელთა პრეზიდენტობის კანდიდატ თომას დიუის რომ გაემარჯვა, მის სახელმწიფო მდივნად მოიაზრებოდა. დალესის დასაშუმინებლად 1950 წელს ტრუმენმა იგი მაღალ თანამდებობაზე დანიშნა სახელმწიფო დეპარტამენტში და იაპონიასთან საზავო მოლაპარაკებების წარმართვა დაავალა. ერთი სიტყვით, ეს იყო განათლებული, მცოდნე, გამოცდილი ადამიანი როგორც საშინაო, ასევე საერთაშორისო საქმეებში.[2] თავად ეიზენჰაუერის აზრით კი – „ალბათ, მსოფლიოში არ არსებობდა ადამიანი, რომელსაც დალესის მსგავსი პროფესიული კომპეტენცია გააჩნდა დიპლომატიურ სფეროში“.[3]

როგორც ტიპური რესპუბლიკელი, დალესი გამოირჩეოდა თავისი

---

[1] Ch. J. Pach, Jr., E. Richardson., *The Presidency of Dwight Eisenhower* (University Press of Kansas, 1991), p. 85.

[2] W. I. Cohen, *The Cambridge History of American Foreign Relations, Volume IV. America in the Age of Soviet Power 1945-1991* (New York, 1993), p. 85.

[3] Ch. J. Pach , Jr., Elmo Richardson, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

ანტიკომუნისტობით, მაგრამ, იზოლაციონისტი კონსერვატორი რესპუბ-ლიკელებისგან განსხვავაებით, აქტიური ინტერნაციონალისტური პოლი-ტიკის სულისჩამდგმელი იყო. სახელმწიფო მდივნის რანგში, პირველივე ტელეგამოსვლაში, დალესმა რუკაზე აჩვენა კომუნიზმის გავლენის სფე-როები და აღნიშნა, რომ „აშშ-ს არ შეუძლია პასიურად უყუროს, თუ რო-გორ იპყრობენ და ღირსებას ყრიან ჩვენი ქრისტიანული ცივილაზაციის აკვანს“.[4]

რაც შეეხება თავად ეიზენჰაუერს, ჯერ ომის დროს მოკავშირეთა, შემდეგ კი ნატოს ჯარების სარდლობისას მან უდიდესი საერთაშორისო გამოცდილება შეიძინა. პირადად იცნობდა ყველა წამყვან ლიდერს ევრო-პაში, მათ შორის, უინსტონ ჩერჩილს, შარლ დე გოლს, იოსებ სტალინს, კონრად ადენაუერს, კლემენტ ეტლის და მრავალ სხვას. იგი სხვადასხვა დროს ცხოვრობდა ფილიპინებზე, პანამაში, საფრანგეთში, ინგლისსა და ალჟირში, იმოგზაურა ახლო აღმოსავლეთში, საბჭოთა კავშირში, იაპო-ნიასა და ჩინეთში.

შეუძლებელია არ დავეთანხმოთ ცნობილ ამერიკელ ისტორიკოსს არტურ შლესინჯერს, რომ ეიზენჰაუერი ცივი ომისთვის ყველაზე უკეთ მომზადებული პრეზიდენტობის კანდიდატი, შემდეგ კი პრეზიდენტი იყო, რომელმაც კარგად იცოდა ომის სამხედრო ნიუანსები, რათა უმნიშვნე-ლი მიზეზით არ გაეგზავნა ჯარები საბრძოლველად, კარგად ერკვეოდა სამხედრო ბიუჯეტში და იმასაც ხვდებოდა, რომ ამერიკას ბირთვული იარაღი უფრო იაფი დაუჯდებოდა, ვიდრე დიდი არმიის შენახვა. ამა-ვე დროს, ზოგჯერ მისი პასიურობა საერთაშორისო ურთიერთობებში არცთუ ისე ცუდი იყო, მაგალითად, ჯონ კენედისგან განსხვავებით, რო-მელმაც ჩვეულებრივი შეიარაღება გაზარდა და ვიეტნამის მოვლენებში ჩაითრია ამერიკა.[5]

ჩვენი მხრივ დავამატებდით, რომ ეიზენჰაუერი არ იყო უბრალოდ კარგი გენერალი – მოკავშირეთა მთავარსარდლის ფუნქციებს ხშირად უფრო პოლიტიკური, დიპლომატიური და ორგანიზაციული დატვირთ-ვა ჰქონდა, რამაც, ბუნებრივია, დიდი გამოცდილება შესძინა მას, რაც მართლაც ფასდაუდებელი იყო ცივი ომის კრიტიკულ წლებში. მის ახალ-

---

[4] А. Уткин, *Мировая холодная война* (Москва, 2005), с. 542.

[5] A. M. Schlesinger, Jr., *The Cycles of American History* (Boston, 1986), p. 394.

გაზრდა, ამბიციურ და საერთაშორისო საქმეებში შედარებით გამოუცდელ მემკვიდრეს, ჯონ კენედის, მართლაც აკლდა ეს თვისებები და ბევრი შეცდომაც დაუშვა. მაგალითად, არ დაეხმარა ავიაციით კუბელ ემიგრანთა დესანტს ე.წ. ღორების ყურეში. ეიზენჰაუერი ან საერთოდ არ ჩაატარებდა ამ ოპერაციას, ან, კრიტიკულ მომენტში, როგორც ნამდვილი სამხედრო, არ მიატოვებდა ჯარებს განსაცდელისა და მარცხის წინაშე (სხვათა შორის, იგი ასეც მოიქცა 1954 წელს გვატემალის ოპერაციის დროს და სწორედ ავიაციის მხარადაჭერამ განაპირობა ცენტრალური საადაზვერვო სააგენტოს მიერ ორგანიზებული ამბოხების წარმატება). არ არის გამორიცხული, რომ სწორედ კენედის მაშინდელმა სისუსტემ განაპირობა შემდგომში საბჭოთა ავანტიურა კუბაზე და მისგან გამომდინარე სარაკეტო კრიზისიც.

ეიზენჰაუერისა და დალესის თანამშრომლობა საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყო. თავის ადმინისტრაციაში ყველაზე კარგი ურთიერთობა ეიზენჰაუერს სახელმწიფო მდივანთან ჰქონდა და იგი არ მარტო ფორმალურად, არამედ რეალურადაც „პირველი ვეზირი“ იყო.

ბევრს ლაპარაკობდნენ დალესის უკომპრომისობაზეც, რომელიც თვლიდა, რომ ერთ მხარეს აუცილებლად უნდა გაემარჯვა მეორის დამარცხების ხარჯზე. ეიზენაჰაუერი კი უფრო დამთმობი იყო და სჯეროდა, რომ ორივე მხრისათვის მისაღები გადაწყვეტილებების მიღებაც შეიძლებოდა. როგორც თეთრი სახლის აპარატის უფროსი, შერმან ადამსი წერდა – „1953-1959 წლებში საბჭოთა კავშირსა და კომუნისტურ ჩინეთთან უკომპრომისო, მკაცრი პოლიტიკა უფრო დალესის ხაზი იყო, ვიდრე ეიზენჰაუერის“. თუმცა ამ განსხვავების გაზვიადება არ იქნებოდა სწორი. პრეზიდენტს კარგად ესმოდა ცივი ომის პრობლემები და უბრალოდ „კარგი და ცუდი პოლიციელის“ თამაშს არჩევდა.[6]

ეიზენჰაუერის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ბიოგრაფი სტეფენ ამბროუზიც თვლიდა, რომ დალესი ბევრს მოგზაურობდა და თითქოს თავისი ინიციატივით მოქმედებდა, მაგრამ, სინამდვილეში, პრეზიდენტის ინსტრუქციებს ასრულებდა და ძირითადად მის გზავნილებს ახმოვანებდა.[7]

---

[6] J. M. Blum, W. S. McFeely, E. S. Morgan, A. M. Schlesinger, Jr., K. M. Stamp, C. Vann Woodward, *The National Experience. A History of the United States* (San Diego, N.Y., 1989), p. 725.

[7] S. E. Ambrose, *Eisenhower, vol. II, The President* (New York, 1984), p. 50.

მიუხედავად დალესის პიროვნების უდიდესი მნიშვნელობისა, პრეზიდენტი მკაცრად აკონტროლებდა საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს. იგი უდიდეს ყურადღებას ანიჭებდა ჯერ კიდევ 1947 წელს ჩამოყალიბებული ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ეფექტურ საქმიანობას. სწორედ მის დროს შეიქმნა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლის თანამდებობა. საბჭოში შედიოდნენ აგრეთვე საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრები, გაერთიანებული შტაბების თავმჯდომარე და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ხელმძღვანელი. პრეზიდენტი თითქმის ყოველ კვირას მართავდა ამ საბჭოს თათბირებს და რვა წლის მანძილზე მხოლოდ ოცი შეხვედრა გააცდინა ავადმყოფობის გამო.

მაგრამ ეიზენჰაუერ-დალესის ტანდემს უთანხმოება ჰქონდა მემარჯვენე, იზოლაციონისტ რესპუბლიკელებთან, რომლებიც ჩიოდნენ – „ნუთუ რუზველტის და ტრუმენის 20-წლიანი ღალატის პოლიტიკა ეიზენჰაუერის დროსაც გაგრძელდება“.[8] ეს უნდობლობა საგარეო საქმეებში პრეზიდენტების უფლებამოსილებისადმი იქამდეც კი მივიდა, რომ 1953 წელს დადგა კონსტიტუციის VI მუხლის (რომლის მიხედვით საერთაშორისო ხელშეკრულებები უმაღლესი კანონი იყო ქვეყნისათვის) შესწორების იდეაც. კონსერვატორ რესპუბლიკელებს მიაჩნდათ, რომ ეს მუხლი შტატების უფლებებსაც არღვევდა. მაგალითად, სამხრეთელი კანონმდებლები შიშობდნენ, რომ ადამიანის უფლებათა დეკლარაციისადმი ერთგულება, გაეროს ფარგლებში, წინააღმდეგობაში მოვიდოდა სამხრეთის შტატებში არსებულ სეგრეგაციულ პოლიტიკასთან. ამავე დროს, 1944 წლის იალტის კონფერენციის შედეგებით უკმაყოფილო კანონმდებლებს სურდათ, გარკვეულად შეეზღუდათ პრეზიდენტის უფლებამოსილებანი საერთაშორისო ურთიერთობებში. ამ შესწორების ინიციატორად გამოდიოდა სენატორი ოჰაიოდან ჯონ ბრიკერი, რომელსაც 67 სენატორი უჭერდა მხარს, მათ შორის 44 რესპუბლიკელი. პროექტი საკმაოდ ბუნდოვანი იყო და ზოგს ისიც ეგონა, რომ აშშ-ის საერთაშორისო ხელშეკრულებები ორმოცდარვავე შტატს უნდა დაემტკიცებინა. ეიზენჰაუერს შესწორება აბსურდულად მიაჩნდა და ძლივს მოახერხა ამ იდეის შეჩერება.

როდესაც ეიზენჰაუერი პრეზიდენტი გახდა, მთავარ ამოცანად ქვეყ-

---

[8] W. I. Cohen, *The Cambridge History of American Foreign Relations, Volume IV. America in the Age of Soviet Power 1945-1991,* (New York, 1993), p. 86.

ნის უსაფრთხოების დაცვა დაისახა და, საერთოდ, ერჩია უფრო საგარეო საქმეებით ყოფილიყო დაკავებული. ეს მის საინაუგურაციო გამოსვლაშიც აისახა, რომელშიც საერთაშორისო პრობლემებს და ამერიკის როლს მათ გადაწყვეტაში, არსებული ტრადიციიდან გამომდინარე, არაადეკვატურად დიდი ადგილი დაეთმო,[9] რასაკვირველია, მისი წინამორბედების, რუზველტისა და ტრუმენის ომისდროინდელ გამოსვლებს თუ გამოვრიცხავთ. ეს მის ფინანსთა მინისტრს ჰემფრისაც მოხვდა თვალში, რომელსაც, კაბინეტის სხვა წევრებთან ერთად, პრეზიდენტმა კომენტარები სთხოვა ამ გამოსვლის ტექსტის პროექტის შესახებ. შლესინჯერიც თვლიდა, რომ ეიზენჰაუერს მცირე და სპონტანური ინტერესი ჰქონდა საშინაო საქმეებისადმი და ამ სფეროში იგი მხოლოდ იმას აკეთებდა, რასაც მისი უშუალო მოვალეობა მოითხოვდა.[10]

საინაუგურაციო გამოსვლაში პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ „ჩვენ დაკავშირებული ვართ ყველა თავისუფალ ადამიანთან არა მარტო კეთილშობილი იდეის გამო, არამედ უბრალო აუცილებლობით... თავისუფალ ადამიანთა ერთიანობის შესაქმნელად, ჩვენი დროის გამოწვევების დასაძლევად, ბედისწერამ ჩვენს ქვეყანას დააკისრა თავისუფალი სამყაროს ლიდერობა“.[11] ამ მიზნის მისაღწევად:

1. იგი უარყოფდა ომს, როგორც არსებული პრობლემების გადაწყვეტის საშუალებას და აუცილებელ პირობად მიიჩნევდა ქვეყნის ძლიერების ზრდას აგრესიული ძალების შესაჩერებლად და მშვიდობის დასამყარებლად.

2. არ უნდა მომხდარიყო აგრესორის დაშოშმინება ცრუ და უზნეო შეთანხმებით, როდესაც ღირსება უსაფრთხოებაზე გაიცვლება. „ყველა თავისუფალ ადამიანს ახსოვს, რომ ჯარისკაცის ტომარა დატყვევებულის ჯაჭვზე მძიმე არ არის“.

3. აშშ-ის ძლიერება და უსაფრთხოება მიაჩნდა მსოფლიოს თავისუფალ ადამიანთა იმედის საფუძვლად, რადგანაც მხოლოდ მას შესწევდა ძალა გადაერჩინა თავისუფალი სამყარო.

---

[9] *Inaugural Addresses of the Prersidents of the United States from George Washington 1789 to John F. Kennedy 1961* (Washington, D.C., 1961), p. 257-262.

[10] A. M. Schlesinger, Jr., დასახ. ნაშრომი, გვ. 392.

[11] *Inaugural Addresses of the Presidents of the United States from George Washington 1789 to John F. Kennedy*, გვ. 259-260.

4. ყველა ერის თვითმყოფადობის პატივისცემის საფუძველზე დაყრდნობით, ამერიკამ არასოდეს უნდა გამოიყენოს ძალა, რათა სხვა ერებს თავს მოახვიოს საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტები.

5. ამერიკამ რეალისტურად უნდა განსაზღვროს თავისუფლების მომხრეთა შესაძლებლობები და უნდა დაეხმაროს მათ უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის დაცვაში. თუმცა მათაც უნდა გაიღონ რესურსები თავისუფლების საერთო ინტერესების დასაცავად.

6. სამხედრო ძალის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ამერიკამ ხელი უნდა შეუწყოს წარმოებასა და მოგებიან ვაჭრობას. ერთი ერის გაღატაკებაც კი საფრთხეა ყველა სხვა ხალხების კეთილდღეობისათვის.

7. გაეროს ეგიდით ხელი უნდა შეუწყონ თავისუფალი ერების რეგიონალურ გაერთიანებებს და ამერიკამ ყველა რეგიონში, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაბაბისი ორგანიზაციები უნდა ჩამოაყალიბოს.

8. ამერიკა ყველა ხალხსა და კონტინენტს ერთი საზომით უნდა მიუდგეს და უნდა გამორიცხოს განსხვავება რასობრივი ან ეროვნული ნიშნით (ეს მაშინ, როდესაც აშშ-ის სამხრეთში ლამის ოფიციალური აპართეიდია გამეფებული – ვ.კ.).

9. ამერიკამ ყველაფერი უნდა იღონოს, რათა გაერო, როგორც ყველა ერის მშვიდობის შენარჩუნების იმედი, არა მარტო სიმბოლოდ, არამედ ეფექტურ ძალად იქცეს.[12]

1953 წელს პრეზიდენტმა თავისი პირველი ყოველწლიური მიმართვა კონგრესისადმი, ინაუგურაციის მსგავსად, საერთაშორისო საკითხებით დაიწყო და სამხედრო უსაფრთხოებით გააგრძელა. გარკვეულწილად, გაიმეორა და განავრცო კიდეც საინაუგურაციო სიტყვის ნაწილი და აღნიშნა, რომ წინა ომის გაკვეთილების მთავარი შედეგი ისაა, რომ „თავისუფალმა სამყარომ არ უნდა მისცეს საშუალება აგრესორს, თავად შეარჩიოს შეტევის დრო და ადგილი, რათა მინიმალური მსხვერპლით მიაღწიოს თავის აგრესიულ მიზნებს“. ხაზი გაუსვა ახალი ამერიკული საგარეო პოლიტიკის გლობალურ ხასიათს და იმას, რომ თავისუფლების დაცვა ისევე მნიშვნელოვანი აზიაში, როგორც ევროპასა და ამერიკის

[12] *Inaugural Addresses of the Prersidents of the United States from George Washington 1789 to John F. Kennedy,* გვ. 260-261.

კონტინენტზე. აღნიშნა, რომ ამერიკა მსოფლიოს უსაფრთხოებისთვის ყველა მშვიდობიან მეთოდს გამოიყენებდა, მაგრამ ვერ შეეგუებოდა აგრესორი სახელმწიფოს მიერ სხვა ერების დამონებას. ამასთან დაკავშირებით კონგრესს სთხოვა შესაბამისი რეზოლუციის მიღება, რომელიც უკანონოდ ჩათვლიდა წარსულში მთავრობის ნებისმიერ საიდუმლო შეთანხმებას მსგავს ქვეყნებთან. ისიც აღნიშნა, რომ ამერიკასავით ძლიერ ქვეყნასაც კი არ შეეძლო მარტო დაეცვა თავისუფლება კომუნისტური აგრესიისგან და მოკავშირეებს მეტი აქტიურობისკენ მოუწოდა. ნაყოფიერი საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებელ წინაპირობად მიაჩნდა საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოება, რისთვისაც კონგრესს საბაჟო პროცედურების გამარტივება მოსთხოვა.[13]

მეტად საინტერესო იყო ეიზენჰაუერის პასუხი სტალინის შემდგომი საბჭოთა ხელმძღვანელობის მშვიდობიან ინიციატივებზე, ე.წ. „მშვიდობიან შეტევაზე". 1953 წლის 16 აპრილს ამერიკული გაზეთების რედაქტორების წინაშე გამოსვლისას – „შანსი მშვიდობისათვის" – ეიზენჰაუერმა ხატოვნად ისაუბრა მშვიდობის მნიშვნელობაზე მთელი მსოფლიოსთვის, რასაც ხელს უშლიდა მსოფლიოს ორ ბანაკად დაყოფა. მშვიდობის აუცილებელ პირობად მან ერებს შორის კეთილგანწყობა და თანამშრომლობა აღიარა. თუმცა, ამერიკელთა აზრით, ყველა ერმა თავად უნდა შეარჩიოს ქვეყნის მართვის ფორმები და სრულიად მიუღებელია სხვა ერებისადმი მმართველობის საკუთარი ფორმის თავზე მოხვევა. ეიზენჰაუერმა ისიც დასძინა, რომ ხანგრძლივი მშვიდობა ვერ მიიღწეოდა სამხედრო შეიარაღებაში შეჯიბრით. ხაზი გაუსვა, რომ თავისუფალი სამყარო ომის ჭრილობების მოშუშებითა და შემოქმედებითი შრომითა იყო დაკავებული, ხოლო საბჭოთა კავშირი ძალის მეშვეობით ჩაგრავდა მეზობელ ქვეყნებს და ყველა გზით ცდილობდა სხვებზე ძალაუფლების განმტკიცებას, რასაც, უარეს შემთხვევაში, შეიძლება ატომური ომი მოჰყოლოდა, უკეთესში კი – შიშითა და უნდობლობით სავსე ცხოვრება. მისი თქმით, შეჯიბრი შეიარაღებაში ამერიკულ და საბჭოთა სისტემასაც შეასუსტებდა და არ მისცემდა მათ აყვავებისა და ბედნიერების საშუალებას. ამ აზრების დასასაბუთებლად ეიზენჰაუერმა მოიშველია ამერიკელთათვის ესოდენ საყვარელი გამოთვლები და შედარებები, რომ ერთი მძიმე ბომბდამშენი აგურით აშენებულ 30 სკოლას, საშუალო სიმძლავრის ელექტროსადგურს

[13] http://www.presidency.ucsb.edu/ws/index.php?pid=9829

ან ორ კარგად მოწყობილ საავადმყოფოს უდრის.

ეიზენჰაუერი იმედს გამოთქვამდა, რომ სტალინის გარდაცვალების შემდეგ ახალი ერა დაიწყებოდა, მათ შორის კომუნისტური სამყაროსთვისაც, რომელიც 800 მილიონ ადამიანს შეადგენს. მიაჩნდა, რომ საბჭოთა კავშირის ახალი ხელმძღვანელობა შეძლებდა ბევრი რამის გამოსწორებას. უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად მიაჩნდა განიარაღების პროცესის დაწყება, შეთანხმება იარაღის წარმოების შემცირებაზე, საერთაშორისო კონტროლის დამყარება ატომურ ენერგიაზე მისი მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით გამოყენებისათვის და მომავალში ატომური იარაღის აკრძალვისთვის, ამ პროცესის კონტროლისთვის კი გაერთიანებული ერების სტრუქტურების გამოყენება.

სამაგიეროდ, მსოფლიოს სიღატაკის წინააღმდეგ მიმართული ტოტალური ომისკენ მოუწოდებდა, ამის დამადასტურებელი ახალი გზები და სკოლები, საავადმყოფოები და სახლები, საკვებსა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა იქნება.

პრეზიდენტი ხაზს უსვამდა, რომ ამერიკა მზად იყო ამისთვის. მთავარი იყო საბჭოთა კავშირის კონკრეტული ნაბიჯები: იყო თუ არა იგი მზად მშვიდობისათვის აზიაში, მისცემდა თუ არა თავისუფალი არჩევნების საშუალება აღმოსავლეთ ევროპის ხალხებს, დათანხმდებოდა თუ არა განიარაღებას. თუ არა და, სად იყო კონკრეტული ფაქტები, რომ სსრკ-ს ადარდებდა მშვიდობა? დასასრულ, პრეზიდენტი რწმენას გამოთქვამდა, რომ მშვიდობის სურვილი რუს და ჩინელ ხალხში ისეთივე იყო, როგორც ამერიკელებში.[14]

ამავე წლის 8 დეკემბერს ეიზენჰაუერი უფრო კონკრეტული წინადადებითაც გამოვიდა გაერთიანებული ერების ასამბლეაზე – „ატომი მშვიდობისათვის“. ამ ტექსტსა და შეთავაზებებს რამდენიმე თვე ამზადებდა ექსპერტთა ჯგუფი და თურმე ტექსტის პროექტის 33 ვარიანტი არსებობდა.[15] პრეზიდენტი აღნიშნავდა, რომ ამერიკას ბევრი ატომური ბომბი ჰქონდა და შეძლებდა უდიდესი ზიანის მიყენებას მოწინააღმდეგე მხარისთვის, რომ ამერიკული შურისძიება აბსოლუტურად გამანადგურებე-

[14] http://www.edchange.org/multicultural/speeches/ike_chance_for_peace.html

[15] R. A Divine , *Eisenhower and the Cold War* (Oxford, New York, Toronto, 1981), p. 112.

ლი იქნებოდა აგრესორისთვის. მაგრამ, ხაზს უსვამდა იმ რეალობას, რომ არც ერთი სახელმწიფო ბოლომდე დაცული არ იყო და, საბოლოო ჯამში, ორი ძალის ატომურ დაპირისპირებას საერთოდ ცივილიზაციის მოსპობა შეიძლება მოჰყოლოდა. ამიტომაც მოუწოდებდა ამ დამანგრეველი ენერგიის მხოლოდ მშვიდობიანი საქმიანობის სამსახურში ჩაყენებას და, გაეროს ეგიდით, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს შექმნას, რომელიც 1957 წელს შეიქმნა კიდეც.[16]

ეიზენჰაუერის ადმინისტრაციამ შეიმუშავა ეროვნული უსაფრთხოების ახალი პოლიტიკაც, რომელიც „ახალი ხედვის" სახელითაა ცნობილი. მმართველობის პირველივე წელს გამოიკვეთა ეიზენჰაუერის მცდელობა, შეემცირებინა ტრუმენის ადმინისტრაციის სამხედრო ხარჯები, რაც დაიგეგმა კიდეც 1954 წლის საფინანსო ბიუჯეტში. ამ იდეას მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავდა და იგი არც ისე ადვილი განსახორციელებელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკელთა ეს დანაპირები დაბალანსებული ბიუჯეტისთვის კეთდებოდა, აქ თვით დალესიც კი დაუპირისპირდა პრეზიდენტს და არწმუნებდა, რომ სამხედრო ხარჯების შემცირება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებული კრიზისის დასრულების ილუზიას შექმნიდა. თანაც ევროპელებიც მოინდომებდნენ სამხედრო ბიუჯეტის შემცირებას და ეს ნატოს სულისკვეთებაზე ცუდად იმოქმედებდა. ტრუმენის ადმინისტრაციის ყოფილმა ელჩმა ინდოეთში, ჩესტერ ბოულესმა, სასოწარკვეთილმა წარმოთქვა: „ნუ ვათქმევინებთ მომავალ ისტორიკოსებს, რომ II მსოფლიო ომის შემდგომ მეორე ათწლეულში თავისუფლება მსოფლიოში დაბალანსებული ბიუჯეტის გამო მოკვდა".[17]

ეიზენჰაუერი კი თავის ოპონენტებს უმტკიცებდა, რომ ჯანსაღი ეკონომიკის გარეშე, რომელიც დაბალანსებულ ბიუჯეტზე უნდა იყოს დაფუძნებული, უსაფრთხოებაც ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი. ისიც დაამატა, რომ სამხედრო ძალა ქვეყნის თავდაცვის მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტია, თანაც, თუ სამხედრო ხარჯებს არ შეამცირებდნენ, მოუწევდათ ვეტერანთა, სოციალური უზრუნველყოფის ან ფერმერთა პროგრამების ხარჯების შემცირება. ეს რიტორიკა გულზე ხვდებოდა „ახალი

[16] http://www.americanrhetoric.com/speeches/dwightdeisenhowera-tomsforpeace.html

[17] E. F. Goldman, *The Crucial Decade – And After, America ,1945-1960* (New York, 1960), p. 283.

კურსის“ მოძულე რესპუბლიკელებს და ალბათ, დალესსაც, მაგრამ პრეზიდენტმა მაინც თავისი გაიტანა და 1954 წლის 12 იანვარს სწორედ დალესმა გააჟღერა „მასობრივი შურისძიების“ იდეა – „ჩვენ სახლებს კი ვკეტავთ, მაგრამ ყოველი სახლის წინ შეიარაღებულ დაცვას არ ვაყენებთ. საზოგადოებას საკმარისი ძალა და აღჭურვილობა აქვს, რომ უვნებელყოს და დასაჯოს დამნაშავე. ეს არის მაქსიმალური უსაფრთხოების ზომიერ ფასად მიღწევის თანამედროვე საშუალება. იმავეს აპირებს ეიზენჰაუერის ადმინისტრაცია ეროვნული უსაფრთხოების საკითხში. ადგილობრივი თავდაცვა მუდამ მნიშვნელოვანი იქნება, მაგრამ ვერავითარი ადგილობრივი დაცვა ვერ შეაკავებს კომუნისტების უზარმაზარ სახმელეთო ძალებს. ადგილობრივი თავდაცვა უნდა გაძლიერდეს მასობრივი შურისძიების შემაკავებელი ძალით. პოტენციურმა აგრესორმა უნდა იცოდეს, რომ მას არ მიეცემა შესაძლებლობა, მუდამ თავად შეარჩიოს ბრძოლის ხელსაყრელი პირობები“.[18]

„ახალი ხედვის“ მიხედვით, ატომური იარაღი უფრო იაფი და უფრო ეფექტიანიც იყო და მის ხარჯზე შეიძლებოდა ძვირად ღირებული ჩვეულებრივი შეიარაღებისა და არმიის შემცირება. ეს კი, ბიუჯეტის შემცირებასთან ერთად, მტერსაც დააფრთხობდა. კონკრეტულად, იგულისხმებოდა 1957 წლისთვის სახმელეთო ჯარების შემცირება 20-დან 14 დივიზიამდე და ცოტა უფრო ნაკლები შემცირება ფლოტში. სამაგიეროდ, ავიაცია, რომელიც ძირითადად სსრკ-სა და ჩინეთზე იქნებოდა მიმართული, 115-დან 137 ესკადრილიამდე გაიზრდებოდა, მათ შორის, ატომური იარაღით აღჭურვილი შორეული მანძილის სუპერბომბდამშენები. როდესაც ეს გეგმა განხორციელდა, მართლაც მოხერხდა სამხედრო ბიუჯეტის 35-დან 31 მილიარდ დოლარამდე შემცირება. სქემა მართლაც კარგად გამოიყურებოდა, სანამ საბჭოთა კავშირმა „სპუტნიკი“ გაუშვა ორბიტაზე.

გარკვეულწილად, ასევე ბიუჯეტის შემცირებას (ამერიკელი ჯარისკაცის შენახვა წელიწადში 3 515 დოლარი ჯდებოდა, როდესაც ბერძენი ჯარისკაცის – 424, ხოლო პაკისტანელის – 485 დოლარი) და საერთაშორისო უსაფრთხოების ზრდას ემსახურებოდა რეგიონალური სამხედრო ბლოკების ჩამოყალიბებაც, მაგალითად, 1954 წლის სექტემბერში სამხრეთ-აღმოსავლეთის ხელშეკრულების ორგანიზაციის (სეატო) შექმ-

[18] http://www.everything2.com/index.pl?node=John%20Foster%20Dulles%20on%20Massive%20Retaliation%20

ნა, რომელშიც ამერიკასთან ერთად ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრალია, ახალი ზელანდია, პაკისტანი, ტაილანდი და ფილიპინები გაერთიანდნენ.

1953-1954 წლებში გამოკვეთილი საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტები ეიზენჰაუერის ადმინისტრაციის შემდგომ წლებზეც გავრცელდა და პრეზიდენტის თითქმის ყველა გამოსვლასა თუ ქმედებაში დომინირებდა. კიდევ უფრო მეტად ეხებოდა საერთაშორისო საკითხებს მისი მეორე საინაუგურაციო გამოსვლა 1957 წლის 21 იანვარს, რომელზეც თავად სახელწოდებაც კი მიუთითებდა – „მშვიდობის ფასი".[19] ეს ტენდენცია, კონგრესისადმი მისი ყველა ყოველწლიური მიმართვის ლაიტმოტივი იყო.

ალბათ, არ არსებობდა პრეზიდენტის სიტყვა ნებისმიერ თემაზე თუ მისი ქმედება, რომ იგი ცივი ომის საფრთხისთვის არ დაეკავშირებინა. მაგალითად, 1958 წლის მიმართვაში კონგრესისადმი მეცნიერებისა და განათლების სისტემის გაუმჯობესების აუცილებლობაც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას დაუკავშირა.[20] 1958 წლის 30 აპრილს, ამერიკის სავაჭრო პალატის ყოველწლიურ კონვენტზე გამოსვლისას, აღნიშნა, რომ ამერიკის უსაფრთხოების გარანტი არა მარტო იარაღი, არამედ ამერიკის ეკონომიკაც იყო.[21]

იმავე, 1958 წელს, რესპუბლიკელ ამერიკელ ქალთა მეექვსე კონფერენციაზე გამოსვლისას, ასაბუთებდა რა მშვიდობისადმი ძალისხმევას, აღნიშნა: „ბუნებრივია, რომ დედებს არ უნდათ მათი შვილები ბრძოლის ველზე დაიღუპონ, ეს არც მათ მამებს უნდათ და დავამატებდი, რომ ეს არც თავად შვილებს უნდათ".[22]

ალბათ, უამრავი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეიზენჰაუერის ადმინისტრაციის ასეთი ქმედება არა მარტო ეიზენჰაუერის პირადი სურვილი, არამედ, არსებული ობიექტური რეალობიდან გამომდინარე, ამერიკული საზოგადოებისა და მთელი თავისუფალი სამყაროს უდიდესი ნაწილის დაკვეთის შედეგი იყო.

---

[19] *Inaugural Addresses of the Prersidents of the United States from George Washington 1789 to John F. Kennedy,* გვ. 263-266.

[20] *Public Papers of the Presidents of the United States. Dwight D. Eisenhower, 1958, Containing the Public Messages, Speeches, and Statements of the President,* (US Government Printing Office, 1959), p. 2-15.

[21] იქვე, გვ. 363-366.

[22] იქვე, გვ. 224.

აღნიშნული წყაროები და, რაც მთავარია, ადმინისტრაციის მოქმედება საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ რესპუბლიკური ადმინისტრაცია კარგად იყო მომზადებული რთული საერთაშორისო საკითხების გადასაწყვეტად, მით უმეტეს, რომ რესპუბლიკელები თითქმის 20 წელი იყვნენ ჩამოცილებული უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებას. საერთოდ, ამაზე მცირე ინტერვალის შემდეგაც ახალ ადმინისტრაციას დიდი დრო, ზოგჯერ წელიწადზე მეტიც სჭირდება მთავარი საერთაშორისო პრიორიტეტების ჩამოსაყალიბებლად, გავიხსენოთ თუნდაც ბილ კლინტონის ადმინისტრაცია.

ეიზენჰაუერის ადმინისტრაციის გამოცდილმა ლიდერებმა მალე გაართვეს თავი ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას – კორეის ომს და, ამავე დროს, ამერიკის საერთაშორისო კურსის სტრატეგიული გეგმაც ჩამოაყალიბეს, რომელიც კომუნისტური საფრთხისადმი დაპირისპირების იდეოლოგიურ, დიპლომატიურ, სამხედრო და ეკონომიკურ პროგრამას მოიცავდა. კერძოდ კი, ამერიკამ კიდევ უფრო გააღრმავა და დაასაბუთა საკუთარი ლიდერობის თეზისი თავისუფალი სამყაროს გადარჩენის საქმეში. საბჭოთა კავშირის დემაგოგიურ, ე.წ. მშვიდობიან შეტევას თავისი კონკრეტული ალტერნატივა დაუპირისპირა ეფექტიანი და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის გეგმის სახით; გააუმჯობესა თანამშრომლობა თავის მოკავშირეებთან; ცივი ომის ვითრებაში მოახერხა თავდაცვის ხარჯების შემცირება და ამავე დროს საკმაოდ ძლიერი თავდაცვის სისტემის შექმნა. ატომური ომის უპერსპექტივობა და მშვიდობის უალტერნატივობა, რაც დღეს ლამის აქსიომად ჟღერს, სახელმწიფო დონეზე ერთ-ერთმა პირველმა სწორედ ეიზენაჰაუერმა გაახმოვანა და, რაც მთავარია, კონკრეტული ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ეიზენჰაუერის ადმინისტრაციის პირველმა ნაბიჯებმა საკმაოდ მყარი საფუძველი შექმნა მისი შემდგომი საქმიანობისთვის და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა კიდეც ამერიკის ადგილი და მისია საერთაშორისო პოლიტიკაში. ეიზენჰაუერის ადმინისტრაცია შემდგომ წლებშიც საკმაოდ წარმატებით ატარებდა ცხოვრებაში თავისი მმართველობის პირველ პერიოდში შემუშავებულ გეგმას, რამაც მსოფლიოს თავიდან ააცილა მესამე მსოფლიო ომი, გაამყარა ამერიკის საერთაშორისო პოზიციები და, თავის მმართველობის პერიოდში მაინც, შეაჩერა კომუნისტების შემდგომი ექსპანსია პლანეტზე. ამას, რასაკვირველია, სტალინის სიკვდილმაც შეუწყო ხელი – მისი დონის ლიდერი კომუნისტებს აღარ ჰყავდათ. ტრუმენის ადმინისტრაციისაგან განსხვავებით,

ეიზენჰაუერის დროს პლანეტაზე არც ერთი ახალი კომუნისტური რეჟიმი არ შექმნილა. ბუნებრივია, ადმინისტრაციას წარუმატებლობაც ჰქონდა, თუნდაც კუბის რევოლუცია. როგორც ჩანს, ამერიკა მეტისმეტად თვით-დაჯერებული იყო ამ რეგიონში და ვერ განსაზღვრა ბატისტას რეჟიმთან ბრძოლის შედეგად წარმოქმნილი მემარცხენე რადიკალიზმის საფრთხე. საბჭოთა კავშირმა კი პირიქით, საკმაოდ კარგად აუღო ალღო შექმნილ ვითარებას და აქტიურად ჩაერთო კუბის მოვლენებში.

ბიბლიოგრაფია

References

Inaugural Addresses of the Prersidents of the United States from George Washington 1789 to John F. Kennedy 1961 (Washington, D.C., 1961).

Public Papers of the Presidents of the United States. Dwight D. Eisenhower, 1958, Containing the Public Messages, Speeches, and Statements of the President., (Washington, D.C.,1959).

S. E. Ambrose, *Eisenhower, vol. II, The President* (NewYork,1984).

W. I. Cohen, *The Cambridge History of American Foreign Relations, Volume IV. America in the Age of Soviet Power 1945-1991*, (New York, 1993).

J. M. Blum, W. S. McFeely, E. S. Morgan, A. M. Schlesinger, Jr., K. M. Stamp, C. Vann Woodward , *The National Experience. A History of the United States* (San Diego, N.Y., 1989).

R. A. Divine, *Eisenhower and the Cold War* (Oxford, New York, Toronto, 1981).

E. F. Goldman, *The Crucial Decade – And After, America ,1945-1960* (New York, 1960).

C. J. Pach , Jr., E. Richardson, *The Presidency of Dwight Eisenhower* (University Press of Kansas, 1991).

A. M. Schlesinger, Jr., *The Cycles of American History* (Boston, 1986).

А. Уткин, Мировая холодная война, (Москва, 2005).

http://www.americanrhetoric.com/speeches/dwightdeisenhowera-tomsforpeace.html

http://www.presidency.ucsb.edu/ws/index.php?pid=9829

http://www.edchange.org/multicultural/speeches/ike_chance_for_peace.html

Vasil Kacharava

The First Steps in the Foreign Policy of the Eisenhower Administration

The present paper is an attempt to discuss – on the basis of the official documents of President Dwight Eisenhower and other materials related to the work of his administration – the priorities of international policy and the system of security worked out in the first years of his presidency.

It is probably hard to find another example in the history of the USA as such distinguished tandem working in harmony as that of Eisenhower and his Secretary of State John Foster Dulles. As noted by specialists, the American people chose persons of high expertise in international relations and the two men represented a genuinely single team. However, notwithstanding the great importance of Dulles' personality and delusion, current regarding his being at his main driving force of foreign policy, actually the president rigorously controlled the sphere of international relations and Dulles acted only under his instructions. At the same time, the President paid considerable attention to the effective work of the National Security Council set up back in 1947.

Eisenhower set himself the primary task of ensuring the security of the country and, in general, he spent more of his time on foreign affairs. This was reflected in both of his inauguration addresses, all texts of his dealings with the Congress, in almost all his public speeches and what is most important, in his activity.

The programme and essence of the action were declared in his inauguration speech to his compatriots and the mankind.

1. He rejected war as a means of settling the existing problems and considered it as indispensable condition to build up the power of the country in order to deter aggressive forces and to establish peace.

2. The aggressor should not be appeased by false and immoral agreement, with honor being exchanged for security and well-being.

3. As only the US could save the free world, he believed that the country's power and security were the basis of the hope of the world's free people.

4. Basing itself on the respect of the originality of all nations, the US should never use force in order to impose its own political and economic institutions on other nations.

5. The US should realistically determine the capacities of supporters of freedom and should help them in protecting their security and well being.

6. Taking into consideration the importance of military force, the US

should facilitate production and profitable trade.

7. Under the aegis of the UN, support should be given to regional associations of free nations.

8. The US should apply the same standards to all peoples and continents and should rule out differentiation by the racial and national characteristics.

9. The US should do its utmost for the UN, as hope of preserving peace for all nations to be not only a symbol but an effective force.

Eisenhower declared that to overcome the challenges of the Cold War, fate had placed the burden of leadership of the free world on America. The chief result of the lessons of the past war is that the free world must not allow the aggressor to choose the time and place of attack to attain its aggressive aim at minimum sacrifice.

In his speech ''Atom for Peace'' the President noted that the US had many atom bombs and could inflict an enormous damage on the opposite side and that the American revenge would be absolutely devastating for the aggressor. At the same time, he stressed the reality that no state was absolutely safe and that in the final analysis an atomic confrontation of the two powers might be followed by the destruction of civilization, in general. Hence, he called for placing this destructive energy in the service only of peaceful activity and the setting up of an international agency of atomic energy under the aegis of the UN. It was set up in 1957.

The Eisenhower administration worked out a new policy of national security, known as 'New Look'. Already in the first year of his administration, Eisenhower attempted to reduce the military spending of the Truman Administration, which was envisaged in the Budget of 1954. The idea had many opponents and it was not easy to implement.

Eisenhower argued that without sound economy based on balanced budget, security could not be ensured. It was envisaged to reduce the land forces by 1957 from 20 to 14 divisions and smaller reductions in the Navy. Instead, the Air Force, directed mainly against the USSR and China would be increased from 115 to 137 squadrons, including long-range super-bombers armed with atomic weapons. When this plan was implemented, it became feasible to cut the military budget from 35 to 31 billion dollars. The scheme did look fine before the Soviet Union launched the 'Sputnik' into space.

To some extent, setting up of regional military blocs served the reduction of the budgets and the growth of international security, e.g. the foundation in 1954 of the South-East Asia Treaty Organization (SEATO).

The priorities of the foreign policy and national security that took shape in 1953-1954, continued in the subsequent years of the Eisenhower Administration. This action was presumably not Eisenhower's private wish but an order of American society and overwhelming part of the free world taking into account the objective reality.

The noted sources and, which is most important, the action taken by the administration give ground to conclude that the Republican Administration was well prepared to tackle complex international issues. The more so that for almost 20 years the Republicans had not held supreme executive power.

The experienced leader of the administration soon succeeded in settling one of the major problems: the Korean War. At the same time, they formulated a strategic plan of the US international course, involving an ideological, diplomatic, military and economic programme for facing the communist threat. In particular, the US further expanded and substantiated the thesis of its leadership in the cause of saving the free world. It opposed the Soviet Union's demagogic, so-called peace offensive with its own concrete alternative in the shape of a plan of effective and equal cooperation: improved cooperation with the allies managed to reduce spending on defense in conditions of the Cold War and, at the same time, created a fairly strong system of defense. Eisenhower was one of the first to proclaim the hopelessness of an atomic war and no alternative to peace which today sounds almost an axiom and, which is important, he took concrete steps in this direction.

The first steps of the Eisenhower Administration created a fairly firm ground for its future activity, determining to a considerable extent the place and mission of the US in international politics.

In later years, the Eisenhower administration successfully implemented the plan worked out in the initial period of his government, which averted the third world war, strengthened the international stand of the US, and during the administration, checked further communist expansion on the planet. This was, of course, facilitated by Stalin's death, for the communists lacked a leader of his level. Unlike the Truman Administration, not a single new communist regime was set up on the planet. The Administration had setbacks as well – the Cuban revolution. The US was apparently too self-conceited in the region and failed to appraise the threat of leftist radicalism arising as a result of the fight against the Batista regime. The Soviet Union, on the contrary, took stock of the existing situation and became actively involved in the developments in Cuba.

ელენე მეძმარიაშვილი

ქალის პოლიტიკური აქტიურობის ზოგიერთი საკითხი აშშ-ში, ევროპის ქვეყნებსა და საქართველოში

შედარებითი ანალიზი

ქალის როლის, მისი წვლილის ზრდა საზოგადოებრივი და პოლიტიკური განვითარების პროცესებში, ქალების პოლიტიკური თვითშეგნების ამაღლება თანამედროვეობის დამახასიათებელი ნიშანია. ამას დიდად შეუწყო ხელი ფემინისტურმა მოძრაობამ, რომელიც მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში XX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან გაიშალა და რომელიც საზოგადოების მიერ ქალების ინტერესებისა და მოთხოვნების იგნორირებამ გამოიწვია.

ცხადია, ქალის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბმა და მისი როლის შეცვლა, თვითშეგნების ზრდა და თანასწორობისაკენ ლტოლვა კანონზომიერი და პროგრესული პროცესია, რომელსაც თან სდევს ყველასთვის ცნობილი ტრადიციული პატრიარქალური სტერეოტიპების მსხვრევა. ეს პროცესი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის ქვეყნების ნაწილში უკვე დასრულებულია, ნაწილში კი დღესაც წარმატებით მიმდინარეობს.

მსგავსი პროცესები საქართველოსთვისაც უცხო არ არის. თუმცა სტერეოტიპების მსხვრევას კიდევ დიდი დრო დასჭირდება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება აშშ-ისა და ევროპის მაღალგანვითარებული ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების მონაწილეობის შესწავლა და შესაბამისი პარალელების გავლება საქართველოსთან. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ქალების პოლიტიკური აქტიურობის პრობლემა უშუალოდ დაკავშირებულია საყოველთაო დემოკრატიზაციის პროცესთან, რისკენაც ჩვენი ქვეყანა მიისწრაფვის. შეიძლება ზოგიერთს გაუჩნდეს კითხვა: რამდენად მნიშვნელოვანია ამ საკითხის კვლევა მაშინ, როდესაც საზოგადოებას ბევრად უფრო რთული პრობლემები აწუხებს? ვფიქრობ, ამ საკითხის კვლევა დროულია და აუცილებელიც, ვინაიდან საზოგადოება ვერ იქნება დემოკრატიული, თუ ქალები პასიურ როლს შეასრულებენ პოლიტიკაში, არ დაიკავებენ ხელმძღვანელ თანამდებობებს, იქნებიან დამორჩილებულნი ოჯახში. ამერიკელი და ევროპელი ქალების მაგალი-

თის გათვალისწინება კი დაგვეხმარება იმ პროცესების ობიექტურად შეფასებაში, რომლებიც ქალის მდგომარეობას ცვლის.

მაინც რა შეიძლება ვისწავლოთ ამერიკელი ან ევროპელი ქალებისაგან? გამოგვადგება კი მათი გამოცდილება? რაში ვგავართ ერთმანეთს და რით განვსხვავდებით? მოცემულ სტატიაში, უმთავრესად, ამერიკელი და ევროპელი ქალების არჩევნებისადმი დამოკიდებულების საკითხის გარკვევას შევეცდები.

ფემინიზმის თანამედროვე თეორეტიკოსები ზოგადად ფემინიზმის განვითარებისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ქალების საარჩევნო პროცესში მონაწილეობას, ვინაიდან არჩევნები – ეს არის „პოლიტიკური მონაწილეობის სწავლების ფორმა და არჩევით თანამდებობაზე არჩევის ინსტრუმენტი“.[1]

ქალების ისტორია ნებისმიერი საზოგადოების ირონიულობისა და წინააღმდეგობრიობის კარგი მაგალითია. მართალია, ქალები ყოველთვის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ, მათ მაინც ხშირად უმცირესობად განიხილავდნენ, რომელსაც განკუთვნილი აქვს ცალკე „ადგილი“ სოციალურ წესრიგში, გადაკეტილი აქვს გზა კარიერისა და, მით უმეტეს, ძალაუფლებისაკენ და განიხილება როგორც დამოკიდებული, სუსტი და თავისი ბუნებით „მორჩილი“ ფენა.

მეორე მხრივ, სხვა უმცირესობების მსგავსად, ქალები არ ცხოვრობენ ერთად „გეტოებში“, მათზე არის მოთხოვნა ყველა რეგიონში, კლასსა თუ სოციალურ ჯგუფში და ხშირად უფრო ახლოს არიან თავიანთ „მჩაგვრელებთან“, ვიდრე ერთმანეთთან. ამიტომ, როგორც ამერიკელი მეცნიერი უილიამ ჩეიფი წერს, „ქალების გამოცდილების გაგების ყოველი ცდა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ორივე სქესის ერთიანობასა და მასთან ერთად განსხვავებას“.[2]

ჩვენც ამას ვითვალისწინებთ და, მიუხედავად იმისა, რომ მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი ქვეყნის ისტორია არ შეიძლება გავყოთ ცალკეული სქესის ისტორიად, მაინც გამოვყოფთ ქალს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ გავარკვიოთ მისი ადგილი ქვეყნის საზოგადოებრივ, კონკრეტულად კი

---

[1] M. F. Katzenstein, Feminism and the Meaning of the Vote, *Signs,* vol. 10 (1984), p. 6.

[2] W. H. Chafe, Women and American society, in: L. S. Luedtke ed., *Making America: The Society and Culture of the United States* (Washington, D.C., 1988), p. 258.

პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩვენ ვსვავთ კონკრეტულ კითხვას: რა მონაწილეობას იღებს ქალი არჩევნებში, ანუ როგორ იყენებს ის ამ ერთ-ერთ ძირითად სამოქალაქო უფლებას შეერთებულ შტატებში, ევროპის წამყვან ქვეყნებსა და საქართველოში? სამწუხაროდ, ჩვენთან ამ საკითხის სრულყოფილი კვლევისათვის აუცილებელი სტატისტიკური მონაცემები მწირია და ხშირად საკუთარი დაკვირვების გამოყენება გვჭირდება. სტატიების კრებულმა „ქალი და არჩევნები",[3] რომელიც 2004 წელს გამოქვეყნდა, მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა აღნიშნული საკითხით დაინტერესებული მკვლევრების ინტერესი.

მართალია ქალი, როგორც ამომრჩეველი, ბევრგან კაცზე უფრო აქტიურია, მაგრამ ეს აქტიურობა მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობით შემოიფარგლება, ასარჩევ კანდიდატებს შორის კი ნებისმიერ დონეზე ქალების რაოდენობა კაცებისას მკვეთრად ჩამორჩება. ამ მხრივ არც შეერთებული შტატები და ევროპის ქვეყნებია გამონაკლისი და, მით უმეტეს, არც საქართველო.

როგორც კი ქალები საარჩევნო პროცესში ჩაერთვნენ, ნათელი გახდა, რომ ისინი ერთგვაროვანნი არ არიან. უფრო მეტიც, მათ შორის სხვაობა უზარმაზარია.[4] ქალები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სოციალური, ეთნიკური, იდეოლოგიური თვალსაზრისით, ამერიკაში კი რასობრივითაც. ეს განსხვავება უფრო საგრძნობია, ვიდრე მათი ერთიანობა. ისინი ერთიანნი არც საარჩევნო უფლებისათვის ბრძოლისას იყვნენ. ამ უფლების მოპოვება ყველა ქალს არ სურდა. გაუგებარია, მაგრამ ფაქტია, რომ ანტისუფრაჟისტულ მოძრაობაში კაცებთან ერთად ქალებიც მონაწილეობდნენ.[5] ალბათ ამიტომაც ქალების აქტიურობა ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, კონკრეტულად არჩევნებში მონაწილეობისას, უფრო მეტად XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში გაიზარდა, ქალთა მოძრაობის ე.წ. მეორე ტალღის (1960-1970-იანი წლები) შედეგად. მას შემდეგ ქალი-ამომრჩევლების რაოდენობა წლითიწლობით იზრდებოდა.

---

[3] *ქალი და არჩევნები, ც. ჯულუხაძის რედაქციით* (თბილისი, 2004).

[4] U. U. Bates, F. L. Denmark, V. Held, *Women's Realities, Women's Choices, An Inttroduction to Women's Studies,* 3rd ed. (New York, Oxford, 2005), p. 441.

[5] S. Lebsock, Woman Suffrage and White Supremacy: A Virginia Case Study, in: L. K.Kerber, J. Sh. De Hart eds., *Women's America. Refocusing the Past,* 4th ed. (New York, Oxford, 1995), p. 320-334.

როგორია ამერიკელი და ევროპელი ქალების არჩევნებში მონაწილეობის სურათი, ძირითადად, ვის აძლევენ ისინი ხმას?

საინტერესო დასკვნებს აკეთებს ფრანგი მეცნიერი მარიეტ სინო. მისი აზრით (და სტატისტიკაც ამას ადასტურებს), ომის შემდეგ პირველ ათწლეულებში ქალი-ამომრჩევლების უმრავლესობა ხმას აძლევდა კონსერვატიულ ძალებს (პარტიებს), განსაკუთრებით კათოლიკურ ქვეყნებში.[6] აღსანიშნავია, რომ არც ჩრდილოეთ ამერიკა იყო გამონაკლისი: კანადასა და შეერთებულ შტატებშიც იგივე ხდებოდა – ქალების უმრავლესობა „კონსერვატორებს" აძლევდა ხმას. მაგრამ ამის მიზეზები ბოლომდე არ არის გარკვეული. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მომხდარი რელიგიური თუ სოციალური ცვლილებები პოლიტიკური ცვლილებების მიზეზიც გახდა. კათოლიკურ ქვეყნებში არსებული კონსერვატიზმის ფესვები რელიგიაშიც უნდა ვეძებოთ. მორწმუნეთა უმრავლესობა უმეტესად ხანში შესული ქალები იყვნენ. ამითაც შეიძლება აიხსნას მათი სიმპათიები მემარჯვენე პარტიებისადმი და მტრობა მარქსიზმისა და ზოგადად მემარცხენეებისადმი.

1970-იან წლებში ქალების არჩევანი თანდათანობით კაცებისას მიუახლოვდა. ბევრი ანალიტიკოსი ფიქრობს, რომ ეს ევოლუცია შეიძლება დამთავრდეს მაშინ, როდესაც აღარ იქნება განსხვავება კაცებისა და ქალების პოლიტიკურ ქცევას შორის.

მაგრამ 1980-იან წლებში ქალებმა კაცებზე მეტად მარცხნივ გადაინაცვლეს. ასეთი მოვლენა დაიწყო შეერთებულ შტატებში 1980 წელს, როდესაც ქალებმა „ანტირეიგანული" ტენდენციები გამოავლინეს. კათოლიკურ საფრანგეთშიც 1988 წელს ქალების 37%-მა ხმა მისცა სოციალისტ ფრანსუა მიტერანს მაშინ, როდესაც მას კაცების მხოლოდ 31%-მა დაუჭირა მხარი.[7] 2007 წლის მაისში ქალის რამდენი ხმა მიიღო სებულენ რუაიალმა, სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია.

ევროპის ქვეყნებში ქალების ხმების გამემარცხენების ერთ-ერთი მიზეზი მათი სოციალური მდგომარეობის შეცვლა იყო. 1970-იან წლებში ქალებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს ცალკეული სფეროების

---

[6] M. Sineau, Law and Democracy, in: F. Thebaut ed., *A History of Women in the West, Toward a Cultural Identity in the Twentieth Century* (Cambridge, London, 1994), p. 515.

[7] იქვე.

დემოკრატიზაციაში. განსაკუთრებით წარმატებულები ისინი საშუალო და უმაღლესი განათლების სფეროში აღმოჩდნენ, ასევე, გააქტიურდნენ ეკონომიკურ ცხოვრებაში.

იმავე 1980-იან წლებში დაირღვა ტრადიცია, როდესაც კაცები და ქალები ერთსა და იმავე პარტიებს და კანდიდატებს აძლევდნენ ხმას. ამას ამერიკელმა პოლიტოლოგებმა „სქესებს შორის გარღვევა“ უწოდეს. ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებდა კიდეც, რომ სწორედ ეს „გარღვევა“ და არა რესპუბლიკელი კანდიდატის გამარჯვება იყო 1980 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მთავარი მოვლენა.[8] თუმცა, ბევრი პოლიტოლოგისა და სოციოლოგის მტკიცებით, „სქესებს შორის გარღვევა“ მხოლოდ იმიტომ შეამჩნიეს, რომ ხმის მიცემისას კაცებისა და ქალების განსხვავებული აზრი პირველად დაფიქსირდა. 1980 წლიდან მოყოლებული ამ პრობლემას ამერიკული ელექტორატისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში ცენტრალური ადგილი უკავია. მეცნიერებს აღნიშნული განსხვავების სოციალურ-პოლიტიკური მიზეზების გარკვევა და მომავალი არჩევნების შესაძლებელი შედეგების წინასწარმეტყველება სურთ.[9] ამერიკელი მეცნიერები ამ მოვლენას სხვადასხვაგარად ხსნიან.[10] ვფიქრობ, დასავლეთის ქვეყნებში „სქესებს შორის გარღვევის“ წარმოქმნის მთავარი მიზეზია არა დემოგრაფიული მახასიათებლები, პოლიტიკური აქტიურობის დონე ან პოლიტიკური ლიდერის პირადი თვისებები, არამედ ქალებისა და კაცების მიერ პოლიტიკური პრობლემების განსხვავებული შეფასება. ეს განსხვავება განსაკუთრებით ვლინდება სამხედრო პრობლემებთან ან სოციალური უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით, თუკი ისინი ჩართული იქნება საპრეზიდენტო კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამაში.

სამწუხაროდ, ქართველი ამომრჩეველი ქალების პრიორიტეტები შესწავლილი არ არის. ბოლო წლებამდე მათი არჩევანი დამოკიდებული იყო

---

[8] K. Beckwith, American Women and Political Participation: The Impacts of Work, *Generation and Feminism,* XIV (1986), p. 134.

[9] M. Gilens, Gender and Support for Reagan: A Comprehensive Model of Presidential Approval, *American Journal of Political Science,* vol. 32, N1 (1988), p. 21.

[10] P. J. Conover, Feminists and the Gender Gap, *Journal of Politics,* vol. 50, N4 (1988), pp.985-1010; J. Mansbridge, Myth and Reality: The ERA and the Gender Gap in the 1980 Election, *Public Opinion Quart*erly, vol. 49, N2 (1985), p. 165.

კანდიდატისადმი პიროვნულ სიმპათიასა თუ ანტიპათიაზე. ამის მაგალითი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში არაერთია.

ქალები ასევე კაცებზე მეტად პაციფისტები არიან და გამოდიან ბირთვული იარაღის, ზოგადად, ძალის გამოყენების წინააღმდეგ; მოითხოვენ სამხედრო ხარჯების შემცირებას და ყველაზე აქტიურად უჭერენ მხარს სოციალურ რეფორმებს; უფრო მგრძნობიარენი არიან გარემოს დაცვის საკითხებისადმი[11] და, რაც მთავარია, ისინი უფრო ფემინისტები არიან. ამ უკანასკნელის მტკიცება ქართველ ქალებთან დაკავშირებით არ შეგვიძლია. ჩვენთან გარემოს დაცვის საკითხები, მწვანეთა პარტიის გარდა, მაინც და მაინც არავის წამოუწევია და, მით უმეტეს, ქართველი ქალების უდიდეს უმრავლესობას ფემინისტებად ვერ ჩავთვლით.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ქალები აქტიურად ემხრობიან თავიანთ წარმომადგენლებს მთავრობაში. მაგალითად, სკანდინავიაში ჯერ კიდევ 1975 წლის საპარლამენტო არჩევნებში, გელაპის (Gallup poll) მონაცემებით, ქალების 40%-მა და კაცების მხოლოდ 7%-მა დაუჭირა მხარი ქალ-კანდიდატებს.[12]

საინტერესოა, ამ მხრივ რა სურათი გვაქვს საქართველოში? ვფიქრობ, ქართველი ქალები არ აძლევენ ხმას ქალ კანდიდატებს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქალები არიან.

ცნობილია, რომ ახალგაზრდა ქალები უფრო მეამბოხეები არიან, ამიტომ ისინი უმეტესად მემარცხენე პარტიების მხარდამჭერები არიან, ვიდრე ამავე თაობის მამაკაცები. სკანდინავიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ფემინისტები მხარს უჭერენ ცალკეული საკითხებისადმი უფრო რეალისტურ, პოლიტიკურ დამოკიდებულებას,[13] ანუ ისინი საკმაოდ აქტიურები არიან არჩევნებისას. მხარდამჭერების მომრავლების წყალობით და საარჩევნო ყუთის „ხელში ჩაგდების“ გზით მათ გარკვეულ სასურველ შედეგებს მიაღწიეს. საბოლოო ჯამში, ასეთ სტრატეგიას ქალების პოლიტიკური წარმომადგენლობის ზრდა მოჰყვა, განსაკუთრებით, სკანდინავიის ხუთ ქვეყანასა და ჰოლანდიაში, ასევე დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში. ეს ტენდენცია ალბათ გაგრძელდება, თუკი ქალებს საკმარისი

---

[11] M. Sineau, დასახ. ნაშრომი, გვ. 516.

[12] T. Skard and E. Haavio-Mavmila, Women in Parliament, *Women in Nordic Politics* (New York, 1985), p. 58.

[13] იქვე, გვ. 518.

პროფესიული გამოცდილება ეყოფათ. ყოველ შემთხვევაში, ევროპული კანონმდებლობა მათ უფლებებს არ ზღუდავს.

სამაგიეროდ, სამხრეთ ევროპაში (იტალია და ესპანეთი გამონაკლისია[14]) ბოლო დრომდე კაცები პარლამენტში 92%-ს შეადგენდნენ.[15] საინტერესოა, რომ სუფრაჯისტების სამშობლოში – ინგლისში 1992 წლამდე პარლამენტში ქალები მხოლოდ 6% იყვნენ. მხოლოდ 1992 წლის არჩევნების შემდეგ, პირველად ქვეყნის ისტორიაში, დიდი ბრიტანეთის პარლამენტში ქალების რაოდენობა 10%-მდე გაიზარდა[16] (დღეს 20%-ია). არც ერთი ქალი არ იყო ლორდთა პალატაში (დღეს აქაც 20%-ია). უმაღლეს სასამართლოში კი მხოლოდ ერთი ქალი იყო.[17] მაგალითად, მარგარეტ ტეთჩერის კაბინეტში არც ერთი ქალი არ იყო. დღეს ისინი მინისტრთა კაბინეტის 30%-ს შეადგენენ.[18]

2009 წელს აშშ-ის კონგრესში ქალების რეკორდული რაოდენობა იყო – 92, ანუ 17%.[19] მართალია ეს მაჩვენებელი სკანდინავიის ქვეყნებისას მნიშვნელოვნად ჩამორჩება, მაგრამ მაინც მეტია, ვიდრე წინა მოწვევის კონგრესში იყო (75 ქალი), რაც აშკარა პროგრესზე მეტყველებს.

2010 წლის დასაწყისისათვის საქართველოს პარლამენტსა და მთავრობაში ამ მხრივ სავალალო მდგომარეობა იყო. პარლამენტში ქალების რაოდენობა მხოლოდ 5%-ია, მთავრობაში, მინისტრის თანამდებობაზე კი – ერთი, მაშინ, როდესაც წინა მოწვევის პარლამენტში ქალები 10%-ს შეადგენდნენ. ამგვარად, ამერიკისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა-

---

[14] M. T. Gallego Merdez, Spain, in: B. J. Nelson, N. Chowdhury eds., *Women and Politics Worldwide* (New Haven, London, 1994), p. 662; G. Allwood, Khursheed Wadia, in: *Women and Politics in France 1958-2000,* Routledge (New York, 2000), p. 7.

[15] M. Sineau, დასახ. ნაშრომი, გვ. 500.

[16] J. Lowenduski, Women in Great Britain, in: B. J. Nelson, N. Chowdhury eds., *Women and Politics Worldwide* (New Haven, London, 1994), p. 304.

[17] იქვე.

[18] R. Cracknell, R. Groat and J. Marshall, Women in Parliament and Government, *Social&General Statistics Section, House of Commons*, Library (30 June 2009), p. 8; http://www.parliament.uk/commons/lib/research/briefings/snsg-01250.

[19] *Women in Parliaments: World Classification. Inter-Parliamentary Union. Retrieved 2007-04-06*. http://www.ipu.org/wmn-e/classif.htm.

გან განსხვავებით, საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ქალების რაოდენობის კლების ტენდენციაა.

ნათელია, რომ პოლიტიკური ელიტის ფემინიზაციის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ რეალური თანასწორობის, ქალების მაღალი კვალიფიკაციის (იგულისხმება კარგი განათლება, პროფესიული გამოცდილება და შესაბამისი უნარ-ჩვევები) შემთხვევაში.

საქართველოში ქალთა საარჩევნო ბლოკის შექმნის პირველი ცდა 1995 წლის არჩევნებში იყო. ქალებმა თავიანთი კანდიდატები წამოაყენეს, მაგრამ ვერც ერთი ვერ გაიყვანეს. როგორც წესი, დამოუკიდებლად გამოსული ქალთა (ფემინისტური) პარტიები ყველგან მარცხდებიან. ამის ნათელ მაგალითად საქართველოში 2008 წლის არჩევნებში მონაწილე ქალთა პარტიაც გამოდგება. მსოფლიოში ერთადერთი წარმატებული ფემინისტური პარტია არის ისლანდიის ქალთა პარტია, რომელმაც 1987 წლის არჩევნებში ხმების 10% მიიღო და პარლამენტში 6 დეპუტატი გაიყვანა.

ამგვარად, აშშ-ში, ევროპის ქვეყნებსა და საქართველოში არსებული გამოცდილების შესწავლა გვაძლევს შემდეგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას:

- კანდიდატის სქესსა და ამომრჩეველთა საქციელს შორის პირდაპირი კავშირი არ არსებობს. ქალი-ამომრჩევლები მხოლოდ იმ შემთხვევაში უჭერენ მხარს ქალ-კანდიდატს, თუკი ის მათთვის ახლობელ პოზიციას (ლიბერალურს ან კონსერვატულს) იზიარებს. ქალების უმრავლესობა ხმას აძლევს იმ ქალ-კანდიდატს, რომელსაც არ ჰყავს უფრო მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოწინააღმდეგე;[20]
- ქალებსა და კაცებს შორის არ არსებობს პრინციპული განსხვავება ქალი-კანდიდატისათვის ხმის მიცემისას;
- ქალ-კანდიდატს ხშირად ის ქალი-ამომრჩევლები აძლევენ ხმას, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ე.წ. „ქალური საკითხები“;
- სქესსა და ხმის მიცემას შორის კავშირის გარკვევისას გადამწყვეტი ფაქტორია კანდიდატის პოლიტიკური პლატფორმა (იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყანაში მაღალი პოლიტიკური კულტურა არსებობს);

---

[20] J. Zipp, E.Plutzer. Gender Differences in Voting for Female Candidates: Evidence from the 1984 Election, *Public Opinion Quarterly*, vol.49. N2 (1985), p. 182.

- კანდიდატის სქესს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს გადამწყვეტი გავლენა არჩევნების შედეგებზე, როდესაც ამომრჩევლისათვის პარტიული კუთვნილება არ არის არსებითი. პირველ რიგში, ეს ეხება „დამოუკიდებელი“ კანდიდატების არჩევნებს, რომელთა რაოდენობა ზოგჯერ არც ისე მცირეა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც ქალები ხმას აძლევენ ქალს, კაცები კი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოდიან წინააღმდეგ, როდესაც არ არსებობს სხვა განმსაზღვრელი ფაქტორები, პირველ რიგში კი, ნათელი წინასაარჩევნო პლატფორმა.[21] „ძლიერ“ კანდიდატ-ქალებს, ანუ იმათ, ვისაც არგუმენტირებული პოლიტიკური პლატფორმა აქვს, შეუძლიათ მიიმხრონ როგორც კაცები, ასევე ქალები. ის კანდიდატები კი, რომლებსაც ასეთი პლატფორმა არ აქვთ, სქესის მიუხედავად, ორივეს ხმას კარგავენ. მაგრამ ამის მტკიცება მხოლოდ მაღალი პოლიტიკური კულტურის მქონე ევროპის ქვეყნებთან და აშშ-თან დაკავშირებით შეგვიძლია.

ყველაზე ხშირად ქალი კანდიდატები წინასაარჩევნო ბრძოლის ეტაპზე ფინანსური და პარტიული მხარდაჭერის ნაკლებობას განიცდიან.[22]

მიუხედავად ამისა, შეერთებულ შტატებში დემოკრატებიც და რესპუბლიკელებიც ხშირად არჩევით თანამდებობებზე ქალებს ასახელებენ. პირველები ამას აკეთებენ იმ მიზნით, რომ ქალების ლოიალურობა შეინარჩუნონ, მეორენი კი – „სქესებს შორის გარღვევის“ შემცირებისა და ქალების ხმების მიზიდვისათვის. თუმცა, ქალების მხოლოდ წამოყენება არაფრის მომცემია, თუ მან სერიოზული პოლიტიკური პროგრამა არ წარმოადგინა. ამიტომ ქალების კანდიდატურების წარდგენისას წამყვანმა პარტიებმა უნდა იხელმძღვანელონ იმავე კრიტერიუმებით, რომლებსაც კაცების შემთხვევაში იყენებენ.

ბოლო ათწლეულებში აშშ-ში განსაკუთრებით გაძლიერდა წამყვანი პოლიტიკური პარტიების ბრძოლა ქალების ხმებისათვის. ამერიკელმა სოციოლოგმა დ. ბელმა აღნიშნა, რომ „ქალები – ეს არის საშუალო კლასის ერთგვარი ჯგუფი, რომლის მნიშვნელობა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში იზრდება მისი სტატუსის შეცვლისა და იმ ახალი შესაძლე-

---

[21] იქვე, გვ. 181, 182.

[22] ტ. დენისოვა, ე. მეძმარიაშვილი, ქალის როლი ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში, კრებულში: *ამერიკის შესწავლის საკითხები* (თბილისი, 2002), გვ. 194-195; R. Darcy, Ch. Hadley, Black Women in Politics: The Puzzle of Success, *Social Science Quarterly*, vol. 69, N3 (1988), p. 630.

ბლობების წყალობით, რომლებიც მათ წინაშე იშლება".[23]

ბევრი ამერიკელი მეცნიერი ეთანხმება დ.ბელს, რომ ამ სოციალურ ჯგუფს დიდი პოტენციური შესაძლებლობები აქვს, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული. ეს დასკვნა არა მარტო ამერიკელებისათვის, არამედ სხვა ქვეყნებისათვისაც არის გასათვალისწინებელი.

სამწუხაროდ, აღნიშნულ პრობლემას საქართველოში ყურადღება არ ექცევა. არ არსებობს არც შესაბამისი სტატისტიკა. ვფიქრობ, ჩვენმა წამყვანმა პოლიტიკურმა პარტიებმა ყურად უნდა იღონ ამერიკის და დასავლეთ ევროპის განვითარებული ქვეყნების მაგალითი ამ მიმართულებითაც, რათა წარმატების მეტი შანსი ჰქონდეთ.

ბიბლიოგრაფია

References

G. Allwood, K. Wadia, *Women and Politics in France 1958-2000* (New York, 2000).

K. Beckwith, American Women and Political Participation: The Impacts of Work, *Generation and Feminism,* XIV (New York, 1986).

U. U. Bates, F. L. Denmark, V. Held, *Women's Realities, Women's Choices. An Introduction to Women's Studies.* Third Edition. Hunter College Women's Studies Collective (New York, Oxford, 2005).

W. H. Chafe, Women and American Society, *Making America. The Society and Culture of the United States,* Ed. Luther S. Luedtke, USIA (Washington, D.C., 1988).

P. Johnston Conover, Feminists and the Gender Gap, *Journal of Politics,* Vol. 50, N4 (Gainesville, 1988).

R. Cracknell, R. Groat and J. Marshall, Women in Parliament and Government, *Social & General Statistics Section, House of Commons*, Library (30 June 2009), http://www.parliament.uk/commons/lib/research/briefings/snsg-01250.pdf

M. Gilens, Gender and Support for Reagan: A Comprehensive Model of Presidential Approval, *American Journal of Political Science,* v. 32,

[23] Liberalism and the Crisis of Power, *American Journal of Political Science*, vol. 30, N1 (1986), p. 205.

N1 (New York, 1988).

F. Thebaud ed., *A History of Women in the West, V. Toward a Cultural Identity in the Twentieth Century* (Cambridge, London, 1994).

M. Fainsod Katzenstein, Feminism and the Meaning of the Vote, *Signs,* vol. 10 (Chicago, 1984).

S. Lebsock, Woman Suffrage and White Supremacy: A Virginia Case Study, *Women's America. Refocusing the Past,* Fourth Edition, ed. L. K.Kerber, J. Sherron De Hart (New York, Oxford, 1995).

Liberalism and the Crisis of Power, *American Journal of Political Science,* vol. 30, N1 (New York, 1986).

J. Lowenduski, Women in Great Britain, *Women and Politics Worldwide,* ed. B. J. Nelson, N. Chowdhury (New Haven, London, 1994).

Jane J. Mansbridge, Myth and Reality: The ERA and the Gender Gap in the 1980 Election, *Public Opinion Quart*erly, vol. 49, N2 (New York, 1985).

M.-T. Gallego Merdez, *Spain, Women and Politics Worldwide,* ed. B. J. Nelson, N. Chowdhury (New Haven, London, 1994), p. 660-673.

M. Sineau, Law and Democracy, *A History of Women in the West. Toward a Cultural Identity in the Twentieth Century,* ed. F. Thebaut (Cambridge, London, 1994).

T. Skard and E. Haavio-Mavmila, Women in Parliament, *Women in Nordic Politics* (New York, 1985).

T. Julukhadze ed., *Women and Elections* (Tbilisi, 2004) (in Georgian).

Women in Parliaments: World Classification. Inter-Parliamentary Union. http://www.ipu.org/wmn-e/classif.htm.

J. F. Zipp, E. Plutzer, Gender Difference in Voting for Female Candidates: Evidence from the 1984 Election, *Public Opinion Quarterly,* vol.49, N2 (1985).

Elene Medzmariashvili

Some Questions of the Political Activity of Women in the USA, European Countries and Georgia

(Comparative Analysis)

Resting on statistical data, this paper represents an attempt to answer the questions: How do American, European and Georgian women use their right to take part in elections? What are the similarities and differences in the attitude of American, European and Georgian women to the elections? Growth dynamics of women voters, basically who they vote for and why, is discussed. The conclusions are made on the basis of the data of three decades of the 20th and early 21st century.

The article also considers: the participation of women in the socio-political life and the change of their role; the increase of their self-consciousness and striving for equality as a regular and progressive process, accompanied by breaking down the traditional patriarchal traditions. It is stated that this process is already completed in the USA and in a part of Europe's countries, continuing successfully in the other part. Similar processes are perceived in Georgia as well, though it is believed that the breaking down of stereotypes will take quite some time. The study of the participation of women in the political life of the US and Europe's highly developed countries and drawing parallels with Georgia serves precisely this purpose. The need for such a study is conditioned by the fact that the problem of women's political activity is directly linked to the process of universal democratization, towards which Georgia is aspiring.

It is believed to be unacceptable to divide any country's history into that of separate genders; nevertheless, women with the only purpose of ascertaining their place in the country's social and political life, in particular, are considered separately. To be sure, women voters in many countries are more active than men voters, but this activity is restricted to their participation in the elections. Among the candidates to be elected, the number of women at any level is drastically behind that of men. In this respect, neither the US nor European countries form an exception, the more so Georgia.

As soon as women became involved in the election process, it became clear that they are not homogeneous, the difference between them being enormous. Women differ from one another from social, ethnic and ideological points of view and in the US racially too. This difference is more appreciable than their unity.

The answers to the questions raised in the paper are: in the first decades after the War the majority of women voters voted for conservative parties, especially in Catholic countries. North America was not an exception: the same occurred in Canada and the US – the majority of women voted for 'Conservatives'. But the reasons for this have not been determined definitively. The religious and political changes that occurred after World War Two entailed political changes as well. The article studies the roots of conservatism in Catholic countries in religion as well. The majority of believers are mainly aged women. This may also account for their sympathies for rightist parties and their enmity to Marxism, and generally leftists. In the 1970s, women's choice gradually came close to that of men.

But in the 1980s women swung to the left more than men. This started in the US in 1980, when women showed anti-Reagan tendencies. As for the Catholic France, in 1988, 37% of women voted for socialist Francois Mitterand, while only 31% of men supported him.

One of the causes of women turning left in European countries was the changed social status. In the 1970s, women achieved some success in the democratization of separate spheres, especially in the field of secondary and higher education. They also became active in economic life.

In the same 1980s, the tradition of men and women voting for the same parties and candidates also broke down. American political scientists called this 'breakthrough between the genders'. The view that it was this 'breakthrough' rather than the victory of the Republican candidates that emerged as the main event of the 1980 Presidential election is also presented in the paper. However, many political scientists and sociologists assert that the 'breakthrough between the genders' was noticed because the different views of men and women were recorded for the first time.

The breakthrough between the genders in Western countries was not demographic characteristics, the level of political activity or the personal qualities of a political leader but the differing assessment of political issues by

men and women. This difference comes to the fore especially in connection with military problems or social security, provided that they are entered in the election program of the presidential candidate. The priorities of Georgian women voters have not been studied. Dating their choice has depended on personal sympathy or antipathy for the candidate. There are many instances of this in the history of independent Georgia.

The study of the experience in the US, European countries and Georgia makes it possible to draw the following conclusions:

There is no direct link between the sex of the candidate and the decision of the voter. Women-voters vote for a woman candidate if she shares a stand (liberal or conservative) that is close to theirs. The majority of women vote for the woman candidate who does not have a more important political opponent.

There is no difference in principle between men and women in voting for a woman candidate.

Women often vote for a woman candidate for whom the so-called 'feminine questions' are important.

The candidate's political platform is a decisive factor in determining the link between genders and voting (when there is a high political culture in the country).

The gender of the candidate has a decisive impact on the outcome of the elections when party affiliation is not essential to the voter. This primarily refers to the election of 'independent' candidates whose number is occasionally not so small.

However, in this case, too, women vote for a woman, while men vote against, only there exist some other determining factors, in the first place a clear election platform. "Powerful" women candidates, or those who have an argued political platform, may bring over to their side both men and women. The candidates who lack such platform despite their sex lose the votes of either gender. But this can be asserted only in connection with the countries of Europe and the US, where the political culture is high. Such attitude to elections in Georgia is so far alien.

According to the author, feminization of the political elite can be reached only in the case of real equality, high qualification (implying good education, professional training and appropriate skills).

The legislation upholds the equality of the sexes, but the main thing here is the existence of guarantees of this equality as is the case in the US and advanced countries of Europe. Hence their experience may prove a good example for Georgia.

ეთნოლოგია

როზეტა გუჯეჯიანი

ართვინის ვილაიეთის (თურქეთის რესპუბლიკა) ეთნიკურ ქართველთა თანამედროვე ყოფა და კულტურა

თანამედროვე ართვინის ვილაიეთი (თურქეთის რესპუბლიკა) აერთიანებს ისტორიულ კლარჯეთსა და ამიერტაოს ნაწილს. ართვინის ვილაიეთის მთავარი ქალაქი – ართვინი – ამ მხარის ადმინისტრაციული ცენტრია. ეთნიკურ ქართველთა რაოდენობა ამ ვილაიეთში თვალსაჩინოა. ადმინისტრაციულად ართვინის ვილაიეთი შემდეგ რაიონებად იყოფა: არხავე, ხოფა, ბორჩხა, არდანუჯი, შავშათი, მურღული, იუსუფელი.

ართვინი ისტორიული ნიგალის (ლიგანის, ლივანის) მხარეში მდებარეობს და მის გარშემო არსებული ტრადიციული სოფლები, ძირითადად, ეთნიკურად ქართველი მოსახლეობითაა დასახლებული. ბორჩხის რაიონშია გაერთიანებული ზემო მაჭახელი, დევსქელის ხეობა, ზემო და ქვემო ქლასკური, ხება-მარადიდის მხარე. მურღულის რაიონი აერთიანებს მურღულისწყლის ხეობას. შავშათის რაიონშია მოქცეული შავშეთისწყლისა და იმერხევისწყლის სოფლები. ლაზებითაა დასახლებული ართვინის ვილაიეთის ხოფისა და არხავის რაიონების რამდენიმე ხეობა: კალენდერე/მარიამღალი, ტიბაში, ღალტიბა, მაკრიალური ღალი, მეჭეღალი/მეჭაღალი, ჩხალური ღალი, ჭინკათხევი/ჭინკაღალი, წკარყა და სხვ. იუსუფელის რაიონშია მოქცეული ამიერტაოს ერთი ნაწილი: მდინარე პარხლისწყლის ხეობა, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი, ასევე, ეთნიკურად ქართველია.

თანამედროვე მდგომარეობით, ეთნიკურად მთლიანად ქართველებითაა დასახლებული ზემო მაჭახელი, სადაც ექვსი თემია: მინდიეთი, ხერთვისი, ეფრატი, ქუაბითავი, ზედვაკე.

ეთნიკურად თითქმის მთლიანად ქართველია შავშეთის ერთი ნაწილის – იმერხევისწყლის ხეობის მოსახლეობა (აგარა, ბაძგირეთი, ბზათა, გამეშეთი, დაბა, დავთიეთი/დავითეთი, დასამობი, დიობანი, ვარდიეთი, ზაქიეთი, ზიოსი, ივეთი, იფხრევლი, ლიონეთი/ნიოლეთი, მანატბა, მაჩხატეთი, ოთხკილდე, რაბათი, სინკოთი, სურევანი, უბე, უსტამისი, ფარ-

სურ. 1. *იმერხევი, დიობნის თემი, ჯაფარეთის უბანი*

ნუხი, შარაბული, შერთული, შოლტისხევი, ჩაქველთა, ჩიხისხევი, ჩიხვთა, ჩიხორი, წეთილეთი, წყალსიმერი, ხევწვრილი/ხევწრული, ხოხლევი, ჯვარისხევი...).

მეტწილად ქართველებითაა დასახლებული მურღულის ხეობა (სოფლები: აგარა, არხვა, ბაგა, ბაშქოი, ბუჯური, გევლი, გოგლიეთი, გურბინი, დიალეთი, დურჩა, ერეგუნა, ძანსული, ისკები, კაბარჯეთი, კორდეთი, ლომიკეთი, მურღული, ოზმალი, ტრაპენი, ფოროსეთი, ქამელეთი, ქვამჩირეთი, ქორთუკეთი, ქურა, ყავრიეთი, ჩხალეთი, წყალყა, ხახური, ხოსროლი, ჯუანი).

ზედა ქლასკურსა (სოფლები: გორგავლი, დეღეძეკი, ზაზამერე, ზედა მაჰალე, თეთრიეთი, კვესავრი, საბეჭდავი, შუა მაჰალე, ქვედა მაჰალე, წიქვავრი, ხინიკური, ჯალაბაშვილები, ჯირკვევი) და ქვედა ქლასკურშიც (სოფლები: გვარამეთი, გოროზეთი, ვაკე სოფელი, კოძი, მაყლიეთი, ნიშნიეთი, ქუშანეთი, ჭარბიეთი, წინწკალაშვილები, წკირმონეთი, წყლისაყარი) უმეტესად ქართველები ცხოვრობენ.

დევსქელის ხეობში არავეთის, შუახევის, დევსქელის, ბაგინის თემები თითქმის ქართულია (სოფლები: ბანაკნა, ბუღარეთი, გაღმობანი, ვალაში, ვანი, იბრიკა, კვეტიეთი, კვინტავრი, ნაბეღლავი, ნაძვნარა, ოთინგო, ოხ-

ვათი, ოხორჯინი, სამახრევი, სანათისი, ქომობანი, შაქარეთი, ჩიტავრი, წინაგარა, ჭაბაკიეთი, ხაბაზეთი, ხავაზრო, ჯაბალავრი).

უმეტესად ქართველებითაა დასახლებული ზემო მარადიდი, კატაფხია, ხება (სოფლები: არჩვეთი, ბაკო, ბოსელთა/ბოსოლთა, გაბელათკარი, გიდრივეთი, დუზქოი, ზეგანი, ზედუბანი, კინწყურეთი, კონტოხი, მაკრეთი, მამანათი, მონასტირი, მურკივეთი, ოხორდია, საბაური, სანისლე, ქერტაში, ქუთლიეთი, შუბანი/შუაუბანი, ჩაილი, ცოცხობა, ჭინკური, ხინწკანა, ჯიაზენი).

ბორჩხისა და ართვინის მიმდებარედ ეთნიკურად შერეული სოფლებია: ავანა, აგლახა, ბერთა, ბინათი, დოლისყანა, მამაწმინდა, მელო, ორჯოხი, სვეტი, სვეტისბარი, ოპიზა, თხილაზორი, ტრაპენი, ქართლა, ომანა, კვარცხანა, ირსა, ვაზრია, ვარაჭკანი, ჭიმჭიმი და ა. შ.

ართვინის ვიალიეთში შემავალი ისტორიული ამიერტაოს ერთ ნაწილში – პარხლისწყლის ხეობაში – ქართველები კომპაქტურად სამ თემში ცხოვრობენ: ხევაი, ბალხი, ქობაი. მრავალი ქართული ოჯახია განსახლებული იუსუფლის რაიონის სხვა სოფლებშიც. პარხლის ხეობაში არის სოფელთა სხვა ჯგუფებიც, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილის ეთნიკური შემადგენლობა შეცვლილია, მაგრამ ჯერ კიდევ ცხოვრობენ ქართველე-

სურ. 2. *ტაო, ბალხის თემი*

ბი. ეს სოფლები უშუალოდ მდინარე პარხლის ხეობაში მდებარეობს, ამიტომ მათ პირობითად პარხლის თემს ვუწოდებთ. პარხლის თემში შემდეგი სოფლებია: კუპრეთი, ბოწმინდა, ალტიპარმაღი და უკიდურესი სოფელი – დიდი ხევაი (დიდი ხევეგი, ერმენლიხევეგი). პარხლისწყლის შემდეგი ხეობა უტავისწყლის ხეობაა. უტავის თემის სოფლებია: ღომელთი, დუთდერე, ახალთი, კერავლეთი. უტავის თემის მოსახლეობაც, ფაქტობრივად, დედაენადაკარგულია. თუმცა, ეთნიკურად კვლავ გურჯებად/ქართველებად მიიჩნევენ თავს. ამ სოფლებში კულტურულ-სამეურნეო თუ დასახლების ტიპი, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი და ა.შ. ცხადია, ქართულია, მაგრამ დედაენაზე მხოლოდ ერთეულები მეტყველებენ. პარხლისწყლის ხეობის შუა წელში არის შედარებით ახალი ქართული დასახლებებიც: ჭილათი, დევთისაჲ, მახათეთი, ფიქალითავი, სარეკელი. ამ სოფლებში ქობაიდან, ხევაიდან და ბალხიდან გადმოსული მოსახლეობა ცხოვრობს.

ქართული სამეცნიერო ლიტერატურა ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტრადიციული ყოფისა და კულტურის შესახებ, ძირითადად, XIX საუკუნის და XX საუკუნის პირველი ოცწლეულის ამსახველია. 1921-1990 წლების განმავლობაში ქართველი მეცნიერები მოკლებულნი იყვნენ თურქეთის ეთნიკურ ქართველთა ტრადიციული ყოფის კვლევის შესაძლებლობას და ამ მხარის ქართველთა ეთნოგრაფიული ყოფა-ცხოვრების ასწლოვანი ისტორია, ფაქტობრივად, უცნობია ქართული მეცნიერებისათვის. 1991 წლიდან საქართველოსა და თურქეთს შორის დამყარდა კეთილმეზობლური ურთიერთობა და შესაძლებელი გახდა ეთნოგრაფიული მასალის მოპოვება თურქეთის ეთნიკურად ქართულ მოსახლეობაში.

ნაშრომში წარმოდგენილია 2006-2011 წლების განმავლობაში ართვინის ვილაიეთში მოპოვებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალის ანალიზი.

სამეცნიერო ეთნოგრაფიული ექსპედიციები ართვინის ვილაიეთში, ძირითადად, ზაფხულობით მიმდინარეობდა, რადგან ამ დროს უბრუნდება მოსახლეობა ისტორიულ ტაო-კლარჯეთს. ზაფხულობით კვლავ ივსება ქართული სოფლები და იქ მოსახლეობა ჩერდება ოქტომბრის ბოლომდე. შემდეგ სოფლები კვლავ ცარიელდება და თითო-ოროლა ოჯახის ამარა რჩება. ზოგიერთი, განსაკუთრებით მაღალმთიანი, სოფელი კი მთლიანად იცლება. ამ მხრივ, შედარებით უკეთესი მდგომარეობაა

მაჭახელში, დევსქელში, ქლასკურში, მურღულში, ხება-მარადიდის სოფლებში. იმერხევისა და პარხლისწყლის ხეობის ზედაწელის ზოგიერთი სოფელი ზამთრობით, ფაქტობრივად, დაცლილია.

ისტორიული ტაო-კლარჯეთის ქართველთა ეთნოგრაფიული და ლინგვისტური მონაცემების ფიქსაცია დღეს განსაკუთრებით აქტუალურია, ამ მხარეებში მიმდინარე მიგრაციული პროცესებიდან გამომდინარე.

ართვინის ვილაიეთის ქართველები ოფიციალური ურთიერთობების დროს იყენებენ თურქულს, ხოლო თავიანთ სოფლებსა და ოჯახებში საუბრობენ ქართულ ენაზე. შემონახულია ქართული ენის ოთხი კილო: მაჭახლური, ლივანური (ნიგალის ხეობაში), იმერხეული, ტაოური. თითქმის დაკარგულია ქართული ენა და ქართული იდენტობა ისტორიული საქართველოს ზოგიერთ მხარეში: შავშეთის წყლის ხეობის დიდ ნაწილში, ფოცხოვში, არტანუჯში და სხვ., მაგრამ იდენტობა და დედაენადაკარგულ მოსახლეობაშიც ვხვდებით ტრადიციული ქართული კულტურულ-სამეურნეო და სოციალური ყოფის ზოგიერთ ელემენტს და ქართულ ტოპონიმებს თვით არაქართულ სოფლებშიც კი. ამავე დროს, უკვე გათურქებული მოსახლეობის ნაწილს ახსოვს თავისი მომდინარეობა ქართველი ეთნოსიდან. ხშირად შეხვდებით ამგვარ მოცემულობას: „ჩემი დედე გურჯი იყო“.

ეთნოგრაფიული ტიპოლოგიით, ქართული სოფლების მოსახლეობის ყოფა დღესაც სამხრეთდასავლური ქართული კულტურულ-სამეურნეო ტიპის კლასიკური ნიმუშია. ჯერ კიდევ უახლოეს წარსულში ისტორიულ ტაო-კლარჯეთში არსებობდა ტრადიციული დასახლების, განსახლების, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, სამეურნეო და საოჯახო ინვენტარის, საოჯახო ურთიერთობების, მენტალობის მთავარი მახასიათებლის ის ქვესახეობები, რომლებიც საერთოდ ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსათვის იყო ნიშნეული. სამწუხარო მიგრაციული პროცესების შედეგად, უკვე მეორე ათწლეულია, მოშლილია ტრადიციული სამეურნეო ყოფა. მოსახლეობის დიდი ნაწილი მხოლოდ ზაფხულობით სტუმრობს მშობლიურ მხარეებს და, შესაბამისად, უკვე აღარ მისდევენ ტრადიციულ სამეურნეო ცხოვრებას. ბუნებრივია, ეს ცოდნა დაიკარგება უკვე შემდგომ თაობაში – მიწათმოქმედებისა თუ მესაქონლეობის ტრადიციული ფორმების მცოდნე და მომსწრე თაობის შეცვლას, ცხადია, ისტორიული მეხსიერების ჯაჭვის გაწყვეტა მოჰყვება. ამ რეგიონის კულტურულ-სამეურნეო

ტიპი ტრადიციული ქართულია. მეურნეობის ძირითადი დარგები კვლავ მემინდვრეობა და მესაქონლეობაა. მისდევენ მეფუტკრეობას, ხით- და ქვითხუროობას, მეთუნეობას, მჭედლობას. მიწის შერჩევის, დამუშავების, მორწყვის, განოყიერების, გაწმენდის, ნიადაგების დასვენების და მოსავლის მოყვანის წესები მსგავსია მესხეთისა და ზემო აჭარისა. ძველად, ყველაზე გავრცელებული კულტურა ყოფილა ქერი და დიკა//ბუღდა, ასევე, სიმინდი, ჭვავი, ცერცვი, მუხუდო, ფეტვი, ღომი. ამჟამად, ძირითადად, მხოლოდ სიმინდი და კარტოფილი მოჰყავთ. მისდევენ მებოსტნეობას, მებაღეობას. მესაქონლეობა ძველად მეტად განვითარებული დარგი ყოფილა. ყველა სოფელს თავისი მთა (იაილა) და აგარა აქვს. ჯერ კიდევ 10-15 წლის წინ თითქმის ყოველ ოჯახს 10-მდე მეწველი საქონელი, ასევე, უღელი ხარი, ცხვრები და თხები ჰყოლია. სათიბები

სურ. 3. *იმერხევი, სოფელი ჩაქველთა. მარხილით თივის ზიდვის პროცესი*

უმეტესად სოფლიდან მოშორებითაა. ნედლი თივა ხანდახან კალოებზე, ეზოებში მოაქვთ მარხილებით და გოდრებით ან ჭაპნით და ახმობენ, „ხიმელ/ხემელ“ თივას ინახავენ საბძლებში. დღეისათვის მთის საზაფხულო სადგომები, ფაქტობრივად, ცარიელია და მოშლილია ტრადიციული მესაქონლეობის ფორმები. სოფელთა უმეტესობამ უკვე შეწყვიტა საზაფხულო იალაღებით სარგებლობა.

ტაო-კლარჯეთის სოფლებში შემონახულია მდიდარი სამეურნეო ინ-ვენტარი: სახნისები, მარხილები, ურმები, კევრები, ციგები, გოდრები, ფარცხები/ფოცხები, ორთითები, სამთითები/ფიწლები, ნიჩბები, საფორჩხ-

სურ. 4. *მარხილი იმერხევში, სოფელი უბე*

სურ. 5. *კევრი, იმერხევი, სოფელი უბე*

სურ. 6. *სამეურნეო ინვენტარი, იმერხევი, სოფელი მანატბა*

სურ. 7. *ურემი, იმერხევი, სოფელი ჩაქველთა*

სურ. 8. *წნული გოდრები, ტაო, სოფელი ელიასხევი*

ები, კაბდოები, ნამგლები/მანგლები, ცელი, უღელი, თოკები, კოდები/ კროჭები, კალათები, რკინის სამფეხები, ზედადგარები, თიხის კეცები, თიხის და ხის სადღვებლები, საჯები, სპილენძის ქვაბები, თუნგები/გუ-გუმები, ტაბლები: ფეშხუმი, ტაბაკი, საჩეჩელი, კვირთავი/კვირისტავი, ხერტალი, საფეიქრო დაზგა, ძაფსაგრეხები. შემონახულია შინ ნაქსოვი

სურ. 9. *სახელდახელო სუფრა იმერხევში, სოფელი ჩაქველთა*

ფარდაგები, ხალები, ჯეჯიმები, ჯვალები. წყაროებთან მიდგმულია გრძელი ავაზანები. უფრო მოკლე ავაზანებია ეზოებში.

შემონახულია ადგილობრივი ქართული ტრადიციული კვებითი კულტურის მრავალი ნიმუში: მჭადი, ფხალლობია, ლობიო, ფხალი, ფილავი, შორვაი, მჯავე, ჰაშლამა, ყაურმა, ბექმეზი, თაფლის ბაქლავა, ხალვა, ფაფა, წოწოქაი, შარბათი, კაკლის ზეთი. და სხვ. მზადდება რძის ნაწარმის ტრადიციული პროდუქცია: რამდენიმე სახის ყველი, ნაღები, მაწონი, არაჟანი, დო.

ტაო-კლარჯეთის სოფლებში განსახლების ტიპოლოგია ტრადიციულ-ქართულია, ხევისპირული, ვერტიკალური ზონალობითაა განლაგებული როგორც ძველი, ასევე, შედარებით ახალი სოფლებიც. ზოგიერთი სოფელი (ბაძგირეთი, მანატბა, ზაქიეთი, ქობაი, ბალხი, ბაგინი, გოხინავრი, ზეგანი...) განსაკუთრებით მაღალმთიანია და ამ შემთხვევებში იქ შესაბამისი კულტურულ-სამეურნეო ტიპია განვითარებული. ყოველ სოფელს თავისი ისტორიული გეოგრაფიული საზღვარი, აგარა და მთა (იაილა) აქვს. პარხლისწყლის ხეობასა და იმერხევში მთას/აგარას/ სოფელს ემატება შედარებით ახალი საცხოვრებელი პუნქტიც – „ბარი“: ძველი სოფელი თავის ტრადიციულ არეალში მდებარეობს, ხოლო „ბარი“ შედარებით ახალ დასახლებას წარმოადგენს და ტრადიციული დასახლებისაგან საკმაოდ დაცილებულ ადგილზეა გაშენებული. მოსახლეობა წლის განმავლობაში, ძირითადად, „ბარში“ ცხოვრობს, სახნავ-სათესი კი ძველ სოფელში აქვთ, სადაც გადადიან ზაფხულობით. დასახლების ტიპი როგორც ძველ, ასევე „ბარის“ სოფლებში ტრადიციულია. მოსახლეობა შეჯგუფებულად ცხოვრობს და ნათესაური განშტოებების განსახლების არეალიც გამოკვეთილია.

კარ-მიდამო ისტორიულ ტაო-კლარჯეთში სახლის, დამხმარე სამეურნეო ნაგებობების, კალოს, პატარა ბაღ-ბოსტნისა და ეზოსაგან შედგება. ძველი, ტრადიციული, კომბინირებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ნაწილი ამჟამადაც მოქმედია. ტრადიციული საცხოვრებელი სახლი 2-3-სართულიანია. პირველი სართული „ახორია“, მეორე და მესამე – საცხოვრებელი ფართია და ხანდახან – საბძელიც; ხოლო ისეთ სამეურნეო ნაგებობას, რომელიც საცხოვრებლის ფუნქციას არ ითავსებს, „ქორი“ ჰქვია. ქორი, ძირითადად, ორსართულიანია. პირველ სართულზე „ახორი“/ბოსელია მოწყობილი. მეორეზე – საბძელია. ქორი აგებულია ჰორიზონტალურად დაწყობილი ხის ძელებისაგან. ზედა სართული წინა

სურ. 10. *ტრადიციული საცხოვრებელი ნაგებობა იმერხევში*

სურ. 11. *ტრადიციული საცხოვრებელი ნაგებობა ტაოში*

სურ. 12. *უძველესი სახლის ნანგრევი ტაოში, ქობაის თემი, სოფელი ქვემო ქობაი*

სურ. 13. *სამეურნეო ნაგებობა – ნალია, კლარჯეთი, დევსქელის ხეობა*

მხრიდან ღია ფარდულია და იქ თივას ინახავენ, ქვედა სართულზე კი – ჩალასა და ნეკერს. როგორც ცნობილია, ქორი საერთო-ქართული სიტყვაა და იგი ნაგებობის აღმნიშვნელად საქართველოს ბევრ კუთხეშია შემონახული (სვანეთი, თუშეთი, აჭარის მთიანეთი...).[1]

იმერხევისა და პარხლისწყლის ხეობისაგან ოდნავ განსხვავებული საცხოვრებლის ტიპია გავრცელებული ბორჩხის მიმდებარე სოფლებსა და ლაზეთში. იქ ამჟამადაც ძირითადად ე. წ. „ლაზურ“/„ტოლმიან“/ ფახვერქიან სახლებს აგებენ. ლაზური სახლის კედლები აგებულია რიყის თლილი ქვისა და ხის მასალის კომბინირებით. შიგნიდან კედლები შეფიცრულია. ამ ტიპის ნაგებობა ქართული ხალხური არქიტექტურის ერთ-ერთი ლოკალური ნიმუშია. ლაზური სახლები მრავლად იყო აჭარის ქვედა ზოლსა და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ დასახლებაშიც. ტოლმიანი სახლები შემონახულია ართვინშიც. ამ ტიპის სახლებს იმერხეველები „ჩაკატურა სახლებს“ უწოდებენ.

ტრადიციული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების უმთავრესი ელემენტები გადატანილია თანამედროვე ყოფაშიც. ანუ, ახალი სახლები, ქართული კულტურის სიცოცხლისუნარიანობის დასტურია და იმეორებს ტრადიციულ ფორმებს, იმ განსხვავებით, რომ დღეისათვის, თანამედროვეობასთან ადაპტირებულია წყალგაყვანილობისა და გათბობის სისტემები. სამეურნეო ნაგებობები კი კვლავაც, ფაქტიურად, უცვლელი სახით მეორდება (საბძელი, ნალია, საფუტკრე, საშეშე ფარდული).

რელიგიურად ისტორიული ტაო-კლარჯეთის ქართველი მოსახლეობა დღეისათვის სუნიტი მუსლიმია. საუკუნეთა განმავლობაში, გარკვეული ობიექტური პირობებიდან გამომდინარე, ადგილობრივი ქართველების მხრიდან შეინიშნებოდა აქ შემონახული ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლების მიმართ გაუცხოება, მაგრამ აღსანიშნავია, რომ დღეს ადგილობრივი, მუსლიმი ქართველები ქრისტიანული კულტურის მიმართ პატივისცემას გამოხატავენ. საყურადღებოა ერთი გარემოებაც: ჩვენი ექსპედიციების უმეტესი ნაწილი ემთხვეოდა მუსლიმთა მარხვას, რომლის დროსაც მთელი დღის განმავლობაში მორწმუნეთათვის წყლისა

[1] რ. გუჯეჯიანი, ერთი საერთო-ქართველური ენობრივ-კულტურული ტერმინის შესახებ („ქორ“-ი), *ქართველური მემკვიდრეობა*, XI (2007), გვ. 152-158.

სურ. 14. *ექსპედიციის მასპინძელი, იმერხევი, სოფელი ჩაქველთა*



სურ. 15. *პურის ცხობის პროცესი, ტაო, ხევაის თემი, სოფელი ელიასხევი*



სურ. 16. *სადღვებელი, ტაო, ბალხის თემი*

და საკვების მიღება აკრძალულია. თავიდან საკმაოდ გაგვაოცა, ხოლო შემდეგ მივეჩვიეთ იმ ფაქტს, რომ ყველა სოფელში, გვხვდებოდნენ რა დიდი სიხარულით, მარხვის მიუხედავად, აუცილებლად ცდილობდნენ გაგვმასპინძლებოდნენ. ხოლო, როდესაც მართლმადიდებლური მარხვის დღეები ემთხვეოდა, ეს ამბავი სოფლიდან სოფელს გადაეცემოდა და მორიგ სოფელში მისულებს, ადგილობრივები სამარხვო კერძებს გვახვე-

სურ. 17. *სკა, ტაო, ქობაის თემი, ზემო ქობაი*

სურ. 18. *საოჯახო ინვენტარი, იმერხევი, დიობანი*

სურ. 19. *საოჯახო ინვენტარი, კლარჯეთი, ქლასკურის ხეობა*

დრებდნენ. ეს ფაქტი მოსახლეობის ძირძველ ქართულ სტუმართმოყვარეობაზეც მიუთითებს და მათ შორის რელიგიური ფუნდამენტალიზმის, ფაქტობრივად, არარსებობასაც ავლენს.

ეთნიკური კუთხით, ქართველთა დიდი ნაწილის ქართული იდენტობა სრულიად თვალნათელია. რასაკვირველია, ისინი თურქეთის მოქალაქეები და, ბუნებრივია, თურქეთის სახელმწიფოს ერთგული წევრები არიან, მაგრამ, ამავე დროს, ეთნიკურად თავიანთ თავს ქართველებად აღიქვამენ.

ისტორიული ტაო-კლარჯეთის ქართველთა ერთი ნაწილი ცხოვრობს და მუშაობს თურქეთის დიდი ქალაქებში.

ართვინის ვილაიეთის უდიდესი ნაწილის ისტორიული ტოპონიმები და ჰიდრონიმები ქართულია. მაგალითად, ასეთია სოფელ ხევწურილის შიდა ტოპონიმიკა: მიხელმიენთი, აბრამიენთი, მეგრელიენთი, რევაზიენთი//თუთიენთი, ჯიმუხიენთი, გოჩიენთი, ბელტიელთი, წიქარული, ჭალათი, ბოსტანსერი, ბარელთა, ბულულა, ფაფართი, დიდველი, კოკოლა სერი, კარეთი, აკვანა, ხარისაკლავი, ხევა, აბურთული, შუაჭალები, კვირისტავათი და სხვ. ხოლო მაკროტოპონიმიკა ყველგან ოფიციალურად შეცვლილია თურქული სახელწოდებებით.

საერთოდ, თურქეთის ეთნიკურად ქართული მოსახლეობა კვლავ ცდილობს ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნებას, ოჯახი და ქორწინება განიხილება ქართველობის შენარჩუნების ერთ-ერთ მთავარ პირობად და სასურველად თვლიან ქართველის ქართველზე დაქორწინებას, მაგრამ სწრაფი ტემპით იკარგება ტრადიციული ქართული საქორწინო რიტუალები. გაჩნდა ნოვაცია: ტრადიციული ქართული საქორწილო სუფრა იცვლება საბანკეტო დარბაზში – „სალუნში“ გამართული რიტუალით.

სულიერი კულტურის ზოგიერთი ქართული მოტივი ვლინდება ახალი წლის აღნიშვნის ქართულ წესში. ჯერ კიდევ ათიოდე წლის წინ ყველგან აღინიშნებოდა შუამთობისა და მარიამობის დღესასწაულები. მაგალითად, ხევწრულელები მარიაობას თავიანთ იალიაში აღნიშნავდნენ: „ხევწრულელების იალაი არის სოფლიდან 20 კილომეტრში, წიქარული ჰქვია, ივეთი ახლო არის ჩვენ იალაიაზე. ტამოჯნია ჩანს იმ სერებზე. იქითა მხარეს მერეთაა, მაჭახელია. 20 აგვისტოს მივდიოდით მარიამობაზე. დილით გავიდოდით, ზოგი ცქვიტად მიდიოდა, ზოგი დუუცდიდით. საღამოს ვიყავით იქ. ხუთ დღეს დავრჩებოდით, ვიცეკვებდით, ვისაამებდით. 1993 წლის მერე არავინ წასულა იქ“. ამ ხალხურ დღეობებს

თანდათანობით ჩაენაცვლა ე.წ. ფესტივალები, რომელთა ორგანიზებას ადმინისტრაციული ორგანოები ახორციელებენ. მაგალითად, ზედა მაჭახელში იმართება თაფლის, პარხლისწყლის სოფლებში – ხარების, იმერხევში – სათავის ფესტივალი და სხვ. მიუხედავად ამისა, მარიამობა დღესაც აღინიშნება იმერხევის, ქლასკურისა და დევსქელის ზოგიერთ იაილაში/მთაში. ქართული კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნების კუთხით, აღსანიშნავია იმერხევის ერთ-ერთი ყველაზე მაღალმთიანი სოფლის – ბაზგირეთის მაგალითი. მარიამობის განსაკუთრებული სანახაობრივი და შინაარსობრივი დატვირთვა სწორედ ბაძგირეთის მოსახლეობამ შემოინახა. ამ სოფლის ახალგაზრდების ინიციატივით მარიამობა ყოველწლიურად აღინიშნება და ბაზგირეთელები ცდილობენ, დღეობას ტრადიციული სახე და იერი შეუნარჩუნონ. შუამთობა იმართება ტაოშიც, ქობაის თემის მთაში – წალიკვანში.

ტრადიციული ქართული მენტალური მახასიათებლები ვლინდება საოჯახო ყოფაში, ნათესაურ ურთიერთობებში, ასაკოვანი ადამიანებისადმი განსაკუთრებულ პატივისცემასა და მოკრძალებაში. ქართველთა შორის არ ფიქსირდება ორცოლიანობის შემთხვევები. ქალს პატივისცემით ეპყრობიან და მას ოჯახის მართვა-გამგეობის საქმეში მნიშვნელოვან როლს უთმობენ. შემონახულია ურთიერთდახმარების ტრადიციები: სოფელი მხარში უდგას ერთმანეთს ჭირსა და ლხინში, შრომით ურთიერთობებში (ნადი). ქართული მოტივებია შემონახული გლოვის რიტუალში, როდესაც სოფელში გარდაცვლილია, იკრძალება ყოველგვარი ლხინი და თავყრილობა. აღსანიშნავია მეჩეთების (ჯამეების) ინტერიერსა და გარეშემკულობაში ტრადიციული ქართული ორნამენტებისა და სიმბოლოების არსებობა. ტრადიციული სულიერი კულტურის საგანძურიდან საყურადღებოა ზემო მაჭახლის ქართული მუსიკალური ფოლკლორი, სადაც შემორჩენილია ქართული მრავალხმიანობა და ორიგინალური ხალხური მუსიკალური შემოქმედება.[2]

ართვინის ვილაიეთის ეთნიკურ ქართველთა ყოფაში დიდი ადგილი უჭირავს წმიდა მეფის – თამარის – თამარ დედოფლის/დოდოფლის ხსოვ-

[2] რ. გუჯეჯიანი, რ. თოფჩიშვილი, ტ. ფუტკარაძე, ნ. შოშიტაშვილი, გ. ჭეიშვილი, ეთნოგრაფიული ზედა მაჭახელი, *ქართველური მემკვიდრეობა,* XII (2008), გვ. 73-87.

ნას. ადგილობრივი ქართველის ქართულ ეთნიკურ კულტურასთან იდენ-ტობის უმთავრეს მარკერს სწორედ თამარ მეფის სახელი წარმოადგენს. იმერხევის, ზემო მაჭახლის, დევსქელის ხეობის, ქლასკურის ხეობის, მურღულის ხეობის, ხება-მარადიდის მხარის, ართვინის გარშემო მდე-ბარე ქართულის სოფლების, პარხლისწყლის ხეობის ნებისმიერ სოფელში აუცილებლად დაასახელებენ ციხეს, ხიდს, ნაეკლესიარს, ან ტოპონიმს, რომელთანაც თამარ მეფის სახელია დაკავშირებული. მაგალითად, გად-მოცემით, პარხლისწყლის ხეობაში რამდენიმეკილომეტრიანი რუს მშენ-ებლობა (სავრიათის რუ//არხი) და იქვე ახალი სოფლის – სავრიათის – გაშენება, კონკრეტულად თამარ მეფის დროს უკავშირდება. ლეგენდის თანახმად, ამ ადგილას თამარ მეფის ჯარი მდგარა და აუცილებელი გამხ-ადარა ჯარის საკვებით მომარაგებისათვის ახალი სოფლის მშენებლობა: „ბალხიბარში მდგარა თამარ დოდოფლის ასკერები. სავრიათში ჰყავდათ ფურები. შემოსასვლელში ჭიშკარი უშენებია. წელიწადში 800 ასკერს აგ-ზავნიდა თამარ დოდოფალი. მერე აქ რუ გააკეთა. სანამ აქ რუ იქნება, ხალხიც იქნებაო. ეს რუ თამარას გუუკეთებია“. თამარ მეფეს უკავშირდ-ება იმერხევის მრავალი ნაციხარი, ხიდი, ნაეკლესიარი, ეკლესიების ციხ-



სურ. 20. *თამარ მეფის მიერ დაარსებული სოფელი სავრიათი, ტაო, ბალხის თემი*

სურ. 21. *აგარა ტაოში*

სურ. 22. *ტერასები ტაოში*

ეებთან დამაკავშირებელი გვირაბების მშენებლობა, მურღულის ხეობის რამდენიმე ციხე, ხიდი, აბანო, დევსქელის მთაში აღმართული ნაეკლესიარი, მაჭახლის „ნაქალაქარი“ და ეფრატის ნაეკლესიარი და სხვ.[3]

იმერხევის, ფოცხოვის მხარის, შავშეთისწყლის, ნიგალის ხეობის, ამიერტაოს ტრადიციულ ქართულ დასახლებებში შემონახულია ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები: ციხეები, ხიდები, არხები, გვირაბები, ტრადიციული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები. თითქმის ყველა სოფელში შემორჩენილია ნაეკლესიარები. უმრავლეს ადგილას ნაეკლესიარზე ჯამეა აშენებული. შემონახულ ეკლესიათა და ციხეთა დიდი ნაწილი ნანგრევების სახითაა მოღწეული ჩვენს დრომდე.

თანამედროვე ეთნოკულტურული პროცესები წარმოაჩენს ტენდენციას – ახალგაზრდა თაობის დაინტერესებას წინაპართა კულტურით. ართვინის ვილაიეთში შექმნილია რამდენიმე კულტურული საზოგადოება, რომლის წევრებიც კრებენ მასალას თავიანთი მხარეების, სოფლების, მატერიალური კულტურის ძეგლების, ტოპონიმების, საგვარეულო ისტორიების შესახებ და ამ მასალას განათავსებენ ინტერნეტსივრცეში. თურქეთის ცენტრალურ ქალაქებში მიგრირებული ეთნიკური ქართველები გაერთიანებული არიან „ქართული კულტურის ცენტრებში“, „ქართული კულტურის სახლებში“, „ქართული ხელოვნების სახლში“. არსებობს რამდენიმე „იმერხეველთა საზოგადოება“, „მაჭახლის ფონდი“ და სხვა. ეს ორგანიზაციები, ძირითადად, კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტებით არიან დაკავებულები.

საგულისხმოა ერთი გარემოებაც – ყოველი მორიგი ექსპედიციის დროს, ეთნოლოგები ვხედავთ მოსახლეობის ერთგვარ მობილიზებას, მათ მცდელობას, მოიძიონ ახალ-ახალი ინფორმაცია თავიანთი ტრადიციული ყოფიდან და ჩვენი შემდგომი სტუმრობის დროს ზოგიერთი მათგანი ჩანაწერებსაც კი გვახვედრებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ადგილობრივი მოსახლეობის სურვილი – ისტორიული გვარების მოძიებისა და დადგენის თვალსაზრისით. ისტორიული გვარის მოძიება თურქეთის ქართველთა დიდი ნაწილისათვის თანდათანობით მნიშვნელოვან და

[3] რ. გუჯეჯიანი, თამარ მეფის ხატება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტრადიციულ ყოფაში, *ქართულ-თურქული კულტურული პარალელები*, I (2009), გვ. 16-28.

სურ. 23. *ნამგლის კვერვის პროცესი. უხუცესი ქართველი სოფელ ქვემო ქობაიში. ტაო*

აუცილებელ საქმედ იქცა. იგი ეთნიკური იდენტობის მახასიათებლად ჩამოყალიბდა. ცნობილია, ქართულ გვარსახელთა სისტემა ისტორიულ ტაო-კლარჯეთში საუკუნეთა სიღრმეში მოიშალა, მოსახლეობას ჯერ მიენიჭა ოსმალური გვარები, ხოლო მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან ტაო-კლარჯეთის ქართულ მოსახლეობას, ისევე როგორც თურქეთის ყველა მოქალაქეს, სახელმწიფოსგან მიეცა თურქული გვარები. თანამედროვე ვითარებით, ქართველთა უმრავლესობას ახსოვს ოსმალური პერიოდის გვარიც, ზოგიერთს კი – ძველი ქართული გვარსახელიც, ან მამიშვილობის სახელი. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: აჭარიანნი, დარბაძე/დარბაზიენთი, დუგლაძე, დუმბაძე, დოლოღნიშვილი, ბუტიძე, გვარამაძე, გვარიშვილი, გვიანიძე, გორგაძე, გორაძე, გუნდარიძე, დეღიკიძე, დუმბაძე, ვასაძე, თევთიძე, თურმანიძე, ირემაძე, კავლიანნი, კახიძე, კიბორიძე, კირკიტაძე, კოდათიანნი, კოლოთიძე, კორტიძე, კორტოხაძე, კოსოლიძე, ლოლაძე, მალაყმაძე, მამულიანნი, მარგაძე, მელაშვილი, მელიქიძე, მოლაშვილები, მოსიძე, მოლიძე, მოფრინაძე, ჟივიძე, ფაღავა, ფაშიაშვილი, ფუტკარაძე, ქავთარაძე, ქათამაძე, ქარცივაძე, ქოქოლაძე, შავქეთლიენთი, შამანიძე, შარაძე, ჩივაძე, ცივნარიძე/ციმნარიძე, ძნელაძე, წიქვაძე, ჭივიძე, ჯაფარიძე, ხალიანნი, ხაჯალიძე, ჯინჭარაძე, ჯიჯანიძე და სხვ.

ართვინის ვილაეთის ეთნიკურ ქართველთა ეთნოგრაფიული ყოფის ანალიზი ტრადიციული ქართული ღირებულებების სიცოცხლისუნარიანობას ავლენს ისტორიული ტაო-კლარჯეთის მნიშვნელოვან ნაწილში. ამ მხარის ქართველები დღემდე ინახავენ ტრადიციულ ქართულ კულტურულ-სამეურნეო ტიპს, საოჯახო, სულიერი და სოციალური ყოფის ისეთ ნიუანსებს და მენტალურ პასაჟებს, რომლებიც ქართული ეთნიკური კულტურის მობილობის ნათელ მაგალითებად გვევლინება, მაგრამ უმთვარეს პრობლემას ქმნის მოზარდ თაობაში დედაენის დაკარგვის საშიშროება. ამ ეტაპზე დედაენის შემსწავლელი რამდენიმე საკვირაო სკოლა მხოლოდ ცენტრალურ თურქეთში მოქმედებს, მაგრამ მსგავსი კერა ჯერჯერობით არ არსებობს ართვინის ვილაიეთში.

ბიბლიოგრაფია

References

R. Gujejiani, On a Common Kartvelian lingual and cultural term (Kor-i), *Kartvelian Heritage,* XI (2007) (in Georgian).

R. Gujejiani, R. Topchishvili, T. Putkaradze, N. Shoshitashvili, G. Cheishvili, Ethnography of Zeda (Upper) Machakheli, *Kartvelian Heritage,* XII (2008) (in Georgian).

R. Gujejiani, The image of King Tamar in traditional life of South-Western Georgia, *Georgian-Turkish Cultural Parallels* (Tbilisi, 2009) (in Georgian).

Rozeta Gujejiani

The Modern Way of Life and Culture of the Ethnic Georgians of Artvin Vilayet (North-East Turkey)

Modern Artvin vilayet is comprised of historical Klarjeti and part of hither Tao. The chief city of the vilayet – Artvin – is the administrative centre of the region. The number of ethnic Georgians in the vilayet is considerable. Administratively, Artvin vilayet is divided into: Arkhave, Khopa, Borchkha, Ardanuji, Shavshati, Murghuli, Iusupeli.

Artvin is situated in the historical region of Nigali (Ligani//Livani), and the traditional villages around it are largely settled by an ethnic Georgian population. Borchkha district unites Zemo Machakheli, Devskeli Ravine, Zemo and Kvemo Klaskuri, Kheba-Maradidi area. Murghuli district embraces the Murghulistsqali Valley. The villages of Shavshetistsqali and Imerkhevistsqali are within Shavshati district. Several ravines of Khopa and Arkhavi districts of Artvin Vilayet are populated by the Laz. Part of hither Tao is within Iusufeli district: the Parkhlistsqali River valley, where a large part of the population are ethnically Georgians as well.

At present, Zemo Machakheli (six communes), the Imerkhevistsqali Valley, the Murghuli Valley, Zemo and Kvemo Klaskuri, the Devskeli Valley, Zemo Maradidi, Katapkhia, Kheba, villages adjoining Borchkha and Artvin, one part of historical hither Tao – Parkhlistsqali Valley, etc. are almost entirely populated by ethnic Georgians.

The paper gives an analysis of the historical-ethnographic material gathered in Artvin Vilayet in 2006-2011.

Scientific ethnographic expeditions to Artvin Vilayet were conducted largely in summer, for in this season the population returns to historical Tao-Klarjeti. Georgian villages are again filled with people in summer, and the population stays here till the end of October. Then the villages are almost completely deserted.

In their official relations the Georgians of Artvin Vilayet use Turkish, while in their villages and homes they speak Georgian. Four dialects of the Georgian language have survived: of Machakheli, Livani (in the Nigali valley), Imerkhevi and Tao.

In terms of ethnographic typology, the way of life of the Georgian villages is today too a classical example of the south-west Georgian cultural-economic type. In the recent past, the subvarieties of the principal characteristics of traditional settlement, distribution, dwelling and household structures, farming, livestock breeding, farming and household tools, family relations and mentality existed in historical Tao-Klarjeti that were typical of south-western Georgia, in general. As a result of regrettable migration processes, over the last two decades the traditional economic life has broken down. A large part of the population visits its native places only in summer and, accordingly, the traditional husbandry is no longer practised. This knowledge

will naturally be lost in the subsequent generation: the change of the generation with knowledge or experience of the traditional forms of agriculture or cattle-breeding will be followed by a breakage of the chain of historical memory. The cultural-economic type of this region is traditional Georgian. The basic branches of economy are plowing and livestock-breeding. Bee-keeping, wood and stone working, pottery, black-smithing are followed. The rules of land selection, tillage, irrigation, fertilization, clearing, fallowing and sowing crops are similar to those of Meskheti and Zemo Adjara. The most widespread crops in these parts were barley and Persian wheat//bughda as well as maize, rye, lentil, soya, millet and Italian millet. At present, only maize and potatoes are sown in the main. Kitchen-gardens and orchards are planted. Livestock husbandry proves to have been highly developed in older times. All villages had their own mountain (yaila) and fields. Some ten-fifteen years ago almost all families had up to 10 milch cows, a yoke of oxen, sheep and goats. Hayfields are mostly at some distance from the village. Fresh hay is sometimes brought to threshing-grounds and yards on sledges and in large baskets or hauted to dry, "Khimel/Khemel" (dried) hay is kept in barns. Today mountain summer pastures are actually deserted and the forms of traditional cattle-breeding have broken down.

In Tao-Klarjeti villages a rich stock of folk household and land-cultivation tools and implements, folk transport, local Georgian traditional specimens of cuisine have been preserved.

The typology of settlement in Tao-Klarjeti villages is traditional Georgian: both old and relatively new villages are situated in vertical zonation along ravines. Each village has its own historical geographic boundary, fields and mountain (yaila). In the Parkhlistsqali Valley and Imerkhevi a relative by new living-place 'bari' is added to the mountain/yaila/village: the old village remains at its traditional place, while 'bari' is a relatively new settlement built at some distance from the traditional settlement. During the year, the population lives mainly in the 'bari', and their arable land is in the old village, where they move in summer. The settlement type in the old as well as in 'bari' villages is traditional. The population lives in groups and the area of settlement of kinship branches is clearly defined.

The house and yard in historical Tao-Klarjeti consists of the house proper, outbuildings, threshing-floor, a small kitchen-garden and orchard and yard.

The old, traditional combined dwelling and household economy structures are partly in place now too. The traditional dwelling-house is 2 to 3-storeyed. The ground floor is winter cattle stall, the first and second storeys are living quarter and occasionally barn. A household structure in which they do not live is called 'kori'.

In the villages adjoining Borchkha and in Lazeti a type of dwelling slightly different from that found in Imerkhevi and Parkhlistsqali valleys is evidenced. There to the present day the so-called 'Laz'/'Tolma'/Pakhverk houses are built. The walls of a Laz house are built of dressed stone combined with wood. Inside the walls are boarded. This type of structure is one of the local specimens of Georgian folk architecture, called by the Imerkhevians 'chakatura' house.

In respect of religion, today the Georgian population of historical Tao-Klarjeti is Sunni Muslim. It should be noted that today the local Muslim Georgians express their respect for Christian culture.

From the ethnic angle, the Georgian identity of a large part of Georgians is quite clear. Of course, they are citizens of Turkey and, naturally, loyal members of the Turkish State, yet ethnically they perceive themselves as Georgians.

The vast majority of the historical place of Artvin Vilayet and the river names are Georgian. For example, this is the case with the inner toponymy of the village of Khevtsurili: Mikhelmienti, Abramienti, Megrelienti, Revazienti// Tutienti, Jimukhienti, Gochienti, Beltielti, Tsikaruli, Chalati, Bostanseri, Barelta, Bulula, Paparti, Didveli, Kokola Seri, Kareti, Akvana, Kharisaklavi, Kheva, Aburtuli, Shuachalebi, Kviristavati, etc. The macrotoponymy is everywhere officially changed to Turkish designations.

In general, the ethnically Turkish population still tries to preserve its ethnic originality. The family and marriage are considered to be one of the principal conditions of preserving Georgian originality, believing it advisable for a Georgian to marry a Georgian. However, traditional wedding rituals are being lost at a fast pace.

Some motifs of Georgian spiritual culture are revealed in the Georgian way of celebrating the New Year, and in a few Georgian folk festivals (Shuamtoba, Marioba, Moqrianoba).

Traditional Georgian mental characteristics are manifested in Georgian

family life, in kinship relations, special respect for and deference to aged persons. Digamy is not evidenced among Georgians. A woman is treated with respect and is accorded a considerable role in the management of the family. Traditions of mutual assistance are preserved: the village residents support one another in good times and bad, in work relations (neighbours helping out with harvest). Georgian motifs are preserved in the mourning ritual; when there is a deceased person in the village, all feasts and gatherings are forbidden. The existence should be noted of Georgian traditional ornaments and symbols in the interior and external adornment of mosques. Of the traditional spiritual culture notable is the Georgian musical folklore of Zemo Machakheli, where Georgian polyphony and original folk musical creativity survive.

The memory of the saintly Queen Tamar holds a place of honour in the life of the ethnic Georgians of Artvin Vilayet. The chief marker of the identity of a local Georgian with Georgian ethnic culture is the name of Queen Tamar.

Modern ethnocultural processes reveal the trend of the interest of the young generation in the culture of their ancestors. Several cultural societies have been set up in Artvin Vilayet. The members of these societies are gathering material on their provinces and villages, monuments of material culture, place names, histories of family clans, they place this material in the Internet space. Ethnic Georgians who migrated to central cities of Turkey are united in 'Centres of Georgian Culture', 'Houses of Georgian Culture', 'House of Georgian Art'. Several 'Societies of Imerkhevians', 'The Machakheli Foundation', etc. are on record. These organizations are mainly engaged in cultural-educational projects.

One more circumstance is notable: at each regular expedition, ethnologists see some kind of mobilization of the population, their endeavour to seek ever new information on their traditional life, and at our next visit some welcome us with records. In this respect, special interest attaches to the desire of studying the family names. A search for historical family names has become a significant and necessary activity of a large section of Georgians in Turkey.

The analysis of the ethnographic life of the ethnic Georgians of Artvin Vilayet reveals the vitality of the traditional values in a large part of historical Tao-Klarjeti. The Georgians of this province are preserving to the present day the shades of traditional Georgian cultural-economy type, family, spiritual, social and mental traits that emerge as clear mobility of Georgian

ethnic culture. However, the principal problem lies in the threat of the young generation losing its mother tongue. At present, several Sunday schools teaching Georgian function only in Central Turkey. But, so far, no similar centre exists in Artvin Vilayet.

ფილოლოგია

ირინა გველესიანი

„კანონისმიერ მემკვიდრეობასთან“ დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები ქართულ, რუსულსა და ინგლისურ ენებში

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“, „რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კანონმდებლობისა“ და „მონტანის კოდექსის“ მიხედვით

საქართველოს კონსტიტუცია ადამიანის ძირითად უფლებად მემკვიდრეობის უფლებას ასახელებს. ამ უფლების პრაქტიკული განხორციელების კერძო სამართლებრივ მექანიზმს განამტკიცებს მემკვიდრეობის სამართალი – იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლითაც მოწესრიგებულია გარდაცვლილი პირის ქონების იურიდიული ბედი. ადამიანის გარდაცვალება არასოდეს იწვევს მისი ქონებრივი უფლებების ავტომატურ შეწყვეტას. ისინი გრძელდება მისი მემკვიდრეების მიერ. თაობებს შორის ასეთი პერმანენტული კავშირი ყოველი საზოგადოების სტაბილურობისა და კულტურული ტრადიციების უწყვეტობის უეჭველი წინაპირობაა.

თანამედროვე ქართული სამართალი განასხვავებს მემკვიდრეობის ორ ძირითად სახეს – „კანონისმიერსა“ და „ანდერძისმიერს“. ამასთანავე, გამოიყოფა კანონისმიერი და ანდერძისმიერი მემკვიდრეობის სუბიექტები და ობიექტები. შესაბამისად, დღის წესრიგში დგება ამ ცნებათა აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების კატეგორიზაციისა და კლასიფიკაციის საკითხი.

კანონისმიერი მემკვიდრეობის სუბიექტებზე საუბრისას გამოვყოფთ: „მამკვიდრებელსა“ და „კანონისმიერ მემკვიდრეებს“. ტერმინით „მამკვიდრებელი“ აღინიშნება სამკვიდროს დამტოვებელი ფიზიკური პირი, მაშინ, როდესაც „კანონისმიერი მემკვიდრეები“ კანონში მითითებული ფიზიკური ან იურიდიული (უმკვიდრო ქონების შემთხვევაში) პირებია, რომლებიც ეუფლებიან სამკვიდროს ე.წ. **კანონისმიერი მემკვიდრეობის წესით** („იმ შემთხვევაში, თუ მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი, ან თუ ანდერძი მოიცავს სამკვიდროს ნაწილს, ან თუ ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად არის ცნობილი“[1]), რაც გულისხმობს, ფიზიკურ

[1] *საქართველოს სამოქალაქო კოდექსი* (თბილისი, 2002), გვ. 301.

პირთა მემკვიდრეებად მოწვევას მამკვიდრებელთან მათი ნათესაური სიახლოვის ხარისხის გათვალისწინებით. შესაბამისად, იქმნება ხუთსაფეხურიანი იერარქია და თანასწორი წილის უფლებით მემკვიდრეებად მოიწოდებიან:

I. **პირველი საფეხური** – გარდაცვლილის შვილი, მეუღლე და მშობლები. შვილიშვილები და მათი შვილები მხოლოდ მაშინ ჩაითვლებიან მემკვიდრეებად, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მამკვიდრებლის მემკვიდრედ მიჩნეული მათი მშობელი.

II. მეორე საფეხური – გარდაცვლილის დები და ძმები (მათი შთამომავლები).

III. მესამე საფეხური – გარდაცვლილის ბებია და პაპა (მათი მშობლები).

IV. მეოთხე საფეხური – ბიძები, დეიდები და მამიდები.

V. მეხუთე საფეხური – ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები.

ამასთანავე, სამკვიდროს გახსნის დროს, წინა საფეხურის თუნდაც ერთ-ერთი მემკვიდრის არსებობა გამორიცხავს შემდგომი საფეხურის მემკვიდრეობას.

კანონისმიერ მემკვიდრეებად უნდა მივიჩნიოთ ე.წ. „სავალდებულო წილის“ მიმღები სუბიექტებიც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის თანახმად: „მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა“.[2] აღნიშნული მუხლი ზღუდავს ანდერძის თავისუფლების პრინციპს მამკვიდრებლის ოჯახის წევრთა ინტერესებიდან გამომდინარე. შესაბამისად, სავალდებულო წილის მიმღებ ფიზიკურ პირებს ვუწოდებთ „სავალდებულო მემკვიდრეებს“ და მივაკუთვნებთ კანონისმიერ მემკვიდრეთა წრეს.

აქვე გამოვყოფთ კანონისმიერი მემკვიდრეობის ობიექტებსაც. თანამედროვე ქართული სამართლის ძეგლების შესწავლამ ცხადყო, რომ მემკვიდრეობის სამართლებრივ ურთიერთობათა ობიექტად „სამკვიდრო ქონება“ („სამკვიდრო“) არის აღიარებული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლის თანახმად: „ქონება... არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა

[2] იქვე, გვ. 314.

შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს“.[3]

როგორც მოცემული მუხლიდან ირკვევა, ქართული კანონმდებლობა ქონებად აღიარებს როგორც **ნივთებს,** ასევე **არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებსაც.** „რომის სამართლიდან მოკიდებული, პირველი სხეულებრივი ნივთების (res corporales) სახელწოდებითაა ცნობილი, მეორე კი – უსხეულო ნივთების (incorporales) სახელით“.[4] ყველა შემთხვევაში, როგორიც არ უნდა იყოს ნივთი, ქონებად იგი იქცევა იმ უფლება-მოვალეობათა წყალობით, რომლებიც მასთანაა დაკავშირებული.

ნივთი შეიძლება იყოს **უძრავი** და **მოძრავი**. „უძრავი ნივთი“ ისეთი ქონებაა, რომელიც არ შეიძლება გადაადგილდეს არსებითი დაზიანებისა და ღირებულების შემცირების გარეშე. ამასთანავე, „უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები და შენობა-ნაგებობები, რომლებიც მყარად დგას მიწაზე“.[5]

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული კანონმდებლობა მხოლოდ უძრავი ნივთების განმარტებას იძლევა და ამ დუმილით გვამცნობს, რომ მოძრავად უნდა ჩაითვალოს ყველა ის ნივთი, რომელიც არ არის უძრავი.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია „არამატერიალური ქონებრივი სიკეთის“ ცნების განსაზღვრაც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 152-ე მუხლის თანახმად: „არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირს, ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირს რაიმე“.[6]

მაშასადამე, თანამედროვე ქართული კანონმდებლობის თანახმად, მემკვიდრეობის სამართლის ძირითადი ობიექტი არის „სამკვიდრო“. იგი შედგება „სამკვიდრო აქტივისა“ და „პასივისაგან“. „აქტივს“ წარმოადგენს მამკვიდრებლის „ქონებრივი უფლებები“ – უფლებები „მატერიალურ სიკეთეებსა“ („ნივთებზე“) და „არამატერიალურ სიკეთეებზე“.

---

[3] იქვე, გვ. 48.

[4] *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი* (თბილისი, 1999), გვ. 15.

[5] *საქართველოს სამოქალაქო კოდექსი*, გვ. 48.

[6] იქვე, გვ. 49.

„მატერიალური სიკეთე“ შეიძლება იყოს **უძრავი** ან **მოძრავი**. რაც შეეხება „სამკვიდრო პასივს“, მასში შედის მამკვიდრებლის „ქონებრივი მოვალეობები“ – მემკვიდრეთა პასუხისმგებლობა მამკვიდრებლის ვალებისათვის. ამასთანავე, შესაძლებელია უმემკვიდრეოდ დარჩენილი სამკვიდროს არსებობაც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის თანახმად: „თუ არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ანდა, როცა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, უმკვიდრო ქონება გადადის ხაზინაზე“.[7] მაშასადამე, ტერმინი „უმკვიდრო ქონება“ მემკვიდრის გარეშე დარჩენილი სამკვიდროს აღსანიშნავად გამოიყენება. ქონების ის ნაწილი კი, რომელიც კანონისმიერი და ანდერძისმიერი მემკვიდრეებისათვის არის განკუთვნილი „სამკვიდრო წილად“ არის წოდებული. „სამკვიდრო წილთა“ კატეგორიას მივაკუთვნებთ ზემოხსენებულ „სავალდებულო წილსაც“ – სავალდებულო მემკვიდრეებისათვის განკუთვნილი სამკვიდროს ნაწილს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მსგავსად, რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კანონმდებლობაშიც გამოიყოფა მემკვიდრეობის ორი ძირითადი სახე: კანონისმიერი მემკვიდრეობა („наследование по закону“) და ანდერძისმიერი მემკვიდრეობა („наследование по завещанию“). კანონისმიერი მემკვიდრეობისას ქონების დამკვიდრება ხორციელდება კანონით გათვალისწინებული თანმიმდევრობით (ნათესაური კავშირის მიხედვით), ხოლო ანდერძისმიერი მემკვიდრეობისას ანდერძში გაკეთებული მითითებებით.

კანონისმიერ მემკვიდრეობაზე საუბრისას გამოვყოფთ: „მამკვიდრებელსა“ („наследодатель“) და „კანონისმიერ მემკვიდრეებს“ („наследники по закону“). ტერმინით „наследодатель“ აღინიშნება სამკვიდროს დამტოვებელი ფიზიკური პირი, მაშინ როდესაც „наследники по закону“ სამკვიდროს ეუფლებიან ე.წ. კანონისმიერი მემკვიდრეობის წესით. შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კანონმდებლობის 532-ე მუხლის თანახმად, თანასწორი წილის უფლებით მემკვიდრეებად იწოდებიან:

„პირველ რიგში – გარდაცვლილის შვილები (მათ შორის ნაშვილები), მეუღლე და მშობლები (მშვილებლები), აგრეთვე გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა;

---

[7] *საქართველოს სამოქალაქო კოდექსი*, გვ. 308.

მეორე რიგში – გარდაცვლილის დები და ძმები, მისი ბაბუა და ბებია, როგორც მამის, ისე დედის მხრიდან“.[8]

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამჟამად რუსეთში მზადდება სამოქალაქო კოდექსის III ნაწილის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კანონისმიერ მემკვიდრეთა ორი რიგის შეცვლას ხუთით, რაც, ფაქტობრივად, შეამცირებს ქართულსა და რუსულ სამართლებრივ ნორმებს შორის არსებულ სხვაობას.

ამასთანავე, კანონისმიერ მემკვიდრეთა წრეს მიეკუთვნებიან ე.წ. „სავალდებულო მემკვიდრეებიც“ („необходимые наследники“). რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კანონმდებლობის 535-ე მუხლის თანახმად: „მამკვიდრებლის არასრულწლოვანი ან არაშრომისუნარიანი შვილები (მათ შორის ნაშვილებიც), აგრეთვე არაშრომისუნარიანი მეუღლე, შვილები, მშობლები (მშვილებლები) და გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფი სხვა პირები, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, მემკვიდრეობით იღებენ არანაკლებ 2/3-ისა იმ წილიდან, რომელიც თითოეულ მათგანს კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს ერგებოდა“.[9] შესაბამისად, აღნიშნულ წილს ეწოდება „обязательная доля“ („სავალდებულო წილი“) და იგი ზღუდავს (არაშრომისუნარიანი ნათესავების სასარგებლოდ) მოანდერძის ნების თავისუფლებას, საკუთარი სურვილისამებრ გაანაწილოს სამკვიდრო ქონება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მსგავსად, რუსეთის კანონმდებლობაც მემკვიდრეობის სამართლის ძირითად ობიექტად ასახელებს სამკვიდროს („наследство”, „наследственное имущество“). ტერმინით „наследство“ აღინიშნება მამკვიდრებლის ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც კი არ წყდება მის გარდაცვალებასთან ერთად, არამედ, როგორც ერთი მთლიანი, გადაეცემა მემკვიდრეებს მემკვიდრეობის სამართლის ნორმების საფუძველზე.

ამასთანავე, სამკვიდრო შედგება **სამკვიდრო აქტივისა** („актив“) და **პასივისაგან** („пассив“). ქონებრივი ურთიერთობები ხომ თითქმის ყოველთვის მოიცავს აქტიურ და პასიურ ელემენტებს, რადგან ნაღდ ქონებაზე არსებულ უფლებებთან ერთად, თითოეულ მამკვიდრებელს შეიძლება ჰქონდეს მოვალეობები ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვალები. სწორედ მამკვიდრებლის ვალებს ეწოდება სამკვიდრო მასის პასივი („пассив“).

---

[8] *Гражданское Законода**т**ельство РФ* (Москва, 1997), с. 2.

[9] იქვე, გვ. 3.

მაშასადამე, აქ საუბარია უნივერსალურ უფლებამონაცვლეობაზე, რომლის დროსაც მემკვიდრე იღებს არა მარტო მამკვიდრებლის ქონებას, არამედ მისი ვალების გადახდის ვალდებულებასაც. ქონება შეიძლება იყოს **მოძრავი** („движимое имущество“) ან **უძრავი** („недвижимое имущество“). მემკვიდრის გარეშე დარჩენილ ქონებას კი ეწოდება „выморочное имущество“ („უმკვიდრო ქონება“). მის ერთადერთ მემკვიდრედ სახელმწიფოა აღიარებული. ამასთანავე, მემკვიდრეებისათვის განკუთვნილი ქონების ნაწილს ეწოდება „наследственная доля“ („სამკვიდრო წილი“). „სამკვიდრო წილთა“ კატეგორიას მიეკუთვნება „სავალდებულო წილიც” („обязательная доля“).

საქართველოსა და რუსეთის კანონმდებლობათა მსგავსად, ამერიკის სამართალშიც გამოიყოფა მემკვიდრეობის ორი ძირითადი სახე: „კანონისმიერი მემკვიდრეობა“ (“intestate succession“) და „ანდერძისმიერი მემკვიდრეობა“ (“testate successsion“). კანონისმიერი მემკვიდრეობისას ქონების დამკვიდრება ხორციელდება კანონით გათვალისწინებული თანმიმდევრობის მიხედვით. ამასთანავე, კანონისმიერ მემკვიდრეებად მოიწოდებიან: მამკვიდრებლის მეუღლე (surviving spouse), შთამომავლები (descendants), მშობლები (parents), მშობლების შთამომავლები (descendants of parents), ბებიები და ბაბუები (grandparents), ბებიებისა და ბაბუების შთამომავლები (descendants of grandparents) და, ბოლოს, მამკვიდრებლის ნათესაობის უახლოესი შტოს წარმომადგენლები.

შესაბამისად, სამკვიდროს მიმღებ სუბიექტს ეწოდება “heir“ („კანონისმიერი მემკვიდრე“), ხოლო ტერმინით “decedent“ აღინიშნება სამემკვიდრეო ქონების დამტოვებელი ფიზიკური პირი.

მონტანის კოდექსი მემკვიდრეობის სამართლებრივ ურთიერთობათა ობიექტად ასახელებს სამკვიდროს (“estate“). თუმცა, საქართველოსა და რუსეთის სამართლის ძეგლებისაგან განსხვავებით, აშშ-ის სამართალში განსხვავებული ტერმინებით აღინიშნება ანდერძითა და უანდერძოდ გარდაცვლილი პირის სამემკვიდრეო ქონება. თუ მამკვიდრებელი ანდერძის დაუტოვებლად გარდაიცვალა, მაშინ მის სამკვიდროს ეწოდება “intestate estate“, ხოლო თუ მან ანდერძი დატოვა – “testate estate“.

ამასთანავე, „estate“ შეიცავს როგორც აქტიურ, ასევე პასიურ ელემენტებს. სამკვიდრო აქტივები (“assets“) შედგება მატერიალური ქონებისა (“tangible property“) და არამატერიალური ქონებისაგან (“intangible property“).

“Tangible property“ წარმოდგენილია უძრავი (“real property“ ან “immovable property“) და მოძრავი (“personal property“ ან “movable property“) ქონებით. ტერმინით “real property“ აღინიშნება:

„(1) მიწა (land): (2) ის, რაც მიწაზე არის მიმაგრებული, სახლის ჩათვლით (that which is affixed to land, including a home); (3) ის, რაც მიწის თანმხლებია ან მიეკუთვნება მას (that which is incidental or appurtenant to land); (4) ის, რაც უძრავია კანონის მიხედვით (which is immovable by law)“.[10]

უძრავისაგან უნდა განვასხვაოთ „მოძრავი ქონება“. მონტანის კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის მსგავსად, მხოლოდ უძრავი ნივთების განმარტებას იძლევა და ამ დუმილით გვამცნობს, რომ: „ნებისმიერი სახის ქონება, რომელიც არ არის უძრავი, არის მოძრავი“.[11]

ამასთანავე, მნიშვნელოვანია „სამკვიდრო პასივის“ ცნების განსაზღვრაც. ამერიკის კანონმდებლობის მიხედვით, პასივი წარმოდგენილია მამკვიდრებლის ქონებრივი მოვალეობებით ანუ ვალებით („claims“). ვალების გადახდა ხორციელდება ქონების განმკარგველის მიერ სამკვიდროს მართვის პერიოდში. თუ ქონების განკარგვის დროს ყველა კრედიტორის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, მაშინ: „სამკვიდრო აქტივების განაწილების შემდეგ, სასამართლოში შეიძლება აღიძრას საქმე გადაუხდელ ვალებთან დაკავშირებით ერთი ან ერთზე მეტი მემკვიდრის წინააღმდეგ“.[12] უმემკვიდრეოდ დარჩენილი ქონების შემთხვევაში კი სამკვიდრო გადაეცემა სახელმწიფოს, ხოლო თვით „უმკვიდრო ქონება“ აღინიშნება ტერმინით “escheated property“.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამერიკის სამართალში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამკვიდროს განაწილების პროცედურას. გარდაცვლილის ქონება იყოფა მხოლოდ და მხოლოდ აუცილებელი გადასახადების დაფარვისა და მამკვიდრებლის ვალების გასტუმრების შემდეგ. ამასთანავე, ტერმინი “estate“ აღნიშნავს გარდაცვლილის მთელ ქონებას, მაშინ როდესაც “residue“ (“residuary estate“) მხოლოდ მისი ნაწილია. საგულისხმოა, Black's Law Dictionary-ში მოცემული განმარტებაც, რომლის თანახმად, “residuary estate“ გაიგივებულია ტერმინებთან “residual

---

[10] *Montana Code Annotated 2007*, article 70-1-106.

[11] იქვე, მუხლი 70-1-108.

[12] *Montana Code Annotated 2003*, article 72-3-613.

estate“, “residue“, “residuary“, “residuum“ და იგი აღნიშნავს „გარდაცვლილის სამკვიდროს იმ ნაწილს, რომელიც რჩება ვალების გადახდის, ხარჯებისა და გადასახადების დაფარვისა და საანდერძო საჩუქრების გაკეთების შემდეგ“.[13] აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ცნება “residue“-სა და მისი შესატყვისი ლექსიკური ერთეულების არსებობა არ დასტურდება ქართულსა და რუსულ ენებში. ცნობილია მხოლოდ ის, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1334-ე მუხლის თანახმად: „თუ მემკვიდრე რამდენიმეა, მათ შორის სამკვიდროს გაყოფამდე იგი ერთიანი ქონების სახით ეკუთვნის ყველა თანამემკვიდრეს. ამ ქონებიდან შეიძლება გადახდილ იქნეს მამკვიდრებლის მოვლისა და უკანასკნელი ავადმყოფობის მკურნალობის, დაკრძალვის, სამკვიდროს დაცვისა და მართვის, ხელფასის გასტუმრების, ანდერძის აღსრულებისათვის აუცილებელი ხარჯები“.[14] ანალოგიურად წყდება აღნიშნული საკითხი რუსეთის კანონმდებლობაშიც. რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 549-ე მუხლის თანახმად: „სამკვიდროს გაყოფამდე იგი ერთიანი ქონების სახით ეკუთვნის ყველა თანამემკვიდრეს. „ამ ქონებიდან შეიძლება გამოიყოს თანხა მხოლოდ და მხოლოდ: 1. მამკვიდრებლის უკანასკნელი ავადმყოფობისა და დაკრძალვის ხარჯების დასაფარავად; 2. მამკვიდრებლის კმაყოფაზე მყოფი პირების უზრუნველსაყოფად; 3. ხელფასთან დაკავშირებული (ან მასთან გაიგივებული) პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად; 4. სამკვიდროს დაცვისა და მართვის ხარჯების დასაფარავად“.[15]

მონტანის კოდექსში კანონისმიერი და ანდერძისმიერი მემკვიდრეებისათვის განკუთვნილი ქონების ნაწილს ეწოდება “share“ („სამკვიდრო წილი“ ანუ „სამემკვიდრეო წილი“). გამოიყოფა სამემკვიდრეო წილის ორი ძირითადი კატეგორია: “intestate share“ და “testate share“. “Intestate share“ გადაეცემათ მემკვიდრეებს კანონისმიერი მემკვიდრეობის წესით, მაშინ როდესაც „testate share“-ს ეუფლებიან ანდერძისმიერი მემკვიდრეები. ამასთანავე, მონტანის კანონმდებლობის თანახმად, განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობენ გარდაცვლილის მეუღლე და შთამომავლები. კანონით გათვალისწინებული სამემკვიდრეო წილის გარდა, ისინი იღებენ ე.წ. “family allowance“-სა და “homestead allowance“-ს.

---

[13] B. A. Garner, *Black's Law Dictionary*, p. 1336.

[14] *საქართველოს სამოქალაქო კოდექსი*, გვ. 3.

[15] *Montana Code Annotated 2003*, article 72-2-414

მონტანის კოდექსის 72-2-414-ე მუხლის თანახმად: „გარდაცვლილის მეუღლესა და არასრულწლოვან შვილებს, რომელთა დახმარება მამკვიდრებლის მოვალეობაა, აქვთ უფლება, მიიღონ სარჩენი თანხა სამკვიდროს მართვის პერიოდში. აღნიშნული დახმარება არ გაგრძელდება ერთ წელიწადზე მეტხანს, თუ სამკვიდრო ქონების რაოდენობა არ აღმოჩნდება საკმარისი იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს მითითებული ფულადი მოთხოვნები. თანხის გადახდა მოხდება მთლიანად ან ნაწილობრივ. იგი გადაეცემა გარდაცვლილის მეუღლეს, რომელიც ზრუნავს გარდაცვლილის არასრულწლოვან და სარჩენ შვილებზე, ან მეუღლესა და მეურვეს, რომელსაც ევალება მამკვიდრებლის შთამომავლების მოვლა“.[16] 72-2-414-ე მუხლით გათვალისწინებულ სამემკვიდრეო წილს ეწოდება “family allowance“. “Family allowance“-ისაგან უნდა განვასხვაოთ ე.წ. “homestead allowance“. მონტანის კოდექსის 72-2-412-ე მუხლის თანახმად:

„გარდაცვლილის მეუღლე უფლებამოსილია მიიღოს 20000 დოლარის ოდენობის თანხა მამკვიდრებლის სამკვიდროდან (“homestead allowance“). თუ არ არის გარდაცვლილის ცოცხლად დარჩენილი მეუღლე (“surviving spouse“), მაშინ მამკვიდრებლის თითოეულ არასრულწლოვან და სარჩენ შვილს აქვს უფლება მიიღოს სამემკვიდრეო წილი, რომელიც შეადგენს 20000 დოლარს გაყოფილს არასრულწლოვანი და სარჩენი შვილების რაოდენობაზე“.[17] ამასთანავე, “homestead allowance“ და “family allowance“ შეიძლება მივაკუთვნოთ დამატებით წილთა კატეგორიას, რადგან მათი გადაცემა ხორციელდება 72-2-412-ე და 72-2-414-ე მუხლებში მითითებული პირებისათვის როგორც კანონისმიერი, ისე ანდერძისმიერი მემკვიდრეობის წესით. თუმცა, “homestead allowance“ სარგებლობს უპირატესობით სხვა დამატებით წილთა შორის. შესაბამისად, სამკვიდრო ქონებიდან თავდაპირველად გამოიყოფა “homestead allowance“-ით გათვალისწინებული თანხა და მხოლოდ და მხოლოდ ამის შემდგომ ხორციელდება მემკვიდრეთა უზრუნველყოფა სხვა დამატებითი წილებით. აღნიშნულიდან გამომდინარე “homestead allowance“-ს შეიძლება ეწოდოს „უპირატესი წილი“, მაშინ როდესაც, “family allowance“-ს ვუწოდებთ „საოჯახო სარჩო-წილს“ (ვხელმძღვანელობთ რა იმ გარემოებით, რომ “family allowance“ მხოლოდ და მხოლოდ

[16] იქვე, მუხლი 72-2-414.

[17] იქვე, მუხლი 72-2-412.

მამკვიდრებლის ოჯახის წევრებისათვის (კერძოდ, მეუღლისა და შვილებისათვის) განკუთვნილი სარჩენი თანხაა).

მაშასადამე, განხილული მასალა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართულსა და რუსულ ენებში „კანონისმიერ მემკვიდრეობასთან" დაკავშირებულ ძირითად ცნებათა და ტერმინთა სისტემები დიდი მსგავსებით გამოირჩევა, რასაც ვერ ვიტყვით ქართულსა და ინგლისურ ტერმინოლოგიურ სისტემებზე. აღნიშნულის ახსნა შესაძლებელია იმ ფაქტით, რომ რუსეთისა და საქართველოს კანონმდებლობას საფუძვლად უდევს ყოფილი საბჭოთა კავშირის (სოციალისტური) სამართალი. სოციალისტური კანონმდებლობა კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად განსხვავდება კაპიტალისტურისაგან, რაც, რასაკვირველია, ამერიკულსა და ქართულ სამართალს შორის არსებულ სხვაობაში გამოიხატება. აღსანიშნავია ისიც, რომ ამჟამად რუსეთში მზადდება სამოქალაქო კოდექსის III ნაწილის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანას თანამედროვე მემკვიდრეობით სამართალში (მათ შორის, კანონისმიერ მემკვიდრეთა ორი რიგის შეცვლას ხუთით). შესაბამისად, ფაქტობრივად, უმნიშვნელო გახდება სხვაობა ქართულსა და რუსულ მემკვიდრეობითი სამართლის ტერმინოლოგიურ სისტემებს შორის.

დაბოლოს, თანამედროვე ქართული, რუსული და ამერიკული სამართლის ძეგლების შედარება-შეპირისპირებითმა ანალიზმა გამოავლინა „კანონისმიერ მემკვიდრეობასთან" დაკავშირებულ ძირითად ცნებათა და ტერმინთა სისტემებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები. ამასთანავე, გამოიყო ქართულსა და რუსულ ენებში არსებული ე.წ. „ცარიელი უჯრები". „ცარიელ უჯრებად" მივიჩნევთ ცნებათა სისტემის იმ ელემენტებს, რომლებიც ლექსიკური სახელდების გარეშე დარჩა. ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამერიკულ სამართალში არსებული ცნებების ქართული ლექსიკური ერთეულებით სახელდება. ჩვენ მიერ შემოთავაზებული ტერმინებია:

Intestate share – კანონისმიერი წილი – კანონისმიერი მემკვიდრეებისათვის განკუთვნილი სამკვიდრო წილი;

Testate share – ანდერძისმიერი წილი – ანდერძისმიერი მემკვიდრეებისათვის განკუთვნილი სამკვიდრო წილი;

Residue (residuary estate) – ხარჯებისაგან „გაწმენდილი" სამკვიდრო – გარდაცვლილის სამკვიდროს ის ნაწილი, რომელიც რჩება ვალების გადახდის, ხარჯებისა და გადასახადების დაფარვისა და საანდერძო საჩუქრების გაკეთების შემდეგ;

Homestead allowance – უპირატესი წილი – გარდაცვლილის მეუღლისათვის (თუ მეუღლე არ არის ცოცხალი, მაშინ სარჩენი შვილებისათვის) განკუთვნილი დამატებითი სამემკვიდრეო წილი (20 000 დოლარის ოდენობის თანხა) უპირატესი სხვა დამატებით წილთა შორის;

Family allowance – საოჯახო სარჩო-წილი – გარდაცვლილის მეუღლისა და არასრულწლოვანი შვილებისათვის გამოყოფილი სარჩენი თანხა სამკვიდროს მართვის პერიოდში.

ბიბლიოგრაფია

References

The Civil Code of Georgia (Tbilisi, 2000) (in Georgian).

The Civil Code of the Russian Federation, vol. I (Moscow, 1997) (in Russian).

The Commentary of the Civil Code of Georgia, book II (Tbilisi, 1999) (in Georgian).

The Commentary of the Civil Code of Georgia, book V (Tbilisi, 2000) (in Georgian).

B. A. Garner, *Black's Law Dictionary* (Thomson West, 2007);

Montana Code Annotated 2003 (http://data.opi.state.mt.gov/bills/2003/MCA/search.htm).

Montana Code Annotated 2007 (http://data.opi.state.mt.us/bills/mca/help.htm).

Irina Gvelesiani

Lexical Units Related to 'Legal Inheritance' in the Georgian, English and Russian Languages

According to the 'Civil Code of Georgia', the 'Civil Legislation of the Russian Federation' and the 'Montana Code'

The Georgian Constitution names the right to inheritance as a basic human right. The private legal mechanism of the practical implementation of this right is strengthened by the law of inheritance – the aggregate of the norms that introduce order into the legal fate of the property of a deceased

person. The death of a person never entails automatic discontinuance of his proprietary rights. They are continued by his successors. Such permanent link between generations is an unquestionable precondition of every society's stability and continuity of cultural traditions.

Modern Georgian law distinguishes two basic types of inheritance: 'law-based' and 'will-based'. At the same time, the subjects and objects of law-based and will-based legacy are identified. Accordingly, the question is raised on the categorization and classification of the lexical units denoting these concepts.

The present paper is an attempt at normalizing the lexical units related to 'law-based inheritance' on the basis of a comparative analysis of modern Georgian, Russian and US documents. The following regulations have come to light:

1. In the law of the three countries the subjects of law-based inheritance are: **mamkvidrebeli, decedent**, **наследодатель** (a person who leaves behind an estate) and **law-based heir, kanonismieri memkvidre**, **наследник по закону** (a person who receives an estate by the rule of law-based inheritance). According to the Russian and Georgian legislative documents, the so-called law-based heirs involve also the so-called obligatory heirs, **savaldebulo memkvidreebi** (**необходимые наследники**). The children of the decedent, the parents and spouse, who - irrespective of the content of the will – are entitled to have obligatory share not less than a half of the share they were entitled to under legacy by law. It is also worth noting that the concept of 'obligatory heir' and lexical units denoting it are not to be found in Montana Code.

2. Modern laws of Georgia, Russia and the USA recognize **samkvidro** (**estate**; **наследство**) as an object of legal relations of inheritance. It is comprised of **samkvidro aktivi** (**assets**; **актив**) and **pasivi (claims**; **пассив**). The decedent's proprietary rights constitute the 'assets' – rights to tangible property and intangible property. As to the claims, it involves the decedent's proprietary rights: the responsibility of the inheritors for the debts of the decedent. At the same time, the Montana Code uses the concepts: residue (same as 'residuary estate', 'residual estate', 'residue', 'residuary', 'residuum' and denotes the estate that remains after the payment of debts and covering other expenses), 'intestate estate' (estate handed to the inheritors of the decedent by the rule of law-based inheritance) and testate estate (share handed to the persons indicated in the will compiled according to the rule of will-based estate). The fact

should also be noted that these concepts and their corresponding lexical units are not evidenced in the legislative documents of Georgia and Russia.

3. In modern Georgian, Russian and US laws the part of property assigned to the heirs is called samkvidro tsili (**наследственная доля, share**). In Georgian and Russian legislations the so-called savaldebulo tsili (**обязательная доля**) belongs to the category of samkvidro tsili. As to the US law, it shows clearly the difference between intestate share and testate share. It is also worth noting that Montana Code operates with the concepts: 'homestead allowance' (additional share assigned to the spouse and children of the decedent) and 'family allowance' (the subsistence sum assigned to the spouse and children of the decedent). By these terms these shares can be assigned to the category of additional shares. However, 'homestead allowance' enjoys an advantage over other additional shares. Accordingly, initially the sum envisaged for 'homestead allowance' is allotted from the estate and it is only after this that the heirs are provided with other additional sums. It should also be noted that 'homestead allowance' and 'family allowance' are not evidenced in Georgian and Russian legislative systems.

Thus, a comparative analysis of modern legislative documents warrants the conclusion that in the Georgian and Russian languages the systems of the principal concepts and terms related to 'law-based inheritance' stand out for considerable similarity, which is not the case with the Georgian and English terminological systems. This can be accounted for by the fact that the legislations of Georgia and Russia are based on the socialist law (of the former Soviet Union) that differs substantially from the US (capitalist) law. Accordingly, a comparative analysis of the Georgian and English terminological systems has helped to identify the so-called "blank spots" in the Georgian language. 'Blank spots' here refer to the elements of the system of concepts that have been left without lexical designation. In my opinion, it is advisable to designate these concepts with Georgian lexical units. Accordingly, here follow the Georgian terms proposed by me and their definitions:

Intestate share – **Kanonismieri Tsili** - law-based share; estate assigned to law-based heirs;

Testate share – **Anderdzismieri Tsili** - will-based share; estate assigned to will-based heirs;

Residue (residuary estate) – **Kharjebisagan Gatsmendili Samkvidro** - estate "cleared" of costs; the part of the estate of a decedent that is left after

paying the debts, covering the costs and taxes and giving away presents according to the will;

Homestead allowance **– Upiratesi Tsili** - superior share; support for the decedent's spouse (if the spouse is not alive, for the children) assigned additional inheritance share (sum of $20 000); foremost among other additional shares;

Family allowance **– Saojakho Sarcho Tsili –** family sustenance share; sum of sustenance assigned for the wife and under-aged children of the decedent in the period of managing the estate.

მაია ჯავახიძე

„გულის“ კონცეპტუალიზაცია ქართულ და იტალიურ ფრაზეოლოგიურ კორპუსში

ტერმინი ლინგვოკულტუროლოგია დამკვიდრდა ენათმეცნიერების იმ მიმართულების აღსანიშნავად, რომელიც ენისა და კულტურის ურთიერთკავშირს, ურთიერთმიმართებას შეისწავლის. ეს კავშირი პირველ რიგში ეთნიკური მენტალიტეტის ენობრივ გამოხატვაში ვლინდება. ეს არის ის მიმდინარეობა, რომელიც ჩამოყალიბდა XX საუკუნის ბოლო მეოთხედში, თუმცა სათავეს იღებს XIX საუკუნეში ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის იდეებიდან. XIX-XX საუკუნეებში ამ იდეებს ევროპაში ავითარებენ ნეოჰუმბოლდტელები (ლ. ვაისგერბერი, ჰ. გლინცი, ჰ. ჰოლცი), თავისებურ ინტერპრეტაციას ღებულობენ ისინი ამერიკის შეერთებულ შტატებშიც (ფ. ბოასი, უ. დ. უიტნი, დ. უ. პაუელი, ე. სეპირი, ბ. ლ. უორფი). ლინგვოკულტუროლოგია იკვლევს ენას, როგორც ანთროპოლოგიურ ფენომენს, ადამიანთან ძალიან მჭიდრო კავშირში. ის არის ისეთი მეცნიერებების მიჯნაზე, როგორიცაა ფსიქოლინგვისტიკა, ეთნოლინგვისტიკა, კოგნიტიური ლინგვისტიკა და, შესაბამისად, თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიური კვლევები ოპერირებენ ისეთი სპეციფიკური ცნებებით, როგორიცაა: „ცნობიერება“, „მენტალიტეტი“, „სამყაროს სურათი“, „სამყაროს ენობრივი სურათი“, „ენობრივი პიროვნება“, „ენობრივი ცნობიერება“ და სხვ. მათ შორის ყველაზე გავრცელებული და დამკვიდრებულია ტერმინი „კონცეპტი“.

კონცეპტის შესახებ არსებული შეხედულებების ანალიზი ძალიან შორს წაგვიყვანს, ამიტომ შემოვიფარგლებით მხოლოდ ამგვარი განმარტებით: „ლინგვოკულტუროლოგიური კონცეპტი პირობითი მენტალური ერთეულია, რომელიც ენას, ცნობიერებასა და კულტურას კომპლექსურად შეისწავლის. ლინგვოკულტუროლოგიური კონცეპტის მიმართება ამ სამ სფეროსთან ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: 1) ცნობიერება არის ის სფერო, სადაც არსებობს კონცეპტი (ის ძევს ცნობიერებაში), 2) კულტურა ახდენს კონცეპტის დეტერმინირებას (ანუ კონცეპტი არის კულტურის ელემენტების მენტალური პროექცია, 3) ენა და/ან მეტყველება არის ის

სფერო, სადაც კონცეპტი განსაგნდება“.[1]

ფრაზეოლოგიის კვლევა ლინგვოკულტურული თვალსაზრისით წარმოდგენილია რუსეთში მოღვაწე თანამედროვე მკვლევრის ვ.ნ.თელიას და მისი მიმდევრების ნაშრომებში. ვ.ნ.თელია მიიჩნევს, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულის უმრავლესობას ახასიათებს კულტურულ-ენობრივი თავისებურება. „ფრაზეოლოგიური ერთეულების კულტურული სპეციფიკა განისაზღვრება მისი მიმართებით მოცემული საზოგადოების მატერიალურ თუ კულტურულ ელემენტებთან, მის ისტორიასთან, რწმენებთან, ჩვევებთან, ბუნებრივ-გეოგრაფიულ კადრთან, რომელშიც ეს ხალხი ცხოვრობს“.[2]

ლინგვოკულტუროლოგიური კვლევების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ფრაზეოლოგიის კონტრასტული კვლევა. „ამ კვლევების მიზანია ამა თუ იმ ენის ფრაზეოლოგიზმების ეთნიკური თუ ეროვნულ-კულტურული სპეციფიკის გამოვლენა, რომელიც სამყაროს „მიამიტური“ სურათის ფონზე წარმოჩინდება“.[3]

ამ თვალსაზრისით საინტერესოდ გვეჩვენება „გულის“ კონცეპტუალიზაციის ანალიზი იტალიურ და ქართულ ფრაზეოლოგიურ კორპუსში.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი „გულის“ შემდეგ განმარტებას იძლევა:

1. ანატ. 1. ღრუკუნთოვანი ორგანო, რომელიც რიტმული შეკუმშვების შედეგად ამოძრავებს სისხლს სისხლის მილებში; 2 გადატ. ადამიანის სხეულის ის ნაწილი, რომლის არეშიც არის მოთავსებული ეს ორგანო, – მკერდი, გულმკერდი.
2. საერთოდ, რაიმეს (საგნის, სხეულის, ორგანიზმის, სისტემის...) ყველაზე შიგნითა, შინაგანი ნაწილი.
3. გადატანით გული წარმოდგენილია, როგორც ცენტრი, წყარო, საწყისი ადამიანის შინაგანი, სულიერი და გონებრივი ცხოვრებისა. ამა-

---

[1] В. И. Карасик., Г. Г. Слышкин, Лингвокультурный концепт как элемент языкового сознания, *Методология современной психолингвистики* (Москва, Барнаул, 2003), с. 134.

[2] В. Г. Гак, Национально-культурная специфика меронимических фразеологизмов, *Фразеология в контексте культуры* (Москва, 1999), с. 261.

[3] В. Н. Телия, Первоочередные задачи и методологичесие проблемы исследования фразеологического состава языка в контексте культуры, *Фразеология в контексте культуры* (Москва, 1999), с. 15.

სთან დაკავშირებით ამ სიტყვით აღინიშნება ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების სხვადასხვა მხარე.

1. ყოველგვარი სახის ემოციები და გრძნობები (ამ შემთხვევაში გული ზოგჯერ უპირისპირდება ჭკუას, გონებას, შეგნებას): *გული მოუვიდა...*
2. აქტივობის განცდები: *გულში ჩაიდო...*
3. ყურადღება: *გული დაუდო. გული აიყარა...*
4. შემეცნების პროცესები: ორგანული შეგრძნებები. გული ერევა// მეხსიერება. *გულიდან გადავარდნა. გულში ჩარჩენია.* // აზროვნების პროცესები; ჭკუა, გონება. *გულმა გაუგო. გული მიმიხვდა.*
5. პიროვნების ფსიქოლოგიური თვისებები; ნიჭი, უნარი, მიდრეკილებანი, ტემპერამენტი, ხასიათი და სხვ.: *ამაყი გული აქვს, ჩვილი გული აქვს.*
6. საერთოდ ყველაფერი, რაც პიროვნებას მოეპოვება, როგორც მისი შინაგანი სამყარო; მთლიანი პიროვნება. *მარწყვი მპირდება გასუქებასა, გული არ ამბობს ასრულებასა* (ანდაზა).[4]

თუ მოცემულ განმარტებებს შევადარებთ იტალიური ენის განმარტებითი ლექსიკონის მონაცემებს, დავრწმუნდებით, რომ: 1. ანატომიური მნიშვნელობის შემდეგ გამოყოფილია 2. მნიშვნელობა, რომლის მიხედვითაც გული არის გრძნობების, ემოციების, ფიქრების, სიყვარულის და მსგავსი ადგილი, 3. გადატანითი მნიშვნელობით ის აღნიშნავს სიმხნევეს (ardimento, coraggio); 4. მნიშვნელობის გაფართოების შედეგად თავად პიროვნებას cuor di leone (ლომისგულიანი), cuor solitario (მარტოსული).[5]

მაშასადამე, გული ადამიანის ცენტრალური ორგანოა, რომელიც უზრუნველყოფს მის არსებობას და ნორმალურ ფიზიოლოგიურ ცხოველქმედებას. როგორც ფიზიოლოგიურ ორგანოს, მას გააჩნია მისთვის დამახიასითებელი თვისებები, რაც გულის ანატომიური აგებულებიდან და ფიზიოლოგიური ფუნქციიდან გამომდინარეობს. გული შეიძლება გვტკიოდეს, „გვჩხვლეტდეს“, სწრაფად ან ნელა გვიცემდეს. „მიამიტურ“ ცნობიერებაში კი ის წარმოდგენილია როგორც ადამიანის ორგანიზმის

---

[4] *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, ტ. II (თბილისი, 1951), გვ. 1495.

[5] N. Zingarelli, *Vocabolario della Lingua Italiana* (Bologna, 2001) p. 490.

ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის არა მხოლოდ ფიზიკურ არსებობას, არამედ სხვადასხვაგვარი ფსიქიკური თუ სულიერი ემოციის განცდას. თუ ფრაზეოლოგიის საფუძველზე ვიმსჯელებთ, სამყაროს ქართულ ენობრივ სურათში გული წარმოდგენილია როგორც ადამიანის სხვადასხვა სულიერი განცდების, ემოციების, შეგრძნებების ცენტრალური ადგილი. ამიტომაც ადამიანი, რომელსაც *გული არ აქვს* ან *უგულოა* – ნიშნავს ადამიანს, რომელსაც საერთოდ არ გააჩნია განცდის, შებრალების, ემოციის უნარი. იგივე მნიშვნელობა დასტურდება იტალიურშიც – senza cuore (გულის გარეშე) – უგრძნობელი, ბოროტი ადამიანია. მას იტალიურში უპირისპირდება – essere tutto il cuore (იყო მთლიანად გული) – ძალიან კეთილშობილი ადამიანი. ასევე შდრ. ქართული: *ვინმეს გულისთვის* რაღაცის გაკეთება – როდესაც მეორე ადამიანი მიტონომიის საშუალებით მოიაზრება მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანოს სახით (შდრ. რუსული ради кого-то, ინგლ. for one's sake; იტალ. per qualcuno). მოცემულ შემთხვევებში ფრაზეოლოგიზმში მეტაფორული აღნიშვნის ასოციაციურ-მხატვრული საფუძველია წარმოდგენა კონკრეტულ საგანზე. თუ ეს ორგანო (ჩვენს შემთხვევაში გული) არ არსებობს ფიზიკურად, შესაბამისად არ არის ის განცდებიც, რომელზეც პასუხისმგებელია ეს ორგანო.

იდიომების წარმოქმნის პროცესი ყველაზე ხშირად მიმდინარეობს როგორც მეტაფორიზაცია, როდესაც მოსაუბრე, გამოდის რა რაღაც ნომინატიური ჩანაფიქრიდან, აღნიშნოს ჯერ უსახელო საგანი, თვისება, პროცესი, მდგომარეობა და ა.შ., მიმართავს რაღაცით მსგავს, მაგრამ ენაში უკვე დასახელებულ რეალიას.[6] ამავე დროს, ანტროპოცენტრულობის პრინციპიდან გამომდინარე, ცნობილია, რომ სამყაროს ენობრივ სურათში ადამიანის შინაგანი სამყაროს მოდელირება ხდება ადამიანის ფიზიკური სხეულის, მისი მახასიათებლების, მისი ფიზიკური გამოცდილების მიხედვით. ანალოგიურად „უფეხოსი", რომელიც ვერ დადის, „უხელოსი", რომელიც ვერ ხმარობს ხელს, რადგანაც არ აქვს, „უჭკუო" კარგად ვერ აზროვნებს და „უგულო" ვერაფერს განიცდის, უგრძნობია.

როგორც აღვნიშნეთ, გულს, როგორც მატერიალურ ორგანოს, ახასიათებს თავისი განსაკუთრებული ნიშნები. „მიამიტური" ცნობიერება კი მატერიალურ ორგანოს მიაწერს იმ თვისებებს, რომლებიც ფსიქიკური

---

[6] В. Н. Телия, *Русская фразеология. Семантический, прагматический и лингвокультурологический аспекты* (Москва, 1996), с. 134.

განცდის სფეროს მიეკუთვნება. ამის დასტურად ქართულ ფრაზეოლოგიურ კორპუსში გვაქვს სულიერი განცდის გამომხატველი გამოთქმები, რომელიც მიმსგავსებულია მატერიალურ ტკივილს ან შეგრძნებას. მეტაფორის მხატვრულ-ასოციაციურ საფუძველს ამ შემთხვევაში წარმოადგენს არა საგანი, არამედ საგნის რაღაც ნიშან-თვისება.

ორივე შემთხვევაში (როდესაც მეტაფორის ასოციაციურ-მხატვრული ხატი არის კონკრეტული საგანი და როდესაც ასოციაციურ-მხატვრული ხატი არის რაღაც ნიშან-თვისება) მოქმედებს ფიქტიურობის მოდუსი,[7] რომელიც არსებითია ამ ტიპის მეტაფორის წარმოქმნაში და რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში: „ისე, თითქოს“: *გული არ აქვს (უგულოა)* – არაფერს განიცდის, ისე, თითქოს გული არ ჰქონდეს; *გული სტკივა* – ნერვიულობს, დარდობს ისე, თითქოს ეს იყოს ფიზიკური ტკივილის შეგრძნება. იხ. სხვა მაგალითები:

გული უკანკალებს – ეშინია
გულზე ჩხვლეტს, ესობა, ხვდება – ადარდებს
გული გადაუბრუნდა, გადაუტრიალდა – შეეშინდა, შეშფოთდა
avere il cuore stretto (გული გიჭერდეს) – დარდი, წუხილი
rodersi di cuore (გული გამოიღრღნა) – ჩუმად ტანჯვა
sentirsi piangere il cuore (გრძნობდე გულის ტირილს) – დიდი მწუხარების განცდა
sentirsi ridere il cuore (გრძნობდე გულის სიცილს) – სიხარულის განცდა

სამყაროს ენობრივ სურათში ადამიანი მიკროკოსმოსს წარმოადგენს, ის თავის შინაგან სამყაროს აღწერს მისთვის ცნობილი ფიზიკური რეალობის ანალოგიურად და მოიცავს იმ რეალიებს, რაც მის ირგვლივ არის ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაში. ამაში გამოვლინდება ანთროპომეტრულობის პრინციპი, ანუ, თუ ვ.თელიას მოვიშველიებთ, „ანთროპომეტრულობა იმაში მდგომარეობს, რომ მეტაფორის ამა თუ იმ საფუძვლის შერჩევა უკავშირდება ადამიანის უნარს, მისთვის ყველაფერი ახალი შეუფარდოს თავის სახესა და ხატს ან სივრცობრივად აღქმად ობიექტებს, რომელთანაც ადამიანს საქმე აქვს პრაქტიკული საქმიანობის დროს, ცხოვრებისეულ გამოცდილებაში“.[8]

---

[7] იქვე, გვ. 137.
[8] იქვე, გვ. 136.

ქართული და იტალიური ფრაზელოგიური კორპუსის ანალიზმა გვიჩვენა, რომ:

1. სამყაროს ოთხ ელემენტზე – მიწა, ჰაერი, წყალი, ცეცხლი – დამყარებული სტიქიებიდან, „გულის“ შემცველი ფრაზეოლოგიის ანალიზისას სამყაროს ქართულ ენობრივ სურათში ვხვდებით ცეცხლს, წყალს, ქარს ან მათთვის დამახასიათებელ თვისებებს, იტალიურში კი ცეცხლს და წყალს, შესაბამისად გვაქვს:
   გულზე ცეცხლი ეკიდება – მეტისმეტად წუხს, იტანჯება, გამწარებულია
   გული ეწვის – სიბრალულით იტანჯება, მწვავედ განიცდის რამეს, ძალიან წყინს
   გული უდუღს – დარდი აწუხებს
   გულს განიქარვებს – დარდს, მწუხარებას იმსუბუქებს
   გული გაუწყალა – თავი მოაბეზრა
   scaldare il cuore (გულის გათბობა) – დამშვიდება, გამხნევება
   avere il cuore di ghiaccio (ყინულის გულის ქონა) – იყო შეუბრალებელი
2. გამოიყოფა ქიმიური თუ ბუნებრივი ელემენტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები:
   რკინის გული – მამაცი
   ქვის გული – 1. მამაცი; 2. უგრძნობი
   ოქროს გული – კეთილშობილი
   cuore d′oro (ოქროს გული) – კეთილშობილი
   cuore di bronzo (ბრინჯაოს გული) – უგრძნობი
   sentirsi il cuore di piombo (ტყვიის გულს შეიგრძნობდე) – დადარდიანებული, ნაღვლიანი.
3. იტალიურში გამოიყოფა ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთა საფუძველია ზოონიმები:
   cuor di leone (ლომის გულიანი) – მამაცი
   cuor di coniglio (კურდღლის გულიანი) – მხდალი
   ქართულში ასეთი ფორმები არ დასტურდება.
4. გული როგორც „ინსტრუმენტი“:
   ქართულში:
   გულით ატარებს, ამბობს, იცინის, აკეთებს

იტალიურში:
con tutto il cuore dire, augurare – მთელი გულით ამბობს, უსურვებს
ridere di cuore (გულით იცინო) – გულით იცინის

5. გული როგორც „ჭურჭელი“:
ა) -ში თანდებულით, ადგილი, სადაც რაღაც მოთავსებულია
გულში ჩაუვარდა – მოეწონა, დაინტერესდა
გულში ამოიჭრის – სათუთად შეინახავს, გაუფრთხილდება
გულში უდევს – არ ავიწყდება, სათუთად ინახავს
ვინმეს გულში ზის – სხვისი აზრები იცის
გულში ჩაიმარხავს – არ დაივიწყებს
გულში ხინჯი აქვს – დარდი აქვს
გულში გაივლებს – გაიფიქრებს
გულში იკლავს გრძნობას – გრძნობას არავის უმხელს, თავის თავში იკლავს
იტალიურში:
leggere nel cuore (გულში ამოიკითხო) – მიუხვდე სხვის ჩანაფიქრს
avere una spina nel cuore (გულში ეკალი გქონდეს) – დარდი
avere qc. nel cuore (გულში გქონდეს) – მოგწონდეს, გაინტერესებდეს
avere a cuore (გულში გქონდეს) – გაინტერესებდეს

ბ) -დან თანდებულით, საპირისპირო მიმართება:
გულიდან ამოიღებს, ამოიგლეჯს, ამოირეცხავს, ამოიფხეკს, ამოიფხვრის, გადააგდებს, გააძევებს, გადაუვარდება
გულიდან გადაეყრება – გაუვლის, გაუქრება (რაიმე სულიერი განცდა)
გულიდან არ გადაუვარდება – არ დაავიწყდება
გულიდან ლოდი ჩამოეცლება, მოეხსნება – მწუხარება, დარდი, ნაღველი მოშორდება.
togliersi il peso dal cuore (გულიდან სიმძიმე მოეხსნება) – მწუხარების, დარდის, ნაღველის მოშორება.

გ) -თან თანდებულიანი:
გულთან ახლოს მიიტანს – განიცდის, ნერვიულობს
prendere a cuore (გულთან ახლოს მიიტანს) – განიცდის, ნერვიულობს

სემანტიკური ანალიზის საფუძველზე ფრაზეოლოგიური ერთეულების დაყვანა შესაძლებელია ძირითად ლოგემებამდე (განზოგადებული

ხასიათის ლოგიკურ-სემანტიკური ერთეული, რომელზეც შეიძლება დავიყვანოთ პარემიის გარკვეული ჯგუფები). 110 ქართული ფრაზეოლოგიური ერთეულის ანალიზის შედეგად გამოიყო:

1. გული როგორც უარყოფითი ემოციის განცდის ადგილი (*გულზე აწევს...*) – 48 (დარდი, წუხილი, ტანჯვა, უხალისობა, მობეზრება, შიში, შეცოდება, ბრაზი, წყენა, უინტერესობა, უიმედობა, რწმენის დაკარგვა და სხვ.);
2. ვინმეში უარყოფითი ემოციის გამოწვევის ადგილი (*გულს ატკენს...*) – 10;
3. გული როგორც სასიამოვნო/დადებითი ემოციების განცდის ადგილი (*გულზე ტკბილად ეცემა...*) – 17 (სიამოვნება, გამბედაობა, სიმხნევე, შეყვარება, მონდომება, სასიამოვნო მღელვარება, დაკმაყოფილება, ვინმეს კეთილად განწყობა, თავის მოწონება);
4. გული როგორც ის ადგილი, საიდანაც უარყოფითი ემოცია გაივლის (*გულს მოეფონება, მოეშვება...*) – 13.

უფრო მოკრძალებულად გამოიყურება იტალიური ენის მონაცემები. ლექსიკონები აფიქსირებენ თითქმის ქართული მონაცემების ნახევარს – 60 ფრაზეოლოგიურ ერთეულს. გაანალიზებული 60 ფრაზეოლოგიური ერთეულიდან შესაძლებელი გახდა შემდეგი ლოგემების დადგენა:

1. გული როგორც უარყოფითი ემოციის განცდის ორგანო (avere il cuore pesante – მძიმე გულის ქონა) – 12 (დარდი, წუხილი, ტკივილი, ტანჯვა, ბრაზი);
2. ვინმეში უარყოფითი ემოციის გამოწვევის ადგილი (colpire al cuore – *გულში მორტყმა*) – 5;
3. გული როგორც სასიამოვნო/დადებითი ემოციების განცდის ადგილი (donna del cuore – საყვარელი ქალი, sentirsi ridere il cuore – გრძნობდე გულის სიცილს) – 20 (სიყვარული, მოწონება, გულწრფელობა, გულის აჩუყება)
4. გული როგორც სიმხნევე, სიმამაცე (dar cuore – გულის მიცემა) – 7.

საინტერესოა, რომ ქართულ ფრაზეოლოგიურ კორპუსში იტალიურთან შედარებით ჭარბობს „გული“, როგორც უსიამოვნო ემოციების, განცდების, შეგრძნებების ადგილი და ამ მნიშვნელობით ქართულში თითქმის სამჯერ მეტი ერთეული ფიქსირდება.

ორივე ენაში აღმოჩნდა სპეციფიკური, საინტერესო ხატის საფუძველზე შექმნილი ფრაზეოლოგიური ერთეულები, მაგ. იტალიურში:

avere il cuore sulle labbra (ტუჩებზე გულის ქონა) – გულწრფელი.

col cuore in mano (გულის ხელში ქონა) – გულწრფელად, შდრ. ქართული: *გული ხელით უჭირავს* (უკავია), რაც ნიშნავს, რომ სიკვდილის პირასაა, თავს ძალიან ცუდად გრძნობს.

გარდა იდიომატური კორპუსისა, ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა იმ მასალის ანალიზი, რომელიც მეორეული ნომინაციის სფეროს განეკუთვნება. მხედველობაში გვაქვს ქართული ენის კომპოზიტები, რომელთა ერთ-ერთ ელემენტს შეადგენს ლექსემა „გული“. მათი არსებობა კიდევ ერთხელ ადასტურებს „მიამიტურ“ ცნობიერებაში გულის მნიშვნელობას, რადგან ისევ გულთან არის დაკავშირებული ადამიანის როგორც სხვადასხვა ფსიქიკური თუ სულიერი განცდა, ისე თავად ადამიანის სხვადასხვა მახასიათებლები: კეთილშობილი – გულკეთილი; პატიოსანი – გულმართალი; იმედდაკარგული, ნაწყენი – გულგატეხილი; გაბრაზებული – გულმოსული; მიამიტი – გულუბრყვილო; დარდიანი – გულნატკენი; სევდიანი – გულნაღვლიანი; შეწუხებული – გულშემოყრილი; თავის თავში ჩაკეტილი – გულჩათხრობილი; დარდიანი, სევდიანი – გულმოკლული, შეუბრალებელი – გულქვა; უგრძნობი, შეუბრალებელი – გულცივი; დარდიანი, უთქმელი – გულჩახვეული; ძლიერი უარყოფითი შთაბეჭდილების მომხდენი – გულშემზარავი; პატიოსანი – გულწრფელი; უსაქმური – გულხელდაკრეფილი; მონდომებული – გულმოდგინე; გახსნილი – გულღია; კეთილი – გულმოწყალე, მამაცი – გულმაგარი; სათუთად, დიდი ყურადღებით – საგულდაგულოდ; ყურადღება – გულისყური და სხვ.

ქართულ და იტალიურ ენებში წარმოდგენილია გულის შემცველი ფრაზეოლოგიზმები, რომელთა შემადგენლობაშიც „გული“ არის ფსიქიკური თუ სულიერი ხასიათის განცდების ადგილი. „მიამიტური“ ცნობიერების შესაბამისად, ის არის ცენტრალური ადგილი – როგორც ფიზიკური, ისე სულიერი – ადამიანისა, ამიტომაც ორივე ენობრივ სურათში ყველაზე დიდი ტკივილის მინიჭება ადამიანისთვის არის მისი *გულის ტკენა*, *colpire al cuore* (გულში დაჭრა) მისი პიროვნების შეძვრა შესაძლებელია, თუ მას რაღაც *გულზე მოხვდება* – *toccare il cuore* (გულზე შეეხება), მისი სიყვარულის მოპოვება კი შესაძლებელი – მისი გულის მოპოვებით, *rubare il cuore* (გულის მოპარვით) და ა.შ.

ქართული და იტალიური ფრაზეოლოგიური კორპუსის ანალიზმა გვიჩვენა, რომ:

1. სამყაროს ოთხ ელემენტზე – მიწა, ჰაერი, წყალი, ცეცხლი – დამ-

ყარებული სტიქიებიდან – „გულის“ შემცველი ფრაზეოლოგიის ანალიზისას სამყაროს ქართულ ენობრივ სურათში ვხვდებით ცეცხლს, წყალს, ქარს ან მათთვის დამახასიათებელ თვისებებს, იტალიურში კი ცეცხლს და წყალს.

2. ორივე ენაში გამოიყოფა ქიმიური თუ ბუნებრივი ელემენტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები.
3. იტალიურში გამოიყოფა ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთა საფუძველია ზოონიმები, ქართულში კი ასეთი ფორმები არ დასტურდება.
4. ორივე ენაში დასტურდება გული როგორც „ინსტრუმენტი“;
5. ორივე ენაში დასტურდება გული როგორც „ჭურჭელი“;

საინტერესოა, რომ ქართულში ჭარბობს „გული“ როგორც უსიამოვნო ემოციების განცდის ადგილი და ამ მნიშვნელობით აქ თითქმის სამჯერ მეტი ერთეული ფიქსირდება.

იტალიურისაგან განსხვავებით, ქართულ ენას ძალიან ამდიდრებს და ხატოვანს ქმნის კომპოზიტების არსებობა, რომელთა სიუხვე კიდევ ერთხელ ადასტურებს „გულის“ მნიშვნელობას ქართველთა „მიამიტი“ ცნობიერებისათვის.

ფრაზეოლოგიური ერთეულების წარმოქმნა ძირითადად მეტაფორიზაციის საშუალებით არის შესაძლებელი. ეს ადამიანური აზროვნებისათვის დამახასიათებელი პროცესია, რომელსაც „ეროვნება არ გააჩნია“, ხოლო თავად მეტაფორის ხატი, მხატვრულ-ასოციაციური წარმოდგენა კი „კულტურულად მარკირებულია“, ანუ განპირობებულია ამა თუ იმ ეთნოსის მიერ სამყაროს სპეციფიკური, „თავისებური“ ხედვით. თუ ისევ ვ. თელიას სიტყვებს მოვიშველიებთ: „მეტაფორას, როგორც მეორეული ნომინაციის ფორმირების ყველაზე პროდუქტიულ საშუალებას, გააჩნია თვისება ამ ენაზე მოსაუბრეთ სამყაროს სპეციფიკური ხედვა მოახვიოს... ენა თავისი მნიშვნელობების სისტემის და მათი ასოციაციების საშუალებით სამყაროს კონცეპტუალურ მოდელს ეროვნულ-კულტურული ფერებით აფერადებს. ის მას აძლევს ადამიანურ – ანთროპოცენტრულ ინტერპრეტაციას, რომელშიც არსებით როლს ანთროპომეტრულობა ასრულებს“.[9]

---

[9] В. Н. Телия, *Русская фразеология*, გვ. 136.

ბიბლიოგრაფია

References

G. G. Gak, National-cultural Specificity of Meronimic Phraseology, in: *Phraseology in Cultural Context* (Moscow, 1999) (in Russian).

E. I. Karasik, G.G. Slyshkin, Linguocultural Concept as Element of Language Conciousness, in: *Methodology of Modern Psycholinguistics* (Moscow, Barnaul, 2003) (in Russian).

T. Sakhokia, *Georgian Figurative Words and Expressions* (Tbilisi, 1951-1955) (in Georgian).

V. N. Telia, *Russian Phraseology. Semantic, Pragmatic and Linguocultural Aspects* (Moscow, 1996) (in Russian).

V. N. Telia, The Methodological Problems of Study of Phraseology in Cultural Context, in: *Phraseology in Cultural Context* (Moscow, 1999) (in Russian).

Georgian Language Explanatory Dictionary (Tbilisi, 1951) (in Georgian).

Georgian-Russian Phraseology Dictionary (Tbilisi, 1966) (in Georgian).

N. Zingarelli, *Vocabolario della Lingua Italiana* (Bologna, 2001).

Maia Javakhidze

Conceptualization of "Heart" in Georgian and Italian Phraseology Corpus

The term "linguoculturology" has become established to denote the line of linguistics that studies the interrelationship of language and culture. This relationship is manifested primarily in the linguistic expression of ethnic mentality. Linguoculturology studies language in very close union with human beings, as an anthropological phenomenon. Modern linguoculturological studies use such specific concepts as "consciousness", "mentality", "picture of the world", "the linguistic picture of the world", "linguistic personality", "linguistic awareness", and other specific terms, among which "concept" is most widespread and established.

"The linguoculturological concept is a conventional mental unit directed at complex study of language, consciousness and culture. The relation of this concept to these three spheres may be formulated in the following way: 1)

consciousness is the sphere where the concept exists (it lies in consciousness); 2) culture determines the concepts (in other words, concept is a mental projection of the elements of culture; 3) language and/or speech are the spheres where concept turns into a thing.

Contrastive study of phraseology is one of the major lines of linguo-culturological studies. The purpose of these studies is to identify the ethnic or national-cultural specificity of the phraseologisms of the language that comes to light against the background of a "naïve" picture of the world."

It is from this viewpoint that the analysis of the conceptualization of "heart" in the Italian and Georgian phraseological corpus is presented.

Heart is the central organ of the human being, ensuring its existence and normal physiological or vital activity. As a physiological organ it has its characteristic features following from its anatomic structure and physiological function. The heart may ache, may "prick", may beat fast or slowly. In "naïve" life it is imagined as man's central organism that assures not only his/her physical existence but the experiencing of various psychic or spiritual emotions.

If we judge on the basis of phraseology, in the Georgian and Italian linguistic pictures of the world the heart is represented as the central place of man's spiritual experiences, emotions or mental experiences.

The process of creation of idioms in language most often occurs as metaphorization, when the speaker, emerging from some nominative thought to denote first a nameless object, property, process, state, etc. has recourse to something similar but already designated reality in language. At the same time, proceeding from the anthropological principle, it is known that modeling of the human's inner world takes place according to his physical body, its characteristics, his physical experience. "Naïve" consciousness ascribes to a material organ those properties that belong to the sphere of mental experience. This is proved by the existence in the Georgian and Italian corpus of phrases expressing spiritual experiences that are likened to material pain or sensation; in Georgian: ***guli*** *ar akvs* (he/she is heartless) – does not experience anything, as though he has no heart; ***guli*** *sṭḳiva* (his heart aches) – is nervous, worried as though this were a sensation of physical pain. In Italian: *avere il* ***cuore*** *stretto* (heart presses) – be worried over something.

In the world's linguistic picture man is a microcosm; he describes his inner world analogously to the physical reality known to him in the animate and

inanimate nature. The anthropometric principle is manifested in this . As the analysis of Georgian and Italian phraseological corpus has shown:

Analyzing phraseology based on the four elements of the world (earth, air, water, fire) and containing "heart" in the Georgian picture of the world we come across **fire, water, wind** or properties typical of these; while in Italian **fire** and **water** (e.g. Georgian: *gulze* ***cecxli*** *eḳideba* (fire is in his heart*)* – one is very distressed, suffers; Ital.: ***scaldare*** *il* ***cuore*** (to warm one's heart) – calm, encourage somebody).

In both languages phraseological units containing chemical or natural elements are identifiable (e.g. in Georgian: **rḳinis** guli (iron heart) – courageous; Ital.: *cuore d'**oro*** (gold heart) – noble.

In Italian phraseological units are identifiable based on animal designations; in Georgian such forms are not evidenced (e.g. Ital.: *cuor di **leone*** (lion-hearted) - courageous).

In both languages heart is evidenced as an "instrument"; in Georgian*:* ***gulit*** *aţarebs* - carries something in his/her heart, ***gulit*** *ambobs* - says something from one's heart, ***gulit*** *icinis* - laughs heartily, ***gulit*** *aḳetebs* - does something with one's heart in it. In Italian: *ridere con tutto il* ***cuore*** – to laugh with heart.

In both languages heart is seen as a "vessel" (in Georgian with postposition "**ši**" – place, where something is put)**;** in Georgian**:** ***gulši*** *čauvarda* (fell into heart) – took something to one's heart, took interest in something; in Italian: *avere una spina nel* ***cuore*** (have a thorn in one's heart) – be worrying about something.

Interestingly enough, "heart" prevails in the Georgian phraseological corpus as the place of experiencing unpleasant emotions. In this meaning in Georgian three times the number of units are recorded, while in Italian it is predominantly used as a place of experiencing positive emotions.

Thus, according to "naïve" consciousness "heart" is the central place of both physical and spiritual human being. Hence in both language pictures the greatest pain that one can give a human being is to wound/hurt his heart: Georg.: ***gulis*** *ţḳena*; Ital.: *colpire al* ***cuore*** (wounding one's heart), his personality can be roused if his heart is touched: in Georg.: ***gulze*** *moxvedra*, in Ital: *toccare al* ***cuore***, while his love can be won by winning his heart; in Georg.: ***gulis*** *mopoveba*, in Ital: *rubare il cuore* (stealing one's heart). Unlike Italian, the Georgian language is much enriched and made figurative by the existence of compounds in it, where abundance is one more proof of the significance of "heart" in the "naïve" consciousness of Georgians.

Jost Gippert

New Manuscript Finds in St. Catherine's Monastery

Part II

Among the unidentified fragments of the New Collection of Georgian manuscripts in St. Catherine's Monastery[1], Biblical passages are not only found written in Asomtavruli script. The two sides of the Nuskha-Khutsuri Fragm. I displayed in Images 1a and b clearly represent passages from Ps. 117, viz. verses 10-11 and 19-22, their sequence determining the recto and verso. And again, we may wonder whether the original they derive from was a lectionary manuscript or not. It would be surprising, however, to find a larger sequence of verses pertaining to the same psalm written in full in a lectionary. Instead, the fragment will rather pertain to a Psalter manuscript, and N 82 of the New Collection would be a good candidate for this as its catalogued remnants begin with Ps. 118,3.[2]

Fragm. J, also written in Nuskha-Khutsuri minuscules (cf. Images 2a and b), is a bit more difficult to account for. The main part of the text it contains is from Ex. 2, with verses 11-15 (on the recto) and verse 22 (on the verso) clearly representing a continuous passage. On line 7 of the verso, however, another text passage begins; what we can make out is likely to pertain to the book of Job, the text passage in question being either 1,6-8 or 2,1-3, with a priority for the former as it contains the word ქუეყანა (of Job

---

[1] Cf. Part I of the present article for a survey of the Georgian fragments here dealt with.

[2] Cf. the image of fol. 1r of N 82 printed in the catalogue by Z. Aleksidze (ზ. ალექსიძე), M. Shanidze (მ. შანიძე), L. Khevsuriani (ლ. ხევსურიანი) and M. Kavtaria (მ. ქავთარია), *Katalogo~ gewrgianwn ceirografwn eureqentwn kata to 1975 ei~ thn ieran monhn tou qeobadistou orou~ Sina Agia~ Aikaterinh~* / *სინის მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა* / *Catalogue of Georgian Manuscripts Discovered in 1975 at St. Catherine's Monastery on Mount Sinai*, (Aqhna / ათენი / Athens 2005), p. 603.

1,7) discernible in line 10 of the fragment. It is clear by this that we have a lectionary manuscript here, with the lecture titles missing. As a matter of fact, all passages in question (Ex. 2,11-22, Job 1,6-8 and 2,1-3) figure in both the Jerusalem and the Byzantine lectionaries; in none of them the passage from Exodus is immediately followed by Job 1, however (in the Byzantine rite, Job 1,1-12 follows Ex. 1,1-20 on Holy Monday, and Ex. 2,11-22 is followed by Job 2,1-10 on Holy Wednesday; the Jerusalem lectionaries have

Img. 1a (Fragm. Ir)

Img. 1b (Fragm. Iv)



Img. 2a (Fragm. Jr)



Img. 2b (Fragm. Jv)

Ex. 1,1-2,22 on the Wednesday of the first week of Lent, and Job 1,1-22 and 2,1-3,26 on the Sunday and Tuesday before that).[3] The actual provenance of Fragm. J thus remains open.



Img. 3a (Fragm. Kr)



Img. 3b (Fragm. Kv)



Img. 4a (Fragm. Lr)



Img. 4b (Fragm. Lv)

[3] Nos. 342, 334 and 339 in M. Tarchnischvili, *Le grand lectionnaire de l'église de Jérusalem*, [édition], t. I (Louvain 1959), t. I, p. 53-54.

Even for non-Biblical fragments, an identification may be possible, provided a sufficient amount of text has been preserved on them. This is true, e.g., for Fragm. K displayed in Images 3a and b, which contains a passage from the Life of St. Euthymius, one of the Vitae authored by Cyril of Scythopolis.[4] Together with some other fragments, among them the badly burnt Fragm. A (cf. Part I, Img. 1),[5] it can be proven to pertain to N 94 of the New Collection, a set of two folios which in their turn are likely to derive from the original catalogued as no. 43 in the Old Collection;[6] cp. fols. 1v-2r of N 94 as displayed in the Catalogue, p. 615.

Another remarkable fragment containing non-Biblical text is Fragm. L (Images 4a and b), obviously a palimpsest. By all its outer appearance, it resembles manuscript N 71 of the New Collection, one of the manuscripts attributed to Ioane Zosime.[7] In the given case, it is not only the hand of the famous copyist that can be identified (cf. the facsimile of fol. 6v-7r in the Catalogue, p. 592) but also the script of the Syro-Palestinian underwriting.[8] However, the upper text appearing on Fragm. K does not match the lecture index contained in N 71. What we have here instead is a passage from the letter of Cyril of Jerusalem to Emperor Constantine relating the Invention of the Holy Cross. If we consider that in the services of the Jerusalem rite, this letter is one of the few non-Biblical lectures (figuring on the 7th May, the day devoted to the Holy Cross), its appearance in a lectionary-like environment is less astonishing, just as it was printed as an appendix, together with the lecture index of Sinai O 37, in M. Tarchnischvili's edition of the Paris Lectionary.[9] In quite the same way, Ioane Zosime may have

---

[4] The Georgian version has been edited by V. Imnaishvili on the basis of ms. Add. 11281 of the British Library in the collection entitled *მამათა ცხორებანი* (თბილისი, 1975); the text passage present on Fragm. K corresponds to p. 118, ll. 1-3 and 6-9 of the edited text. Note that the fragment matches the text of the British manuscript in spelling საჴლით instead of სახლით (Kr, l. 3 from bottom).

[5] Fragm. A corresponds to p. 146, ll. 15-17 of the printed text.

[6] Cf. the *Catalogue*, p. 155-156 / 308 / 435.

[7] Cf. the *Catalogue*, p. 136-137 / 297-298 / 424-425.

[8] Cf. Part I, note 31.

[9] Tarchnischvili, Lectionnaire [édition], t. II (Louvain 1960), p. 144-150

added the "exceptional" lecture to his lecture index.

There is at least one fragment that contains ascetic material, a topic that is typical for the Sinai environment. This is Fragm. M displayed in Images 5a and b. The few words visible on it, written in a clumsy hand, clearly pertain to the 4th letter of St. Anthony, the Georgian version of which has been preserved in toto in two Sinai mss. of the Old Collection (O 25 and 35). However, the present fragment derives not from one of these two codices but from a manuscript of the New Collection, viz. N 13 which contains the larger part of the "Albanian" palimpsest. And indeed, Fragm. M can be proven to have been dissolved from fol. 106, one of the most damaged folios of N 13 which, in its underwriting, contains the "Albanian" text of Lk. 1,61-64 on its verso and 1,78-80 on its recto.[10] As Images 6a and b show, the underwriting of fol. 106r comprises about 9 lines, with the upper layer covering it turned by 90 degrees. As the reconstruction of the upper text in Tab. 1a and b proves, Fragm. M continues the upper part of fol. 106 (cf. Img. 7 showing the fragment attached at the correct place), and it must have borne an underwriting corresponding to Lk. 1,66-67 on its recto and 1,73-74 on its verso, two passages that had to be omitted in the edition for lack of evidence (cf. Tab. 2 showing the text layout of fols. 105v and 106r of the palimpsest)[11]. Unfortunately, there was no multispectral equipment available on Mt. Sinai when Fragm. M (and the other ones here analysed) were inspected in May, 2009; the decipherment of its lower text thus requires further studies.

(App. IIa); the passage present on Fragm. L corresponds to paragraphs 3-5 of the edition.

[10] Cf. the edition by J. Gippert, W. Schulze, Z. Aleksidze and J.-P. Mahé, *The Caucasian Albanian Palimpsests of Mt. Sinai* [Monumenta Palaeographica Medii Aevi, Series ibero-caucasica, 2], (Turnhout, 2008), p. VI-20 – VI-23; fol. 106 constitutes a bifoliate with fol. 105.

[11] Taken from vol. III of the edition (*The Armenian Layer*, ed. by J. Gippert, Turnhout 2010; Monumenta Palaeographica Medii Aevi, Series ibero-caucasica, 2/3), p. I-25, with the part corresponding to Fragm. M indicated by gray shading. Cf. ib., p. I-24 for the restitution of fols. 105r and 106v.



Img. 5a (Fragm. Mr)



Img. 5b (Fragm. Mv)



Img. 21a (N 13, 106r)

Img. 21b (same, MuSIS picture)



Img. 22 (Sin. N 13, 106r + Fragm. Mr)

Tab. 1a: Sin. georg. N 13, fol. 106 + Fragm. M (upper text)

recto			<მი->	
N 13, 106r		1	<მართ შ>[ე]მოქმედისა დღე და ღამე, რ˜ა	1
		2	გამოვიდეს თქ˜ნდა შეწევნაჲ მაღლი-	2
		3	სა მიერ და მოზღუდნეს გულნი თქ˜ნ<ნი>	3
	97	4	და გულისსიტ[ყ]ვანი ქ˜ეს მიერ : ჭეშმარ-	4
		5	იტად შვილნო სახლსა შინა ავაზაკი-	5
		6	სასა მყოფ ვართ [და] საკრველითა	6
		7	სიკვდილისაჲთა ვარ<თ> ჩუენ შეკრულ :	7
	98	8	<ჭე>[შ]მარიტად გეტყვ თქ˜ნ [რ˜] ჩ˜ნი ესე უდ-	8
		9	<ებე>ბაჲ და დამდაბლე[ბაჲ] და გარეშე	9
		10	<ყო>[ფ]აჲ ესე ჩ˜ნი სა<თნ>[ოე]ბისაგან არა	10
		11	<ხ˜თ>[უ] ჩ˜ნდა ზღვევა [არ]<ს> ა˜დ ანგელ-	11
		12	<ოზთაცა შ>[რო]მა არს [და ყ˜]ლთა წ˜თა	12
		13	<ქ˜ცსთა რ˜ არღა სა>და [ა]ქამომდ<ე> [გა]ნ-	13
	99	14	<უსუენებიეს ჩ˜ნთვს ჭეშმ>[ა]რი[ტ]<ად>	14
Frgm. Mr		15	<შვილნო რ˜ დ>ამ[დ]<აბლებაჲ ესე ჩ˜ნი>	15
		16	<მწუხარე>[ბა] არს მათ <ყ˜ლთა, და კ˜დ>	16
		17	<ცხორე>ბაჲ ჩ˜ნი და ს<იქადული სიხა>-	17
	100	18	<რულს-ცე>მნ მათ ყ˜ლთა <და ცანთ რ˜ სა>-	18
		19	<ხიერე>ბაჲ მამისაჲ არ<ა დაცხრების ვი>-	19
lost		20	<ნაჲთგან აღიძრა ქველის-ყოფად ჩ˜ნდა>	20
		21	<მარადის ვ˜ე დღინდღელად დღედმდე>	21
		22	<რ˜ა არა თანამდებ გყვნეს ჩ˜ნ თავისა>	22
	101	23	<ჩ˜ნისა : და რ˜ თვთ-ჴელმწიფედ>	23

Tab. 1b: Sin. georg. N 13, fol. 106 + Fragm. M (upper text)

verso				
N 13,106v		1	დავებადენით ამის თვის [გ]<უეძიებ>-	1
		2	ენ ჩ˜ნ ეშმაკნი მ˜ს ამისთვის წერილ არ[ს]<:>	2
		3	[დ]აბანაკებულ არს ანგელოზი ო˜ჲ გარ-	3
		4	ემო მოშიშთა მისთა და იჳსნეს იგინი :	4
	102	5	[ა]წ შვილნო უწყებაჲ თქ˜ნი მნებავს	5
		6	ვინაჲთგან [ა]<ღ>ძრვაჲ ესე იყო ვ˜ე	6
		7	აქამომდე ყ˜ნივე : რავდენნი გარეშ[ე]	7
		8	იქმნეს სა[თ]<ნო>ებისაგან და აღეს<რუ>-	8
		9	ლნეს უკეთურებანი მათნი [შ]<ვილ>-	9
	103	10	ად ეშმაკისა <შე>[რა]ცხილ არიან : დ[ა] <აწ>-	10
		11	ვე მათგა[ნ]<თ>ა ცნეს : და ა[მი]<სთჳსცა>	11
		12	ჳ[ელი] შეყვეს სა[ქ]მედ <თითოეულისა ჩ˜ნი>-	12
	104	13	[სა ნ]ებისაებრ [მ]ა<თისა რ˜ ესე იციან>	13
		14	<ვ˜დ ზ>[ე]<ცით გარდამოვარდა ეშმაკი>	14
Frgm. Mv		15	<ამპარტავანე>ბი[თ]ა ა<მისთჳსცა რ˜ლ>-	15
		16	<ნი იგი მიიწინ>ნეს დიდ<სა ზომსა>	16
		17	<გარდარეულს>[ა] ესე მოუჳ<დიან>	17
		18	<მათ პ˜დ : რ˜ > [ჳ]ელოან არია[ნ] <ამ>-	18
		19	<პარტავანებითა და> [მაო]<ცნებე>-	19
lost		20	<ლობთა ურთიერთარს : ...>	20
		21	...	21

Tab. 2: Sin. georg. N 13, fol. 105v / 106r + Fragm. M (lower text)

Lk.						Lk.
	1	ⲡⲓⲁⲣⲭⲏⲉⲡⲓⲥⲕⲟⲡⲟⲥ ⲙⲡⲛⲟⲩ	105v	ⲁⲩⲱ ⲁⲛⲟⲙⲓⲁ ⲛⲓⲙ ⲉⲧⲃⲉ ⲡⲁⲓ	1	
	2	ⲉⲧⲣⲉⲩⲁⲅⲅⲉⲗⲓⲍⲉⲛ ⲛⲓⲙ		ⲧⲁⲓ ⲛⲁⲛⲟⲙⲓⲁ ⲛⲓⲙ ⲛⲁⲛⲁⲅⲕⲏ	2	
1,69	3	ⲙ̀ⲡⲣⲟⲫⲏⲧⲏⲥ ⲛⲓⲙ ⲙ̀ⲡⲣⲟⲫⲏⲧⲏⲥ		ⲛⲓⲙ ⲛⲓⲡⲣⲟⲫⲏⲧⲏⲥ ⲛⲓⲙ ⲛⲓⲡⲣⲟⲫⲏⲧⲏⲥ	3	1,76
	4	ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲡⲟⲥⲧⲟⲗⲟⲥ ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ		ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲡⲟⲥⲧⲟⲗⲟⲥ	4	
	5	ⲁⲛⲟⲙⲓⲁ ⲛⲓⲃⲁⲣⲃⲁⲣⲟⲥ ⲁⲛⲟⲙⲓⲁ		ⲁⲛⲟⲙⲓⲁ ⲛⲓⲥⲕⲩⲑⲏⲛⲟⲥ ⲁⲛⲟⲙⲓⲁ	5	
	6	ⲛⲓⲙ ⲛⲓⲕⲩⲛⲟⲙⲟⲗⲟⲅⲟⲥ ⲛⲓⲙ		ⲛⲓⲙ ⲛⲓⲕⲩⲛⲟⲙⲟⲗⲟⲅⲟⲥ ⲛⲓⲙ	6	
(1,70)	7	ⲛⲓⲧⲟⲡⲁⲣⲭⲏⲥ ⲁⲛⲟⲙⲓⲁⲗⲟⲅⲟⲥ		ⲧⲁⲓ ⲛⲁⲛⲟⲙⲓⲁⲗⲟⲅⲟⲥ ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲛⲁⲅⲛⲱⲥⲧⲏⲥ	7	1,77
	8	ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲛⲁⲅⲛⲱⲥⲧⲏⲥ ⲛⲓⲙ ⲛⲓⲡⲣⲟⲕⲟⲡⲧⲟⲛ		ⲛⲓⲙ ⲛⲓⲡⲣⲟⲕⲟⲡⲧⲟⲛ ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲛⲁⲅⲛⲱⲥⲧⲏⲥ	8	
	9	ⲛⲓⲙ ⲛⲓⲡⲣⲟⲫⲏⲧⲏⲥ ⲛⲓⲙ ⲛⲓⲡⲣⲟⲫⲏⲧⲏⲥ		ⲛⲓⲙ ⲛⲓⲡⲣⲟⲫⲏⲧⲏⲥ ⲛⲓⲙ ⲛⲓⲡⲣⲟⲫⲏⲧⲏⲥ	9	
(1,71)	10	ⲛⲓⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ		ⲛⲓⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ	10	1,78
	11	ⲛⲓⲁⲣⲭⲏⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲣⲭⲏⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ		ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲣⲭⲏⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲣⲭⲏⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ	11	
	12	ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲣⲭⲏⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲣⲭⲏⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ		ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲣⲭⲏⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲣⲭⲏⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ	12	
(1,72)	13	ⲧⲁⲓ ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲣⲭⲏⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ ⲛⲓⲙ		ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲣⲭⲏⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ ⲛⲓⲙ	13	
	14	ⲙⲡⲛⲟⲩⲧⲉ ⲁⲛⲟⲙⲓⲁ ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲣⲭⲏⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ	106r	ⲡⲉⲛⲛⲟⲩⲧⲉ ⲁⲛⲟⲙⲓⲁ ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲣⲭⲏⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ	14	
	15	ⲙⲡⲉⲛⲛⲟⲩⲧⲉ ⲙⲡⲉⲛⲛⲟⲩⲧⲉ ⲙⲡⲉⲛⲛⲟⲩⲧⲉ		ⲙⲡⲉⲛⲛⲟⲩⲧⲉ ⲙⲡⲉⲛⲛⲟⲩⲧⲉ ⲙⲡⲉⲛⲛⲟⲩⲧⲉ	15	1,79
(1,73)	16	ⲙ̀ⲡⲛⲉⲩⲙⲁⲧⲓⲕⲟⲛ ⲙ̀ⲡⲛⲉⲩⲙⲁⲧⲓⲕⲟⲛ		ⲙ̀ⲡⲛⲉⲩⲙⲁⲧⲓⲕⲟⲛ ⲙ̀ⲡⲛⲉⲩⲙⲁⲧⲓⲕⲟⲛ	16	
	17	ⲛⲓⲁⲛⲟⲙⲓⲁ ⲛⲓⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ ⲛⲓⲡⲣⲟⲕⲟⲡⲧⲟⲛ		ⲛⲓⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ ⲛⲓⲡⲣⲟⲕⲟⲡⲧⲟⲛ ⲛⲓⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ	17	
(1,74)	18	ⲁⲩⲧⲱⲛ ⲙ̀ⲡⲣⲟⲫⲏⲧⲏⲥ ⲁⲩⲧⲱⲛ ⲙ̀ⲡⲣⲟⲫⲏⲧⲏⲥ	←M	ⲁⲩⲧⲱⲛ ⲙ̀ⲡⲣⲟⲫⲏⲧⲏⲥ ⲁⲩⲧⲱⲛ ⲙ̀ⲡⲣⲟⲫⲏⲧⲏⲥ	18	
	19	ⲛⲓⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ ⲛⲓⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ ⲛⲓⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ		ⲛⲓⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ ⲛⲓⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ ⲛⲓⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ	19	1,80
	20	ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲡⲟⲥⲧⲟⲗⲟⲥ ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲡⲟⲥⲧⲟⲗⲟⲥ		ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲡⲟⲥⲧⲟⲗⲟⲥ ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲡⲟⲥⲧⲟⲗⲟⲥ	20	
	21	ⲛⲓⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ		ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ	21	
1,75	22	ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲣⲭⲏⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲣⲭⲏⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ		ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲣⲭⲏⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ ⲛⲓⲙ ⲛⲓⲁⲣⲭⲏⲁⲅⲅⲉⲗⲟⲥ	22	

ბიბლიოგრაფია

References

Z. Aleksidze, M. Shanidze, L. Khevsuriani and M. Kavtaria, *Catalogue of Georgian Manuscripts Discovered in 1975 at St. Catherine's Monastery on Mount Sinai* (Athens, 2005).

J. Gippert, W. Schulze, Z. Aleksidze and J.-P. Mahé, *The Caucasian Albanian Palimpsests of Mt. Sinai,* vol. II [Monumenta Palaeographica Medii Aevi, Series ibero-caucasica: 2/2] (Turnhout, 2008).

J. Gippert, *The Caucasian Albanian Palimpsests of Mt. Sinai. vol. III: The Armenian Layer [Monumenta Palaeographica Medii Aevi, Series ibero-caucasica: 2/3]* (Turnhout, 2010).

V. Imnaishvili, *Teachings of Holy Fathers* (Tbilisi, 1975) (in Georgian).

M. Tarchnischvili, *Le grand lectionnaire de l'église de Jérusalem* [édition], t. I-II (Louvain, 1959-1960).

იოსტ გიპერტი

წმინდა ეკატერინეს მონასტერში აღმოჩენილი ახალი ხელნაწერები

წინამდებარე ნაშრომში განხილულია სინას მთის ქართული ხელნაწერების ახალი კოლექციის ფრაგმენტები, რომლებიც არ არის შეტანილი წმინდა ეკატერინეს მონასტრის ქართულ ხელნაწერთა ახალ კატალოგში. წარმოდგენილია, აგრეთვე, ფრაგმენტების იდენტიფიცირებისათვის გამოყენებული მეთოდები.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ახალი კოლექციის დიდი ნაწილი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, განსაკუთრებით – ფრაგმენტები. შესაბამისად, ანალიზის პირველი ეტაპი ფრაგმენტებში მოცემული ტექსტის ნაწყვეტების იდენტიფიცირებას მოიცავს, რისთვისაც აუცილებელია ასოების გარკვეული რაოდენობის ამოკითხვა. TITUS-ARMAZI-ის ძველი ქართული ტექსტების მონაცემთა ბაზის მეშვეობით ტექსტის იდენტიფიცირება ასოების მცირე რაოდენობის შემთხვევაშიც არის შესაძლებელი. მაგალითად, როგორც ირკვევა, ფრაგმენტი C შეიცავს მუხლებს ლუკას სახარებიდან (4,41 და 43-44).

ამასთანავე, ტექსტის ერთი ნაწყვეტის ამოცნობა არ არის საკმარისი ფრაგმენტის იდენტიფიცირებისთვის. ოთხთავის ნაწყვეტი შეიძლება იყოს საკუთრივ სახარებიდან და ლექციონარიდანაც, ან ციტირებული იყოს ჰოლიმეტიკურ, ჰაგიოგრაფიულ და სხვა ტიპის ტექსტებში. განსახილველი ფრაგმენტი C შეიცავს უწყვეტ ტექსტს, რომელიც წარმოდგენილია ერთი და იმავე

თავის რამდენიმე მუხლით, რაც, ფაქტობრივად, გამორიცხულია ციტირების შემთხვევაში.

გაცილებით რთულია იმის დადგენა, ფრაგმენტი სახარებიდან მომდინარეობს თუ ლექციონარიდან. შესაბამისად, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

პირველი – ლექციონარებისთვის დამახასიათებელია ტიპური ლიტურგიკული ტექსტის არსებობა – სათაურების დასათაურება ან მისი წაკითხვის დროის მითითება. ამისი ნათელი მაგალითია ფრაგმენტი D, რომელზეც კარგადაა შემონახული თვის სახელწოდება (*იანვარ-*). როგორც სხვა მრავალ ლექციონარში, აქაც იგი წითელი ფერის მელნითაა დაწერილი.

მეორე – ნაწყვეტები ლექციონარიდან განსხვავდება სახარების ნაწყვეტისგან. ფრაგმენტ C-ს შემთხვევაში ამოკითხული ტექსტის რაოდენობა არ არის საკმარისი ამ საკითხის გადასაჭრელად.

მესამე – სახარების პასაჟების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა იკითხება საკითხავების სახით. ძველი ქართული ლექციონარები ამ თვალსაზრისით ორი ტრადიციის მატარებელია: არქაული – იერუსალიმურისა და გვიანი – ბიზანტიურისა. სინაზე დაცული, ასომთავრული ანბანით დაწერილი, ლექციონარები, ჩვეულებრივ, მისდევს იერუსალიმურ ტრადიციას, მაშინ როდესაც ბიზანტიური სტილი წარმოდგენილია ნუსხური ანბანით შესრულებულ ხელნაწერებში. ფრაგმენტ C-ს recto-ზე (ლუკა 4,41) წარმოდგენილი ტექსტი არ გვხვდება იერუსალიმის ტიპის ქართულ ლექციონარებში, ბიზანტიურ ტიპს კი აქვს შესატყვისი (სულთმოფენობიდან მეცხრამეტე კვირის ორშაბათის) საკითხავი. ამასთანავე, ეს მაინც არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ფრაგმენტი C მივაკუთნოთ ბიზანტიურ ლექციონარს, რამდენადაც ის ასომთავრული ანბანითაა დაწერილი. თუ გავითვალისწინებით იმ გარემოებას, რომ საკითხავის ინდექსი, იოანე-ზოსიმეს განმარტებით, არის ლუკა 4,31-41 მესამე კვირისთვის და ლუკა 4,42-5,11 მეოთხე კვირისთვის ეპიფანეს შემდეგ, მოცემული ფრაგმენტი შეიძლება „მისი" ტრადიციის მატარებელი აღმოჩნდეს.

ფრაგმენტის ამა თუ იმ ხელნაწერისთვის მიკუთვნების მიზნით გასათვალისწინებელია ისეთი გარეგნული მახასიათებლებიც, როგორიცაა ხელწერა და ზომები. მოცემული კონტექსტიდან გამომდინარე, „ზომებში" იგულისხმება დაშორება სტრიქონებს შორის და ასოების ზომები/პარამეტრები. თუმცა, ისეთი პატარა ფრაგმენტი, როგორიც არის C, არ გვიჩვენებს ხელნაწერი წყაროს სტრიქონების რაოდენობას. არც ამოკითხული ასოებია საკმარისი იმისათვის, რომ იგი სინური კოლექციის რომელიმე ხელნაწერის ნაწილად მივიჩნიოთ. იგივე შეიძლება ითქვას მისი ზომების განსაზღვრაზეც – ფრაგმენტში მხოლოდ ორი სტრიქონია შემორჩენილი. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია გამოვიან-

გარიშოთ ტექსტის პასაჟში არსებული სტრიქონების რაოდენობა (დაახლოებით 12 სტრიქონი ლუკა 4,41-დან 44-მდე და თითოეულ სტრიქონზე დაახლოებით 17 ასო). შესაბამისად, მოცემული ხელნაწერი, სავარაუდოდ, უნდა წარმოადგენდეს X საუკუნის იერუსალიმური ლექციონარის (N11) ნაწილს. თუმცა, ამ უკანასკნელის თითოეული გვერდი 30 სტრიქონს მოიცავს.

სხვა ფრაგმენტების შემთხვევაში უკეთესი მდგომარეობაა. მაგალითად, ფრაგმენტ E-ში შეგვიძლია ამოვიკითხოთ: *იგი მიმცემს მე* და *ვალს ვ(ითარც)ა*, რაც შეესაბამება მარკოზ 14, 20-21-ს; ეს ნაწყვეტი ფიქსირდება იერუსალიმური ტიპის ლექციონარის ვნების ხუთშაბათის საკითხავშიც (მარკოზ 14,12-26). ამის დასტურია ფრაგმენტ E-ს verso-ზე სათაურად გამოტანილი სიტყვები *დიდსა პარასკევსა*. თუმცა, მათ მოსდევს ტექსტის პასაჟის „ბუნდოვანი" კვალი. იკითხება მხოლოდ წითელი მელნით შესრულებული საწყისი ასო *მ*, რაც არ არის საკმარისი საკითხავის იდენტიფიცირებისთვის. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, სათაურამდე დაწერილ პატარა ზომის სამ ასოს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. *ტით* უნდა იყოს ოთხთავის ერთი პასაჟის, ამონას თავის რიცხვითი მნიშვნელობა (319), მათე 27,3, რომელიც *მ* ასოთი იწყება: ***მ**აშინ ვ(ითარც)ა იხილა...* აშკარაა ისიც, რომ, მათე 27,3-56 იკითხება იერუსალიმური ტიპის დიდი პარასკევის საკითხავებში.

ფრაგმენტ E-ს ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის იყო სხვა იერუსალიმური ლექციონარის ხელნაწერის, N10-ის, ნაწილი. ამასთანავე, N10-ის რვა ფურცელი შეიცავს ვნების კვირის საკითხავებს, ხოლო 4recto, რომელზეც მათე 27,7-14 არის წარმოდგენილი, შეიძლება იყოს ფრაგმენტ E-ს verso-ს გაგრძელება.

ფრაგმენტ D-ში მითითებული თარიღის (*იანვარ-*) გათვალისწინებით, ძნელდება მისი მიკუთვნება იმავე ლექციონარისთვის. შესაძლოა, ეს არის 18 იანვრის საკითხავი. ამას გვავარაუდებინებს ტექსტის პირველი სავარაუდო სიტყვა *მონასტერსა*, რომელიც იერუსალიმური ტიპის ლექციონარში დაცულ *ქოზიბას ღვთისმშობლის მონასტერს* ემთხვევა. სავარაუდოა, აღნიშნული შეესაბამებოდეს ფრაგმენტ ⲫ-საც, რომელსაც სათაურად წარმოდგენილი აქვს *იანვარი*. ამ უკანასკნელს მოსდევს სიტყვა *მოციქული* და ინიციალი *ⲩ*. სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს 29 იანვრის საკითხავი. იერუსალიმური ტიპის ლექციონარში დაცულია საკითხავი სამოციქულოდან გალატელთა მიმართ (6,14-18) სათაურით *საკითხავი პავლე მოციქულისა გალატელთაᲲ*. ეს არის ერთადერთი ციტატა ეპისტოლეებიდან იანვრის თვის საკითხავებში, რომელიც იწყება *ⲩ*-თი (*ⲩოლო*).

D და F ფრაგმენტები შეგვიძლია მივაკუთვნოთ N11 ხელნაწერს, რომელიც შედგება 7 ფურცლისა და სამი პატარა ფრაგმენტისგან. სავარაუდოდ, ამ

ხელნაწერში შედიოდა წლის საკითხავების დიდი ნაწილიც, რაზეც მიუთითებს ჩვენამდე მოღწეული არაერთი შესავალი ნაწილი (მითითებული პერიოდით – ხორციელის კვირიდან 25 მაისამდე).

N11 ხელნაწერის სხვა ფურცელზე წერია ნაწყვეტი იერემიას წინასწარმეტყველებიდან (14,7-9; 15,20-21; 31,23; და 16,19). ამ გვერდზე წაშლილი სვეტის ერთი ნაწილი აღმოჩნდა ფრაგმენტ G-ში. ის წარმოგვიდგენს იერემია 14,19-21-სა და 15,17-18 -ს და ზუსტად შეესაბამება N11-ის „გამოტოვებულ" ადგილებს.

ხელნაწერებს შორის არის კიდევ ერთი ფრაგმენტი დ H, რომელიც შეიძლება მივაკუთვნოთ N11 ხელნაწერს. ამ ფრაგმენტში დაცული საკითხავის სათაური აშკარად წარმოადგენს დაბადების ტექსტს (ᲪᲧᲪᲧᲦᲢ). თუმცა, ის რამდენიმე სიტყვა, რომელიც შემდგომ იკითხება (…*მოვიდა… თჳსთა…)* არ იძლევა ნაწყვეტის იდენტიფიცირების საშუალებას. მსგავსი სიტყვები დაბადების ოთხ მუხლში არის წარმოდგენილი (9,22: … *გამოვიდა გარე და უთხრა ძმათა თჳსთა*; 19,14: *გამოვიდა ლოთ და თქუა სიძეთა მიმართ თჳსთა*; 37,23: *და იყო, რაჟამს მოვიდა იოსებ ძმათა თჳსთა თანა;* 38,1: *და იყო მას ჟამსა ოდენ წარმოვიდა იუდა ძმათა თჳსთაგან)*; *თჳსისა*-დ წაკითხვის შემთხვევაში კი 27,30-იც არის გასათვალისწინებელი *(გამოვიდა იაკობ პირისაგან ისაკისა, მამისა თჳსისა*). თუ მხედველობაში მივიღებთ N11 ხელნაწერის გარეგნულ მხარეს, მაშინ მხოლოდ იერუსალიმის ლექციონარებში წარმოდგენილი 9,22 და 19,14 პასაჟები ჩაითვლება ფრაგმენტ H-ს შესაბამისად. თუმცა, ფრაგმენტ H-ში მითითებული მომდევო ასოები (*…ესმ… იგი ყ… …რ(ომელ)ი ე… ან..და…*) შეესაბამება მხოლოდ 37,23-24-ს, რომელიც იკითხება, როგორც: *განძარცუ**ეს მ**ას სამოსელი **იგი ყ**უავილოანი, **რომელი ე**მოსა. და მიიყვ**ანეს და** შთააგდეს იგი…* შესაბამისად, თითოეულ სტრიქონში ფიქსირდება 13 ასო, რაც ძალიან ცოტაა N11-ისთვის. თუმცა, ფრაგმენტი H უფრო მეტად შეესაბამება ლექციონარ N88-ს. სავარაუდოდ, N11 და N88 ერთი და იმავე გადამწერის მიერ არის შესრულებული (N88 შესრულებულია განსხვავებულ ზომებში – 22 სტრიქონი და 13 ასო თითოეულ სტრიქონში). N88 ხელნაწერის ერთი ფურცელი შეიცავს დაბადების 37,23-31 მუხლებს, ხოლო ფრაგმენტი H ავსებს გამოტოვებული საკითხავის დასაწყისს.

სინას მთაზე დაცულ ფრაგმენტებს შორის ბიბლიური ტექსტების ნაწყვეტები მხოლოდ ასომთავრულით არ არის დაწერილი. ნუსხურით შესრულებული ფრაგმენტი I-ის ორი ფურცელი ცალსახად წარმოადგენს 117 ფსალმუნის 10-11 და 19-22 მუხლებს. სავარაუდოა ისიც, რომ მოცემული ფრაგმენტი ლექციონარიდან მომდინარეობს. თუმცა, გასაკვირია, ლექციონარში ერთი ფსალმუნის მუხლების გრძელი თანმიმდევრობის დაფიქსირება. აქედან გამომდინარე, ფრაგმენტი I წარმოადგენს ფსალმუნის ხელნაწერის, კერძოდ, N82 ხელნაწერის ნაწილს, რომელიც 118 ფსალმუნის მესამე მუხლით იწყება.

ნუსხურით შესრულებული ფრაგმენტი J-ს წარმომავლობის დადგენა უფრო ძნელია. მასში დაცული ტექსტის დიდი ნაწილი არის მოსეს ხუთწიგნეულის გამოსლვათა 2,11-15 და 22 და აშკარად წარმოადგენს უწყვეტ პასაჟს. თუმცა, verso-ს მეშვიდე სტრიქონიდან სხვა ტექსტის ნაწყვეტი იწყება. სავარაუდოდ, ის უნდა იყოს საქმე მოციქულთადან – 1,6-8, ან 2,1-3. ამათგან უპირატესობა ენიჭება 1,6-8-ს, რომლის მეათე სტრიქონი შეიცავს სიტყვას *ქუეყანაჲ* (1,7). მაშასადამე, ის შეიძლება იყოს ლექციონარის საკითხავი სათაურების გარეშე. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ყველა მითითებული პასაჟი (გამოსლვათა 2,11-22, საქმე მოციქულთა 1,6-8 და 2,1-3) წარმოდგენილია როგორც იერუსალიმური, ასევე ბიზანტიური ტიპის ლექციონარში, ნაწყვეტს არ მოსდევს საქმე მოციქულთას პირველი თავის მუხლები. შესაბამისად, ფრაგმენტი J-ს წარმომავლობის საკითხი გაურკვეველია.

საკმარისი რაოდენობის ტექსტის ამოკითხვის შემთხვევაში, არაბიბლიური ფრაგმენტების წარმომავლობის დადგენაც არის შესაძლებელი. ამისი მაგალითია ფრაგმენტი K, რომელიც შეიცავს ნაწყვეტს წმ. ეფთვიმეს ცხოვრებიდან. შესაძლოა იმისი მტკიცება, რომ ის (სხვა ფრაგმენტებთან ერთად) ეკუთვნის ძველ კოლექციის N43-დან წარმომდგარ N94 ხელნაწერს.

არაბიბლიური ტექსტის შემცველი ფრაგმენტებიდან აღსანიშნავია ფრაგმენტი L, რომელიც აშკარად სირიულ-პალესტინური პალიმფსესტია. გარეგნული ნიშნების მიხედვით ის ჰგავს N71-ს, რომელიც იოანე-ზოსიმეს ხელნაწერად არის მიჩნეული. თუმცა ფრაგმენტი K-ს ზედა ტექსტი არ მიჰყვება N 71-ის საკითხავთა საძიებელს. ის წარმოადგენს ნაწყვეტს კირილე იერუსალიმელის სიტყვიდან ჯვრის პოვნის შესახებ. იერუსალიმური ტიპის ლექციონარში ეს წერილი იკითხება 7 მაისს. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ არსებობდა საძიებელში მისი ჩამატების შესაძლებლობაც.

ფრაგმენტი M შეიცავს ასკეტურ მასალს. მასში წარმოდგენილი რამდენიმე სიტყვა არის წმ. ანტონის მეოთხე სიტყვიდან. ის აშკარად მომდინარეობს N13 ხელნაწერიდან, რომელიც „ალბანური“ პალიმფსესტის ძირითად ნაწილს შეიცავს. საუბარია 106-ე ფურცელზე, რომლის verso-ზე დაცულია „ალბანური ტექსტი“ ლუკა 1,61-64-ისა, ხოლო recto-ზე წარმოდგენილია 1,78-80. რადგან ფრაგმენტ M-ის ქართული ტექსტი აგრძელებს 106-ს, მისი ქვედა ფენის recto-ზე არსებული ტექსტი შეესაბამება ლუკა 1,66-67-ს, ხოლო verso-ზე – ლუკა 1,73-74-ს.

ნესტან სულავა

წმინდანის ხატ-სახის ბუნებისათვის ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში

ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში, რომლებიც ორიენტირებულია განათლებულ, ღვთისმეტყველებაში გაცნობიერებულ მკითხველსა თუ მსმენელზე, წმ. ეფრემ მცირის სიტყვით, ყოველივე აისახება „განმარტებითად“ და „სახისმეტყველებითად“, რის გამოც საღვთისმეტყველო ლიტერატურის ეს ორი უმნიშვნელოვანესი სფერო ღრმა შემეცნებით ფუნქციას იძენს. ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში წმინდანის სულიერი ხატ-სახე, მისი განვითარების ეტაპების გათვალისწინებით, განსხვავებულად წარმოჩნდება. ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული თხზულებების პერსონაჟთა წარმოსახვის პრინციპები ემყარება ადრეული შუა საუკუნეობრივი ლიტერატურის სპეციფიკას, ზნეობრივ-ეთიკურ პრინციპებს, ეპოქის მსოფლმხედველობასა და იდეოლოგიას, ესთეტიკურ ფენომენს.

ჰაგიოგრაფიული გმირის მხატვრული სახის ჩვენების მიზანდასახულობა ზეციური ადამის პირველსახის დაბრუნებაა, დაცემული ადამის ამაღლებაა ყოველი ადამიანის მცდელობით, რაც ღვთის ნებით ხდება, წმინდანობის გზაზე შემდგარი ჰაგიოგრაფიული გმირის, უფალს მიახლოებული ადამიანის განღმრთობაა, ღმერთშემოსილად ქცევაა. გზა ამ მიზნისაკენ ურთულესია. მწერალი წმინდანს ჰაგიოგრაფიაში შემუშავებული კომპოზიციური თანმიმდევრულობით წარმოადგენს.[1] ჰაგიოგრაფიის გმირი ჰიმნოგრაფიულისაგან განსხვავებულია, რაც უპირველესად დროსივრცულ განზომილებასა და სულიერი ბუნების კვალობაზეა გასააზრებელი. ჰაგიოგრაფია პერსონაჟს, ძირითადად, ორ დროსივრცულ არეალში წარმოაჩენს,[2] ჰიმნოგრაფია – ერთს. ამქვეყნიური ცხოვრება ორ

---

[1] მ. გიგინეიშვილი, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“, წიგნში: *ნათელი ქრისტესი* (თბილისი, 2003), გვ. 675.

[2] ჰაგიოგრაფიაში აღწერილია ისეთი შემთხვევები, როდესაც დრო-სივრცე გაერთიანებულია, კერძოდ, შეიძლება დავიმოწმოთ გიორგი მერჩულის თხზულებაში გადმოცემული ეპიზოდი წმ. გრიგოლ ხანძთელის მიერ გარდაცვლილი დედებისადმი წერილის მიწერისა, როდესაც წმინდანი

ონტოლოგიურ ზღვარს – სიკვდილ-სიცოცხლეს შორის მიმდინარეობს, შესაბამისად, ჰაგიოგრაფია ამ ზღვარზე მდგომი ადამიანის – მოწამისა თუ მოღვაწის შესახებ მოგვითხრობს. თ. დოლიძე იმოწმებს წმ. გრიგოლ ნოსელის შეხედულებას, რომლის მიხედვით, „ამ ორი ეგზისტენციური მდგომარეობის ურთიერთმიმართების განხილვისას განსაკუთრებული ადგილი ენიჭება ადამიანს, როგორც ერთდროულად გრძნობად და გონიერ არსებას“.[3] თავად წმინდანი მიიჩნევს, რომ მას, როგორც ღვთისგან ქმნილ ადამიანს, სამყაროში უმნიშვნელო ადგილი უჭირავს, ბიბლიური მსოფლხედვის თანახმად, იგი არის ადამიანი, როგორც ღვთაებრივი შემოქმედების შედეგი, რადგან ძველი აღთქმა შესაქმისეული პროცესის კვალობაზე პირველქმნილი ადამის ცოდვადაუცემელ სახეში ზეციურ ადამიანს, სრულყოფილს, დროის გარეშე მდგარს, გვიჩვენებს. „შესაქმის პირველ წიგნში უფრო ლაპარაკია ადამის, როგორც ღვთის ხატის, იდეაზე, როგორადაც შეიქმნა იგი, თუნდაც გამორჩეული, იერარქიის უმაღლეს საფეხურზე მყოფი, მაგრამ მაინც იერარქიაში მყოფი სხვა არსებათა შორის“.[4]

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისით, ჰაგიოგრაფიის სიუჟეტის უმთავრესი და ძირითადი წარმმართველია წმინდანი, მოწამე ან მოღვაწე, რომლის სრულყოფილი სახის წარმოჩენას ემსახურება ყველა სხვა დანარჩენი, მათ შორის უარყოფითი პერსონაჟი, ანუ ცოდვილი, რომელსაც, ჟანრული სპეციფიკიდან გამომდინარე, დადებითი თვისება არ აქვს.[5] წმინდანი ბავშვობიდანვე გამორჩეულია, თუმცა იმთავითვე გამოკვეთილი ბუნებისა შეიძლება არ იყოს, მაგრამ თვისებებს, რომელთა მიხედვით წმინდანად ყალიბდება, თანდათანობით იძენს, ბოლოს კი სრულყოფილი ადამიანის სახით წარმოიდგინება. მარტიროლოგიაში წმინდანი რწმენისთვის წამებულია, ტანჯული და გვემულია; იოვანე საბანისძის ქრისტიანული მსოფლმხედველობის კვალობაზე, წმინდანი-მოწამე ევანგელურ სწავლებას მისდევს: „ვერ ჴელ-ეწიფების

დედებს სთხოვს ცოდვილი ქალის გვამის დამარხვის უფლებას.

[3] წმ. გრიგოლ ნოსელის თვალსაზრისი დამოწმებულია თ. დოლიძის შრომიდან: თ. დოლიძე, კოსმიური მოძრაობის თეორია გრიგოლ ნოსელთან, *ბიზანტინოლოგია საქართველოში*-II (თბილისი, 2009), გვ. 237.

[4] ზ. კიკნაძე, *ხუთწიგნეულის თარგმანება* (თბილისი, 2004), გვ. 22.

[5] მ. გიგინეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 676-677.

ქალაქსა დაფარვად, მთასა ზედა დაშენებულსა. არცა აღანთიან სანთელი და დადგიან ქუეშე ხუმირსა, არამედ სასანთლესა ზედა, და ჰნათობნ იგი ყოველთა, რომელნი იყვნიან სახლსა შინა. ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაჲთა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდენ თქუენსა ზეცათასა“ (მათე 5:14-16), რითაც წმ. აბოს მოწამეობრივი ღვაწლისა და ბუნების მაგალითზე მოწამეთა თავდადება და წამებით აღსრულება ზოგად ასპექტში წარმოჩნდება. „ცხოვრებებში“ კი წმინდანი მიჰყვება ფსალმუნურ (ფსალმ. 43:22) და აპოსტოლურ (ჰრომ. 8:36) სწავლებებს, რომლებიც გიორგი მერჩულის მიერ წმ. გრიგოლ ხანძთელისა და მის თანამოაზრე-მოწაფეთა ღვაწლის გასააზრებლად არის დამოწმებული და რომლებიც ზოგადად ყველა მოღვაწე-წმინდანის სახის წარმოჩენას შეიძლება მიესადაგოს: „დღითი-დღე აღორძნდებოდეს ძმანი, რამეთუ შეეძინებოდეს უფალსა მუშაკნი მეათერთმეტესა ჟამისანი მოქმედად ჭეშმარიტსა მას ვენაჴსა და თანაზიარ იქმნებოდეს პირველთა მათ მართალთა და მონაწილე წმიდათა მოწამეთა, მჴნდებოდეს რაჲ ღუაწლსა მას მონაზონებისასა მსგავსად წმიდათა მოწამეთა და უფროჲს მათსა ხოლო შინა ჟამსა იწამნეს, ხოლო ესე ყოველსა ჟამსა იწამებოდეს სახელისათჳს ქრისტჱსისა, ვითარცა დავით იტყჳს: „შენთჳს მოვსწყდებით ჩუენ მარადღე“ (ფსალმ. 43:22), და პავლე იტყჳს: „მარადღჱ ქრისტჱსთჳს მოვკუდები“ (ჰრომ. 8:36). უკუეთუმცა არ იყო დაუცხრომელი ბრძოლაჲ წმიდათაჲ, არამცა მოიჴსენეს ბრძოლაჲ იგი სიკუდილად მარადღე“.[6]

არეოპაგიტული თვალსაზრისით, ჭეშმარიტებას მხოლოდ რჩეულნი ეზიარებიან და იგი მხოლოდ ღირსეულთათვის იყო გაცხადებული: „მიუწდომელისა სიბრძნისათჳს მამანი საიდუმლოთა რათმე და კადრებულთა იგავთაგან გამოაჩინებდენ საღმრთოსა და საიდუმლოსა და ბილწთაგან უვალსა ჭეშმარიტებასა. ვინაჲცა ურწმუნო ვართ მრავალნი საღმრთოთა საიდუმლოთა სიტყუებსა, რამეთუ ვხედავთ მათ მარტოდ შემოღებულთა მათ შორის გრძნობადთა სახეთა“.[7] არეოპაგელისეული „გრძნობადთა

---

[6] *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით* (თბილისი, 1963), გვ. 257.

[7] პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), *შრომები, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო სამსონ ენუქაშვილმა* (თბილისი, 1961), გვ. 251-252.

სახეთა“ სიმბოლოების სიღრმისეულ არსს მიუთითებს, რომელიც საფუძველია სახისმეტყველებითი წარმოსახვისათვის და რომლის საშუალებითაც გაიაზრება წმინდანი ჰაგიოგრაფიაში. ჰაგიოგრაფია ინდივიდს, ხასიათს, პიროვნებას კი არ ხატავს, არამედ ხატ-სახეს, დადებითს ან უარყოფითს, ასახავს. წმინდანის სახის იდეალურობის განსამარტებლად შეიძლება დავიმოწმოთ ფსევდო-დიონისე არეოპაგელის იოანე ღვთისმეტყველისადმი ეპისტოლე, რომლის მიხედვით, „საჩინონი ხატნი არიან ხილულნი ესე უხილავთა მათთჳს“, რაც იმას გვაგულისხმებინებს, რომ ხატის მეშვეობით ადამიანი უახლოვდება გამოუთქმელისა და ღვთაებრივის შეცნობას, აქედან გამომდინარე, წმინდანის სახე ღვთაებრივი სიკეთით, სიყვარულით, სათნოებით, ღვთისადმი შიშით, სულგრძელობით, მოთმინებით, რწმენით აღსავსეა, ხოლო მისი ქმედება ღვთაებრივი სიკეთისაკენ მიდრეკილია და ღმერთთან შერთვით სრულდება. წმინდანი აბსოლუტურად სრულყოფილია, მასში, რ. სირაძის სიტყვით, „არ გვეძლევა ავ-კარგის დიალექტიკური თანაარსებობა“. ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში დადებითი და უარყოფითი პერსონაჟის სახე სწორხაზოვნად წარმოისახება.

ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში წმინდანი სახეთა პარალელიზმის პრინციპით, ანუ, უფრო სიღრმისეულად რომ განვმარტოთ, იპოდიგმურ-პარადიგმული სტრუქტურით წარმოჩნდება. თუმცა, უთუოდ უნდა აღინიშნოს სხვაობა ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიას შორის წმინდანის სახის წარმოსახვით, რადგან თუ ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სტრუქტურა ჰიმნოგრაფიისათვის ღერძულია, უმთავრესი პრინციპია, ძირითადია, ჰაგიოგრაფიისათვის იგი ერთ-ერთი გამომსახველობითი საშუალებაა. ეს საკმაოდ დიდი განმასხვავებელი ნიშანი ძველი და ახალი აღთქმის წიგნთა სახისმეტყველებასა და თვით ბიბლიურ წიგნთა ორი განსხვავებული, მაგრამ უერთმანეთოდ წარმოუდგენელი ნაწილის განსხვავებული სახისმეტყველების პრინციპებს ეფუძნება.

ქრისტიანული მოძღვრებით, ღმერთმა ადამიანი ჩაიფიქრა და შექმნა სამყაროს მწვერვალად და ხილულ გვირგვინად, როგორც სამყაროს გრძნობადითა და გონებით აღმქმელი არსება. ვ. ბიჩკოვის სიტყვით, მოციქულთა დროის ღვთისმსახურებაში ადამიანს უწოდებდნენ „სამყაროს მშვენებას“ (κόσμος τοῦ κοσμοῦ).[8] ცოდვითდაცემის შედეგად ადამიანმა დაკარგა თავისი მშვენიერება, სილამაზე, რის შემდეგაც მას შეუძლია

[8] В. Бычков, *2000 лет христианской культуры, Sub specie aesthethica*, I (Москва – Санкт-Петербург, 1999), с. 73.

და მოვალეცაა დაიბრუნოს თავისი ზესთასოფლური „მე“, უცოდველი ბუნება, კვლავ გახდეს სამყაროს მშვენება, გვირგვინი.

ადამიანის სულიერი სრულყოფის გამოხატულებაა მისი ამქვეყნიური ღვაწლი, ონტოლოგიური არსებობის დათმობა, რაც ზეციური მოქალაქობის მისაღწევად აუცილებელი საფეხურია და რის საწინდარიც სულის ამაღლებულობა და მშვენიერებაა. ვ. ბიჩკოვის სიტყვით: „აბსოლუტურად მშვენიერი სული თავისი სრულყოფილების უმაღლეს საფეხურზე უფრო მშვენიერ სულს ფლობს, ვიდრე აბსოლუტურად სრულყოფილი სხეული“.[9] მაცხოვრის მოვლინების შედეგად ადამიანს განღმრთობისა და სულიერების აღდგენის შესაძლებლობა მიეცა, რაც ღმერთთან ზიარებით ხორციელდება. მხოლოდ მაცხოვარმა შეიცნო სიკვდილის ნამდვილი არსიცა და მარადიული არსებობის აქსიოლოგიური ღირებულებაც,[10] მხოლოდ მის განღმრთობილ ადამიანურ ბუნებას შესწევს სამყაროს შეცნობის, ადამიანის რაობისა და მისიის, ორი ეთიკურ-ონტოლოგიური ზღვარის – სიცოცხლისა და სიკვდილის – წვდომა. მაცხოვარმა საკუთარი თავის მსხვერპლშეწირვით გამოისყიდა პირველადამიანთა ცოდვა, რის შემდეგაც ყოველ ადამიანს მიეცა განღმრთობის შესაძლებლობა დიაქრონიულ ასპექტში. სხეული, სული და ზესთასოფელი – ესაა ის სულიერი გრადაცია, რასაც ადამიანი საფეხურებრივად, ქვემოდან ზემოთ, მიჰყავს სრულყოფილებისაკენ, ღმერთისაკენ, „სამოსელი პირველის“ დაბრუნებისაკენ, რადგან სამყაროში აღმავალი მოძრაობაა, რომლის დროსაც სულიერი ცვალებადობა გამოიხატება მარადიულ მისწრაფებაში უკეთესისაკენ.

წმინდანის ამქვეყნიური ცხოვრება და მოქალაქობა არის ცვალებადობა უკეთესობისაკენ. ჰაგიოგრაფიის პერსონაჟის ნიშან-თვისებები ჩამოყალიბებულია წმ. იოანე ოქროპირის თხზულებაში „მოწამეთათჳს“, მასში წარმოჩენილია ის თეორიულ-თეოლოგიური პრინციპები, რომლებითაც აისახებიან წმინდანები, უმეტესად – მარტვილნი. მისი გათვალისწინება აუცილებელია ჰაგიოგრაფიული იდეალური გმირის ხატ-სახის წარმოჩენისას. სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ ჰაგიოგრაფიული თხზულების ავტორი იყენებს და ეყრდნობა მზამზარეულ რელიგიურ სახეხატებს, ენობრივ-სტილისტურ ხერხებს, გამომსახველობით საშუალებებს, რომელთა სათავეები ბიბლიურ წიგნებში დევს. ჰაგიოგრაფიისათვის ნი-

---

[9] იქვე, გვ. 73.

[10] В. Лосский, Очерк мистического богословия Восточной церкви, в кн. *Мистическое богословие* (Киев, 1991), с. 328.

მუში, მაგალითი სახარებაა. ამიტომ წარმოჩნდება ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების გმირი მაცხოვარს, ქრისტეს მიმსგავსებულად, რასაც მწერალი ზოგადქრისტიანული ლიტერატურული სტილის, მეთოდის, ეტიკეტის, შემოქმედებითი პრინციპების შესაბამისად ქმნის. ჰაგიოგრაფიაში მთავარია გმირის სულიერი განვითარება, ამაღლებული სახე.

ჰაგიოგრაფიაში განსაკუთრებულია მთავარი პერსონაჟის სამოქმედო გეოგრაფიული არეალი და დრო.[11] ქართულ ჰაგიოგრაფიას ნიმუშად, ბიბლიურ-ევანგელურ სწავლებებთან ერთად, მრავალეთნოსიანი ბიზანტიის სახელმწიფოს წიაღში აღმოცენებული და განვითარებული ჰაგიოგრაფიული მწერლობა აქვს. მასში დროსივრცული გარემო საკრალიზებულია.

ჰაგიოგრაფიული სახე-პერსონაჟის წარმოსახვას ორი მხარე აქვს: 1. უმთავრესია მისი მისტიკურობა, რაც მისი სულიერი ცხოვრების ასახვას ეფუძნება; იგი ამაღლებულის ნიშნით არის აღბეჭდილი; მისტიკური სიმბოლიკა კანონიკითაა განსაზღვრული და მხატვრული ელემენტის, ანუ გამონაგონის შეტანა დაუშვებელია, ყოველივე აისახება „ვითარცა იგი იყო“... ყოველივე არის „ჭეშმარიტი და უტყუელი“ და გამოითქმება „დამტკიცებულად“, „სრულიად ჭეშმარიტად“; 2. მხატვრულ-ესთეტიკური, რომელიც ადამიანის თავისუფალი, შემოქმედებითი აზროვნების შედეგია. როგორ შევათანხმოთ ეს ორი პრინციპი ერთმანეთთან? თუ ყოველივე აისახება „ვითარცა იგი იყო“... ვითარცა „ჭეშმარიტი და უტყუელი“ და გამოითქმება „დამტკიცებულად“, „სრულიად ჭეშმარიტად“, მაშინ ის ისტორიული თხზულების სპეციფიკას თანხვდება. დაისმის კითხვა, ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია მიჰყვება თუ არა მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურასა და სახისმეტყველებას. აქ ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას, რომლის თანახმად, ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული თხზულებების მხატვრულ-ესთეტიკურ ფენომენს განაპირობებს მათივე ამაღლებულობა, რადგან ამაღლებულობა წარმოიქმნება განცდის საფუძველზე, ხოლო ამაღლებულია ის, რაც შეუცნობელია; ჰაგიოგრაფიულ და ჰიმნოგრაფიულ თხზულებებში გადმოიცემა ამაღლებულის მშვენიერება, რაც იმას გულისხმობს, რომ მშვენიერებაა განცდა, მაგრამ იგი თვალით ხილული საგნის, არსის თვისებაცაა. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მშვენიერი მარადიულია. თუ ფილონ ალექსანდრიელის თვალ-

[11] ლ. გრიგოლაშვილი, დროისა და სივრცის პოეტიკა ქართულ ჰიმნოგრაფიაში, კრებულში: *ივირონი – 1000* (თბილისი, 1983), გვ. 100-113; რ. სირაძე, *კულტურა და სახისმეტყველება* (თბილისი, 2008), გვ. 23-50.

საზრისს დავიმოწმებთ, ბრძენი მშვენიერების მარადიულობით ხარობს.[12] ვ. ბიჩკოვის შეხედულებით, „ხილული სამყარო შექმნილია მშვენიერი „იდეის სამყაროს“ სახისაებრ, ამიტომ მისი სიმბოლოა. მისი საშუალებით შესაძლებელია იმ სამყაროს, ანუ ზესთასოფლის, წვდომა“.[13]

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ჰაგიოგრაფიის მთავარი გმირი ამაღლებულის მშვენიერებით წარმოჩნდება, რაც მისი მხატვრულ-ესთეტიკური გააზრების საფუძველს ქმნის. ჰაგიოგრაფიული გმირი ზნეობრივი მაგალითია, გზის მაჩვენებელია თანამედროვე საზოგადოებისა და მომავალი თაობებისათვის. ჰაგიოგრაფიის მთავარმა პერსონაჟმა მაგალითი უნდა მისცეს მორწმუნე მრევლს, რაც მისი ღვაწლის უმთავრეს მიზანდასახულობას გულისხმობს. ესაა აპოსტოლური მოძღვრებით გამოხატული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ წმინდანს მიმბაძველი უნდა გაუჩნდეს („კეთილ არს ბაძვაჲ კეთილისათჳს მარადის“ – გალატ. 4:18). ჰაგიოგრაფიული გმირის ჩვენება ევანგელურ-აპოსტოლურ მოძღვრებას ეფუძნება და ამ კვალობაზე ეს ჟანრი სასწაულთმოქმედებასაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

ჰაგიოგრაფია, ჰიმნოგრაფიისაგან განსხვავებით, წმინდანის სულიერი ზეაღსვლის ორ ძირითად საფეხურს წარმოაჩენს. ესაა ბაძვა და ზიარება, რაც განღმრთობით დასრულდება. წმინდანის ზოგადი სახე ასეთია: იგი ზნეობრივ სრულყოფას, სულიერ ამაღლებასა და სისავსეს აღწევს ღმერთისაკენ სწრაფვით, რაც სასუფევლისაკენ მიმავალ გზას უმსუბუქებს. იგი ბაძავს ღმერთს, რომელიც, როგორც შემომქმედი, თავისკენ იზიდავს თავის შექმნილ საგნებს.

ჰიმნოგრაფია, ჟანრული სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავებულად აღიქვამს და წარმოაჩენს წმინდანს, იგი სიახლოვეს უფრო ჰომილიებთან ამჟღავნებს, რადგან ჰომილიაც და საგალობელიც წმინდანის ხატ-სახეს მისი აღსრულების შემდეგ ასახავს, ჰაგიოგრაფიისაგან განსხვავებით. ამ უკანასკნელში მოთხრობილია წმინდანის ცხოვრება მისი დაბადების წინასწარგანზრახულებიდან მოყოლებული. ლ. გრიგოლაშვილის დაკვირვებით, „წმინდანის შესხმა გულისხმობს მისი ღვაწლის წარმოჩენასაც. ეს ღვაწლი ზოგჯერ წმინდანის ძალზე კონკრეტულ ნაბიჯებს უკავშირდება და ჰიმნოგრაფიც მასზე ამახვილებს ყურადღებას, უფრო ხშირად

[12] В. Бычков, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

[13] იქვე, გვ. 25.

კი ქება წმინდანის სათნოებათა ზოგადი დახასიათებით წარიმართება“.[14] მან გამოყო სასულიერო პოეზიაში მეტ-ნაკლებად გავრცელებული სახე-სიმბოლოები: „ქრისტეს მხედარი“, „მარგალიტის მაძიებელი“, „ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი“, „სულიერი ლამპარი“, „სვეტი ნათელი“, „ვენახი“, „ვაზი“, „რტო ნაყოფიერი“, „კლდე“, „წყარო“, „ძე ქუხილისა“, „ღვთის მეგობარი“ და სხვა. „წმინდანის ღვწა განღმრთობით დაგვირგ-ვინდება, იგი შეიქმნება ქრისტეს ნებისმყოფელი, ღმერთშემოსილი, ნათ-ლითმოსილი, მისი ღვაწლი აღიბეჭდება „წიგნში“, იგი ზეციური საუფლოს მკვიდრია, უფალს „სარკით“ კი არ ჭვრეტს, არამედ პირისპირ. წმინდანი მოიპოვებს უმაღლეს ჯილდოს – დიდების გვირგვინს“.[15]

საგალობელში ამაღლებული და მშვენიერი ერთდროულად წარმოიდ-გინება. ძე ღმერთის განკაცებამ საფუძველი დაუდო ადამიანში ღვთაე-ბრივი და კაცობრივი საწყისების საიდუმლო შეზავებას, ღვთაებრივი-სა, რომელიც ამაღლებულის კატეგორიას განეკუთვნება, და კაცობრი-ვისა, რომელიც ესთეტიკურობას გამოხატავს. ამგვარი შეზავება მხო-ლოდ ქრისტიანული ცნობიერების მქონე ადამიანს ეძლევა ღვთისაგან, ამასთან, დიოფიზიტური ცნობიერების მქონეს, ვინაიდან დიოფიზიტობამ აღიარა მაცხოვარი ღმერთად და კაცად. ღმერთმა შექმნა ამაღლებულად და ესთეტიკურად აღსაქმელი სამყარო თავისი მრავალფეროვნებით. ეს შეგრძნება ცოდვითდაცემის შედეგად დაიკარგა და ღმერთი მიუწვდო-მელი, შეუცნობელი დარჩა ადამიანისათვის, ე.ი. ღმერთი და ყოველივე ღვთაებრივი ამაღლებულად დარჩა. დაცემულმა ადამიანმა პირველქმნი-ლი მშვენიერი სამყარო დაკარგა, მაგრამ ღმერთმა ბოლომდე არ გაწირა იგი და კაცობრიობას სულიერების გადასარჩენად ძე ღმერთი მოუვლინა, რითაც საღვთო საიდუმლოების წვდომის, დაფარული სიბრძნის განცხა-დების საშუალება მისცა.

საგალობელი წმინდანს აქებს როგორც ზესთასოფელში, ზეციურ დასში დამკვიდრებულს, რომელიც მისაბაძად აისახება. საგალობელი ერთდროულად წარმოაჩენს, ერთი მხრივ, ღვთის დიდებას, მეორე მხრივ, წმინდანის ღვთისადმი მიმსგავსებულ, მიმბაძველ სახეს, რაც მიუთითებს,

---

[14] ლ. გრიგოლაშვილი, წმინდანის თემა ქართულ სასულიერო პოეზიაში, კრებულში: *ძველი ქართული ლიტერატურის პრობლემები (კრებული ეძღვნება პროფესორ ლევან მენაბდის დაბადების 75-ე წლისთავს* (თბილისი, 2002), გვ. 85.

[15] იქვე.

რომ არსებობს მისაბაძი და მიმბაძველი. საგალობელში წმინდანის სულიერი განვითარება შემდეგი საფეხურების მიხედვით წარმოისახება: იგი ღმერთის რჩეულია და მისი ამქვეყნიური მოვლინება, დაბადება განგებითაა წინასწარგანზრახული; იგი გრძნობს თავის განსაკუთრებულ მისიას, რაც ზოგჯერ ღვთაებრივი სასწაულით მოინიშნება და რაც განსაზღვრავს მისი ცხოვრების საღვთო გზით სვლის აუცილებლობას; ყოველივე ამას საფუძვლად ედება ღვთის შემეცნებისაკენ სწრაფვა, ღვთისმოშიშებით წარმართვა ცხოვრებისა; ჰაგიოგრაფი და ჰიმნოგრაფი წმინდანს გამოარჩევენ საზოგადოებისაგან და მასზე ამახვილებენ ყურადღებას, მას ამკობენ სულიერი სილამაზით, მშვენიერებით და, რაც მთავარია, ამაღლებულობით, რომელთა საფუძველი სულიერებაა.

ქრისტიანულ ლიტერატურაში ბაძვის, ასახვის საგანი ღმერთია; ბაძვის ცნების ქრისტიანული ასპექტი გულისხმობს საღვთო ჭეშმარიტების ასახვას, ამაღლებულის, მშვენიერის, სილამაზის ანტიკურობისაგან არსებრივად განსხვავებულ გაგებას, რაც სისადავის საფუძველზე ამაღლებულის დანახვის მცდელობაა; ბაძვის ქრისტიანული თვალსაზრისი დროსივრცულად დაუსაზღვრელია, ვინაიდან ქრისტიანულ ლიტერატურაში დრო და სივრცე დაუკონკრეტებელია, ნებისმიერი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები ორ სივრცესა და ორ დროს წარმოსახავს: მაცხოვრის, ღვთისმშობლის, წმინდანის ცხოვრებას ამქვეყნიურ სამყაროში, რომელიც დროული თვალსაზრისით დასაზღვრულია, და სულის მარადიულობაში არსებობას, რომელიც ზესთასოფელში გრძელდება. ჰიმნოგრაფიაში ყოველივე ზედროული და ზესივრცულია.

ეფრემ მცირის საღვთისმეტყველო და ესთეტიკურ ნააზრევში ბიზანტიური რიტორიკის თეორიული პრინციპების გათვალისწინებით, ბაძვის ცნების ახალი, ქრისტიანული ასპექტის განხილვის საფუძველზე ქეთევან ბეზარაშვილმა გამოავლინა ბაძვის ტრადიციულ, კლასიკურ (ანტიკური) და ქრისტიანულ თეორიულ მოძღვრებებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავებანი და დაასკვნა, რომ ბაძვის კლასიკური გააზრება „საუკეთესო რიტორიკული ფორმის გამოყენების მნიშვნელობით იმემკვიდრა ბიზანტიური რიტორიკის თეორიამაც“.[16] ბაძვის ქრისტიანული

[16] ქ. ბეზარაშვილი, ბაძვის ცნების ახალი, ქრისტიანული ასპექტი ეფრემ მცირესთან და ბიზანტიური რიტორიკის თეორიაში, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენის და ლიტერატურის სერია*, 1998, №1-4, გვ. 140.

ცნება „საღვთისმეტყველო სტილის მთავარი მახასიათებელია“.[17] მისივე თვალსაზრისით, „პავლეს ბაძვა გულისხმობს ზეშთა აზრის, მისი ცხოველმყოფელობის, საღვთო სიბრძნის და მისი ე.წ. ევანგელური სისადავის ბაძვას შინაარსობრივ-ფორმობრივი ასპექტით“.[18]

ქრისტიანულ ლიტერატურაში, კერძოდ ჰაგიოგრაფიაში, ბაძვის საფუძველი პავლე მოციქულის ეპისტოლეებშია განსაზღვრული: „მობაძავ ჩემდა იყვენით, ვითარცა მე ქრისტესა“ (I კორ. 4:16; 11:1); „შეუდეგით სიყუარულსა და ჰბაძევდით სულიერსა მას“ (I კორ. 14:11); „კეთილ არს ბაძვაჲ კეთილისათჳს მარადის“ (გალატ. 4:18). პავლე მოციქულისეული ბაძვის გააზრება ქრისტეს, საღვთო სიბრძნის და მისი მშვენიერების, ამაღლებულობის, საღვთო სიყვარულისა და კეთილის, სულიერი მშვენიერებისა და სილამაზის, პირველსახის ბაძვას გულისხმობს. **ბაძვა ღვთის მიმსგავსებაა, რაც სახის ესთეტიკურად გააზრების, აღქმის საფუძველს ქმნის.** განსხვავებულია ჰიმნოგრაფია, რომელშიც ბაძვა გავლილი საფეხურია, აქ უკვე ღმერთთან ნაზიარები, განღმრთობილი სულია წმინდანისა წარმოჩენილი.

ვ. ბიჩკოვმა მსგავსების, ბაძვის, ასახვის ფსევდო-დიონისე არეოპაგელისეული მოძღვრების განხილვისას განმარტა მსგავსებისა და არამსგავსების არსი: „ვინაიდან ნებისმიერი საგანი ერთსა და იმავე დროს მსგავსიცაა და განსხვავებულიც ტრანსცენდენტური პირველმიზეზისაგან („საღმრთოთა სახელთათვის“, 9:7), ამიტომ შესაძლებელია „არამსგავსება“.[19] არეოპაგიტული სწავლებით, მსგავსება იმდენადაა შესაძლებელი, რამდენადაც მიუმსგავსებლისადმი, ანუ ღვთისადმი მსგავსება, არამსგავსია იმის გამო, რომ შედეგი (ქმნილი) მიზეზს (ღმერთს) ვერ ასახავს, ვერანაირად, ვერანაირი საზომით ვერ მიაღწევს მას.[20] „ამ ანტინომიური ფორმულით, აგრეთვე სხვა მრავალი მსგავსითაც, ფსევდოდიონისე თავისი სისტემის პრინციპულ განსხვავებას წარმოაჩენს კლასი-

---

[17] ქ. ბეზარაშვილი, ბაძვის ცნების ახალი, ქრისტიანული ასპექტი ეფრემ მცირესთან და ბიზანტიური რიტორიკის თეორიაში, გვ. 140.

[18] იქვე.

[19] В. Бычков, Проблема образа в византийской эстетике, *Вестник МГУ,* №1 (1972), с. 55.

[20] Дионисий Ареопагит, *Сочинения*. Максим Исповедник, *Толкования*. Греческий текст с русским переводом Г. М. Прохорова (Санкт-Петербург, 2002), с. 508-509.

კური ფილოსოფიური სისტემისაგან. არეოპაგელი სწორედ ასეთ შემთხ-ვევაში უპირისპირებს მიმესისის, ვითარცა ბუნების მიბაძვის, კლასიკურ გაგებას პირველმიზეზის სახეობრივი გამოხატვის თავის თეორიას".[21] მსგავსისა და განსხვავებულის (არამსგავსის) ამგვარი გააზრება ამაღლე-ბულისაკენ წარმართავს ადამიანის გონებას, რომელიც ამაღლებულს ღვთაებრივი ქმნადობის ყოვლისმომცველობის კონტექსტში ესთეტიკუ-რადაც აღიქვამს. ვ. ბიჩკოვის დაკვირვებით, ქრისტიანულ კულტურაში სახის კონცეფციამ, რომელიც მსგავსება-უმსგავსობას ემყარება, უმთა-ვრესი ადგილი დაიკავა. მისივე სიტყვით, „გვიანანტიკურ მოაზროვნეთა შორის წინა პლანზე გამოდის „სახე" მთელი თავისი მოდიფიკაციებით: სახე-მსგავსება (ბაძვა), სახე-სიმბოლო, სახე-ალეგორია, სახე-ნიშანი".[22]

თუ ღვთაებრივის, ამაღლებულის განცდა მშვენიერია, ე. ი. ესთე-ტიზმს ნაზიარებია, ზიარება სულის ხსნის უმთავრესი და უძირითადესი საშუალებაა, რაც განღმრთობით მთავრდება. ბაძვა და მსგავსება უთუოდ უკავშირდება მშვენიერს, რომელიც ესთეტიკურ შინაარსს ატა-რებს. წმინდანი, როგორც განუმეორებელი ინდივიდი, ბაძავს მაცხოვარს, ღვთაებრივი და კაცებრივი საწყისებისა და ბუნების მქონე ღმერთს, და ეზიარება ღმერთს, ტრანსცენდენტურს, პირველმიზეზს. წმინდანის სუ-ლიერი განვითარების საფეხურები განსაზღვრა წმ. იოანე ოქროპირმა საკითხავში „მოწამეთათჳს", ხოლო წმ. იოანე სინელმა „კლემაქსში" ბერ-მონაზვნის სულიერი ხატ-სახის საფეხურები და თვისებები განმარტა. რაკი წმ. იოანე ოქროპირის საკითხავში ჩამოყალიბებულია წმინდანო-ბის იდეალი, როგორც წამებულისა, ისე მოღვაწისა, და განმარტებულია წმინდანისათვის აუცილებელი თვისებები, საჭიროდ მივიჩნიე იმ დებუ-ლებათა დამოწმება, რომელთა მიხედვით შესაძლებელი ხდება მოწამე-წმინდანის ხატის განსაზღვრა: „რამეთუ შემძლებელ იყო განრინებად მარტჳლთა თჳსთა მახჳლისაგან მტერთა მათთაჲსა, მისცნა იგინი ბრძ-მედთა მათ მტერთასა, ვითარცა ოქროჲ კეთილი, რაჲთა ყოველთა და-ბადებულთა შინა გამობრწყინდეს შუენიერებაჲ მათი. რამეთუ კმა არს მოწფისაჲ მის, იყოს თუ ვითარცა მოძღუარი თჳსი, და მონაჲ, ვითარცა უფალი თჳსი. რამეთუ ვიდრე-იგი იყო დიდებათა ღმრთეებისა თჳსისაჲთა დაფარულ და არა მეცნიერ იყვნეს ქუესკნელნი ჭეშმარიტებასა მისსა, ვითარ თაყუანის-სცემდეს ზესკნელნი სიმდიდრესა მისსა? და რაჟამს

[21] В. Бычков, Проблема образа в византийской эстетике, გვ. 55.

[22] В. Бычков, *2000 лет христианской культуры*, გვ. 83.

ჰგონებდეს ჯუარის-მცუმელნი იგი, ვითარმედ დავაკნინეთ იგი ჯუარითა მით, მას ჟამსა ყოველი კაცი დაემორჩილა მას. ეგრეცა მოწამენი, ვიდრე ჴორცთა ცხოვრებასაღა შინა იყვნეს, არა განცხადებულ იყო ჭეშმარიტებაჲ ოთხთა კიდეთა ქუეყანისათა; ხოლო რაჟამს ჰგონებდეს მკლველნი იგი მათნი, ვითარმედ დავამცირენით იგინი, რამეთუ უვარ-ყვნეს იგინი მახლობელთა მათთა, მას ჟამსა განადიდნა იგინი ღმერთმან ყოველთა ადგილთა და ყვნა ძუალნი მათნი სახლ შესავედრებელ მრავალთა".[23]

უნდა აღინიშნოს, რომ წმინდანის სულიერი განვითარების საფეხურები ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში დინამიკურობა-სტატიკურობის თვალსაზრისით განსხვავებულია მიუხედავად იმისა, რომ წმინდანის წარმოსახვის მიზანი ორივე ჟანრის ნაწარმოებისათვის ერთი და იგივეა. ჰაგიოგრაფიაში წმინდანი საფეხურებრივად ვითარდება, ე. ი. დინამიკურად წარმოისახება, რაც მას ესთეტიკურობითაც გამოარჩევს. ჰიმნოგრაფიაში კი წმინდანის სულიერი განვითარების საფეხურები დინამიკური არ არის, სულიერი განვითარების პროცესი არ აისახება, იგი სტატიკურია; წმინდანის ხატი ჰიმნოგრაფიაში ამაღლებულია. ასე იმიტომ ხდება, რომ საგალობელი წმინდანს ზესთასოფელში გადასვლის, სასუფეველში დამკვიდრების შემდეგ აჩვენებს. ჰიმნოგრაფია წმინდანის ამქვეყნიურ ცხოვრებაში მომხდარს წარმოადგენს, როგორც შედეგს. **საგალობელი მრევლს უჩვენებს წმინდანის მიერ იდეალურობის წვდომის ურთულეს გზას. აქ არ ჩანს სიკვდილის შიშის დაძლევის რთული მომენტი, უკვე შედეგი ჩანს — სიკვდილის შიში დაძლეულია და წმინდანი მეოხია ყოველი მორწმუნისა.** სიკვდილის შიშის დაძლევა პიროვნებისგან დიდ შინაგან ძალას მოითხოვს. საგალობელში წმინდანს არ ახასიათებს ორჭოფობა, სისუსტე, რაიმე უარყოფითი თვისება, იგი სულიერად გამარჯვებული და ღმერთისაგან დაჯილდოებულია, **ღმერთთან ზიარებულია, განღმრთობილია**. წმინდანის „სივრცე გონებისა" ამზადებს ყოველი ადამიანის სულიერ მომავალს, რაც ღვთაებრივი მშვენიერების შეცნობაში მდგომარეობს. წმინდანს ღმერთი პატივს მიაგებს ღმერთშემოსილობით, განღმრთობით, ღმერთთან ზიარებით.

წმინდანთა შესახებ დაწერილ ჰიმნოგრაფიულ ნაწარმოებში წარმოჩენილია პირველსახეს, მაცხოვარს მიწევნილი ადამიანის შინაგანი, სუ-

---

[23] *სინური მრავალთავი 864 წლისა, აკ. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით* (თბილისი, 1959), გვ. 255.

ლიერი სამყარო, ადამიანმა საკუთარ თავში უნდა აღადგინოს პირმშოხატი. ევანგელურ-აპოსტოლური სწავლების მიხედვით, **ადამიანის სულიერი განვითარების უმაღლესი საფეხური განღმრთობაა, ღმერთთან ზიარებაა. იგი ღვთისადმი ბაძვაზე უფრო მაღალი საფეხურია**. დავიმოწმებ იოანე ღვთისმეტყველის პირველ ეპისტოლეს: „რომელი გუესმა და ვიხილეთ, გითხრობთ თქუენ, რაჲთა თქუენცა **ზიარებაჲ** გაქუნდეს თქუენ თანა და **ზიარებაჲ** ჩუენი მამისა თანა და ძისა მისისა თანა იესუ ქრისტესსა“ (იოანე 1:3); „უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ **ზიარებაჲ** გუაქუს მის თანა და ჩუენ ბნელსა შინა ვიდოდით, ვტყუვით და არა ვიქმთ ჭეშმარიტებასა. ხოლო უკუეთუ ნათელსა შინა ვიდოდით, ვითარცა იგი ნათელსა შინა არს, **ზიარებაჲ** გუაქუს ურთიერთას. და სისხლი იგი იესუ ქრისტეს ძისა მისისაჲ განმწმედს ჩუენ ყოვლისაგან ცოდვისა“ (იოანე 1:6-7); პეტრე მოციქულს: „რაჲთა ამის მიერ იქმნნეთ საღმრთოჲსა მის **ზიარ ბუნებისა**“ (II პეტრე, 1:4). პავლეს: „**ზიარ** ჩემ თანა მადლისა მის თქუენ ყოველნი იყვნეთ“ (ფილიპ. 1:7). „სარწმუნო არს ღმერთი, რომლისა მიერ იჩინენით **ზიარებასა** მას ძისა მისისასა იესუ ქრისტეს უფლისა ჩუენისასა“ (I კორ. 1:9). იოანე ღვთისმეტყველის, პეტრე მოციქულის, პავლეს ეპისტოლეებისა და ამ ეპისტოლეთა წმ. ეფრემ ასურის, ნეტარი ავგუსტინეს, წმ. იოანე ოქროპირის, წმ. კირილე ალექსანდრიელის, წმ. თეოდორიტე კვირელის, წმ. იოანე დამასკელის განმარტებების მიხედვით, ზიარების საფუძველი მაცხოვრის განკაცებაა. **მაცხოვრის ორბუნებოვნებით – ღვთაებრივი და კაცებრივი ბუნებით გახდა შესაძლებელი ადამიანის ზიარება ღვთაებრიობასთან. ზიარების შედეგად ადამიანი ცოდვათაგან განიწმინდება, ზეამაღლდება და მიაღწევს განღმრთობას. ადამიანი ეზიარება ქრისტეს ბუნებას – ღვთაებრივსა და კაცებრივს. ღმერთმა განგებით მიანიჭა ადამიანს ღმერთთან შეერთების, ზიარების უფლება.** ქრისტესთან ზიარება თავისთავად წმიდა სამებასთან ზიარებაა, რასაც იოანე ღვთისმეტყველის პირველი ეპისტოლე ადასტურებს. **ზიარებით აღწევს ადამიანის სული სრულქმნილებასა და განღმრთობას, ამავე დროს, იგი საღვთო მისტერიის მონაწილე ხდება.** ზესთასოფელში დავანებული ყოველი წმინდანი რეალიზებული პიროვნება-ინდივიდია, რომელმაც თავისი ამქვეყნად ყოფნისას გაწეული ღვაწლით, მოწამეობრივი აღსასრულით მიაღწია უმაღლესს – ღმერთთან ერთობას, შერწყმას, განღმრთობას.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ **ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია, როგორც საღვთისმეტყველო ლიტერატურის დარგები, წმინდანის სულიერი განვითარების ორ ძირითად საფეხურს**

წარმოაჩენენ. ესაა 1. ბაძვა და 2. ზიარება, რაც განღმრთობით სრულდება. წმინდანისათვის ბაძვა ის საფეხურია, რომელიც აუცილებელია ზიარებისათვის, სულიერი განღმრთობისათვის. ბაძვასა და ზიარებას შორის დიდი ზღვარია, მაგრამ ზიარება ბაძვის გარეშე ვერ მიიღწევა. ბაძვა ღვთის მიმსგავსებას ნიშნავს, რაც საფუძველს ქმნის სახის ესთეტიკურობის თვალსაზრისით გააზრებისა, აღქმისა. ბაძვა ამქვეყნიურ, მიწიერ მოვლენათა და საგანთა მიმართებაა ზესთასოფლური მოვლენებისა და საგნებისადმი, ხოლო ზიარება ღმერთთან შერთვაა, განღმრთობაა, ზიარების შედეგად ადამიანი ახალ მეობას იძენს, მარადიულ ღირებულებებს მოიპოვებს, ღმერთთან სულიერ ქორწინებას აღწევს, ღვთაებრივ, ანუ ზესთასოფლურ სულს, სამოსელს პირველს იბრუნებს, ღმერთშემოსილი ხდება. ბაძვა და ზიარება გულისხმობს ორ მხარეს: ღმერთსა და ადამიანს. მაგრამ იმის გამო, რომ წმინდანებიც ხდებიან მისაბაძნი, ბაძვა ორ ადამიანსაც გულისხმობს. ეს ფაქტი განასხვავებს ბაძვასა და ზიარებას ერთმანეთისაგან, ამიტომაა ადამიანის სულიერ განვითარებაში ზიარება, განღმრთობა უფრო მაღალი საფეხური, ვიდრე ბაძვა. ეს ორი ფენომენი განსაზღვრავს ჰაგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის ხატ-სახეობრივ სისტემას, რომლის ბუნება ლიტურგიულ ცნობიერებას ეფუძნება, ამაღლებულის კატეგორიას განეკუთვნება და სულიერების მშვენიერებითაა მოტივირებული.

ბიბლიოგრაფია

References

K. Bezarashvili, The New Christian Aspect at Ephrem Mtsire and in the Theory of Byzantine Rhetoric, *Matsne, Proceedings of the Georgian Academy of Sciences, Series of Language and Literature*, 1998, N1-4, p. 89-128 (in Georgian).

V. Bichkov, The Problem of the Image in the Byzantine Aesthetics, *Proceedings of Moscow State University*, 1972, N1, p. 55 (in Russian).

V. Bichkov, *2000 Years of the Christian Culture. Sub Specie Aesthetica*, I (Moscow-Saint-Petersburg, 1999) (in Russian).

M. Gigineishvili, Jakob Khutsesi – "Martyrdom of St. Shushanik", in: *The Light of Christ* (Tbilisi, 2003), p. 675-684 (in Georgian).

L. Grigolashvili, The Poetics of the Time and Space in Georgian Hymnography, in: *Iviron – 1000* (Tbilisi, 1983), p. 100-113 (in Georgian).

Dionysios Areopagite, *Works,* Maximus the Confessor, *Comments, Greek Text with Russian Translation by G. Prochorov* (Saint-Petersburg, 2002) (in Russian).

T. Dolidze, The Theory of the cosmic moving at St. Gregory of Nyssa, *Byzantine Studies in Georgia – 2* (Tbilisi, 2009) (in Georgian).

Z. Kiknadze, *The Commentary of Pentateuch* (Tbilisi, 2004) (in Georgian).

V. Lossky, The Essay of the Mystical Blessing of East Church, in: *The Mystical Blessing* (Kiev, 1991) (in Russian).

Peter the Iberian (Pseudo-Dionysius Areopagite), *Works, edited by S. Enukhashvili* (Tbilisi, 1961) (in Georgian).

R. Siradze, *Culture and Tropology* (Tbilisi, 2008) (in Georgian).

Monuments of Old Georgian Hagiographical Literature, I, prepared for publication by I. Abuladze, L. Athanelishvili, N. Goguadze, L. Kajaia, Ts. Kurtsikidze and L. Jgamaia, edited by I. Abuladze (Tbilisi, 1963) (in Georgian).

Sinai Polycephalon of 864, edited by A. Shanidze (Tbilisi, 1959) (in Georgian).

Nestan Sulava

Concerning the Nature of a Saint's Icon and Image in Hagiography and Hymnography

The principles of depiction of a saint in hagiography and hymnography are based on the specificity of medieval literature, moral and ethical principles, the world view and ideology, the aesthetic phenomenon of the time. In these, the spiritual icon and image of a saint are demonstrated differently, with account of the stages of the icon-image. The paper is devoted to a discussion of this issue.

The purpose of showing the artistic image of a hagiographic character is to return to the primary image of heavenly Adam, which occurs at God's will. The road to this goal is highly complex. The writer represents a saint according to the compositional sequence worked out in hagiography. A hagiographic saint differs from its hymnographic counterpart when conceptualized along the temporal-spatial dimension and the nature of the spiritual icon-image. Basically, hagiography demonstrates a character in two temporal-spatial areas,

while hymnography in one. This worldly life occurs between two ontological boundaries: death and life. Accordingly, hagiography tells us about a human at this boundary, i.e. a martyr/figure.

The saint is the main and basic leader of the subject of hagiography: a martyr or figure, all others serving the dynamic demonstration of his perfect image, including a negative character who, owing to the genre specificity, lacks a positive feature. A saint distinct from childhood may not be of clear-cut nature from the beginning, but he/she gradually acquires the qualities by which he/she develops into a saint. Ultimately he emerges as a perfect human being. In martyrology a saint follows the Evangelical teaching (Matth. 5:15), while in the 'Life' he follows the Psalmic (Ps. 43:22) and Apostolic (Rom. 8:36) teachings that are adaptable to the demonstration of the image of each saint.

Hagiography does not depict an individual or character - it reflects an icon-image. The idealness of a saint`s image is defined according to a view expressed in a letter sent by the pseudo-Dionysius the Areopagite, namely that man comes close to the knowing of the ineffable and divine through the icon; hence the saint's image is full of divine grace, love, virtue, fear of God, patience and faith. In R. Siradze's words, in it 'We are not given the dialectical coexistence of good and bad.' In a hagiographic work the image of a positive and negative character is depicted linearly.

In hagiography and hymnography the saint is shown in a hypodigmatic-paradigmatic structure. However, the difference should be noted between hagiography and hymnography in showning the icon-image of a saint, for the hypodigmatic-paradigmatic structure is axial to hymnography, being its basic principle, while to hagiography it is one or the media of expression. This differentiating feature is based on the principles of imagery that differentiate the biblical books of the Old and New Testaments.

According to Christian teaching, God created man as the summit of the world and visible crown, as a creature perceiving the world through sensation and mind. In the words of Bichkov, in the divine service of the time of Apostles man was called 'the beauty of the world' (κόσμος τοῦ κοσμοῦ). As the result of man's fall through sin he lost the primordial beauty. He must retrieve his heavenly 'Self', sinless nature in order to become the beauty and crown of the world.

Man's spiritual perfection is proved by his worldly labour, renunciation of ontological existence, which is an indispensable stage to attain heavenly

citizenship, the elevation and beauty of the soul being its pledge. According to Bychkov, 'An absolutely beautiful soul, at the highest stage of its perfection, possesses a more beautiful soul than an absolutely perfect body'. As the result of the advent of the Saviour man was given an opportunity of becoming God. Only the Saviour knew the real essence of death and the axiological value of eternal existence. Only He can gain an insight into the world of man's essence and mission, and into the two ethical-ontological boundaries: life and death. By sacrificing Himself, the Saviour atoned for the sin of mankind, as a result of which each person was given the chance of deification in the diachronic aspect. The body, the soul and the world above – this is the spiritual gradation that leads man by stages from below above, leads from perfection to God, 'garment towards regaining the primordial', for in the world created by God movement is upward, during which spiritual variability is expressed by an eternal striving for better.

The depiction of a hagiographic character has two sides: 1. mystic and 2. artistic-aesthetic, this latter being the result of man's creative thinking. The artistic-aesthetic phenomenon of a hagiographic work is due to an exalted state, and what is unknowable is exalted. The beauty of the exalted is rendered in hagiographic and hymnographic treatises. Hence the main hero of hagiography becomes manifest by the beauty of the exalted, forming the basis for its art and aesthetic conceptualization. The principal hero of hagiography must set an example to the congregation, which implies the main purpose of his labour. This is a view expressed through the Apostolic teaching to the effect that a saint should be envied ('It is always a fine thing to deserve an honest envy...' Galat. 4:18).

Unlike hymnography, hagiography manifests two main stages of the spiritual ascent of a saint. These are envy and sharing, ending in deification. Owing to its genre specificity, hymnography presents a saint in a different way. Here envy is absent, hence it manifests closeness to homilies, for a homily/hymn reflects the icon/image of a saint after his/her decease. A hymn praises the saint as one established in the higher world, which is depicted as something to be envied by others. A hymn shows at the same time the glory of God and a static image of the saint, likened to God. In hymnography everything is supra-temporal and supra-spatial.

The stages of the spiritual development of a saint in hagiography and hymnography differ from the viewpoint of dynamicalness-staticalness. The

stadial development of a saint of hagiography is an expression of dynamic depiction, which will set it apart aesthetically too. In hymnography the stages of the saint's spiritual development are not dynamic, the process of spiritual development is not reflected; it is static. This is because a hymn shows the saint after his passage into heaven. Hymnography represents what has happened in the saint's this worldly life – as a result. The difficult moment of overcoming the fear of death is not seen in the hymn; the result is apparent – the fear of death is overcome and the saint himself is a pleader for another believer. In a hymn the saint is spiritually triumphant, in communion with God, he is deified.

The basis of communion is the incarnation of the Saviour. Through the diophysite nature of the Saviour – divine and human – it became possible for man to share divinity. As a result of communion man will be purified from sins and will ascend to heaven. God accorded man the right of union, sharing with God. It is through communion that the human soul attains perfection and deification, becoming a participant of divine mystery.

Hagiography reveals two basic stages as a saint's spiritual development; envy and communion, which ends in deification; hymn does not reflect the stages; in it the saint has received communion and is deified. In hagiography envy is the stage that is indispensable. There is a great boundary between envy and communion. The latter cannot be attained without the former. Envy means becoming likened to God, which creates the basis for the conceptualization of a relation of this worldly events to heavenly events and things, while communion is uniting with God – deification. As a result of communion man acquires a new identity, gains eternal values, attains spiritual wedding with God, he regains the divine or heavenly spirit, garment, becomes clothed in God. Envy and communion imply two sides: God and man. But saints too become the objects of envy, hence envy implies two persons as well. This fact too differentiates envy from communion. Accordingly it differentiates hagiography and hymnography. That is why communion and deification in man's spiritual development are a higher state than envy, though both are indispensable. These two phenomena determine the icon-image system of hagiography and hymnography, whose nature is based on liturgical consciousness.

მაგდა მჭედლიძე

მიქაელ ფსელოსის და იოანე იტალოსის კომენტარები გრიგოლ ღვთისმეტყველის გამონათქვამზე: „...ამიტომ მონადა, დასაწყისიდან დიადისაკენ დაძრული, ტრიადამდე დადგა“

კონსტანტინოპოლის სახელმწიფო უმაღლესი სკოლის მასწავლებლების – მიქაელ ფსელოსისა და იოანე იტალოსის სახელებთან არის დაკავშირებული, როგორც ცნობილია, XI საუკუნის ბიზანტიაში ფილოსოფიური აზროვნების თვისობრივად ახალი მიმართულებით წარმართვა, რაც, ერთი მხრივ, ანტიკური ფილოსოფიის თავისთავადი ღირებულების, ხოლო, მეორე მხრივ, თეოლოგიაში რაციონალისტური სააზროვნო მეთოდის პრიორიტეტულობის აღიარებას ეფუძნებოდა.

ახალი სააზროვნო ტენდენციების პროგრესისათვის თვალის მიდევნება (მათი შემდგომი განვითარება დასავლეთში სრულიად ახალი ეპოქის შექმნით დასრულდება) თვით ამ ორი ბიზანტიელის შემოქმედების მიხედვითაც ხდება შესაძლებელი: ფსელოსის მოწაფე, იოანე იტალოსი, მასწავლებლისაგან განსხვავებით, მეტი თავდაჯერებითა და სითამამით ცდილობს ახალი, „მეცნიერული“ (მისივე გამოთქმაა), მიდგომის დამკვიდრებას იმ სფეროში, რომელიც ტრადიციულად მკაცრ ოფიციალურ ზედამხედველობას ექვემდებარებოდა.

აღნიშნული ტენდენციების ხასიათის ნათელსაყოფად ერთმანეთთან შესადარებლად შევარჩიეთ მასწავლებლისა და მოწაფის კომენტარები გრიგოლ ღვთისმეტყველის 29-ე სიტყვაზე, რომელიც ღვთაებრივი სამობის გაგებას შეეხება. კომენტარები საინტერესოა როგორც შინაარსობრივი (ანუ გრიგოლის ტექსტის ინტერპრეტაციის), ასევე მეთოდოლოგიური (კვლევისა და მსჯელობის პრინციპების) თვალსაზრისით.

თავდაპირველად, გავეცნოთ საკომენტარო ტექსტს:

„სამია უძველესი აზრი ღმერთის შესახებ: ანარქია, პოლიარქია და მონარქია... ჩვენ მონარქიას მივაგებთ პატივს; არა იმ მონარქიას, რომელიც ერთი პირით შემოიფარგლება... არამედ, რომელსაც ქმნის ბუნების თანაპატივი, ნების ერთსულოვნება, მოძრაობის იგივეობა, ერთში შეერთება მათი, რომლებიც მისგანაა, რაც შეუძლებელია დაბადებული ბუნებისათვის; ასე რომ, თუნდაც იგი რიცხვით განსხვავდებოდეს, არსებით არ იყოფა. **ამიტომ მონადა, დასაწყისიდან დიადისაკენ დაძრული,**

ტრიადამდე დადგა. ჩვენთვის ეს არის მამა, ძე და სულიწმიდა...“[1]

ფსელოსის ტრაქტატი[2] საკმაოდ თამამი განცხადებით იწყება: *პროფესორი* თავს უფლებას აძლევს, თავისი *სტუდენტების* წინაშე წმიდა მამის ერთი გამონათქვამის ჭეშმარიტ დოგმებთან შესაბამისობის საკითხი დააყენოს:

„არ დაგიმალავთ, უსაყვარლესო შვილებო, რომლებიც ფილოსოფიით გშვით, რაც მამის ამ გამონათქვამის გამო განვიცადე: „*ამიტომ მონადა, დასაწყისიდან დიადისაკენ დაძრული, ტრიადამდე დადგა*“ (dia touto mona~ ap arch~ ei~ duada kinhqeisa mecri triado~ esth)... მეჩვენებოდა, რომ აზრი არ იყო თანხმობაში ღმერთის შესახებ ჭეშმარიტ დოგმებთან“ (*Opusc.* 20, 1-6).

ფსელოსი, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებს გამოთქმაზე – „ამიტომ“, რომელიც, მისი აზრით, შესაძლოა ეტიოლოგიურად იქნეს გაგებული, რაც ღვთაებრივ სამებასთან მიმართებაში უადგილოა: აქ ვერც შემოქმედებით მიზეზზე ვილაპარაკებთ, რაკი სამებაზე წინ ვერანაირი მიზეზი ვერ იქნება, ვერც – ტელეოლოგიურზე, რაკი სამების ბუნება არ არის წარმოარსებული (6-9).

მისთვის ასევე პრობლემურია ღვთაებასთან მიმართებით ნათქვამი „დასაწყისიდან“, რადგან *არქეს* დროის გაგება აქვს და იმ სახელებს განეკუთვნება, რომლებიც სხვა რამესთან მიმართებაში ითქმება; ამ შემთხვევაში, ეს იქნება ბუნების მიხედვით მიმართება *დაწყებულებთან;*[3] ამდენად, რაკი „ერთბამად არის (და)საწყისი და დაწყებულნი, აქედან შეიძლება ვინმემ დაასკვნას, რომ ქმნილებანი ღვთის თანამარადიულნი არიან“ (9-14).

ღვთაებაზე საუბრისას ფსელოსისათვის უადგილოა სიტყვა „დაძრულის“ გამოყენებაც, „რადგან ყველა მოძრაობა უსრულია, ისევე როგორც მის შესაბამისად მოძრავი“ (14-21).[4]

---

[1] Gr. Naz. *Or.* 29, 2, in *PG* 36:76 B 8-9. ამ გამონათქვამის მიმართ ეპოქის ინტერესი იოანე პეტრიწისა და ნიკოლოზ მეთონელის შრომებშიც აისახა.

[2] *Michaelis Pselli Theologica*, I, ed. P. Gautier (Lipsiae, 1989), გვ. 76-80.

[3] შდრ. იოანე პეტრიწი: *იოანე პეტრიწის შრომები*, გამომც. შ. ნუცუბიძე, ს. ყაუხჩიშვილი, II (თბილისი, 1937), გვ. 219, 10 შემდეგ.

[4] არისტოტელეს კვალად (შდრ. მაგ., *Metaph.* IX, 6, 1048 b 30 sqq) მოძრაობა – *კინესისი*, პირდაპირი გაგებით, უსრულია ნეოპლატონიკოსე-

ბოლოს იგი გრიგოლის გამონათქვამში ღმერთის ერთობად და სამებად გაგებას ეხება და აცხადებს: „...ჩემს თავს ვეუბნებოდი: რამდენად მშვენიერი იქნებოდა, მამას რომ ამგვარად ეთქვა: ღმერთი მუდამ იყო ერთობა (ena~) და სამობაო (tria~), და არა იმგვარად, როგორც მან გამოთქვა“ (21-26).

საკომენტარო გამონათქვამთან დაკავშირებული სირთულეების გადმოცემის შემდეგ მიქაელ ფსელოსი კვლევის საკუთარ გამოცდილებას წარმოგვიდგენს:

„როდესაც ჩემს თავს ამ კითხვებს ვუსვამდი, როგორც შემდეგ მივხვდი, ვგავდი მათ, რომლებიც, იმის გამო, რომ მზეს შორიდან უყურებენ, სიდიდეს, მრავალგზის რომ აღემატება მიწას, ერთი ფუტისად აღიქვამენ. ასევე მეც, ბუნების სიმდაბლის გამო, ძალიან შორს ვიყავი ამ ღვთისმეტყველი კაცის დიადი აზრისაგან: მე ხომ თავად მივედი ფილოსოფიასთან, ნაკლებ მნიშვნელოვანი საგნებიდან ნაბიჯ-ნაბიჯ ავმაღლდი ზეცამდე, გადავლახე ჰაერი და თითქოსდა მთვარის სფეროსთან აღმოვჩნდი და, თუმცა ვერც მაშინ ვიხილე მზის სიდიადე, სათანადოდ შევიცანი და წარმოვიდგინე, რაც ჩემგან იყო დაშორებული...“ (27-35).

ფსელოსის თქმით, ღვთაების ბუნებას სიტყვა ვერ მოიცავს, იგი „სრულიად უსახელოა, მრავალსახელიანი კი არის ჩვენი შეგრძნებების გამო. და თუმცა რაღაც ოთხი ასოა დაწერილი სამღვდელო ფირფიტებზე,[5] რომლებიც სიმბოლოებით წარმოგვიდგენენ ღვთის სახელს, ისინი შემდგომ რეალობათაგან იძენენ მნიშვნელობას“ 35-40).

ამრიგად, გამონათქვამის აზრის დეტალურ განხილვამდე განსაზღვრულია პრობლემის არსი: ბუნების სხვაობის გამო ჩვეულებრივი ადამიანის მიერ ღვთაების რაობის სრულად წვდომის და სიტყვით გადმოცემის შეუძლებლობა, რისი გათვალისწინებითაც უნდა მოხდეს საკომენტარო გამონათქვამის განხილვა. ასევე შემოთავაზებულია კვლევის მეცნ-

---

ბისთვისაც, თუმცა უზენაეს რეალობაზე საუბრისას ამ ტერმინის გამოყენებას მაინც ვერ აღწევენ თავს (იხ. თ. დოლიძე, მოძრაობა, როგორც გენეტიკური ცნება, პლოტინეს მოძღვრებაში სამი ჰიპოსტაზის შესახებ („ენეადების“ ემანაციის თეორიის პარადოქსულობისათვის), კრებულში: *ANAQESIS, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, აკადემიკოს თინათინ ყაუხჩიშვილის საიუბილეოდ* (თბილისი, 1999), გვ. 138-150.

[5] იგულისხმება ე.წ. *ტეტრაგრამატონი* (*შდრ. Exod.* 3, 14). იხ. ასევე: 28, 36-37; ორიგენე, *Selecta in Psalmos*, 12:1104 (ავთენტურობა საეჭვოა).

ნიერული მეთოდი – საკუთარი გონებით და საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ნაბიჯ-ნაბიჯ ასვლა ღვთაებრივ სფერომდე, რაც ჭეშმარიტების გარკვეულწილად წვდომის და, შესაბამისად, წმიდა მამის სიტყვების გაგების საშუალებას მოგვცემს.

მსჯელობა იწყება ერთობის რაობის განმარტებით, ანუ დასმული საკითხების ბოლო პუნქტიდან:

„[წმ. მამამ] მონადა აქ არა მამის პირთან დაკავშირებით ან ძის ან სულიწმიდის მნიშვნელობით გაიგო, როგორც ზოგიერთები ფიქრობდნენ – თითქოს მამა, როგორც წერტილი, წარმოიღვარა,[6] გზად ძე – როგორც დიადა – გაიარა და სულში დასრულდა, არამედ მონადად სამის შეერთება (enwsi~) აქვს გაგებული, რომელიც აქ ჰენადის ნაცვლად არის აღებული. რასაც სხვაგან ერთს (en) და ჰენადას უწოდებს,[7] აქ მონადა უწოდა“ (45-50).

ფსელოსი განიხილავს სხვადასხვა სახის ერთობას – *ერთს, ჰენადას, მონადას, ჰენოსისს*. მისი აზრით, გრიგოლი აქ *მონადას* სამის შეერთებას უწოდებს, ანუ ღვთაებრივი ტრიადის მხოლოობას. ამგვარი *მონადა* ფსელოსისათვის უფრო ზუსტად გამოხატავს სამების არსს, რომლის ბუნება არის მხოლო (mono~); ამავე დროს, მისი ეტიმოლოგიის „გებად“ მოაზრება ტრიადულ მოძრაობაში ღვთაების ერთიანი მდგრადობის მინიშნებადაც გაიგება:

„მონადა, თუკი საკუთრივ სურს ვინმეს თქვას, არ არის თავად ერთი, არამედ რაღაც თვისებაა ერთისა, რადგან იგი ერთის რაღაც გებასა (monh) და განუსხვავებლობას განაცხადებს: მხოლოდ ერთია გამრავლებული თავის თავზე კვლავაც ერთი. ერთი ამიტომაც არის მონადა (მხოლო), რომ იგი ჰგია, რაც არის, არ იცვლება გამრავლებებით, არამედ სხვა რიცხვებთან თუ აღმოჩნდება, მათაც იცავს და აიძულებს დარჩნენ, რაც არიან“ (51-61)[8].

ამის შემდეგ ფსელოსი განიხილავს ტერმინ *მოძრაობის – კინესი-*

---

[6] შდრ. პლოტინი: *Enn.* III 7, 3, 19-20, ed. Bréhier. ასევე შდრ. პეტრიწი: „...წარიღუაროს რაჲ წენტილი, შეიქმს წრფელსა, რომელ არს ძე პირმშოჲ მისი“ (*იოანე პეტრიწის შრომები,* გვ. 215).

[7] გრიგოლ ღვთისმეტყველთან ჩვენ ვერ ვნახეთ ტერმინი *ჰენადა,* თუმცა სხვა ავტორებთან იგი გვხვდება. იხ. მაგ., ფს.-დიონისე არეოპაგელი, *De coel. hier.* 7, 4 და სხვ.

[8] შდრ. იამბლიქოსი, *Theol. Ar.* 1,4-10 (ed. de Falco- Klein).

სის გამოყენების მიზანშეწონილობას ღმერთის ბუნებაზე საუბრისას. ამ საკითხზე მსჯელობას იგი იწყებს და ასრულებს მკითხველისათვის კაცობრივ და ღვთაებრივ ბუნებათა არათანაფარდობის კვლავ და კვლავ შეხსენებით, ამჯერად ადამიანის მიერ მოძრაობისა და რიცხვის აღქმის მაგალითზე:

„ცურვის დროს გვგონია, რომ საგნები მოძრაობენ... მაშინ, როდესაც ისინი კი არ ინძრევიან, არამედ – ჩვენ... ცუდი მხედველობის მქონეთ მზის სხივები ბუნდოვანი გვეჩვენება... წმიდა და ნეტარი ჭეშმარიტი სამობა დასაბამიდანვე სრულყოფილია... ერთბამად მამა, ძე და სული-წმიდა, ერთბამად სამობა და ერთობა (ena~). არასოდეს არის უსრული ღვთაება, არ აკლდა მამას სიბრძნე, რათა ძის ჰიპოსტასი წარმომდგარიყო, არც სულის ჰიპოსტასი, რათა წარმოარსებულიყო სული... მაგრამ ჩვენი გონება ჰიპოსტასების ჩამოთვლისას მოძრაობას ხდის განვითარებადს, თვლის რა ერთს, ორს, სამს... მოძრაობაზე ვლაპარაკობთ ღვთის ბუნებასთან მიმართებაში, რაკი სხვაგვარად არ შეგვიძლია მისი მოაზრება, თუ არა ჩვენივე ბუნებით...“ (20, 60-93).

ფსელოსისათვის, რა თქმა უნდა, კარგად არის ცნობილი, რომ ღვთის მოძრაობის ქრისტიანული თეორიის დამუშავებაში განსაკუთრებული წვლილი, გრიგოლ ნოსელთან ერთად, სწორედ გრიგოლ ღვთისმეტყველს მიუძღვის.[9] დიდი მამის გამონათქვამის მართებულობის საკითხის დაყენება ოდენ რიტორიკული ხერხია, რომელიც საშუალებას აძლევს პროფესორს, არისტოტელეს ფიზიკაში განსწავლული ახალგაზრდები ნაბიჯ-ნაბიჯ თავისთან ერთად მეტაფიზიკის სიმაღლეზე აიყვანოს.

გრიგოლის სიტყვები, ფსელოსის აზრით, შეიძლება შუა ნაწილების გამოტოვებით და კიდეების შეერთებით, აი, ამგვარადაც დავალაგოთ:

„ამიტომ მონადა დასაწყისიდან დადგა“, ამის მერე კი მოვიაზროთ „დიადისაკენ ამოძრავებული სამობამდე“. ეს ნიშნავს, რომ მონადა, ანუ თავად ღვთაება და სამი ჰიპოსტასის ბუნება, მთელს მარადისობაზე და ნებისმიერ დროით წერტილზე უწინ არის თავის თავს დაფუძნებული, არა ერთი პიროვნული თავისებურებით მქონე მდგომი და უძრავი საფუძვლი-

[9] *კინესისის* გაგებაზე ქრისტიანული ღვთისმეტყველების კონტექსტში იხ. თ. დოლიძე: ერთი ფილოსოფიური ცნების რეცეფციისათვის გრიგოლ ნოსელის მოძღვრებაში წმ. სამების შესახებ, კრებული: *Metanoia*, *მიძღვნილი გრიგოლ წერეთლის დაბადებიდან 130 წლისთვისათვის* (თბილისი, 2001), გვ. 82-102.

სა, არამედ ერთი სახით (morfh), სამი ჰიპოსტასით, ხოლო სამზე უწინ ორია: იძრა ორისაკენ, მაგრამ დადგა სამობად. არა მამა და ძე, არამედ ასევე სულიწმიდა“ (94-103).

ანუ ერთიანი ღვთაება დასაწყისიდანვე მდგრადია თავისი ბუნების შიგნით ჰიპოსტასთა ტრიადულ მოძრაობაში.

რაც შეეხება (და)საწყისის ცნებას, ფსელოსის განმარტებით, *არხე* ომონიმურია: ეს სახელი შეიძლება სხვა მისივე რიგის საგანთა დასაწყისის აღმნიშვნელიც იყოს, მაგრამ ასევე შეიძლება აბსოლუტურს, ყოველივეზე ზესთამყოფს აღნიშნავდეს. აქედან გამომდინარე, გამოთქმას „ამიტომ“ გრიგოლთან იგი ოდენ რიტორიკულ დატვირთვას აძლევს, რის მაგალითებსაც ანტიკური ხანის ავტორებთან პოულობს (104-121).

ტრაქტატის დასასრულს, ფსელოსი თავის ადრესატებს მიანდობს, განსაჯონ, ჰქონდა თუ არა მას საფუძველი საგონებელში ჩავარდნილიყო, ან რამდენად მოახერხა მან გრიგოლ ღვთისმეტყველის გამონათქვამის ახსნა (122-124).

როგორც ვნახეთ, ტრაქტატს მკაფიო და ზუსტად განსაზღვრული, შეიძლება ითქვას, სიმეტრიული სტრუქტურა აქვს:

1. მოწაფეთადმი მიმართვა და გრიგოლ ღვთისმეტყველის გამონათქვამის გაგების სირთულის აღნიშვნა.

2. საკომენტარო გამონათქვამში სამობის ორთოდოქსულ გაგებასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენა:

- ეტიოლოგიური საკითხი.
- საწყისის საკითხი.
- მოძრაობის საკითხი.
- ერთობის საკითხი.

3. დასმულ საკითხთა განხილვა:

ა) ზოგადი მსჯელობა:

- კვლევის მეთოდის შემოთავაზება.
- ღმერთისა და ჩვენი ბუნების არათანაზომვადობის ხაზგასმა.

ბ) კონკრეტული საკითხების ანალიზი:

- ერთობის გაგება.
- მოძრაობის გაგება.
- საწყისის გაგება.
- ეტიოლოგიის საკითხი.

4. მოწაფეთათვის მინდობა აპორიული გამონათქვამის ახსნის შეფასებისა.

სწავლულს, რომელიც ასეთი ყურადღებით ახდენს ტრაქტატის სტრუქტურულ ორგანიზებას, სავარაუდოდ, მისი შინაარსის ორთოდოქსულ აკრიბიაზეც აქვს დახარჯული დრო. მიუხედავად იმისა, რომ ფსელოსი ცდილობს, მოწაფეების წინაშე მის მიერვე დასმულ კითხვას ლოგიკური ანალიზის შედეგად, საკუთარი დაკვირვებებით გასცეს პასუხი, დოგმატურ საკითხზე მსჯელობისას მისთვის ამოსავალი ჭეშმარიტი დოგმებია. საკუთარ გონებას იგი სწორედ უდიდესი საეკლესიო ავტორიტეტის – გრიგოლ ღვთისმეტყველის გამონათქვამის აზრის წვდომასა და სწორედ დოგმებთან მისი შესაბამისობის დადგენას უსახავს მიზნად.

ახლა ვნახოთ, როგორ მსჯელობს ამავე საკითხებზე ფსელოსის მოწაფე – იოანე იტალოსი, ასევე ფილოსოფიის პროფესორი, რომელიც, განსხვავებით მასწავლებლისაგან, ოფიციალურად იქნა ბრალდებული ორთოდოქსიის საწინააღმდეგო იდეების ქადაგებაში.

იტალოსი თავის ტრაქტატს[10] იწყებს შემდეგი განცხადებით:

„ღვთაებრივი მოძღვარი ძალზე მეცნიერულად უდგება ღვთის შესახებ სწავლებას, რადგან, თავდაპირველად ღმერთების შესახებ ძველების მოსაზრებებს განარჩევს, რომელთა მიხედვით, ან ერთია ყოველივეს წარმომაარსებელი, მპყრობელი და განმგებელი, ან მრავალი, ან ამათგან არცერთი (*Opusc.* 69, გვ. 186, 8).

მისი აზრით, გრიგოლი არ ეთანხმება ძველების დაყოფას, რადგან ისინი არ ითვალისწინებენ ერთსა და სიმრავლეს შორის არსებულს – დიადას:

„არ არის სწორი, რომ, რაც ერთი არ არის, მაშინვე მრავლად იწოდებოდეს, არამედ შესაძლებელია ამათ შორის მოვიაზროთ ის, რაც არც ერთია და არც მრავალი, როგორიცაა რიცხვსა და მონადას შორის მყოფი, რადგან დიადა არც რიცხვია, არც მარტივად საწყისი,[11] არამედ არის რაღაც მის წინ, რასაც იგი ეზიარება და მის შემდეგაც არიან, რომლებიც მას ეზიარებიან... და აი, რაკი არ არის აუცილებლობა ან მონარქიის, ან პოლიარქიის, ან ანარქიისა, ალბათ, კარგი იქნება ის, რაც შუაშია, მონარქიის ნაკლებობასა და პოლიარქიის ზედმეტობას შორის, რაც არც ერთია და არც მეორე... აი, „ამიტომ, მონადა, დასაბამიდანვე

[10] იოანე იტალოსი, *თხზულებანი*, ბერძნული ტექსტი გამოცემულია გ. წერეთლის მასალების მიხედვით ნ. კეჭაღმაძის რედაქციით (თბილისი, 1966), გვ. 185-188.

[11] შდრ. Arist. *Metaph.* XIII, 9, 1085 b; 1088 b 28.

დიადისაკენ დაძრული სამობამდე დადგა“ (186, 9-15).

როგორც ვხედავთ, იტალოსი ღვთაებრივ ტრიადაზე მსჯელობას თავიდანვე რიცხვების მაგალითზე აგებული ანალოგიით იწყებს, რაც ნეოპლატონიკოსთათვის არის დამახასიათებელი.

მასწავლებლისაგან განსხვავებით, რომლის მიზანი სამპიროვანი მონარქიის მონადად განმარტებაა, იტალოსთან, პირიქით, მონარქიის შესაბამისად ერთპიროვნული მონადა განიხილება, რაც საკომენტარო ტექსტის საკმაოდ თავისუფალ ინტერპრეტაციად გვევლინება: გრიგოლ ღვთისმეტყველისათვის სწორედ „მონარქიაა კარგი“, რომელშიც იგი ერთი ღმერთის ცნობას მოიაზრებს, მაგრამ არა ერთი, არამედ სამი პირით წარმოდგენილს.

ფსელოსის მსგავსად, იტალოსისთვისაც „იმგვარად დიდ საგნებთან, რომლებიც ადამიანურ განსჯას აღემატება“, ძირითადი სირთულე მოძრაობის გაგებას უკავშირდება. გრიგოლის მიერ *კინესისის* ხსენება მასაც თავდაპირველად არისტოტელეს თეორიაზე მსჯელობისათვის განაწყობს. იგი გამორიცხავს აქ გენესისისა და მოსპობის, ან არისტოტელეს მიერ ჩამოთვლილი სხვა რომელიმე მოძრაობის მოაზრებას;[12] მისთვის მისაღებია პირველი მამოძრავებლის უძრაობის იდეა:

„...პირველი მამოძრავებელი სრულიად უძრავია ან არ დადგება, თანაც, ვერ იქნება ამ ორიდან თითოეული; ამიტომ აუცილებლობით იქნება უძრავი ის, რომელსაც უმჯობესს, არსებულთაგან საუკეთესოს, ერთსა და სიკეთეს ვუწოდებთ; და თუკი მასზეც ვამბობთ, რომ *მოძრაობს დიადისაკენ* და *სამობამდე* დადგა, ამას ვამბობთ არა რაღაცა დროს, არამედ – *დასაწყისიდანვე*. ხოლო „დასაწყისიდან“ არ არის დროში[13]... ყველა მოძრავის თანაბუნებოვანია მოძრაობა, მაგრამ ყველა მოძრაობა როდი არის უსრული,[14] რომ ის, რაც მის შესაბამისად მოქმედებს,[15] ნაკლული

---

[12] შდრ. Arist. *Cat.* 14, 15a 13-15b 15; *De an.,* III, 406 a 12.

[13] დასაწყისს არ აქვს დრო, რაკი დროის ცნება გრძლივობას საჭიროებს. შდრ. ბასილი დიდი, *Hex.* I, 6, 16 (ed. Giet); გრიგოლ ნოსელი, *Apolog.* (*PG* 44: 72 AB).

[14] შდრ. ფსელოსი, რომელიც ამბობს, რომ „ყველა მოძრაობა უსრულია, ისევე როგორც მის შესაბამისად მოძრავი“ (*Opusc.* 20, 15-16). იტალოსთან ფსელოსის ტრაქტატზე არაერთ რეპლიკას ვხვდებით.

[15] შდრ. არისტოტელე: „მოძრაობაც ერთგვარი მოქმედებაა, ოღონდ დაუსრულებელი“ (*De an.* II, 417 a 15); „მოძრაობა დაუსრულებელისაა,

იყოს. ის მოძრაობა მოისვენებს, რომელიც უმჯობესისაკენ სწრაფვით იქმნება. ხოლო, რაც დასაწყისიდან მოძრაობს და არ არის დროში, მიისწრაფვის არა სხვისკენ, არამედ – საკუთარი თავისაკენ, მუდამ თავისი თავისაკენ არის მიბრუნებული, ერთბამად მოქმედებს და ამგვარად მოძრავი, მეორადებს ანიჭებს, ეზიარონ მას და თავიანთ შემდგომებს გადასცენ ნათება“ (186, 22-32).

იტალოსის თქმით, „ჩვენს უღვთაებრივეს მამასა და მასწავლებელს“ სწორედ ეს ზედროული მოძრაობა აქვს მხედველობაში – „ცხოველმყოფელი, გონიერი, არასოდეს რომ ისვენებს და ასეც იწოდება, *ამიტომ მონადა, დასაბიდან დიადისაკენ დაძრული, სამობამდე დადგა*“ (187, 1-8).

ციტირებულ პასაჟში საწყისის შემდეგ უშუალოდ მეორადებზე და მათ შემდგომებზე საუბარი მოძრაობის გენეტიკური ასპექტის აქცენტირებით (რაც შემდგომი მსჯელობისას კიდევ უფრო ძლიერდება),[16] გვაფიქრებინებს, რომ ღვთაება იტალოსთან მოაზრებულია ტრიადაში მოძრავი მდგრადობით, არისტოტელეს უძრავი მამოძრავებლისა და ნეოპლატონური ტრიადიზმის იდეათა შეთანხმების შედეგად.[17]

ტრაქტატში დიდი ადგილი ეთმობა რიცხვების თეოლოგიურ მნიშვნელობაზე მსჯელობასაც:

„რას ნიშნავს *ტრიადამდე დადგა?* რატომ ტეტრადამდე ან რომელიმე სხვა რიცხვამდე არა? ტრიადის ზემოთ რიცხვი ზედმეტობითაა და არ შეეფერება მიღმა არსებულ საუკეთესოებს? მაგრამ ნათქვამია, რომ არა მხოლოდ ტრიადა, არამედ ტეტრადაც საუკეთესოა რიცხვებში,[18] რად-

---

მოქმედება კი საზოგადოდ, ანუ მოძრაობა დასრულებულისა, სხვა რამაა“ (III, 7, 431 a).

[16] სწორედ მსგავსი ნიუანსები ბადებს აზრს იტალოსის მსჯელობაზე ნეოპლატონიზმის გავლენის შესახებ, რადგან ონტოლოგიური იერარქიის მონარქიის ანალოგიურად სტრუქტურირება, როგორც ცნობილია, ტიპიურია ქრისტიანული თეოლოგიისთვისაც.

[17] მოძრაობისა და ემანაციის თეორიის ურთიერთმიმართბაზე იხ. თ. დოლიძე, მოძრაობა, როგორც გენეტიკური ცნება, გვ. 146-151; თ. დოლიძეს განხილული აქვს ნუმენიოსის ფრაგმენტი, რომლის მიხედვითაც პირველი ღმერთი მდგომია, მაგრამ ეს დგომა თანდაყოლილ მოძრაობად განისაზღვრება (თ. დოლიძე, ერთი ფილოსოფიური ცნების რეცეფციისათვის, გვ. 83, 97-98.).

[18] შდრ. Pythag. *Carm. aurea.* 46-48 (ed. Mullach) (*გამომც. შენიშ.*). რიცხვე-

გან წყაროა მარადიული ბუნებისა... რითაც აღემატება მონადას, იმითვე ექვემდებარება ჰებდომადას (187, 9-12).[19]

იტალოსის შემდგომი მსჯელობა, რომელიც ნეოპლატონიკოსი პროკლეს გავლენით არის აღბეჭდილი, ამგვარად ვითარდება: ყველა სიმრავლე როგორღაც ეზიარება ერთს.[20] სწორედ მონადობით არიან რიცხვები ერთმანეთის იგივეობრივნი, მაგრამ განსხვავდებიან ერთთან სიახლოვით; რიცხვებზე წინ, რომლებიც გაერთიანებულთაგან (hnwmenwn) შედგება, არიან რიცხვები, რომლებიც ჰენადებისაგან შედგებიან.[21] როგორადაც ერთი არის მიზეზი თავის შემდგომთათვის, ეს უკანასკნელნიც ასევე არიან მიზეზები მათთვის, რომლებიც მათ მოსდევენ. ამავე დროს, ერთი არის ყოველთა მიზეზი... ის, რაც ჰენადებისაგან შედგენილ პირველ რიცხვზე წინ არის, რიცხვიც კი არ არის, არამედ დედაა და მამაა უშუალოდ მომდევნოსი და ერთბამად ყოველივესი, რომლებიც მის მიერაა (187, 12-34).

ამის შემდეგ იტალოსი მიზეზთა იერარქიაზე მსჯელობს:

„წარმოობანი (proodoi) მრავალი მიზეზისა და მიზეზოვანის გავლით ბუნებრივად ხდება დაწყებული იქიდან, რაც მხოლოდ და მხოლოდ მიზეზია, ვინემ იქამდე, რაც მხოლოდ და მხოლოდ მიზეზოვანია. პირველი არის როგორც მოქმედებითი, მეორე – როგორც მატერიალური მიზეზი. *ამიტომ მონადა, დასაწყისიდან დიადისაკენ დაძრული, სამობამდე დადგა*". არ ხამს მისი განზიდვა ღვთაებრივი რიცხვის მიღმა, რადგან, რაც მის შემდგომაა, დაყოფადია და გაერთიანებულთაგან შედგება. ასე რომ, ზედმეტობას ეზიარება, რაც მიღმური ტრიადის ზემოთ მიიწევს, ისევე როგორც ნაკლებობას ეზიარება, რაც მას ვერ აღწევს. რადგან პირველი ზღვარგადასულია, როგორც ტელოსის ზემოთ მყოფი, და ასევე მის მონათესავეებზეც, ხოლო მეორე ნაკლულია, რაკი მონათესავეებს

ბზე მსჯელობისას იტალოსის წყაროები, ძირითადად, ნეოპლატონიკოსთა თხზულებებია. შდრ. *იოანე პეტრიწის შრომები*, გვ. 215, 2 შმდგ.

[19] შდრ. ჰიეროკლე, *In aureum Carmina* 20, 14-15 ed. Köhler: kai esti mesoth~ ariqmhtikh monado~ kai ebdomado~ h tetra~. tw isw gar ariqmw pw~ uperecei kai uperecetai, triadi men ebdomado~ leipomenh, triadi de monada uperballousa.

[20] პროკლე, *Elem. theol.* 1 (ed. Dodds).

[21] შდრ. Procl. *Elem. theol.* 6 და იოანე პეტრიწის კომენტარი (*იოანე პეტრიწის შრომები*, გვ. 29-30).

მოკლებულია და სრულიად უშვია (agonon), რადგან მისგან ან მის შემდეგ არაფერი ქმნილა...“ (187, 34-188, 9).[22]

სწორედ ტრიადაა, იტალოსის თქმით, არსებულთა საწყისიც და სასრულიც (telo~), ასევე – საშუალიც, რაკი მისგან, მის მიერ და მის გამო არსებობს ყველაფერი; კერძოდ, ზედროული ტრიადული მოძრაობაა ყველა მოძრაობის პარადიგმა და საწყისი, თვით ურთიერთსაპირისპირო მოძრაობებისაც (188, 10-17). ეს მოძრაობა არის „მეშვი ძალი და წყარო სხვათა, და როგორც მარადიულ წრეში, თავის რიცხვში, ერთი შეურწყმელი ერთობის (enwsin) შესაბამისად, უთქმელი რამ აზრით, დახვეულია და ფერხულს უვლის. ამ მოძრაობის გამოა წარმომდგარი სხვათა ფერხულნი და ხვევანი, თანამოდასეებისა, ქვემდებარეებისა და უდარესობით წოდებული არსებებისა, უდარესთა პყრობა და თავიათზე უწინდელებისაკენ მიბრუნება, ცხოველთა და მცენარეთა დაბადებანი, და ყველა არსთა არსობანი“ (188, 18-23).

იტალოსის აზრით, გრიგოლის გამონათქვამში „ამიტომ“ გულისხმობს იმას, რომ ამ საწყისის გამო წარმოარსებულნი მისგან საჭიროებენ მოძრაობას“ (188, 25-27).

ამრიგად, ღვთაების ტრიადული მოძრაობაა გენეტიკური ძალი, წყარო, პირობა ყოველგვარი არსებობისა და მოძრაობისა, ემანაციისა და უკუქცევისა. მართალია, უზენაესის მოძრაობას ნეოპლატონიკოსები „წერტილში წრებრუნვად“ მოიაზრებენ,[23] იტალოსი კი ყოველივეს ერთი საწყისის სამში ერთიან წრებრუნვაზე ლაპარაკობს, შეიძლება ითქვას, რომ სამყაროს ეს სამერთიანი საწყისი მის მსჯელობაში მაინც უფრო ნეოპლატონური ერთის, გონისა და სულის ტრიადას მოგვაგონებს, ვინემ ქრისტიანულ სამებას, რომლის შესახებაც იგი აქ არაფერს ამბობს. თავად იტალოსისაგან რომ არ ვიცოდეთ, რომ იგი გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვებს განმარტავს, ნამდვილად ვერ მივხვდებოდით, რომ საკომენტარო ტექსტი წმიდა სამების – მამის, ძისა და სულიწმიდის – ბუნებას შეეხება.

როგორც ვხედავთ, იტალოსის მსჯელობა, როგორც შინაარსობრივი, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით, შორს არის იმ სიმწყობრისაგან, რომლითაც ფსელოსის ტრაქტატი გამოირჩევა. ენობრივი გაუმართაო-

---

[22] შდრ. Gr. Naz. *Orat.* 38 (*PG* 36:320) და *Orat.* 23 (*PG* 35:1160).

[23] თ. დოლიძე, მოძრაობა, როგორც გენეტიკური ცნება, გვ. 142.

ბაც საკმაოდ აძნელებს იტალოსის ნათქვამის აზრის გაგებას.

წარმოდგენილი კომენტარები მართლაც რომ კარგად წარმოაჩენს მასწავლებლისა და მოწაფის ფილოსოფიურ პოზიციას, საკითხის კვლევის მეთოდოლოგიასა თუ მსჯელობის სტილს: ფსელოსის ენა დახვეწილია, მთელი ტრაქტატი რიტორიკის მოთხოვნების შესაბამისად არის აგებული; იგი არც საკუთარი განცდების ემოციურ აღწერას ერიდება და არც თავის ქების შესაძლებლობას უშვებს ხელიდან, თუმცა წმიდა მამას თავს მაინც არ უტოლებს. ფსელოსი მას მოიხსენიებს როგორც „მამას“, „ღვთისმეტყველს“, „ღვთაებრივს“. გრიგოლის განსაკუთრებულობის აღიარება მას, ალბათ, თავისი კვლევების გამართლებისთვისაც სჭირდება: იგი ხშირად აღნიშნავს ხოლმე, რომ ისეთი პიროვნებები, როგორებიც პავლე მოციქული ან გრიგოლ ღვთისმეტყველი იყვნენ, ჭეშმარიტების უშუალო ჭვრეტის ღირსნი გახდნენ; ხოლო ისეთ მდაბალ ადამიანებს, როგორიც თავადაა, მხოლოდ საკუთარი გონების – განათლებისა და მსჯელობის უნარის – იმედად უწევთ ჭეშმარიტების რაღაც ნაწილის შეცნობისაკენ სწრაფვა.

რაც შეეხება იტალოსს, ის ვერც რიტორიკისთვის იცლის და ვერც საკუთარ განცდებზე სასაუბროდ; მას მხოლოდ საკვლევი საკითხი აღელვებს.[24] განსხვავებით ფსელოსისაგან, რომელიც თავის ტრაქტატში არაერთგზის უბრუნდება ღვთის სრულყოფილების საწვდომად კაცობრივი ბუნების შეზღუდულობაზე საუბარს, მის მოწაფეს მხოლოდ ერთხელ დასცდება, რომ ღვთაებრივი ტრიადის სფერო „ადამიანურ განსჯას აღემატება“. წმ. გრიგოლი იტალოსისთვისაც ხელშეუხებელი ავტორიტეტია, რომელსაც იგი „ღვთაებრივ მოძღვრად“, „ჩვენს უღვთაებრივეს მამად და მასწავლებლად“ იხსენიებს, მაგრამ, როგორც მისი მსჯელობის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, ავტორიტეტულობის განმსაზღვრელი მისთვის უნდა იყოს ის, რომ გრიგოლი „ძალზე მეცნიერულად (panu episthmonikw~) უდგება ღვთის შესახებ სწავლებას“. ის არ ლაპარაკობს გრიგოლის განსაკუთრებულ უნარზე ჭეშმარიტების წვდომისა; თავის ტრაქტატში წმიდა წერილზე მინიშნებასაც კი არ აკეთებს.[25]

---

[24] საინტერესოა აღინიშნოს, რომ ფსელოსს იტალოსის შესახებ ნათქვამი აქვს: მისი საუბარი, თუმცა დამაჯერებელია, არასასიამოვნო მოსასმენიაო (*Orat.* 19, 67 sqq: Michael Psellus, *Oratoria minora*, ed. A. R. Littlewood, Leipzig, 1985).

[25] სწორედ ამგვარმა მსჯელობებმა უბიძგა ნიკოლოზ მეთონელს XII ს-ში

როგორც უკვე ვთქვით, ფსელოსის კომენტარი წინდაწინ ზუსტად განსაზღვრულ გეგმას მისდევს, რომელიც ყველა კანონის (ლიტერატურული თუ დოგმატური) დაცვით არის გამართული, იტალოსის კითხვისას კი ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ მან თავად არ უწყის, მსჯელობა რა დასკვნამდე მიიყვანს, თითქოს ის კი არ უხმობდეს საჭირო სიტყვებს, არამედ, პირიქით, თავად მიჰყვებოდეს სიტყვას სიტყვასთან, აზრს – აზრთან. არ უნდა გაგვიკვირდეს, თუკი იოანე იტალოსს პირველ „დიდ ბიზანტიელ ფილოსოფოსად“[26] მოიხსენიებენ, რადგან მის მნიშვნელობას ფილოსოფიის ისტორიისათვის არა მისი იდეები, არამედ მისი ფილოსოფიური მეთოდი განსაზღვრავს.

ბიბლიოგრაფია

References

Aristoteles, *Metaphysica, ed. W. D. Ross* (Oxford, 1924).

Aristoteles, *Categoriae et liber de interpretatione, ed. L. Minio-Paluello* (Oxford, 1949).

Aristoteles, *Physica, ed. W. D. Ross* (Oxford, 1956).

Aristoteles, *De anima, ed. W. D. Ross* (Oxford, 1961).

J. Barbel, *Gregor von Nazianz, Die fünf theologischen Reden, Text und Übersetzung mit Einleitung und Kommentar* (Düsseldorf, 1963).

Basil de Césarée, *Homélies sur l' Hexaéméron, texte grec, traduction et introduction de S. Giet* (Paris, 1968).

Dionysius Areopagita, *De caelesti hierarchia, Text with Translation, by M. G. Ermakova* (Saint-Petersburg, 1997) (in Rusian).

T. Dolidze, The Motion as a Generative Term in Plotinos's Doctrine of Three Hypostases (Concerning the Paradox of Emanation Theory

---

პროკლეს „თეოლოგიის ელემენტების“ განქიქებისათვის დრო და ენერგია დაეთმო.

[26] A. de Ribera, *La philosophie* médiéval (Paris, 1993), გვ. 30; ა. ლოსევი აღნიშნავდა, რომ ფილოსოფიის ისტორიისათვის საინტერესოა ყველაფერი, რაზეც კი შეიძლება ფილოსოფიის მრავალფერი ყვავილები ამოიზარდოს (А. Ф. Лосев, Диалектика числа у Плотина, в кн.: *Миф, Число, Сущность* (Москва, 1994), გვ. 714-715.

in Enneades), in: *ANAQESIS*, *Philological and Historical Researches, Dedicated to the 80 Anniversary of Academician Tinatin Qaukhchishvili* (Tbilisi, 1999), p. 138-150 (in Georgian).

T. Dolidze, *On the Reception of One Philosophical Notion in Gregory of Nyssa's Doctrine about the Holy Trinity, Metanoia*, *Collected Works Dedicated to the 130 Anniversary of Grigol Tsereteli*, (Tbilisi, 1999), p. 82-101 (in Georgian).

Epiphanius, Adversus Haereses, in: J.-P. Migne, *Patrologiae cursus Completus*. *Series Graeca*, vol. 41 (Paris, 1885).

Gregorius Nazianzenus, Oratio 29, De Filio (1), in: J.-P. Migne, *Patrologiae cursus Completus*. *Series Graeca*, vol. 36 (Paris, 1885).

Gregorius Nazianzenus, *Oratio* 23, *De Pace (3)*, in J.-P. Migne, *Patrologiae cursus Completus*. *Series Graeca*, vol. 35 (Paris, 1885).

Hierocles, *In Aureum Pythagoreorum Carmen Commentarius, ed. F. W. Köhler* (Stuttgart, 1974).

Iamblichus, *Theologumena arithmeticae, ed. V. de Falco; editionem addendis et corrigendis adiunctis curavit U. Klein* (Stuttgart, 1975).

John Italos, *Works, Greek text, ed. Gr. Tsereteli, N. Kechaqhmadze* (Tbilisi, 1966) (in Georgian).

Ioane Petritsi, *Works, II, ed. Sh. Nutsubidze, S. Qaukhchishvili* (Tbilisi, 1937) (in Georgian).

A. F. Losev, *Dialectics of Number in Plotinos*, in *Myth*, *Number*, *Essence* (Moscow, 1994) (in Russian).

Michael Psellus, *Theologica*, I, ed. P. Gautier (Lipsiae, 1989).

Michael Psellus, *Oratoria minora*, ed. A. R. Littlewood (Leipzig, 1985).

Plotin, *Ennéades*, texte établi et traduit par E. Bréhier, 7 vol. (Paris, 1924-1938).

Pythagoras, *Carmen aureum*, in *Fragmenta philosophorum graecorum*, vol. II, ed. Mullach (Parisiis, 1867).

Proclus, *The Elements of Theology.* A Revised Text with Translation, Introduction and Commentary, ed. E. R. Dodds (Oxford, 1963).

A. de Ribera, *La philosophie* médiéval (Paris, 1993).

Septuaginta, id est Vetus Testamentum Graece iuxta LXX interpretes, ed. A. Rahlfs, R. Hanhart (Stuttgart, 2006).

Magda Mtchedlidze

The Commentaries of Michael Psellus and John Italus on Gregory the Theologian's Expression: 'Therefore the Monad, Moved From the Beginning to the Dyad, Stood Until the Triad'

The introduction of an essentially new trend into philosophical thought in the 11th century Byzantium is associated with the names of Michael Psellus and John Italus, the most outstanding scholars and teachers of the so-called University of Constantinople. The new intellectual attitude was based on the recognition of the value per se of the ancient philosophy, as well as of the priority of the rationalistic approach in the field of theological philosophy.

Tracing the rapid progress of the new thought trends (the further development of which later ended in the West by creating a new era) is possible even by comparison of the works of these two Byzantines. The disciple of Michael Psellus, John Italus, unlike his teacher, with more self-confidence and boldness, seeks to establish the new 'scientific' (his own word) approach in the domain that was traditionally subjected to rigid official secular and ecclesiastical supervision.

In order to demonstrate the character of new tendencies, we have decided to compare the commentaries of Psellus and Italus on one expression of Gregory the Theologian, concerning the major issue of Christian theology: the comprehension of the Divine Trinity the interest of the epoch in this expression of St. Gregory found reflection in the works of Ioane Petritsi and Nicholas of Methone): 'Therefore the monad, moved from the beginning to the dyad, stood until the triad' (Or. 29, 2, in PG 36: 79, B 8-9). The commentaries are interesting because of their content (i.e. in interpreting the text under commentary), as well as from the methodological point of view (which implied research and reasoning principles).

The treatise of Michael Psellus (Opusc. 20: Michaelis Pselli Theologica, ed. Gautier) has a well-thought-out symmetric structure:

1. The 'professor' presumes to raise a question before his 'students' regarding the conformity of one expression of the Holy Father with the true dogmata.

2. The problems concerning the understanding of each word of the statement are designated:

- *Etiological issue*: 'Therefore' (dia touto) may be perceived as search for the cause of the Divine Trinity, which is nonsense.
- *The question of the origin*: 'from the beginning' (ap arch~) implies natural relation 'to those begun'; thus, one may conclude that the created are contemporaneous with God.
- *The question of motion*: 'moved' (kinhqen) stands in need of explanation in relation to divine nature, for what is immobile is imperfect.
- *The question of the unity of God.*

3. Consideration of the questions posed.

a) General discussion.

- The essence of the problem is defined: the incapacity of the full comprehension of God's nature by human mind and of conveying it in words.
- A method of research is proposed: step by step ascent to God's sphere by oneself, with one's own mind and resting on one's own experience, which will allow partial insight into the truth and, accordingly, the understanding of the words of the Holy Father.

b) Analysis of particular questions:

- Understanding of the unity: In this phrase monad implies not one person but the unity of the three.
- Understanding of the motion: as our mind comprehends three as a number, and the motion is linked to the number, we transfer the property of our nature to the nature of God, for we cannot conceptualize it in a different way.
- Understanding of the origin: in that case it denotes not the beginning of objects of its own rank but the absolute, the transcendent, that is beyond all things which exist.
- The question of etiology: with Gregory the word 'therefore' has only a rhetorical meaning.

4. Psellus entrusts his disciples to appraise the validity of the analysis of the aporetic statement.

A scholar, who takes such care in the structure organization of the treatise, must have spent time on controlling its content as well. The professor tries to answer the question put to his students for rhetorical purposes by the method proposed by himself as a result of logical analysis. His point of departure for discourses is the orthodox dogma of the Trinity: To the mind he

sets the goal of getting an insight into the meaning of a pronouncement of the great ecclesiastic authority and determining its conformity to the dogmata.

As to Psellus' disciple John Italus who, unlike his teacher, was officially charged with preaching anti-orthodox ideas, in commenting on the same statement of Gregory the Theologian (*Treatise* 69: *John Italus*, ed. by G. Tsereteli and N. Kechaghmadze) is distinguished for a rather liberal interpretation of the text. At the same time, his discourse – both form and substance – is far from the orderliness characteristic of Psellus' treatise. His faulty language renders difficult even the comprehension of the meaning of his statements.

Italus considers monad as corresponding to monarchy, whereas Gregory the Theologian conceptualizes monarchy as the acknowledgement of one God – one origin that is represented not by one but by three persons. He attempts to explain divine nature by the analogy of numbers, which is one of the methods of the Neo-Platonists. In the theological understanding of numbers as well as of motion he basically rests on the Neo-Platonist, to whose teaching he brings Aristotle's idea of unmoved mover. His discourse takes the following form: the first mover that we call the best of the existents, the One and the Good is immovable from the standpoint of any motion defined by Aristotle for the physical world. But it moves by supertemporal, life-giving and rational unceasing motion... Every manifold in some way participates unity. Through being monads, numbers are identical, while the difference between them is caused by their proximity to the One... In the same way as the One is the cause of everything, its consequents are causes for them which are posterior. After the One they are formed of henads, then formed of the unified... What is before the henads is even not a number, but a parent of a number... The triad is just a divine number, the greater of which goes beyond the *telos* of divinity, while a lesser one is imperfect, as barren. At the same time, as the existence of everything has its originative principle, the motion of god as a generative potency is the originative principle of all motion, or the triadic motion of God is generative potency, source, condition of all existence and motion, of emanation and revert.

Thus, in the commentary written by Italus on Gregory the Theologian's expression concerning the Trinity, the circulation in the three of the originative principles of the world emerges as Neo-Platonic triad of the One, Intellect and Soul rather than the Christian Trinity of the Father, the Son and the Holy Spirit, which is not mentioned at all in this treatise (why should one be sur-

prised at Bishop Nicholas of Methone in the twelfth century finding time for refuting Proclus' *Elements of Theology*).

The cited commentaries do show well the philosophical stand of the teacher and disciple, their methodology of research and the style of discourse: Psellus's language is refined; his treatise is built conformably to the demand of rhetoric. He does not shun an emotional description of his own experiences nor does he let slip an opportunity of self praise, though he does not place himself on a par with the Holy Father. Psellus refers to Gregory as 'Father', 'Theologian', and 'Divine'. Psellus needs recognition of the specialness of 'persons who have been given the honour of directly viewing the truth' also to justify his own activity: the only thing left to him as a person of low descent is to cognize some part of the truth relying on his own mind – education and the capacity to reason.

As for Italus, he has no time for rhetoric or to speak about his own sentiments; he is concerned only about the topic under study. Unlike Psellus, who in his treatise notes on many occasions the limitation of human nature in gaining an insight into the perfection of God, his disciple remarks only once that the sphere of the divine Triad is above 'human reasoning'. St Gregory is an untouchable authority for Italus too, referring to him as a 'divine teacher', 'our most divine father and teacher'; however, as we can conclude according to his discourse, to him determining authoritativeness must be Gregory's 'highly scientific approach' (panu episthmonokw~) to the teaching about God. He does not speak of Gregory's special capacity of gaining insight into the truth.

As noted above, Psellus' commentary follows all laws (literary or dogmatic), while in reading Italus the impression is gained that he himself is not aware of the conclusion to which his discourse will lead him. It looks as if he does not invoke the needed words but, on the contrary, he follows words to other words, ideas to other ideas. This is why he is recognized as a 'great Byzantine philosopher' John Italus' importance for the history of philosophy is determined not by his ideas but by his philosophical method.

ხელოვნებათმცოდნეობა

ზაზა სხირტლაძე

მეფეთა მეფის ფრესკა გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ეკვდერში

მასალები შესაძლო გაიგივებისათვის

საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო ხელოვნების კვლევის ცენტრის მიერ განხორციელებული პროექტი – „ისტორია სახეებში. ისტორიულ პირთა გამოსახულებები ქართულ ხელოვნებაში“, რომელიც 2003 წელს დაიწყო და 2009 წელს დასრულდა, არაერთი სიახლის საწინდარი აღმოჩნდა – სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ძეგლებში ისტორიულ პირთა გამოსახულებების ფიქსაციისა და კვლევისას გამოვლინდა აქამდე უცნობი მასალები, რომლებიც მრავალმხრივ საგულისხმო ჩანს ქართული კულტურის ისტორიისათვის. მათ შორისაა გელათის მონასტერიც.

იმ ოთხ ათეულამდე საქტიტორო გამოსახულებას შორის, რომლებიც გელათის მონასტრის მთავარი, ღმრთისმშობლის შობის ტაძრის კედლებს შემორჩა, უთუოდ ყველაზე საინტერესო, ამასთან მრავალ პასუხგაუცემელ კითხვასთან დაკავშირებული სამხრეთ-აღმოსავლეთი ეკვდერის მოხატულობაში წარმოდგენილი ფრესკაა. სწორედ ამ გამოსახულებას უკავშირდება საკითხები, რომლებიც მკვლევართა არაერთი თაობის პოლემიკისა და განსჯის საგანი გამხდარა. ამ საკითხებს შორისაა მეფე თამარის გარდაცვალების თარიღი და დაკრძალვის ადგილი, აგრეთვე გელათის, როგორც ერთიანი საქართველოს სამეფო სახლის წარმომადგენელთა დასაკრძალავის საკითხი.

დარწმუნებული ვარ, ამ საკითხებს მომავალშიც არაერთხელ განიხილავენ, თუმცა არა მგონია, მე ამ ავტორთა რიგში აღმოვჩნდე და საგანგებოდ და ვრცლად შევეხო აღნიშნულ პრობლემას. წინამდებარე ნარკვევის მიზანი ერთია – საველე მუშაობის პროცესში გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთი ეკვდერის მოხატულობაში წარმოდგენილი ფრესკის პირის გადმოღებისას დადასტურებული ფაქტებისა და დაკვირვებათა შედეგების წარმოჩენა. მინდა ხაზი გავუსვა, რომ ქვემოთ წარმოდგენილი დაკვირვებები ძირითადად ეფუძნება გელათში 2005-2006 წლებში ორჯერ მოწყობილი ექსპედიციების პროცესში, არცთუ მცირე

დროის განმავლობაში, საგანგებოდ აღმართული ხარაჩოდან ფრესკის გრაფიკული ასლის გადმოღებისას ექსპედიციაში მონაწილე მხატვართა და ხელოვნებათმცოდნეთა ჯგუფის მოპოვებულ მონაცემებს.

* * *

გელათის მონასტრის მთავარ ტაძარს სამხრეთი და ჩრდილოეთი კარიბჭეების ორივე მხარეს (როგორც აღმოსავლეთიდან, ისე დასავლეთიდან) ეკვდერები ეკვრის. სამხრეთი კარიბჭის აღმოსავლეთით განთავსებული მოზრდილი ეკვდერი XII საუკუნის მეორე ნახევარში, თავდაპირველად ჩაფიქრებული ღია გალერეის ნაცვლად მიუშენებიათ.[1] კვადრატული გეგმის მქონე, შვერილაფსიდიან, კამარით გადახურულ სამლოცველოში მოხვედრა შეიძლება როგორც ტაძრის ცენტრალური სივრციდან (კარიბჭის ჩრდილოეთი კარის გავლით), ისე მისგან დამოუკიდებლადაც (კარიბჭის სამხრეთი კარის გავლით). ეკვდერი გვიანი შუა საუკუნეების გარკვეულ მონაკვეთში გაუქმებული ყოფილა. XVIII საუკუნეში, იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის (†1752) მეუღლის, მარიამის დაკრძალვის შემდ-



სურ. 1. *გელათის მონასტერი. საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან*

[1] Р. Меписашвили, *Архитектурный ансамбль Гелати* (Тбилиси, 1966), с. 39-41.

გომ, ეკვდერი წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელზე იქნა ხელახლა ნაკურთხი.[2] საყოველთაოდაა ცნობილი ამ ეკვდერის სხვა სახელდებაც, რომელიც მეფე თამარის სახელს უკავშირდება.[3] სამეცნიერო ლიტერატურაში სამლოცველო დავით VI-ის საძვალედაა მიჩნეული და, შესაბამისად, მას „დავით ნარინის ეკვდერის" სახელითაც მოიხსენიებენ.[4] მართლაც, ამ ეკვდერშია დაკრძალული მეფე დავით VI ნარინი, რუსუდანის ძე (1246-1293); მისი საფლავი სამლოცველოს დარბაზის სამხრეთ კედელთან მდებარეობს. ეკვდერში, დარბაზის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მეორე სამარხიცაა. მის გვერდით, ეკვდერის დასავლეთი კედლის ჩრდილოეთ მონაკვეთზე (სამარხის გასწვრივ) კედელში საგანგებო თაღოვანი უბეა შექმნილი.

სამლოცველო ორჯერ მოუხატავთ: ფერწერის პირველი ფენა ეკვდერის აგების ახლო ხანებში (ე.ი. XII საუკუნის მეორე ნახევრის გარკვეულ მონაკვეთში) უნდა იყოს შესრულებული.[5] რაც შეეხება მეორე ფენას, რომელიც ახალ ბათქაშზეა შესრულებული, იგი XX საუკუნის 50-იან წლებში, კედლის მხატვრობის გაწმენდა-გამაგრებითი სამუშაოების შედეგად სრულად გამოჩნდა; ესაა XIII საუკუნის მიწურულის მხატვრობა – საქართველოში ე.წ. პალეოლოგოსური სტილის ფერწერის ერთ-ერთი ადრეული ნიმუში. ფრესკები 1292-1293 წლებით თარიღდება.[6] ამასთანავე, ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზე, რომ მის იკონოგრაფიულ პროგრა-

---

[2] А. Муравьев, *Грузия и Армения* (Санкт-Петербург, 1848), с. 205; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ექვთიმე თაყაიშვილის პირადი ფონდი, №306; ს. კაკაბაძე, *დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები* (თბილისი, 1921), გვ. 120. შდრ. ბ. ლომინაძე, *გელათი* (თბილისი, 1955), გვ. 44.

[3] ისტორიოგრაფიისათვის იხ.: ი. ლოლაშვილი, *თამარ მეფის აკლდამა გელათში* (თბილისი, 1989), გვ. 7 და შემდ.

[4] რ. მეფისაშვილი, თ. ვირსალაძე, *გელათი. არქიტექტურა, მოზაიკა, ფრესკები* (თბილისი, 1982), გვ. 111; *გელათი – 900* (თბილისი, 2007), გვ. 262.

[5] Т. Вирсаладзе, Основные этапы развития грузинской средневековой монументальной живописи, *II международный симпозиум по грузинскому искусству* (Тбилиси, 1977), с. 20; მისივე, Фрагменты древней фресковой росписи главного Гелатского храма, *Ars Georgica*, 5 (1959), с. 200-202.

[6] Т. Вирсаладзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 21; შდრ. ქ. მიქელაძე, *დავით ნარინის ეგვტერის მოხატულობა გელათის მონასტრის მთავარ ტაძარში. საკანდიდატო დისერტაცია* (თბილისი, 2001), გვ. 44-45.

სურ. 2. *გელათის მონასტრის მთავარი ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ეკვდერი. საქტიტორო კომპოზიცია დასავლეთ კედელზე, მეფე დავით VI-ის და მისი მეუღლის გამოსახულებით*

მაში, ზოგან კი კომპოზიციური მონახაზსა თუ ფიგურათა პროპორციებში გარკვეულწილად საჩინოა XII საუკუნის ფრესკების გავლენა.[7]

მოხატულობის მეორე ფენაზე, რომელიც დასაკრძალავთათვის დამახასიათებელ სახეებს აერთიანებს, ორი თანადროული, ამასთან ერთმანეთთან დაკავშირებული საქტიტორო კომპოზიციაა ჩართული.[8] დარბაზის დასავლეთ კედელზე, კარის აქეთ-იქით წარმოდგენილია უფლისაგან კურთხეულ გვირგვინოსანთა წყვილი – ახალგაზრდა მეფე დავით VI ნარინი მეუღლესთან, სავარაუდოდ, ბიზანტიის იმპერატორის, მიქაელ VIII პალეოლოგის ასულთან (მარიამთან?) ერთად.[9] მეფის გამოსახულებას-

[7] ქ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

[8] ბ. ლომინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

[9] ქ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 43-47.



სურ. 3. *გელათის მონასტრის მთავარი ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ეკვდერი. საქტიტორო კომპოზიცია დასავლეთ კედელზე, მეფე დავით VI-ის და მისი მეუღლის გამოსახულებით. გრაფიკული ასლი*

სურ. 4. *წარწერა მეფე დავით VI-ის გამოსახულებასთან. გრაფიკული ასლი*

თან თეთრი ფერის საღებავით შესრულებული, ამჟამად საგრძნობლად გამკრთალებული, ორ-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა იკითხება: **ᲫᲘᲤᲘ ᲗᲙᲣ | ᲫᲘ ᲰᲐᲡᲐᲗᲠᲗᲘᲡ – მეფე დ(ავი)თ, ძე რუსუდანისა**.

დედოფლის გამოსახულების მარჯვნივ (ჩრდილოეთით), მოზრდილი სწორკუთხა ნიშის თავზე, მხატვრობის პირველ ფენაზე დღესაც გაირჩევა

სურ. 5. *გელათის მონასტრის მთავარი ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ეკვდერი. შემონაზვნებული მეფე დავით VI-ის გამოსახულება სამხრეთი კედლის დასავლეთ კუთხეში*

მთელი ტანით წარმოდგენილი ფრონტალური ფიგურის მცირე ფრაგმენტები. XX საუკუნის ოციან წლებში გამოსახულება ბევრად უკეთ იყო შემონახული. შესამოსლის მიხედვით, ეს წმინდანის ფიგურა უნდა იყოს.[10]

სამხრეთი კედლის უკიდურეს დასავლეთ კუთხეში, თაღოვანი სარკმლის თავზე, შედარებით ვიწრო სიბრტყეზე წარმოდგენილია დავით VI-ის კიდევ ერთი ფრესკა, სადაც აღმოსავლეთით, საკურთხევლისკენ ვედრებად მიმართული, მხცოვანი მეფე ბერის სამოსითაა მოსილი. მის

[10] ი. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 56 (მოტანილია ე. თაყაიშვილისეული ჩანაწერის ტექსტი).



სურ. 6. *გელათის მონასტრის მთავარი ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ეკვდერი. შემონაზვნებული მეფე დავით VI-ის გამოსახულება სამხრეთი კედლის დასავლეთ კუთხეში. გრაფიკული ასლი*

მარჯვნივ, თავს ზემოთ, ცის სეგმენტიდან გამომავალი უფლის მაკურთხეველი მარჯვენაა. სეგმენტსა და მეფის მავედრებელ მარჯვენა ხელს შორის, ასევე თეთრი ფერის საღებავით შესრულებული, ოთხ სტიქონად განაწილებული ანალოგიური შინაარსის ასომთავრული წარწერა გაირჩევა: **ჯ̅ოფ̅ | ᲨᲠᲯᲝᲥ | ძ̅Თ ᲮᲐ|ᲡᲐᲨᲠᲗᲜᲗ – მეფე | დავით, | ძე რუ|სუდანისი**.

სურ. 7. *წარწერა შემონაზვნებული მეფე დავით VI-ის გამოსახულებასთან. გრაფიკული ასლი.*

სურ. 8. *გელათის მონასტრის მთავარი ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ეკვდერი. საქტიტორო კომპოზიცია კამარის ჩრდილოეთ ქანობზე. დეტალი*

სურ. 9. *გელათის მონასტრის მთავარი ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ეკვდერი. საქტიტორო კომპოზიცია კამარის ჩრდილოეთ ქანობზე. გრაფიკული ასლი*

მართალია, ეს ორი პორტრეტი სხვადასხვა კედელზე, ერთმანეთისადმი ზურგშექცევითაა გამოსახული, მაგრამ ისინი მაინც კომპოზიციურ და შინაარსობრივ მთლიანობად აღიქმება. სახისმეტყველებითი თვალსაზრისით, გამოსახულებები მეფის ორ ცხოვრებას – ამქვეყნიური დიდებით მოსილ ზეობას და ანგელოზებრივ ბუნებას განაცხადებს. ამასთანავე, მსგავსი გადაწყვეტა, ბიზანტიური მხატვრული ტრადიციის შესაბამისად, აღბეჭდავს საძვალეთათვის დამახასიათებელი „კეთილი ცხოვრების“ ფორმულას, როცა გვერდიგვერდ გამოსახავდნენ პიროვნების საერო და სამონაზვნო პორტრეტებს იმის მიუხედავად, იყო თუ არა იგი სინამდვილეში ბერად აღკვეცილი.[11]

[11] ქ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 47-51.

სურ. 10. *მეფეთა მეფის გამოსახულება გელათის მონასტრის მთავარი ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ეკვდერის კამარის ჩრდილოეთ ქანობზე. დეტალი*

* * *

ეკვდერში არის კიდევ ერთი საქტიტორო პორტრეტი. იგი უჩვეულო ადგილზე, კამარის ჩრდილოეთი ქანობის მთელს სიგრძეზეა გაშლილი. მასშტაბური კომპოზიციის მარცხენა ნახევარზე წარმოდგენილია მწვანე ფერის დაბალ კვარცხლბეკზე მდგომი გვირგვინოსნის დიდი ზომის გამოსახულება, რომელიც ასევე აღმოსავლეთითაა ვედრებად მიმართული. მეფეს მოსავს საიმპერატორო ბისონი, რომელიც მანიაკიონითა და ლორონითაა გამშვენებული. გრძელი, წელში ოდნავ გამოყვანილი, ბისონი ერთ დროს მეწამული ფერისა ყოფილა. ფერწერული ფენის დაზიანების გამო დროთა განმავლობაში მას უნაბისფერი მიუღია. ბისონის ქობის



სურ. 11. *მეფეთა მეფის გამოსახულება გელათის მონასტრის მთავარი ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ეკვდერის კამარის ჩრდილოეთ ქანობზე. დეტალი. გრაფიკული ასლი*

ქვემოთ მოჩანს კოჭებამდე დაშვებული ფესვედი სამოსის ქვედა კალთის ზოლი. საიმპერატორო შესამოსლის სხვა ატრიბუტები – მანიაკიონიცა და ლორონიც (რომლის ერთი ბოლო ტრადიციულად ხელზეა გადადებული) ყვითელი ოქრისაა.

მეფეთა მეფეს ადგას დაბალი, სამკუთხად შეტეხილთავიანი გვირგვინი. იგი ყვითელი ოქრისაა და ერთ დროს, როგორც ჩანს, პატიოსანი თვლებით უხვად იყო მოოჭვილი (გვირგვინზე ნახატი ყავისფრითაა შესრულებული). გვირგვინის კონტურისაგან ამჟამად მხოლოდ წითელი ფერის მოსამზადებელი ნახატიღა დარჩა.

გვირგინოსნის დიდი ზომის შარავანდი წითელში გარდამავალი ოქრისფერია, ორმაგი – მუქი ყავისფერი (შიგნით) და თეთრი (გარედან) კონტურით.

სურ. 12. *წარწერა მეფეთა მეფის გამოსახულებასთან*

სურ. 13. *მეფეთა მეფის წარწერის გრაფიკული ასლი*

მეფეთა მეფის წულები წითელია (მეწამული). საიმპერატორო ფერი ამ მხრივ სავსებით შეესაბამება ფრესკაზე წარმოდგენილი პირის დიდებულების, ღმრთივცხებულობის ხაზგასმის სურვილს, ამქვეყნიურ სახეთათვის უჩვეულო ადგილზე – ზესთასოფლიურ წიაღში მისთვის განკუთვნილ ადგილს.

გამოსახულება ამჟამად თითქმის მთლიანადაა ჩამორეცხილი – გვირგვინოსნის ფიგურა მხოლოდ მკრთალი მონახაზისა და ცალკეული ფერადოვანი ლაქების სახითღა მოჩანს. ფიგურის შარავანდის ზემოთ, რამდენადმე მარცხნივ, მოშავო-ლურჯ ფონზე თეთრი ფერის მსხვილი ასომთავრული გრაფემებით შესრულებული წარწერაა: **ᲛᲔᲤᲔᲗᲐ | ᲛᲔᲤᲔ** – **მეფეთა | მეფე**. ტექსტის მეორე ნახევარი ფიგურის მარჯვნივ, იქ, სადაც მეფის სახელი უნდა ყოფილიყო მოცემული, მთლიანად წარხოცილია.

კომპოზიციის მარჯვენა, აღმოსავლეთ ნახევარზე ერთ დროს არსებული, დიდი ზომის ფიგურა ამჟამად, ფაქტობრივად, მთლიანადაა წარხოცილი. თ. ვირსალაძის მითითებით, მეფეთა მეფე ვედრებად ღმრთისმშობლისადმი იყო მიმართული.[12] ამასთანავე, გ. ჩუბინაშვილის სახელობის

[12] რ. მეფისაშვილი, თ. ვირსალაძე, *გელათი. არქიტექტურა, მოზაიკა, ფრესკები* (თბილისი, 1982), გვ. 14 (შდრ. ქ. მიქელაძის დასახ. ნაშრომი,

ქართული ხელოვნების ისტორიისა და რესტავრაციის ცენტრის არქივში ინახება მკვლევრის მიერ ფანქრით შესრულებული ჩანახატი, რომელზეც კომპოზიციის მარჯვენა ნახევარზე ანგელოზის ფიგურაა აღბეჭდილი.

გამოსახულებისაგან შემორჩა მხოლოდ წითელი ფერის მოზრდილი ლაქა მის შუა მონაკვეთზე. გრაფიკული ასლის გადმოღებისას დადასტურდა მარცხენა ფრთის წვერი, რომელზეც მკრთალად გაირჩევა ნაკრტენების ნახატიც.

ფიგურათა უკან გამოსახული, ორ ნაგებობას შორის მსხვილ ნაკეცებად განფენილი ველუმი გამორჩეულ, საზეიმო ელფერს ანიჭებს კომპოზიციას. მუქი წითელი ფერის, ძოწისფერ ველუმზე დრაპირება შავით, ყავისფრითა და თეთრით აღინიშნება.

კომპოზიციის ძირითადი ფონი ამჟამად მუქი ლურჯია; ეს, როგორც ჩანს, ლაჟვარდის ფენის დასადებად გამიზნული შავი ფუძეფერი უნდა იყოს – ამგვარ ხერხს ფერმწერები ასწლეულთა მანძილზე მიმართავდნენ. გამორიცხული არაა, რომ ღია წაბლისფერი, რომელიც ამჟამად მიწის ზოლისაგან შემორჩა, ასევე ფუძეფერი იყოს.

* * *

ჯერ კიდევ ხუთი ათეული წლის წინ, გელათის მთავარი ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ეკვდერის მოხატულობის კვლევისას, ფრესკას გვირგვინოსნის გამოსახულებით ყურადღება მიაქცია თ. ვირსალაძემ. ავტორის ადრეულ, გამოუქვეყნებელ ნაშრომში მითითებულია, რომ აქ გამოსახული უნდა იყოს მეფე დავით VI-ის ვაჟი, ვახტანგ II, რომელიც 1292 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა.[13] მოგვიანო ნარკვევში გამოსახუ-

---

გვ. 38, სადაც იგი იზიარებს თ. ვირსალაძის მოსაზრებას და ამასთან დაკავშირებით საკუთარი არგუმენტები მოჰყავს).

მეფეთა მეფის გვერდით ღმრთისმშობლის ფიგურის არსებობა ერთ-ერთი არგუმენტი იყო თ. ვირსალაძისათვის იმის სავარაუდოდ, რომ ფრესკაზე უკვე გარდაცვლილი ვახტანგ II შეიძლებოდა გამოესახათ – მისი მითითებით, ასეთ შემთხვევაში წმინდანთა დასით გარემოცული მეფე ღმრთისმშობელს წარუდგებოდა, როგორც მამის მეოხი. შესაბამისად, თ. ვირსალაძე ფრესკის შესრულების სავარაუდო მონაკვეთად მიიჩნევდა 1292-1293 წწ. (შესაბამისად – ვახტანგ II-ის და დავით VI-ის გარდაცვალების წლებს).

[13] Т. Вирсаладзе, Роспись Давида Нарина в южном приделе главного гелатско-

ლება დავით VI-სთანაა გაიგივებული.[14] ქ. მიქელაძე ფრესკაზე ვახტანგ II-ის გამოსახულების არსებობას ვარაუდობს.[15] გელათის მონასტრის 900 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ალბომში მითითებულია, რომ ესაა დავით VI-ის ან ვახტანგ II-ის გამოსახულება.[16]

არსებობს გამოსახულების სავარაუდო გაიგივებასთან დაკავშირებული განსხვავებული მოსაზრებებიც: გ. გოქაძის დაკვირვებით, ფრესკაზე მეფე თამარი უნდა იყოს გამოსახული.[17] ეს ვარაუდი მოგვიანოდ გაზიარებულ იქნა ი. ლოლაშვილის,[18] ს. კაკაბაძის[19] და ლ. ტყეშელაშვილის[20]

го храма (второй хронологический слой гелатских росписей). ავტორის მოსაზრებები მოტანილია ქ. მიქელაძის ნარკვევში (დასახ. ნაშრომი, გვ. 42).

[14] რ. მეფისაშვილი, თ. ვირსალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

[15] ქ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 40-43.

[16] *გელათი–900*, გვ. 262.

[17] გ. გოგსაძე, *ნარკვევები გელათის ისტორიიდან* (თბილისი, 1947), გვ. 33-34. მ. გოგსაძის დაკვირვებით, მეფეთა მეფის ფიგურის გვერდით გამოსახულია მამაკაცი და იგი დავით სოსლანი უნდა იყოს. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ კომპოზიციის მარჯვენა ნახევარზე ანგელოზის (მთავარანგელოზის) ფიგურა იყო წარმოდგენილი.

[18] ი. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61-63. ი. ლოლაშვილი მიუთითებს, რომ მეფის ფიგურის მარჯვნივ გამოსახული იყო სამი პირი, თუმცა ეს გამოსახულებები მთლიანად წარიხოცა (იქვე, გვ. 62). ცხადია, ეს დაკვირვებაც გარკვეულ შეუსაბამობაშია რეალობასთან. მეტიც, ავტორის აზრით, მეფეთა მეფის გამოსახულების ჩამოსწვრივ, თაღოვანი ნიშის დასავლეთით წარმოდგენილი, ბიზანტიურ სამეფო სამოსში გამოწყობილი ფიგურა მეფე ვახტანგ II-ის პორტრეტი უნდა იყოს (იქვე, გვ. 62-63, 66). იგი ყურადღებას ამახვილებს ეკვდერის დასავლეთი კედლის ჩრდილოეთ მონაკვეთზე პირველი ფენის მოხატულობისაგან დარჩენილ ფრაგმენტზე არსებულ გამოსახულებაზე და მიიჩნევს, რომ ეს უნდა იყოს „ერთ-ერთი ბაგრატიონთაგანი (ულუ-დავითი?)“ (იქვე, გვ. 62). სინამდვილეში, ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ კუთხეში, მეფეთა მეფის გამოსახულების ჩამოსწვრივ გამოსახულია წმინდა მეომრის ფიგურა ტრადიციულ სამხედრო შესამოსელში, ხოლო დასავლეთი კედლის ჩრდილოეთ მონაკვეთზე, როგორც უკვე აღინიშნა, – წმინდანი.

[19] ს. კაკაბაძე, *ვახტანგ გორგასალი და მისი ხანა* (თბილისი, 1994), გვ. 171-172.

[20] ლ. ტყეშელაშვილი, *გელათი, „მეორე იერუსალიმი, სხვა ათინა“* (ქუთაი-



სურ. 14. *გელათის მონასტრის მთავარი ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ეკვდერი. ჩრდილოეთ კედლის მოხატულობა. თ. ვირსალაძის მიერ 1950-იან წლებში შესრულებული სქემა*

სურ. 15. *მეფეთ მეფე თამარის ფრესკული გამოსახულება ვარძიის მონასტრის მთავარ ეკლესიაში*



სურ. 16. *გარეჯის მრავალმთის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი. მეფეთ მეფე თამარის გამოსახულება. გრაფიკული ასლი*

სურ. 17. *ყინცვისის მონასტრის მთავარი ეკლესია. მეფეთ მეფე თამარის გამოსახულება. გრაფიკული ასლი*

და ჯ. სამუშიას[21] მიერაც. მეფე თამართანაა გაიგივებული გამოსახულება ბაგრატიონთა მოღვაწეობისადმი მიძღვნილ კრებულშიც.[22]

---

[21] ჯ. სამუშია, *თამარ მეფის საფლავის საიდუმლოება* (თბილისი, 2010), გვ. 41-43.

[22] *ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა* (თბილისი, 2003), ტაბ. 34-35.

სურ. 18. *ბეთანიის მონასტრის მთავარი ეკლესია. მეფეთ მეფე თამარის გამოსახულება*

სურ. 19. *მეფეთ მეფე თამარის გამოსახულების ფრაგმენტი გარეჯის მრავალმთის ბერთუბნის მონასტრის მთავარი ეკლესიიდან. გრაფიკული ასლი*

* * *

საველე მუშაობის პროცესში დაკვირვებამ ცხადყო:

1. ნალესობისა და მასზე შესრულებული ფერწერის პირველი ფენა, რომელიც მეფე დავით VI ნარინის მეუღლის ამჟამად დაზიანებული გამოსახულების ქვეშ ჩანს ეკვდერის დასავლეთ კედელზე, ჩრდილოეთ კედელზეც გადადის – აქ მას ფარავს ნალესობის მეორე ფენა, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, დავით VI-ის დროს, XIII საუკუნის მიწურულსაა შესრულებული. აქედან გამომდინარე, მოხატულობის პირველი ფენის შესრულების პერიოდი XII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ვიდრე XIII საუკუნის 90-იან წლებამდე იფარგლება. ნალესობის ფენის დაზიანების გამო კამარის ჩრდილოეთი ქანობის საქტიტორო კომპოზიციის მიმართება ფერწერის პირველ ფენასთან დღეისათვის გაურკვეველია.

2. ყურადღებას იქცევს მეფეთა მეფის სახე. მასზე დაკვირვებით აშკარაა, რომ **აქ ქალია გამოსახული**. შედარებით თხელ, ქალისათვის დამახასიათებელი პროპორციის მქონე, ოვალზე ფონი ერთიანად მოვარდისფრო ოქრითაა დაფარული. იგივე ფერი შემორჩენილია ნიკაპზეც, რაც, ფაქტობრივად, გამორიცხავს წვერის არსებობას. ასეთ შემთხვევაში სავსებით შეიძლება დაგვეშვა ფრესკაზე ახალგაზრდა, უწვერული ჭაბუკის გამოსახულების არსებობა, რომ არა ერთი დეტალი, სახელდობრ, მეფეთა მეფის სახის ოვალის მარცხენა მხარეზე შემორჩენილი **კუბასტის – გათხოვილი ქალის თავსაბურავის** მკრთალი ფრაგმენტი, კერძოდ, მისი დრაპირებული ნაწილი; მარჯვენა ყურთან თითქოს ქსოვილის დაწინწკლული ფრაგმენტებიც გაირჩევა – ამ ადგილზე კუბასტის ფონს ოდნავ მწვანე ფერი გადაჰკრავს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქსოვილი თავდაპირველად მუქი ფირუზისფერი იყო. არანაკლებ საგულისხმო ჩანს ფრესკაზე მკრთალი ნახატითა და აღნაბეჭდის სახით შემორჩენილი **დიდი ზომის წრიული საყურე**, უჩვეულო მამაკაცთათვის, ხოლო ტრადიციული ქალთათვის. საყურის გარე კონტური ამჟამად წაბლისფერია, ხოლო შიგნით ანაბეჭდიღა შემორჩა. ამასთან დაკავშირებით ყველაზე ნიშანდობლივ მაგალითებად ჩნდება მეფე თამარის ფრესკული გამოსახულებები, სადაც იგი, როგორც წესი, სწორედ ამგვარი საყურითაა წარმოდგენილი.[23]

---

[23] ვარძიის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესია, გარეჯის მრავალმთის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის ეკლესია, ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ეკლესია, ბეთანიის მონასტრის მთავარი ტაძარი (Г. Алибегашвили, *Свет-*

* * *

აქვე აუცილებელი ჩანს ყურადღების გამახვილება რამდენიმე საკითხზე:

1. მეფეთა მეფის გამოსახულების ხილვისას, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ფრესკის შესრულების სრულიად უჩვეულო ადგილი – ეკლესიის კამარა, ზეციური სფერო, ტრადიციულად განკუთვნილი ზესთასოფლიური თემებისთვის; ყოველივე ეს მით უფრო უჩვეულოა საერთო-მართლმადიდებლური ტრადიციის ფონზე, რადგან მსგავსი სახის, მასშტაბური სამეფო საქტიტორო კომპოზიციის კამარაზე განთავსების შემთხვევა საქართველოში სხვაგან არაა ცნობილი.[24] ამ გარემოებაზე

ский портрет в грузинской средневековой монуметнальной живописи (Тбилиси, 1979), с. 17-29, таб. 4, 5, 10, 11, 16, 17; A. Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia* (University Park, Pennsylvania, 1998), p. 93ff; Z. Skhirtladze, Les portraits de l'église principale du monastère Natlismtsemeli à Garedja, *Zograf*, N23 (1993-1994), p. 5-14. შდრ.: ნ. ჩოფიკაშვილი, *ქართული კოსტიუმი* (თბილისი, 1964), 156-157, სურ. 92).

მიჩნეულია, რომ ფრესკაზე მამაკაცია გამოსახული. ამასთან დაკავშირებით ქ. მიქელაძე ყურადღებას მიაქცევს რამდენიმე გარემოებას. მისი მითითებით, ქართულ ფრესკებზე მამაკაცებს შედარებით მოკლე, წელთან ოდნავ შევიწროებული კაბა აცვიათ. ქალების კაბა სწორია, ამასთან უფრო გრძელი, კოჭებამდე დაშვებული. განსხვავებულია ფეხსამოსიც – კაცებს შედარებით მოკლე კაბიდან მაღალყელიანი მოგვები მოუჩანთ, ქალებს კი – მხოლოდ ტერფები. მეფეთა გვირგვინი შედარებით სადაა, სწორხაზოვანი მოხაზულობისა, ზოგჯერ ცენტრში წაწვეტებული, მაშინ როცა დედოფლის გვირგვინი უფრო მრუდხაზოვანია და შედარებით მეტად შემკული. ამასთანავე ავტორი თავადვე დასძენს, რომ ეს განსხვავებები ყოველთვის არ დასტურდება (გვ. 36-37). კორპუსის – „ისტორია სახეებში. ისტორიულ პირთა გამოსახულებები ქართულ ხელოვნებაში" – მომზადებისას თავმოყრილი მასალა ცხადყოფს, რომ გამოკვეთილი კანონზომიერება ამ მხრივ მართლაც არ არსებობს.

[24] ამასთან დაკავშირებით სახელდება რამდენიმე მაგალითი ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვადასახვა კუთხიდან და, მათთან ერთად, საქართველოდანაც. ესაა: მეფე ბაგრატ V-ისა და მისი ძის გამოსახულება გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის სამხრეთი კარიბჭის დასავლეთ კედელზე (1360-1393 წწ.) და იმერეთის მეფე ალექსანდრე II-ის ფრესკა ვანის ეკლესიის დასავლეთი კედლის მეორე რეგისტრში (1505-1510

ქ. მიქელაძე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ ფრესკაზე წარმოდგენილი გვირგვინოსანი, ამგვარი განთავსებით, წმინდანთა დასთან იქნა გატოლებული. მართებული ჩანს ავტორის მითითება, რომ ამის მიზეზი უადგილობა ვერ იქნებოდა – გვირგვინოსნის გამოსახულების ამგვარი განთავსებით მისი განღმრთობის, ღვთისსწორობის იდეა იქნა წარმოჩენილი.[25] შესაბამისად, უნდა არსებულიყო სრულიად გამორჩეული წინაპირობები იმისათვის, რათა ქტიტორის – თუნდაც ქვეყნის მმართველის – ფრესკული სახისათვის ამგვარი ადგილი მიეჩინათ. სხვაგვარად მსგავსი არჩევანი ძნელად ასახსნელი იქნებოდა. ამ წინაპირობათაგან ერთ-ერთი, ალბათ ყველაზე მეტად მოსალოდნელი, შეიძლება ყოფილიყო ფრესკაზე წარმოდგენილი მეფეთა მეფის გამოსახვა მისი გარდაცვალების შემდგომ (ამგვარი წინაპირობა ივარაუდება კიდეც[26]), მით უმეტეს, რომ როგორც ქრისტიანულ აღმოსავლეთში საზოგადოდ, ისე საკუთრივ საქართველოში ცნობილია მაგალითები, როცა მოხატულობაში გარდაცვლილი გვირგვინოსნის სახე იქნა წარმოდგენილი, თუმცა კი, მკვიდრი ტრადიციის შესაბამისად, ეკლესიის ინტერიერის ქვედა მონაკვეთზე, სოფლიური თემებისათვის განკუთვნილ არეზე: მეფე გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) გამოსახულებები – ვარძიის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიაში, გარეჯის მრავალმთის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის მთავარ ეკლესიაში, ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, ბეთანიის მონასტრის მთავარ ტაძარში – მისი გარდაცვალების შემდეგ შეიქმნა.[27] არსებობდა თანადროული რეალიებიდან გამომდინარე არაერთი წინაპირობა, რის გამოც კარგა ხნის გარდაცვლილი მეფე მისი ოჯახის ცოცხალ წევრებთან ერთად იქნა გამოსახული (სწორედ ამ წინაპირობათა გამო, გარეჯის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში, გიორგი III-სთან ერთად, წარმოდგენილია დიდი ხნის წინ გარდაცვლილი წინაპრების – ბაგრატ IV-ის (1034-12072 წწ.), დავით IV-ის (1089-1125 წწ.) და დემეტრე

წწ.); ქართულ მაგალითთა მოხმობისას, ისიცაა ხაზგასმული, რომ ამ შემთხვევაში გამოსახულებები წარმოდგენილია კედლის ზედა მონაკვეთებზე, მაგრამ არა კამარაზე (ქ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 35).

[25] ქ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

[26] იქვე, გვ. 40.

[27] Г. Алибегашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 17 და შემდ.; A. Eastmond, დასახ. ნაშრომი, გვ. 93-169.

II-ის (1125-1156 წწ.) გამოსახულებათა – რიგი[28]). ამასთანავე, ცნობილია სხვა მაგალითებიც – გარეჯის მრავალმთის ბერთუბნის მონასტრის მთავარ ეკლესიაში მეფე თამარი, როგორც ჩანს, გარდაცვალების შემდეგ უნდა იყოს გამოსახული.[29] ამისაგან განსხვავებით, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მეფე დემეტრე II-ის (1271-1289 წწ.) ფრესკა გარეჯის მრავალმთის უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიაში მისი მოწამებრივად აღსრულების შემდეგ შეიქმნა.[30] საფარის მონასტრის წმ. საბას ეკლესიის ფრესკაზე სამცხის მმართველი ოჯახის საქტიტორო რიგის თავში წარმოდგენილი სარგის-ყოფილი საბას (1266-1285 წწ.) გამოსახულება ასევე გვიანია და XIV საუკუნის დასაწყისშია შექმნილი.[31] პიროვნე-

---

[28] Z. Skhirtladze, Les portraits, გვ. 5-14; А. Вольская, Росписи Пещерных монастырей Давид-Гареджи, *გარეჯი (კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, VIII)* (თბილისი, 1988), გვ. 145-146; A. Eastmond, დასახ. ნაშრომი, გვ. 124-141.

[29] ტრადიციულად მიჩნეული იყო, რომ ბერთუბნის მთავარი ეკლესიის მოხატულობა შესრულდა მეფეთ მეფე თამარის სიცოცხლეში, XIII საუკუნის პირველ წლებში (Г. Чубинашвили, *Пещерные монастыри Давид Гареджи* (Тбилиси,1948), с. 68; А. Вольская, Гареджийская живописная школа. Росписи Бертубани, С*редневековое искусство. Русь, Грузия* (Москва, 1978), с. 92-105; Г. Алибегашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 25-29; A. Alpago-Novello, V. Beridze, J. Lafontaine-Dosogne, E. Hybsch, G. Ieni, N. Kauchtschuschvili, *Art and Architecture in Medieval Georgia* (Milan-Louvain la Neuve-Tbilissi, 1980), p. 97, 170, 172; З. Схиртладзе, *Роспись Пещерного храма в Бертубани (исследования по истории грузинской монументальной живописи начала XIII в.), Автореферат кандидатской диссертации* (Тбилиси, 1987); A. Eastmond, დასახ. ნაშრომი, გვ. 172-178. მხატრობასთან დაკავშირებული იკონოგრაფიული, მხატვრული და ტექნოლოგიური მონაცემები სავარაუდოს ხდის, რომ ფრესკები მეფეთ მეფე თამარის გარდაცვალების შემდეგ, მეფე გიორგი IV ლაშას ზეობის წლებში (მოსალოდნელია 20-იანი წლების დასაწყისში) უნდა იყოს შექმნილი.

[30] მ. ბულია, სამწირველოები მონასტერში. უდაბნოს ხარების ეკლესია და მისი მოხატულობა, კრებულში: *სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში. გარეჯა და ქრისტიანული აღმოსავლეთი* (თბილისი, 2001), გვ. 240-247.

[31] გ. ხუციშვილი, *საფარის კედლის მხატვრობა* (თბილისი, 1988), გვ. 70-78.

ბის გარდაცვალების შემდგომ მისი გამოსახვა ზეციურ საუფლოში და ზეციურ სახეთა შორის არასდროს ყოფილა უცხო მართლმადიდებელი სამყაროს სახვითი ტრადიციისათვის, მაგრამ სულკურთხეულ მეფეთა სახეების განთავსება ასეთ ადგილზე, ზეციურ სფეროში, სწორუპოვარი და უჩვეულოა.

2. გამოსახულების სხვადასხვა გვირგვინოსანთან გაიგივებისას გარკვეული კითხვები ჩნდება. სახელდობრ:

თუკი ფრესკაზე წარმოდგენილია დავით VI, მაშინ: **ა.** რას უნდა განეპირობებინა ერთ ეკვდერში მისი მესამე სახის წარმოდგენა, მით უმეტეს მესამე პორტრეტის განთავსება ასეთ უჩვეულო ადგილზე;[32] **ბ.** მეფის ზეობის განმაცხადებელი გამოსახულება მეუღლესთან ერთად ეკვდერის დასავლეთ კედელზე იქნა წარმოდგენილი, ხოლო საბერო მოღვაწეობისა – ჩრდილოეთ კედელზე. შესაბამისად, მესამე გამოსახულების შესრულება, მით უფრო მისთვის განკუთვნილი ადგილის გათვალისწინებით, მხოლოდ მეფის გარდაცვალების შემდგომ იქნებოდა მოსალოდნელი. ასეთ შემთხვევაში კიდევ უფრო უჩვეულო ჩანს ეკვდერის მოხატულობაში დავით VI-ის სამი გამოსახულების არსებობასთან დაკავშირებული ვარაუდი – გამოდის, რომ სიცოცხლეში იგი გამოსახეს როგორც სამეფო ლორონით, ისე საბერო სქემით მოსილი, გარდაცვალების შემდეგ კი – კვლავ სამეფო სამოსით (ამასთან, ამჯერად დასავლეთ კედელზე შესრულებული გამოსახულებისაგან განსხვავებული გვირგვინით); **გ.** ახსნას მოითხოვს ისიც, თუ რატომ უნდა გამოესახათ დავით VI ეკლესიის დარბაზის კამარის არა სამხრეთ ქანობზე, არამედ ჩრდილოეთით, მისი განსასვენებლის საპირისპირო მხარეს, სხვა გვირგვინოსნის სამარხის თავზე.

ეკვდერის ფრესკაზე წარმოდგენილი გვირგვინოსნის ვახტანგ II-სთან გაიგივებისას უცნაური ჩანს მისი ამგვარი გამორჩევა, სახელდობრ, სწორუპოვარი აღმატებით წარმოჩენა ახალგაზრდა მეფისა, რომელმაც

[32] ამასთან დაკავშირებით მართებულია ქ. მიქელაძის მითითება – „ძნელი წარმოსადგენია, რომ მეფეს, რომელიც ბერად შედგა, ან ყოველ შემთხვევაში ამისთვის ემზადებოდა, თავისი ერისკაცობის პორტრეტი წმინდანთა გვერდით გამოესახა“. და კიდევ – მისი აზრით, დარბაზის კამარის ქანობზე დავით VI-ის სახე რომ ყოფილიყო წარმოდგენილი, მაშინ უფრო მართებული იქნებოდა იგი სწორედ იქ გამოესახათ შემონაზვნებული, ანგელოზებრივი ბუნებისა (ქ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 38-39).

დახლოებით სამი წელი იმეფა (1289-1292 წწ), ამასთან, რამდენადაც წყაროებიდანაა ცნობილი, მონღოლთა ბატონობის პირობებში მისი მმართველობა არაფრით ყოფილა გამორჩეული – სამეფო ტახტზე იგი ერანის ილხანთა ნებართვითა და ხუტლუბუღას ძალისხმევით ავიდა და არღუნ ყაენის ქალიშვილი ოლჯათი შეირთო. ჟამთააღმწერლის მიერ კეთილად დახასიათებული ახალგაზრდა მეფე სამართლიანობითა და ლმობიერებით ყოფილა გამორჩეული, თუმცა სახელმწიფოს მმართველობა ხელთ ათაბაგისა და ამირსპასალარის სახელოს მქონე ხუტლუბუღას ეპყრა და, ფაქტობრივად, იგი განაგებდა ქვეყანას, რაც გარკვეული პერიოდის შემდეგ ვახტანგ II-სა და ხუტლუბუღას შორის კონფლიქტის მიზეზიც გამხდარა. სწორედ ამის გამო, მას დავითი, დემეტრე II-ის ძე, დაუპირისპირეს და სამეფოს ორწლიანი მმართველობის შემდეგ მისი მეფობა კვლავ მონღოლთა გადასაწყვეტი შეიქნა. რომ არა ქართველ დიდებულთა წინააღმდეგობა და ახალგაზრდა მეფისადმი ილხანთა კეთილგანწყობა, ხუტლუბუღა თავის განზრახვას განახორციელებდა (მით უფრო, რომ მან ეს შემდგომშიც სცადა). თუმცაღა, ვითარება უცბად შეიცვალა – ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ვახტანგი მოულოდნელად გარდაიცვალა.[33] ახალგაზრდა მეფეს სიცოცხლეში პატივი და სიყვარული არ მოჰკლებია, თუმცა მისი ხანმოკლე მეფობა, ფაქტობრივად, სამეფო ტახტისათვის ბრძოლაში გავიდა და რაიმეთი აღმატებული არ ყოფილა.[34]

---

[33] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, *თხზულებები*, ტ. III (თბილისი, 1982), გვ. 120-124.

[34] ამის თაობაზე განსახვავებული მოსაზრება აქვს ქ. მიქელაძეს (დასახ. ნაშრომი, გვ. 42). მისი მითითებით, მართალია ვახტანგმა სამი წელი იმეფა და, შესაბამისად, ვერ იქნებოდა წინაპართა თანაფარდი, მაგრამ იგი, ფაქტობრივად, ერთიანი საქართველოს მეფე იყო. ამასთან დაკავშირებით ავტორი ყურადღებას მიაქცევს ჟამთააღმწერელის ცნობას – „დაიპყრო ყოველი საქართველო ნიკოფსით დარუბანდამდე ... და განიხარეს ყოველთა მკუიდრთა საქართველოსათა“. ქ. მიქელაძე თავადვე აღნიშნავს, რომ ამ პასაჟში ქვეყნის საზღვრები გადამეტებულია, თუმცა კი ხაზს უსვამს იმას, რომ მემატიანის თხზულებაში ასახულია არა იმდენად არსებული რეალობა, რამდენადაც მომავლის იმედი. ავტორი ხაზს უსვამს, რომ მართალია, ვახტანგ II-მ ბევრი ვერ მოასწრო, მაგრამ „ვიდრე იყო, იყო იმედი ერთიანობისა და სიძლიერისა“.

3. საგულისხმო ჩანს საქტიტორო გამოსახულებათა განმარტებით წარწერებში დადასტურებული რეალიებიც, სახელდობრი კამარაზე წარმოდგენილი გვირგვინოსნის ტიტულატურა – **მეფეთა მეფე**. მეფე დავით VI ორივე გამოსახულების თანმხლებ წარწერებში – როგორც ჩრდილოეთი კედლის ფრესკაზე (სადაც იგი საბერო შესამოსელშია), ისე, განსაკუთრებით, დასავლეთი კედლის წყვილად პორტრეტში (სადაც ღვთივკურთხეულ გვირგვინოსანთა ამსახველი კომპოზიციის აშკარად საზეიმო, რეპრეზენტატიული ხასიათი სავსებით ნათელია) – იგი მხოლოდ *მეფედ* და *რუსუდანის ძედ* იწოდება,[35] მაშინ როდესაც კამარის ჩრდილოეთ ქანობზე გამოსახული გვირგვინოსნის თანმხლებ წარწერაში ხაზგასმულია მისი სამეფო რეგალიები და ტიტული – *მეფეთა მეფე*.

ეკვდერის ფრესკული გამოსახულების ვახტანგ II-სთან გაიგივებისას სხვა კითხვებიც ჩნდება; სახელდობრ – რას უნდა განეპირობებინა ადრე გარდაცვლილი, სრულიად ახალგაზრდა, მეფის ამგვარი გამორჩევა ასეთი ტიტულატურით, მაშინ როცა მამამისი იქვე წარმოდგენილი ორივე გამოსახულების თანმხლებ წარწერებში მხოლოდ *მეფედ* იწოდება (თუმცა მას ჰქონდა მეფეთა მეფის ტიტული). თავად ვახტანგ II-ის ტიტულატურის შესახებ წყაროებში ცნობები მწირია, თუმცაღა ყველგან მეფედაა წოდებული.[36]

---

[35] მართებულია მოსაზრება, რომ ორივე გამოსახულების თანმდევ ფრესკულ წარწერებში დავით VI-ის ამგვარად მოხსენიებით ხაზგასმულია სამეფო კარის მემკვიდრეობითობა, აგრეთვე მისი, როგორც მეფის ლეგიტიმურობა (ქ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 39).

[36] ჟამთააღმწერელი, *ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ* (თბილისი, 1959), გვ. 293-297; *პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, ტ. I, გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა* (თბილისი, 1991), გვ. 293; ერთადერთი, დღეისთვის ცნობილი საბუთი, რომელსაც ვახტანგ II ამტკიცებს, დავით მეფის მიერ თულაისძისათვის ბოძებული წყალობის სიგელია (ხეც. Hd-1331) – შდრ. *ქართული ისტორიულ საბუთების კორპუსი, ტ. I, IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა* (თბილისი, 1984), გვ. 180-182.

ქ. მიქელაძე (დასახ. ნაშრომი, გვ. 42) მიუთითებს, რომ ვახტანგ II ერთიანი საქართველოს მეფე იყო, ამიტომ შესაძლებელად მიაჩნია, რომ

4. ეკვდერში არსებულ გამოსახულებათა გაიგივებისას დღემდე არ ყოფილა ყურადღება გამახვილებული მათი განმარტებითი წარწერების პალეოგრაფიაზე.

დავით VI-ის ორივე გამოსახულებასთან არსებული წარწერები ერთნაირია: მსხვილი ფუნჯით რამდენადმე დაუდევრად მოხაზული, თხევადად დატანილი თეთრი ფერის საღებავით შესრულებული. მათთან შედარებით, მეფეთა მეფის გამოსახულების განმარტებითი წარწერა არა მარტო უფრო კორპუსულია, არამედ ბევრად უფრო გულდაგულ გამოყვანილი, ამასთან მოხდენილი მოხაზულობისა, დახვეწილი, თანაც დეკორატიულად გაფორმებული. განსხვავებულია ქარაგმის ნიშანიც. შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ დავით VI-ისა და კამარაზე წარმოდგენილი მეფეთა მეფის გამოსახულებათა წარწერები სხვადასხვა ოსტატის მიერაა შესრულებული. ამასთან დაკავშირებით ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ასოთა მოხაზულობით, პროპორციებითა და გაფორმებით მეფეთა მეფის წარწერა აშკარად სხვაობს ეკვდერის მოხატულობის მეორე ფენის გამოსახულებათა თანმხლები განმარტებითი წარწერებისაგან.[37]

5. XII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული XIII საუკუნის მიწურულამდე საქართველოს ისტორიაში ორი გვირგვინოსანი ქალია ცნობილი – თამარი (1184-1210 წწ.) და მისი ასული, რუსუდანი (1222-1245 წწ.). კარგადაა ცნობილი თანამედროვეთა თუ მომდევნო თაობათა დამოკიდებულება ორივეს მიმართ. ასეთი გამორჩეული ადგილი – კამარა, ზეციური ზონა მეფეთ მეფის სახისათვის ამ მხრივ მრავლისმეტყველი ჩანს.

6. გელათის მონატრის მთავარი ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ეკვდერთან და იქ არსებულ სამარხებთან დაკავშირებული სხვადასხვა მასალა – წყაროები, გადმოცემები, მოგზაურთა და სიძველეთა მოყვარულთა ჩანაწერები, სამეცნიერო კვლევათა შედეგები – გელათის მონასტრის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, თუმცა კი დღემდე პრობლემური მხარეა. ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ეკვდერზე, როგორც მეფე თამარის სავარაუდო განსასვენებელზე, არაერთხელ გაუმა-

---

ტიტული *მეფეთ მეფე* მისი გამოსახულების თანმდევ წარწერაშიც ყოფილიყო აღბეჭდილი.

[37] შდრ.: „წარწერათა შორის განსხვავება, თითქოს უფრო იმას უნდა მიანიშნებდეს, რომ ამ შემთხვევაში სხვადასხვა ისტორიული პირის პორტრეტთან გვაქვს საქმე“ (ქ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 38).

ხვილებიათ ყურადღება.[38] სწორედ ამ მიზნით გაუთხრია იგი ექვთიმე თაყაიშვილს 1920 წლის 26 ივლისს. გათხრებთან დაკავშირებული მასალები დიდი ხანია, რაც გამოქვეყნდა.[39] მიუხედავად ამისა, დღემდე გაურკვეველი რჩება საკითხთა მთელი რიგი, მათ შორის – ვინ უნდა ყოფილიყო ეკვდერის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში არსებულ აკლდამაში თავდაპირველად დაკრძალული, ისევე როგორც ვინ უნდა გამოესახათ აკლდამის ასწვრივ, უჩვეულო ადგილზე – კამარის ქანობზე შესრულებულ ფრესკაზე. ყოველივე ამასთან დაკავშირებით, მოტანილი მასალები გარკვეული დასკვნებისათვის საგულისხმო ჩანს.

ბიბლიოგრაფია

References

M. Alavidze, Chapel of Queen Tamar in Gelati, *Kutaisi*, 17 May, 1958, N94 (in Georgian).

G. Alibegashvili, *Secular Portrait in Medieval Georgian Monumental Painting* (Tbilisi, 1979) (in Russian).

A. Alpago-Novello, V. Beridze, J. Lafontaine-Dosogne, E. Hybsch, G. Ieni, N. Kauchtschuschvili, *Art and Architecture in Medieval Georgia* (Milan-Louvan la Neuve-Tbilisi, 1980).

Annotated Dictionary of Historical Persons, According to the 11th-17th-centuries Historical Documents, vol. I, Published by D. Kldiashvili, M. Surguladze, E. Tsagareishvili, G. Jandieri (Tbilisi, 1991) (in Georgian).

---

[38] А. Муравьев, *Грузия и Армения*, ч. III (Санкт-Петербург, 1848), с. 159-213; Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, *Записки общества любителей кавказской археологии*, кн. 1 (Тифлис, 1875), с. 1017-1018; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II (თბილისი, 1983), გვ. 291; გ. გოგსაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 33-38; ბ. ლომინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 44-46; მ. ალავიძე, თამარ მეფის ეკვდერი გელათში, *ქუთაისი*, 1958, 17 მაისი, №94; კ. გრიგოლია, თამარ მეფის საფლავის საიდუმლოება, *ცისკარი*, 1966, №9, გვ. 91-101; ი. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51-69; ბ. ლომინაძე, რატომ დაიკარგა თამარ მეფის საფლავი გელათში, *ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე*, №4 (1995), გვ. 92-104.

[39] ი. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 54 და შემდ.

D. Bakradze, The Caucasus in the Old Monuments of Christianity, *Proceedings of the Society of Lovers of Caucasian Archaeology,* vol. 1 (Tbilisi, 1875) (in Russian).

M. Bulia, Commemorative Chapels in the Desert Monastery: The Church of Annunciation in Udabno and Its Wall Painting, in: Z. Skhirtladze, ed., *Desert Monasticism. Gareja and the Christian East* (Tbilisi, 2001), p. 240-251 (in Georgian).

N. Chopikashvili, *Georgian Dress* (Tbilisi, 1964) (in Georgian).

G. Chubinashvili, *Cave Monasteries of David Gareji* (Tbilisi, 1948) (in Russian).

A. Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia* (University Park, PA., 1998).

T. Enukidze, V. Silogava, N. Shoshiashvili eds., *Corpus of Georgian Historical Documents vol. I, 9th-13th cc.* (Tbilisi, 1984) (in Georgian).

Gelati – 900. Architecture, Painting, Treasury (Tbilisi, 2007) (in Georgian).

G. Gogsadze, *Essays on the History of Gelati* (Tbilisi, 1947) (in Georgian).

K. Grigolia, The Mystery of the Tomb of Queen Tamar, *Tsiskari*, 1966, N9, p. 91-101 (in Georgian).

S. Kakabadze, *Ecclesiastic Documents of West Georgia* (Tbilisi, 1921) (in Georgian).

G. Khutsishvili, *Sapara Murals* (Tbilisi, 1988) (in Georgian).

I. Lolashvili, *The Tomb of Queen Tamar in Gelati* (Tbilisi, 1989) (in Georgian).

B. Lominadze, *Gelati* (Tbilisi, 1955) (in Georgian).

B. Lominadze, Why the Tomb of Queen Tamar was Lost in Gelati, *Bulletin of Kutaisi University*, N4 (1995), p. 92-104 (in Georgian).

R. Mepisashvili, *Gelati Architectural Complex* (Tbilisi, 1966) (in Russian).

R. Mepisashvili, T. Virsaladze, *Gelati. Architecture, Mosaic, Frescoes* (Tbilisi, 1982) (in Georgian and Russian).

R. Metreveli ed., *Bagrationis. Scientific and Cultural Heritage* (Tbilisi, 2003) (in Georgian).

K. Mikeladze, *Murals of the Chapel of David Narin in the Main Church of Gelati Monastery*, PhD Thesis (Tbilisi, 2001) (in Georgian).

A. Muraviev, *Georgia and Armenia* (St.-Petersburg, 1848) (in Russian).

J. Samushia, *The Mystery of the Tomb of Queen Tamar* (Tbilisi, 2010), (in Georgian).

T. Virsaladze, *Main Stages of the Development of Medieval Georgian Monumental Painting, II International Symposium on Georgian Art* (Tbilisi, 1977), offprint (in Russian).

T. Virsaladze, Fragments of Old Fresco Painting in the Main Church of Gelati Monastery, *Ars Georgica*, 5 (1959), p. 163-204 (in Russian).

T. Virsaladze, Murals of David Narin in the South Chapel of the Main Church of Gelati Monastery (The Second Chronological Layer of Gelati Murals) (Manuscript), (Tbilisi) (in Russian).

Z. Skhirtladze, *The Mural Painting of Bertubani Cave Church,* PhD Thesis (Tbilisi, 1987) (in Russian).

Z. Skhirtladze, Les portraits de l'église principale du monastère Natlismtsemeli à Garedja, *Zograf*, N23 (1993-1994), p. 5-14.

A. Volskaia, Murals of Cave Monasteries of David Gareji, in: *Gareji (Proceedings of the Kakheti Archaeological Expedition, VIII)* (Tbilisi, 1988), p. 130-155 (in Russian).

A. Volskaia, Gareja School of Painting. Bertubani Murals, in: *Medieval Art. Russia. Georgia* (Moscow, 1978), p. 92-105 (in Russian).

I. Javakhishvili, History of the Georgian Nation, in: id., *Works*, vol. III (Tbilisi, 1982) (in Georgian).

The Chronicle of One Hundred Years, in: *Kartlis Tskhovreba [The Life of Kartli/Georgia], vol. II, Published by S. Qaukhchishvili* (Tbilisi, 1959) (in Georgian).

Zaza Skhirtladze

Fresco of the King of Kings in the South-Eastern Chapel of the Main Church of Gelati Monastery

Matrials for Possible Identification

A fairly large chapel, located to the east of the south porch of the main church of Gelati monastery was built in the second half of the twelfth century. In the eighteenth century, it was re-consecrated in the name of the Apostle Andrew. Another name of this chapel is also well known, related to Queen Tamar (1184-1210). In the scholarly literature the edifice is also known as a 'chapel of Davit Narin'. Indeed, King Davit VI Narin (1246-1293) is buried in

this chapel; his grave is at the south wall of the nave. There is another grave in the chapel, located in its north-western corner. Next to it, in the north section of the western wall (along the grave) a special arched bay is created.

The chapel was painted twice: the first layer of the painting must have been executed soon after its building (at some time in the second half of the twelfth century). As to the second layer done on new plaster, it is dated to 1292-1293.

Three donor images feature in the murals, of which two belong to David VI. Represented on the western wall of the nave, on either side of the door is a couple of God-blessed sovereigns: the young King Davit VI Narin with his spouse, conjecturally the daughter (Maria?) of the Byzantine Emperor Michael VII Palaeologus. In the westernmost corner of the south wall, above the arched window, another fresco image of Davit VI is represented: the aged king clad in a monk's apparel facing east, directed to the chancel in supplication. Both images are accompanied by an *asomtavruli* inscription: **Mepe Davit dze Rusudanisa –** *King Davit, son of Rusudan*.

There is one more donor portrait in the chapel. It is placed in an unusual place on the north slope of the vault. The composition occupies the entire length of the northern slope of the vault. A large image of a sovereign with a crown apparently lavishly embellished with precious stones and imperial *loros* adorned with *maniakion* and *loros*, standing on a green color low pedestal, is represented in the left half of the large-scale composition. The figure is turned eastward in supplication.

The image is at present almost completely washed out: the figure is visible only as a pale outline and separate color patches (blots). Above the halo of the figure is an inscription executed in white large *asomtavruli* letters: **mepet mepe** – *King of Kings*. The second half of the text, to the right of the figure, where the king's name must have been, is entirely obliterated.

The erstwhile large figure in the right-hand, eastern half of the composition is at present almost completely erased. According to the surviving small fragments, as well as T. Virsaladze's sketch executed in the mid-twentieth century, the Archangel was represented there.

The vellum spread in thick folds between two buildings depicted behind the figures imparts a festive air to the composition.

Different views have been expressed at various times on the identification of the image. It was believed to be the son of David VI, his co-regnant from 1279, Vakhtang II who died quite young in 1292 (T. Virsaladze, K. Mikeladze)

or David VI himself (T. Virsaladze). At the same time, the view exists of Queen Tamar being depicted on the fresco (G. Gogsadze, I. Lolashvili, T. Tqeshelashvili, J. Samushia).

In the process of the work of two expeditions organized in Gelati monastery in 2005-2006 by the Centre for the Study of Ecclesiastic Art, Georgian Patriarchate, in making a graphical copy of the image and its study, the following came to light:

1. The first layer of plaster and the painting executed on it are visible under the at present damaged image of the spouse of Davit Narin on the western wall of the chapel, passing on to the northern wall as well – here it is covered with another layer which, as already noted, was executed in the time of Davit VI, at the end of the thirteenth century. Hence, the period of the execution of the first layer is limited from the second half of the twelfth century to the 1290s. Owing to the damage of the layer of plaster the relation of the donor composition of the north slope of the vault to the first layer painting remains uncertain.

2. The examination of the image of the King of Kings shows clearly that here a woman is depicted. The relatively thin ground on an oval with a proportion characteristic of a female is covered entirely with pinkish ochre. The same color survives on the chin, which actually rules out the presence of a beard. In this case one could safely assume the presence of the image of a beardless youth on the fresco, were it not for one detail, namely, the pale fragment of a draped part of a so-called *kubasti* – a headgear of a married woman, surviving on the left side of the oval of the image. At the right ear a fragment of speckled fabric seems to be discernible: at this place the ground of the *kubasti* has a slightly green hue. The impression is formed of the fabric originally having been dark turquoise. No less significant is the large-sized circular earring, surviving as a pale drawing and imprint, being unusual for men but traditional for women. The outer contour of the earring is at present chestnut-coloured, with an imprint without colour surviving inside. In this connection the fresco images of Queen Tamar remain as the most noteworthy examples, on which she is, as a rule, represented with an earring of analogous type.

Here it seems necessary to focus attention on several questions.

1. The vault of the church or the chapel – the heavenly sphere, traditionally assigned for themes of the heavenly universe is unusual for the donor composition especially against the background of the Christian Orthodox

tradition. Hence, there must have existed certain special preconditions for assigning such a place to the donor portrait – even the ruler of the country. Otherwise it would be difficult to account for such a decision. Of these preconditions one – and probably the most likely – may have been the depiction of the King of Kings after his/her demise; the more so, as examples are known both in the Christian East, in general, and in Georgia, in particular, when the image of a deceased sovereign was presented in the painting; however, conformably to a firm tradition, this was done in the lower section of the church interior, that is, in the area assigned for earthly themes.

2. Questions arise at identifying an image with various sovereigns, thus:

If King Davit VI is represented in the fresco, then: **a.** What could have prompted representation of his third image in one chapel, the more so, placement of a third portrait at such an unusual place? **b.** The execution of a third image, bearing in mind the place assigned for him, would have been expected only after the decease of the king. In this case, it follows that in his lifetime David VI was depicted as clad both in the royal garment and monk's schema, and after his demise – again in royal garment. **c.** Why should Davit VI be depicted not on the south slope of the vault of the nave of the chapel but at the north, on the opposite side of his resting-place, at the end of the grave where another sovereign should be accounted for.

In identifying the sovereign represented on the fresco of the chapel with King Vakhtang II, this special choice seems rather strange, namely putting forward (with such unparalleled elevation) the young king who reigned for about three years (1289-1292). At the same time, as far as is known from the sources, his rule was not distinguished in any way in conditions of the Mongol sway.

3. King Davit VI in both inscriptions accompanying his images is referred to only as king and son of Queen Rusudan (1222-1245), while in the inscription attending the sovereign depicted on the north slope of the vault his royal regalia and title *King of kings* are stressed.

In identifying the fresco image of the chapel with Vakhtang II other questions also arise, namely what should have caused the singling out with such a title of a young king dying so young, while in the same chapel his father, in the attending inscriptions is called only king? Evidence on the title of Vakhtang II in the sources is meager, though he is everywhere referred to as king.

4. The inscriptions of both images of King Davit VI are identical: done with

a thick brush, somewhat carelessly outlined using white paint. In comparison with these, the explanatory inscription to the image of the King of Kings is not only more rounded but more carefully done, of more elegant outline, refined and decoratively adorned. The sign of abbreviation also differs. One can assume that the inscriptions to the images of Davit VI and King of Kings on the vault were done by different masters. In this connection it should also be noted that the inscription of the image of King of Kings differs clearly by the outline of letters, their proportions and design from the explanatory inscriptions attending the images of the second layer of the murals in the chapel.

5. From the second half of the twelfth to the end of the thirteenth century two female sovereigns are known in Georgian history: Tamar (1184-1210) and her daughter Rusudan (1222-1245). The attitude of the contemporaries and subsequent generations to them is well known.

6. Diverse material connected with the south-east chapel of the main church of Gelati monastery and burials found there: sources, traditions, records by travellers and lovers of antiquities, scholarly research results – constitute one of the most significant, though to the present day problematic, sides of the history of Gelati monastery. Attention has many times been focused on the south-eastern chapel of the church as the conjectural resting-place of Queen Tamar. This prompted Ekvtime Taqaishvili to excavate it on 26 July 1920. The materials connected with the excavations have since been published. Nevertheless, a whole set of questions remain unclear to the present day, including that of who might have been buried in the crypt in the north-western corner of the chapel, as well as who was depicted immediately above the crypt – on the fresco executed on the slope of the vault.

All material adduced in this connection appears significant for a definite conclusion.

თეო ჯალაღანია

გარემოს გავლენა საცხოვრებელი არქიტექტურის თავისებურებებზე: აწმყო და წარსული

ადამიანი გარემოში არსებობს: სახლი, ქუჩა, სოფელი, ქალაქი – ეს ყველაფერი ადამიანის ხელით შექმნილი ან ბუნებრივი გარემოა. ცხადია, რომ ხელოვნებაც მჭიდროდაა დაკავშირებული გარემოსთან. განსაკუთრებით მკაფიოდ ეს კავშირი თავს იჩენს მაშინ, როდესაც საუბარია არქიტექტურაზე, იგი ხომ, სახვითი ხელოვნების სხვა დარგებისაგან განსხვავებით, არა მხოლოდ ადამიანის ესთეტიკურ მისწრაფებათა ნაყოფია, არამედ პრაქტიკული აუცილებლობაც, ვინაიდან მისი მიზანი ადამიანის არსებობისთვის საჭირო ხელოვნური გარემოს შექმნაა. ამიტომ არქიტექტურა ყოველ ეპოქაში, თავისი განვითარების მთელ მანძილზე, ხელოვნების, საინჟინრო მეცნიერებისა და საამშენებლო ტექნოლოგიების ერთიანობა იყო. ამის შესახებ ჯერ კიდევ ძვ. წ. I საუკუნეში წერდა ვიტრუვიუსი, როდესაც თავის ნაშრომში „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ“ არქიტექტურის არსს განმარტავდა შემდეგი ფორმულით: „სარგებლობა, სიმყარე, სილამაზე“.[1]

ცხადია, რომ თავისი დანიშნულების საუკეთესოდ შესრულებისათვის არქიტექტურული ნაწარმოების აგებისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა პირობა, რომელსაც აყენებს გარემო – ის მატერიალური სიტუაცია, რომელშიც უნდა ჩაეწეროს და არსებობდეს ნაგებობა, ხშირად ხომ წინასწარ განსაზღვრავს ხუროთმოძღვრული ჩანაფიქრის ხასიათს, მის თავისებურებას.

ამიტომაც, ხელოვნების ყველა სხვა დარგებთან შედარებით, არქიტექტურაზე გარემოს გავლენის პირდაპირი შედეგები განსაკუთრებით ნათლად შეგვიძლია დავინახოთ. მაგალითად, შევადაროთ ერთმანეთს სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციული საცხოვრებელი არქიტექტურის ნიმუშები (სურ. 1, 2, 3). საკმარისია ერთდროულად წარმოვიდგინოთ აფრიკული ქოხი, არაბული სახლი, ტროპიკული ქოხი და რუსული „იზბა“ (თუნდაც

1 Vitruvius, *Ten Books on Architecture* (Cambridge, 2001).

სურ. 1. *ცენტრალური აფრიკა, ტრადიციული საცხოვრებელი*



სურ. 2. *ტრადიციული არაბული საცხოვრებელი სახლი*

ზედაპირულად), მაშინვე შევამჩნევთ, რომ განსხვავებულია მასალა, გადახურვის ფორმები, ღიობების ზომა, რაოდენობა და განლაგება, დაგეგმარება, რაც სწორედ გარემოსა და კლიმატური პირობების სხვაობითაა

სურ. 3. *ტროპიკული ზონის საცხოვრებლის ტიპი*

გამოწვეული და მის მოთხოვნებს პასუხობს. შედეგად კი ვიღებთ სავსებით განსხვავებულ მხატვრულ სახეებსა და ესთეტიკურ შთაბეჭდილებებს.

მაინც, რა პირობებს აყენებს გარემო არქიტექტორის წინაშე? პირველ რიგში უნდა აღინიშნოს იმ პეიზაჟის ხასიათი, სადაც უნდა განლაგდეს ნაგებობა – მაგალითად, ნათელია, რომ მთის კენწეროზე ან კლდის ქარაფზე განლაგებული შენობა და ველზე განლაგებული ნაგებობა სრულიად სხვადასხვაგვარ გადაწყვეტას მოითხოვს. რელიეფის თავისებურების გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ნიადაგსაც: მყარი გრუნტი (ქვა, კლდე, მაგარი თიხა) სხვაგვარ საძირკველს, მასალას და ტექნიკებს ითხოვს და სხვა ზომის, ფორმისა და მასშტაბების ნაგებობებს შეეფერება, ვიდრე ცუდი გრუნტი – ქვიშა, ტორფი და სხვ. გარდა ამისა, ნაგებობის შექმნისას დიდი მნიშვნელობა აქვს არქიტექტურულ ან ბუნებრივ წინაპირობებს, წინდაწინ არსებულ გარემოცვას: ქუჩის მჭიდროდ შევსებულ პერსპექტივაში ჩადგმული სახლი ხომ განსხვავებულ ფორმას მიიღებს, ვიდრე თავისუფალ სივრცეში მდგომი ნაგებობა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აგრეთვე ჰავა, კლიმატური პირობები – ტემპერატურა, ტენიანობა, განათების პირობები, ქარის ძალა და მიმართულება და ა.შ. ეს ყველაფერი ძლიერად მოქმედებდა არა მარ-

სურ. 4. *ბოლონია, გალერეები ქუჩის გასწვრივ*

ტო ტრადიციული, სოფლური საცხოვრებელი სახლების ტიპების შექმნაზე, არამედ ქალაქური სახლების თავისებურებებსა და ქალაქგეგმარებაზეც კი. მაგალითად, ჩრდილოეთის ქვეყნებში, სადაც მზის სხივები სუსტია და დღე კი ხანმოკლეა, ისეთ ქალაქებში, როგორიცაა, დავუშვათ, პეტერბურგი, შენობების და ქუჩების ორიენტაცია ძირითადად ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენაა მიმართული, რათა ბუნებრივი განათება მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული. ამავე მიზეზის გამო ქუჩები აქ ძალზე ფართოა, მაშინ როდესაც სამხრეთის ქვეყნებში პირიქით იქცეოდნენ: იგივე ვიტრუვიუსი არ ურჩევდა ხუროთმოძღვრებს ჩრდილოეთ-სამხრეთ ორიენტაციის გამოყენებას,[2] თანაც ცხელი ჰავის პირობებში, მზის სხი-

[2] Vitruvius, დასახ. ნაშრომი.

ვებისაგან თავდაცვის მიზნით, ქუჩები არა მარტო უფრო ვიწრო კეთ-დებოდა, არამედ კოლონადებითაც იყო ხოლმე გარსშემოსაზღვრული. გვიანანტიკურ ქალაქებში, მაგალითად, ეთესოში, მილეთში, ანტიოქიაში სვეტნარებითა და გადახურული გალერეებით ყველა ცენტრალური მოე-დანი იყო გარშემორტყმული. იტალიის ზოგიერთ ქალაქში, მაგალითად, ბოლონიაში, დღემდეა შემორჩენილი გადახურული გალერეები მთავარი ქუჩების გასწვრივ (სურ. 4) (ბოლონიაში ასეთი თაღედები და სვეტნარები იქმნებოდა როგორც ანტიკურ ეპოქაში, ასევე შუა საუკუნეებში, რენე-სანსის ხანაში და ბაროკოს ეპოქაში).

კლიმატურ პირობებს და მათზე დამოკიდებული განათების თავისე-ბურებათა გამოყენების საკითხს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კერძო სახ-ლების ტიპების ჩამოყალიბებაშიც. ზემოხსენებულ სამხრეთულ ქვეყნებ-ში, მაგალითად, ელინისტურ საბერძნეთში, ოთახები განლაგებული იყო პერისტილის – სვეტებით გარშემორტყმული ღია ეზოს გარშემო,

სურ. 5. *რომაული სახლის ატრიუმი*

რომელიც სინათლისა და ჰაერის წყაროს წარმოადგენდა, ქუჩის მხარეს გამავალი ფასადები კი პრაქტიკულად ყრუ იყო. ასევე იყო ძველ რომში.[3] აქ დომუსის ტიპის სახლის ცენტრალური სათავსი, ატრიუმი, ნათდებოდა არა ფანჯრებით, არამედ ჭერში დატანებული ღიობის, კომპლუვიუსის მეშვეობით (სურ. 5).

ზომიერი ჰავის სარტყელში, სადაც ბინადართ სურდათ, ზამთარში სამხრეთიდან შემოჭრილი მზის სხივებითა და სითბოთი ესარგებლათ, ხოლო ზაფხულში – ჩრდილოეთის სიგრილით, გვხვდება სათავსების სეზონური დაყოფა: ჩრდილოეთისკენ ორიენტირებული საზაფხულო სათავსები და სამხრეთისაკენ ორიენტირებული ზამთრის ოთახები. ასეთი ხერხი გვხვდება უბრალო გლეხურ საცხოვრებლებშიც და არისტოკრატიის სამყოფლებშიც, მაგალითად, XVII-XVIII საუკუნეების ფრანგულ სასახლეებში, თუნდაც, ლუვრში[4] (თუმცა ზოგიერთ ქვეყნებში გვხვდება ისეთი სასახლეებიც, რომლებიც მთლიანადაა სეზონური, და არა ნაწილობრივ: მაგალითად, ზამთრის სასახლე და პეტრე I-ის საზაფხულო სასახლე პეტერბურგში, იმპერატორის საზაფხულო სასახლე პეკინში და სხვ.).

თანამედროვე ეპოქაში ბუნებრივი პირობების სეზონურ თავისებურებათა გამოყენების კლასიკური მაგალითია ფრენკ ლოიდ რაიტის „ჰერბერტ ჯეკობსის სახლი №2“ (სურ. 6). ამ შენობაში ნახევარწრიული ფორმის შემინული სასტუმრო ოთახის გადახურვის საჩრდილობლის ზომა ისეა გათვლილი მზის სხივების დახრის კუთხესთან მიმართ, რომ ზამთარში, როდესაც სხივები მახვილი კუთხით ეცემა, ისინი შენობაში აღწევს, ზაფხულობით კი, როდესაც მზე მაღლა დგას და სხივების დახრის კუთხე ბლაგვია – ვერა. ცხადია, ეს ხელს უწყობს ზამთარში სინათლისა და სითბოს, ზაფხულში კი – სიგრილის შენარჩუნებას. რაიტს გათვალისწინებული ჰქონდა ხშირი ქარების ძალა და მიმართულებაც, ამიტომ შეზნექილი შემინული ოვალური კედელი სამხრეთისკენაა მიმართული, ხოლო ჩრდილოეთიდან სახლს ქარისაგან და სიცივისაგან ქვის გამოზნექილი სქელი კედელი და მიწაყრილი იცავს.

აღსანიშნავია ისიც, რომ მასალების არჩევანი, რომლებიც დიდად

---

[3] A. Frazer, *The Roman Villa* (Pennsylvania, 1998), p. 64.

[4] A. Blunt, R. Beresford, *Art and Architecture in France, 1500-1700* (New Haven, Connecticut, 1999).

სურ. 6. *ჯეიკობსის სახლი №2 (ფ. ლ. რაიტი)*

განაპირობებს ნაგებობების ფუნქციურ და ესთეტიკურ თვისებებს, ადრეულ ეპოქებში მთლიანად იყო დამოკიდებული გარემოზე, ბუნებრივ პირობებზე. ანუ, უდიდეს როლს ასრულებდა რეგიონში მასალის არსებობა და ხელმისაწვდომობა, იქნებოდა ეს ქვა, როგორც ძველ საბერძნეთში, თიხა, როგორც მესოპოტამიაში, ხეტყე, როგორც ფინეთში და ა.შ. რასაკვირველია, ეს მდგომარეობა შეიცვალა თანამედროვე ეპოქაში, როდესაც არსებობს ხელოვნური საამშენებლო მასალები, ხოლო ტექნიკური პროგრესის წყალობით მოიხსნა მასალების სხვადასხვა რეგიონში ტრანსპორტირების პრობლემა. თუმცა, თანამედროვე არქიტექტურაშიც საკმაოდ გავლენიანია მიმდინარეობები, რომლებიც ადგილობრივ ხუროთმოძღვრულ ტრადიციებს აგრძელებს და ტრადიციულ მასალებს იყენებს. გავიხსენოთ, თუნდაც, იმავე ფრენკ ლოიდ რაიტის ან ალვარ აალტოს შემოქმედება.

მაგრამ, რაც შეეხება სამშენებლო მასალების როლს ტრადიციული საცხოვრებელი ტიპების ჩამოყალიბების პროცესში, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო მათ ხელმისაწვდომობას, არამედ კლიმატის მოთხოვნებსაც. მაგალითად, იმ ქვეყნებში, რომლებიც ჩრდილოეთ ევროპის ტყიან ზოლშია განლაგებული (სკანდინავიის ქვეყნები, ფინეთი, რუსეთი), ცივი ჰავა სქელი მორებისაგან ნაშენები ხალხური საცხოვრებლის ტი-

პების გავრცელებას განაპირობებდა. მათი მცირერიცხოვანი და პატარა ზომის ღიობები არ იყო შემინული, ღამით და ცუდ ამინდში კი ხის დარაბებით იხურებოდა. ჩრდილოეთის იმ ქვეყნებში კი, სადაც ხე იშვიათია, მაგალითად, ირლანდიაში ან გრენლანდიაში, ტრადიციული საცხოვრებლები ქვისაგან და კორდის ბელტებისაგან შენდებოდა.[5] ამ ქვეყნებში გათბობას სასიცოცხლო მნიშვნელოვნება ენიჭებოდა, ამიტომ, თავდაპირველად არსებული შუაცეცხლის მაგივრად, სხვადასხვა კონსტრუქციის ღუმლები იქმნებოდა, რაც თავისებურ გავლენას ახდენდა როგორც შენობათა ინტერიერების, ასევე ექსტერიერების ხასიათზე.

ეს ნიშანი მკვეთრად განასხვავებს ჩრდილოური სახლების ტიპებს ზომიერი კლიმატის საცხოვრებლებისაგან, რომლებშიც გათბობისათვის უფრო ხშირად ბუხრებს იყენებდნენ. ბუხარი, მართალია, ნაკლებ სითბოს იძლევა, ვიდრე, ვთქვათ, რუსული ან ჰოლანდიური ღუმელი, სამაგიეროდ, იგი ვენტილაციასაც უწყობს ხელს და დეკორატიულ აქცენტს ქმნის. აღსანიშნავია, რომ მათი ფორმები, ზომები, კონსტრუქცია და მასალა ძალზე მრავალფეროვანი იყო, რაც განსხვავებულ, თავისებურ იერს ანიჭებდა სხვადასხვა ინტერიერს.

განსხვავებული პრობლემები იყო ცხელ და მშრალ ქვეყნებში (მაგალითად, ზემოხსენებულ არაბეთში), ამიტომაც შედეგად ჩამოყალიბდა განსხვავებული სახისა და გეგმის შენობათა ტიპები. მართალია, კლიმატური პირობების გათვალისწინება აქაც საჭიროა, მაგრამ ამჯერად, პირიქით, სიცხისაგან დაცვაა მთავარი. ამ პრობლემის გადაჭრას ხელს უწყობს არაბული ქვეყნების უმრავლესობაში გამოყენებული ტრადიციული საამშენებლო მასალაც – სქელი კედლები აქ უმეტესწილად თიხისაგან (ალიზისაგან) იგებოდა. ისევე როგორც რომისა და საბერძნეთის საცხოვრებელ არქიტექტურაში, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი, ფასადები აქაც თითქმის ყრუა, სინათლისა და ჰაერის წყარო კი შიდა ეზო იყო, სადაც აუზი ან შადრევანი ეწყობოდა.

საყურადღებოა, რომ სწორედ ასეთ – მშრალ და ცხელ – რეგიონებში უფრო ხშირად გვხვდება სახლები ბანიანი გადახურვით (განსაკუთრებით იქ, სადაც რთული რელიეფია, სამშენებლოდ გამოსადეგი მიწის ნაკვეთები კი ცოტაა, შესაბამისად, აუცილებელია მისი ეკონომია). მაგალითად, ასეთი

[5] Е. С. Казанцев, *Скандинавия и ее культура* (Москва, 1998).

სურ. 7. *შატილი*

ტიპის შენობები ფართოდაა გავრცელებული კავკასიონის მთიან რეგიონებში (ხევსურეთი, დაღესტანი) (სურ. 7).

„დასახლებებისა და საცხოვრებლების ისტორიული ფორმები, რომლებიც ცნობილი იყო საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისისთვის, ყალიბდებოდა დიდი ხნის მანძილზე გარკვეული სოციალური, ეკონომიკური და ბუნებრივი პირობების გავლენით. ასე, მაღალმთიან ზონაში მიწის მწვავე ნაკლებობამ, მეურნეობის სპეციფიკამ და თავდაცვის ფაქტორმა საცხოვრებელი ნაგებობების ერთმანეთთან შეჯგუფება გამოიწვია. ცალკეული სამოსახლოები უშუალო სიახლოვეს იყო განლაგებული, შედეგად სოფლებს ძალზე მჭიდრო გეგმარება ჰქონდა და ისინი მკვეთრ საფეხურებად იყო შეფენილი მთების კალთებზე... ასეთი სახე ჰქონდა ძველ ხევსურულ სოფლებს – შატილს, არდოტს, მუცოს, ხახაბოს და სხვა“.[6]

აი რას წერენ XIX საუკუნის ავტორები – კ. განი და ა. ზისერმანი:

---

[6] Н. Г. Волкова, Г. Н. Джавахишвили, *Бытовая культура Грузии XIX - XX веков: традиции и инновации* (Москва, 1989), с. 14.

„სოფელი გუდანი, ისევე როგორც თითქმის ყველა ხევსურული სოფელი, ტერასებადაა განლაგებული მთის ფერდობზე. ამ თვალსაზრისით ისინი (ხევსურული სოფლები) ძალზე გვანან დაღესტნურ აულებს, მაგრამ ნაკლები სიმჭიდროვე და მეტი სიხალვათე ახასიათებთ“.[7]

„მთიულეთის ძველი სოფლები მცირე ზომისაა. სახლები აქ, ისევე როგორც ფშავში, ქვის ფილებისგანაა ნაშენები კირისა და თიხის გარეშე და იარუსებადაა განლაგებული – ქვედა სახლის სახურავი ზედასთვის ეზოს წარმოადგენს.“[8]

როგორც ვხედავთ, სწორედ ბუნებრივი პირობები – მთაგორიანი, რთული რელიეფი და ჰავის თავისებურება – უწყობდა ხელს აღნიშნულ რეგიონებში არა მარტო პრაქტიკული და ფუნქციური, არამედ ესთეტიკურად გამომსახველი, თვითმყოფადი და გარემოსთან სწორედ მხატვრულად დაკავშირებული საცხოვრებელი კომპლექსების შექმნას.

სურ. 8. *სავოის ვილა (ლე კორბიუზიე)*

---

[7] К. Ган, Путешествие в страну пшавов, хевсур, кистин и ингушей (Летом 1897 г.), *Кавказский Вестник*, №3 (1900).

[8] А. Л. Зиссерман, *Двадцать пять лет на Кавказе, 1842-1867 гг.,* т. 1 (Санкт-Петербург, 1879), с. 203, 212, 213.

აღსანიშნავია, რომ მეოცე საუკუნეშიც, როდესაც განსაკუთრებული სიმწვავით წამოიჭრა იგივე პრობლემა – სამშენებლოდ გამოსადეგი მიწის ეკონომიის აუცილებლობა, ლე კორბიუზიემ, თანამედროვე ქალაქგეგმარების ერთ-ერთმა მამამთავარმა, პრაქტიკულად იმავე ხერხს მიმართა: მან სწორედ უპირატესად ბრტყელი სახურავების შექმნა და მათი ფართობების გამოყენება (ბაღების გასაშენებლად, რეკრეაციული ზონების მოსაწყობად და ა.შ.) მიიჩნია თანამედროვე არქიტექტურისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპად (სურ. 8).[9]

სრულიად სხვა ამოცანები იდგა სამხრეთის იმ ტროპიკულ ქვეყნებში, სადაც ტემპერატურა მაღალია, მაგრამ, დიდი რაოდენობის ნალექების გამო, ჰაერი და ნიადაგი ძალზე ტენიანია, როგორც ინდოჩინეთში, მალაიზიაში და სხვ. ძლიერი და უხვი ნალექების გამო აქ სრულიად სხვაგვარი არქიტექტურული ფორმები შეიქმნა. გადახურვა აქ უმეტესწილად ორქანოვანია, ძალზე მაღალი და დაქანებული[10] (სურ. 9).

სურ. 9. *ტრადიციული ინდონეზიური საცხოვრებელი*

[9] Le Corbusier, *Toward an Architecture* (Los Angeles, 2007).

[10] B. Dawson, J. Gillow, *The Traditional Architecture of Indonesia* (London, 1994), p. 10, 11.

სურ. 10. *ჩინური საცხოვრებლის ერთ-ერთი ტიპი*

მთავარი მოთხოვნაა, წვიმის წყალს რაც შეიძლება სწრაფი ჩამოდინების საშუალება მიეცეს. გარდა ამისა, ზოგან, მაგალითად, ჩინეთში, სახურავის ბოლოები ზევითკენაა აზნექილი, რაც არა მარტო შთამბეჭდავ დეკორატიულ ეფექტს ქმნის, არამედ ძლიერი წვიმების დროს კრამიტის დაცურებისგანაც იცავს გადახურვას[11] (სურ. 10). იგივე პირობები, ანუ უხვი ნალექები, განსაზღვრავდა კარნიზების (ლავგარდანების) ფორმებსაც: ძლიერ გადმოწეული კარნიზები კედლებს დასველებისაგან იცავდა.

ტენიანი ნიადაგისაგან შენობის იზოლირების სურვილმა გამოიწვია სხვადასხვა ეპოქებსა და ქვეყნებში ისეთი საცხოვრებლების შექმნა, როგორიცაა ბოძებზე ან ხიმინჯებზე შედგმული ნაგებობები, მაგალითად, ტბებზე აშენებული ნეოლითის ხანის ნაგებობები ან ზღვისპირა ქალაქები ზოგიერთ ქვეყნებში (ინდოჩინეთი, ვენეცია და სხვ.). საერთოდ, ხის ნაგებობის დაცილება ნიადაგისაგან ძალზე გავრცელებული მოვლენაა. ბერძენი მწერალი პავსანიუსი თავის ნაშრომში „საბერძნეთის აღწერილობა“[12] გვაცნობებს, რომ ერთ-ერთ უძველეს ბერძნულ ტაძარში – ჰერას ტაძარში ოლიმპიაში – სვეტები თავდაპირველად ხისა იყო, მაგ-

[11] N. S. Steinhardt, *Traditional Chinese Architecture* (New York, 1984).

[12] Pausanias, *Description of Greece* (Charleston, South Carolina, 2009).

რამ ისინი ქვის ბაზებსა და საძირკველს ეყრდნობოდა. ამ ცნობებს ადასტურებს არქეოლოგიური მასალები მიკენიდან და სხვა ბერძნული სალოცავებიდან. იმავე მიზეზით წარმოიშვა ქვის პოდიუმები, რომლებზედაც განლაგებული იყო ეტრუსკული ხის ტაძრები (მოგვიანებით რომაელებმა ეტრუსკებისაგან ისესხეს ეს ფორმა, მაგრამ ამჯერად უკვე, როგორც წმინდა დეკორატიული ელემენტი, თავისი ქვის ტაძრებისათვის).

როგორც ვხედავთ, ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნება ნათლად აისახება საცხოვრებელი არქიტექტურის ტიპებზე და ყოველი მათგანის როგორც ფუნქციური, ასევე ესთეტიკური თავისებურებანიც დიდწილად სწორედ გარემოს მოცემულობებითაა განსაზღვრული.

შემთხვევითი არაა, რომ საქართველოში, სადაც მრავალი კუთხეა და შესაბამისად, კლიმატური პირობებისა და ლანდშაფტების დიდი მრავალფეროვნებაა, არქიტექტურის განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ტრადიციული საცხოვრებელი სახლების ბევრნაირი ტიპი ჩამოყალიბდა. რა შეიძლება იყოს ერთმანეთისაგან უფრო განსხვავებული, ვიდრე მთაზე საფეხურებად შეფენილი და მასთან განუყრელად შეზრდილი შატილის მასა, რომელსაც მასალა – მუქი ქვის, შიფერის თხელი ფილები – თავისებურ, მკაცრ დეკორატიულობას ანიჭებს, და ხის

სურ. 11. *მეგრული ოდა*

მოჩუქურთმებულაივნებიანი, სვეტებზე შემდგარი დასავლური ოდა-სახლი (სურ. 11), ან ქართლური დარბაზი და სვანური მურყვამიანი სახლი? ამავე დროს, საქართველოს ყველა კუთხეში, სხვადასხვა პერიოდში შექმნილი საცხოვრებელი სახლის ტიპები ზუსტად შეესაბამება არა მარტო იქაურ და იმდროინდელ ცხოვრების წესსა და ტრადიციას, არამედ აგრეთვე გარემო პირობებს, კლიმატსა და ლანდშაფტს.

მაგალითისთვის ავიღოთ დარბაზი – ქართლსა და სამცხეში გავრცელებული საცხოვრებელი შენობის უძველესი ტიპი (თუმცა ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ საინგილოში გავრცელებული „ერდოიან-აყარიანი" სახლის ტიპი სწორედ ადრე აქ გავრცელებული დარბაზული ნაგებობებიდანაა წარმომდგარი). ამ ტიპის ქართული საცხოვრებელი სახლები სამეცნიერო ლიტერატურაში გაშუქებულია გიორგი ჩუბინაშვილის, ლონგინოზ სუმბაძის, შალვა ამირანაშვილის, ვახტანგ ბერიძის, გიორგი ჩიტაიას და სხვა ავტორთა მიერ. როგორც ვახტანგ ბერიძე აღნიშნავდა, „ბოლო დროის არქეოლოგიური აღმოჩენები გვაფიქრებინებს, რომ მისი წინაპრები საქართველოს მიწა-წყალზე უკვე V-IV ათასწლეულებში გვხვდება".[13] ეს არის გვირგვინისგადახურვიანი „ერთსართულიანი შენობა, ჩვეულებრივ, მოთავსებული მთის თუ ბორცვის კალთაზე, ისე რომ მისი ზურგი მიწაშია შეჭრილი; ფასადი მხოლოდ ერთი აქვს – სვეტებიანი ღია ტალანი".[14] იმავეს აღნიშნავს ილია ადამია წიგნში „ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება": „ქართული „დარბაზების" წარმოშობის ძირითად ფაქტორს წარმოადგენდა მათთვის შესაფერი ადგილის შერჩევა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ფერდობზე უნდა ყოფილიყო. ცნობილია, რომ საცხოვრებელი დარბაზის კედლები სანახევროდაა ფერდობზე მიწაში ჩასმული, ამიტომ მას მხოლოდ ერთი ფასადი აქვს. დანარჩენი სამი მეტ-ნაკლებად მიწაშია მოქცეული".[15] ცხადია, რომ პრაქტიკულად ასეთი გადაწყვეტა არა მარტო შეესაბამებოდა ადგილობრივი პეიზაჟის თავისებურებებს, არამედ პასუხობდა კონტინენტური, მშრალი ჰავის პირობებსაც – ნესტი აქ ნაკლებად იყო საშიში, ზამთარში ასეთი შენობა სითბოს

---

[13] ვ. ბერიძე, *XVI–XVII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება*, ტ. I (თბილისი, 1983), გვ. 263.

[14] ვ. ბერიძე, *ძველი ქართული ხუროთმოძღვრება* (თბილისი, 1974), გვ. 75.

[15] ი. ადამია, *ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება* (თბილისი, 1979), გვ. 76.

სურ. 12. *დედაბოძი*
კოტერაშვილის დარბაზი (ნახ. ნ. ჩერნიშკოვისა)

უკეთ ინარჩუნებდა, ხოლო ზაფხულში – სიგრილეს.

გარდა ამისა, როდესაც საუბარია ქართულ ტრადიციულ საცხოვრებელ არქიტექტურაზე, უნდა აღინიშნოს მისთვის დამახასიათებელი ისეთი მნიშვნელოვანი დეტალი, როგორიცაა დედაბოძი, რომელიც თავისი არსით სიცოცხლის ხის სიმბოლური გამოსახულებაა და სავარაუდოდ, ადრეულ პერიოდში ცოცხალ, რეალურ ხეს წარმოადგენდა. სწორედ ამ თვალსაზრისით იგი უშუალო კავშირშია განსახილველ თემატიკასთან – ამ შემთხვევაში დედაბოძი, სახლის ცენტრალური ელემენტი, მისი მთავარი საყრდენი არა მარტო რეალური არქიტექტურული დეტალია, არამედ თავისი ფორმის და ორნამენტაციის მეშვეობით ოჯახის კერის ბუნებასთან მისტიკურ კავშირზე მიგვანიშნებს (სურ. 12).

ბუნებრივია, რომ დასავლეთ საქართველოში, სადაც გაცილებით უფრო ტენიანი ჰავაა, ფერდობში შეჭრილი დარბაზის ტიპის საცხოვრე-

ბელი გამოუსადეგარი იქნებოდა სინესტის გამო. ამიტომაცაა, რომ გვიანდელ ხანაში, XIX საუკუნეში, ჩამოყალიბებული საცხოვრებლის ტიპის – ოდა-სახლის – თავისებურებები (სამშენებლო მასალად ხის ფიცრების გამოყენება, ნაგებობის ქვის ბოძებზე შედგმა, რაც მის განიავებას უწყობს ხელს, დიდი აივნები) რბილი და ნოტიო ჰავისათვის იყო შესაფერისი და თან სათანადო დეკორატიულ ეფექტს ქმნიდა.

უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოს საცხოვრებელი არქიტექტურის უძველესი ტიპების შესახებ უაღრესად მწირი ცნობები მოგვეპოვება. პრაქტიკულად, ერთადერთი საბუთი, რომელიც გაგვაჩნია, არქანჯელო ლამბერტის ცნობებია XVII ს-ის I ნახ. მეგრული სოფლის შესახებ და კრისტეფორო დე კასტელის რამდენიმე ჩანახატი. განსაკუთრებით საინტერესოა ერთი მომენტი, რომელიც უშუალოდ ეხება განსახილველ თემატიკას, ანუ ბუნებისა და არქიტექტურის კავშირს: ლამბერტის ცნობით, მეგრელები, განსხვავებული სეზონების შესაბამისად, სხვადასხვა ადგილებზე იშენებდნენ სახლებს: ზამთარში საცხოვრებლად ტყეში გადადიოდნენ, ხოლო ზაფხულობით – ამაღლებულ, გორაკ ადგილებზე. ლამბერტი წერს: „ვფიქრობ, ბუნების სიმშვენიერეა იმის მიზეზი, რომ მეგრელები არ ცდილობენ მაგარი და მშვენიერი სახლები ააგონ, რადგან სურთ დროის შესაფერისად სხვადასხვა ადგილას გავიდნენ და ყველგან შესაფერის სიამოვნებით დატკბენ. კარგად და მდიდრულად აშენებული სახლი ხომ კაცს ერთ ადგილზე ამაგრებს. მეგრელები, იმისთვის, რომ ყოველი ადგილის სიამოვნება იგემონ, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიან“.[16] ამ ფრაგმენტში განსაკუთრებით ყურადსაღებია ის მომენტი, რომ ავტორი არა მარტო გვიჩვენებს არქიტექტურის კავშირს ბუნებრივ პირობებთან მათი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, არამედ ხაზს უსვამს სწორედ მის ესთეტიკურ მხარეს.

არქიტექტურისა და გარემოს კავშირზე საუბარი შეიძლება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საქმე ეხება გვიანდელი ხანის, კერძოდ XIXს-ის ქალაქურ საცხოვრებელ სახლებსაც (თბილისი, თელავი, სიღნაღი და სხვ), რომლებიც ძირითადად საერთო-იმპერიული, ერთნაირი ტიპის პროექტების მიხედვით იგებოდა – ამპირის სტილის ასეთი ტიპური პროექტებისაგან შემდგარი ალბომები რუსეთის იმპერიის ყველა კუთხეში, მათ

[16] არქანჯელო ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა* (თბილისი, 1991), გვ. 39.

შორის საქართველოშიც ვრცელდებოდა. მიუხედავად ამისა, აშკარაა ქართულ ქალაქებში ნაგები საცხოვრებელი სახლების ტრანსფორმაცია, სახეცვლილება, ადგილობრივ პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობაში თანდათანობითი მოსვლა. ამის მაგალითია, თუნდაც, თბილისური საცხოვრებელი სახლები შიდა ეზოებითა და აივნებით, რომლებიც უკეთ შეესაბამება ბუნებრივ პირობებს, ჰავას, საამშენებლო ტრადიციებსა და ადგილობრივი ცხოვრების წესს და საგრძნობლად განსხვავდება იმავე პერიოდში, იმავე თავდაპირველი პროექტების მიხედვით აგებული რუსული სახლებისაგან.

იგივე მომენტი, ანუ არქიტექტურის კავშირი გარემოსთან და გარემოს უშუალო გავლენა არქიტექტურული ფორმების ჩამოყალიბებაზე, გვხვდება სრულიად სხვა, შეიძლება ითქვას, დიამეტრულად განსხვავებული მაგალითების განხილვისას – გავიხსენოთ, მაგალითად, ახალი და უახლესი ეპოქების არქიტექტურა, თუნდაც, XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებული არქიტექტურული მიმდინარეობა, „ეკოლოგიური“ ანუ „მწვანე“ არქიტექტურა. შემთხვევითი არ არის, რომ ეკოლოგია, როგორც ცნება, დღესდღეობით მჭიდროდ დაუკავშირდა არქიტექტურის, სახლის, საცხოვრებლის თანამედროვე გაგებას, თვით სიტყვა „ეკოლოგიაც“ ხომ ბერძნული „ოიკოს“ – „სახლიდან“ წარმოდგება. ასეთ შენობებს გააჩნია წყლით, სითბოთი, სინათლით და გაზით თვითმომარაგების სისტემები, რომლებიც ბუნებრივი პროცესებისა და ნივთიერებების გამოყენებაზეა დამყარებული, ნაგვის სწორი უტილიზაციის და ნახმარი წყლის ბუნებრივი ფილტრაციის სისტემები, მაგრამ, გარდა ამისა, ეკოსახლებს გააჩნიათ სრულიად თავისებური დიზაინის კონცეფცია როგორც ინტერიერში, ისე ფასადებზე და ამის წყალობით სახლი ერწყმის ბუნებას, მასთან ჰარმონიულად თანაარსებობს.

იდეა „ეკოლოგიური არქიტექტურის“ შესახებ, რომელიც დღესდღეობით ფართოდაა გავრცელებული და სულ უფრო მეტ მომხრეს იძენს, გაჩნდა მაშინ, როდესაც ტექნიკური პროგრესის შედეგად გარემოში მომხდარი სერიოზული ცვლილებების გამო წარმოიშვა მრავალი პრობლემა და ეკოლოგიური საფრთხე – ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ქიმიური და რადიოაქტიური დაბინძურება, „სათბურის გაზების“ ეფექტი, იონური ხვრელები, გლობალური დათბობა, მოსახლეობის მზარდი სიჭარბე და ა.შ. ამის პასუხად, 70-იანი წლებში ამერიკელმა არქიტექტორმა და ეკოლოგმა მაიკლ რეინოლდსმა წამოაყენა „მწვანე სახლის“, ანუ,

სურ. 13. *მიწიერი ხომალდი (მ. რეინოლდსი)*

როგორც მას კოსმოსურ ხომალდთან ანალოგიით უწოდეს, „მიწიერი სახლის“ იდეა.[17] ასეთი სახლი შენდება მეორეული და ბუნებრივი მასალებისგან და გააჩნია წყლითა და ენერგიით მომარაგების, ფილტრაციისა და სხვა ავტონომიური ბუნებრივი სისტემები. და თუმცა ასეთი შენობების იდეა სუფთა პრაგმატული იყო და გარემოს დაბინძურებისა და რესურსების ზედმეტი ხარჯვის თავიდან აცილებას ითვალისწინებდა, ამავე დროს ჰორიზონტალურად გაშლილი მათი მოცულობები და ბუნებრივთან მიახლოებული, თავისუფალი ფორმები და დეკორი სწორედ ბუნებასთან კავშირზე მეტყველებს (სურ. 13).

XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე უკვე მრავალი ისეთი შენობის სახეობები არსებობს, რომლებიც არა მარტო ნაგებობების პრაქტიკულ, უტილიტარულად ეკოლოგიურ გადაწყვეტას ისახავს მიზნად, არამედ თავისი მხატვრული გადაწყვეტით ხაზგასმულად უკავშირდება ბუნებრივი პირობების გავლენით შექმნილი ხალხური საცხოვრებელი არქიტექტურის

[17] M. E. Reynolds, *Earthship: System and Components,* vol. 2 (Taos, New Mexico, 1991).

სურ. 14. *„სენტ მერი ექსის“ ოფისი, ლონდონი (ნ. ფოსტერი)*

ტიპებს. მაგალითად, იაპონელი არქიტექტორის კაცუიო სეჯიმას „სახლი ტყეში“, რომელიც ცივ, მთიან გარემოშია აშენებული, ესკიმოსების თოვლის სახლის – იგლუს – ზოგიერთ ელემენტს იყენებს. სეჯიმას სახლის იგლუსთან მსგავსების შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს მისი ოვალური ფორმები და ქათქათა თეთრი კედლები, რომლებიც თოვლის ბლოკების იმიტაციას ქმნის.

ამჟამად ეკოლოგიური პრინციპები ცათამბჯენების მშენებლობაშიც კი ინერგება. ასეთია, მაგალითად, ცნობილი თანამედროვე ბრიტანელი არქიტექტორის, ნორმან ფოსტერის, „სენტ მერი ექსის“ ოფისის შენობა ლონდონში (სურ. 14), რომელსაც მისი წაგრძელებული ოვალური ფორმის გამო მეტსახელად „სიმინდის ტარო“ შეარქვეს. ეს ცათამბჯენი არა მარტო ორიგინალურ დეკორატიულ აქცენტს ქმნის, არამედ აგრეთვე ისეა გათვლილი, რომ მისი განათებისა და ვენტილაციის ხარჯები გაცილებით

სურ. 15. *დინამიკური ცათამბჯენები (დ. ფიშერი)*

მცირეა. აქვე შეგვიძლია გავიხსენოთ იტალიაში მოღვაწე არქიტექტორის, დევიდ ფიშერის მიერ დაპროექტებული სუპერთანამედროვე „დინამიკური ცათამბჯენები“ (სურ. 15), სადაც ყოველი სართული დამოუკიდებლად მოძრაობს შენობის ღერძის გარშემო, რაც ბუნებრივი განათებისა და გათბობის მაქსიმალური გამოყენების შესაძლებლობას იძლევა, და რომლებიც, ენერგიის ბუნებრივი წყაროების – ქარისა და მზის – გამოყენების წყალობით, სრულიად ავტონომიურია ენერგეტიკული თვალსაზრისით.

ნაკლებად „ტექნოლოგიურად“ გამოიყურება ავსტრიელი არქიტექტორისა და მხატვრის, ფრიდენსრაიხ ჰუნდერტვასერის (ნამდვილი სახელი – ფრიდრიხ შტოვასერი) შემოქმედება (სურ. 16), რომელიც იმავე პრობლემას განიხილავდა არა იმდენად მეცნიერული, საბუნებისმეტყველო ეკოლოგიის, არამედ, შეიძლება ითქვას, „ფსიქოლოგიური“ და „მხატვრული ეკოლოგიის“ თვალსაზრისით. მას მიაჩნდა, რომ ტიპური

სურ. 16. *სასტუმრო „როგნერი“ ბად ბლუმაუში (ფ. ჰუნდერტვასერი)*

ქალაქური შენობების სტანდარტიზებული, გეომეტრიული, უმოძრაო და უფერული ფორმები იმდენადაა მოწყვეტილი ცოცხალ ბუნებას, რომ ამით უდიდეს ზიანს აყენებს ადამიანის ფსიქიკას. ავტორის აზრით, მისი ნაგებობების მჟღერი ფერადოვნება, თავისუფალი და ორიგინალური ფორმები, სხვადასხვა დონეებზე ასიმეტრიულად განლაგებული სარკმლები და ბალახითა და ბუჩქებით დაფარული სახურავები და კედლები სწორედ სახლების „ბუნებასთან დაკავშირებას“, „გაცოცხლებასა“ და იქ მცხოვრებთა ფიზიკურ და მენტალურ გაჯანსაღებას ემსახურება. ანუ, ჰუნდერტვასერის შემოქმედება კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ რამდენად აქტუალურია დღესდღეობით არქიტექტურის ბუნებასთან კავშირის იდეა.

მაგრამ თუ ტრადიციულ საცხოვრებელ არქიტექტურასა და თანამედროვე ეკოლოგიურ არქიტექტურაშიც ბუნებასთან კავშირი უფრო პრაქტიკულ, უტილიტარულ ხასიათს ატარებს, ჩვენ შეგვიძლია მივმართოთ ისეთ მაგალითებსაც, სადაც სუფთა ესთეტიკური მომენტი დომინირებს და გარემოსთან კავშირი გაცნობიერებულ მხატვრულ ამოცანას წარმოადგენს. ავიღოთ თუნდაც გენიალური ანტონიო გაუდის შენობათა

სურ. 17. *„კასა ბატლო“, ბარსელონა (ა. გაუდი)*

ორგანული და ბიომორფული ფორმები, რომელთა შთაგონების წყაროც სრულიად ნათელია (სურ. 17): გავიხსენოთ „კასა ბატლო“ ბარსელონა-ში, სადაც ტალღოვანი კონტურები, „ძვლისებური“ ფორმები და „ქერ-ცლისებური“ ზედაპირები ზღაპრული დრაკონის ასოციაციებს იწვევს; „კასა მილას“ ტალღისებური ფორმები, გუელის პარკის ნაგებობების დეკორი, რომელიც ფანტასტიკური ფლორისა და ფაუნის ფერადოვანი, ცხოველხატული ფორმებითაა აღსავსე. გაუდის მთელი შემოქმედება თითქოს უარყოფს სწორ ხაზს, მართ კუთხეს, გეომეტრიულ ფორმას. მისი შენობების სილუეტები კი იმდენად თავისუფალი და დენადია, რომ ნაგებობა ბუნებრივად წარმოშობილ არსებას უფრო მოგვაგონებს, ვიდრე უსიცოცხლო მასალისაგან აშენებულ სახლს.

თანამედროვე არქიტექტურული ფორმების ბუნებასთან კავშირის ნათელი მაგალითია აგრეთვე ფრენკ ლოიდ რაიტის „პრერიის სტილის“



სურ. 18. *„სახლი ჩანჩქერზე“ (ფ. ლ. რაიტი)*

საცხოვრებელი სახლები – ჰორიზონტალური, უმეტესწილად, ერთსართულიანი, ბუნებრივი ქვითა და ხით მოპირკეთებული, დაქანებული, წინ წამოსული სახურავებითა და ბაღებსა და ეზოებში შეჭრილი შემინული ტერასებით – ისინი სწორედ ამერიკული პრერიების, ანუ უკიდეგანო „ბრტყელი მიწების“ პეიზაჟების თავისებურებას პასუხობს. ამავე პრინციპის (ბუნებასთან კავშირის) გათვალისწინებითაა აგებული მისი სახელგანთქმული „სახლი ჩანჩქერზე“, ანუ „კაუფმანის სახლი“ (სურ. 18), რომლის დაგეგმარებაც და ფორმებიც იმდენად ზუსტად პასუხობს გარემოსა და ურთულესი რელიეფის პირობებს, რომ სხვა ადგილზე ასეთივე სახლი უბრალოდ ვერ აშენდება. რაიტის მიერ ჩამოყალიბებული მიმდინარეობის, „ორგანული არქიტექტურის“, ძირითადი არსიც სწორედ გარემოსთან კავშირია. „შეისწავლეთ ბუნება, გიყვარდეთ ბუნება, ახლოს იყავით ბუნე-

ბასთან და იგი არასოდეს გიღალატებთ“, – ამბობდა რაიტი.[18]

რასაკვირველია, რაიტი პირველი არ იყო, ვინც თავის ნაგებობებს იდეალურად უხამებდა რელიეფისა და პეიზაჟის თავისებურებებს, ამ პრინციპის პრაქტიკულ განხორციელებას ვხედავთ სხვადასხვა ქვეყნის ნაგებობებში, უძველესი დროიდან დღემდე. ავიღოთ, თუნდაც, ყველაზე ცნობილი, შეიძლება ითქვას, ბანალური მაგალითები: გიზეჰის პირამიდების აბსოლუტური, წმინდა გეომეტრიზმი, რომელიც ზუსტად შეესაბამება უდაბნოს ასევე აბსოლუტურად გლუვი სიბრტყის ფონს, ან ათენის აკროპოლისის შენობათა იდეალურად გაწონასწორებული და თან თავისუფალი განლაგება ბორცვზე. ან გავიხსენოთ, თუ რა უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს ამ ასპექტს იაპონურ სინტოისტურ და ბუდისტურ არქიტექტურაში – აქ ტაძრები, ლანდშაფტური და პავილიონური არქიტექტურა, საცხოვრებელი არქიტექტურა არა მარტო ზედმიწევნით პასუხობს გარემოს პრაქტიკულ და ესთეტიკურ მოთხოვნებს, არამედ სინტოს და ძენის ბუნებასთან კავშირის იდეების საფუძველზეა აგებული და მათ სიმბოლურ განსახიერებას წარმოადგენს. მაგრამ, სამაგიეროდ, რაიტი იყო პირველი არქიტექტორი, რომელმაც ეს პრინციპი თეორიულად ჩამოაყალიბა და თავისი მიმდინარეობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ მიდგომად დასახა.

არქიტექტურის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა ქვეყანაში, გარემოსთან შენობის ურთიერთკავშირის პრინციპები უაღრესად განსხვავებული და მრავალფეროვანია. ამიტომ ამ ურთიერთკავშირების კანონზომიერებებსა და მათი განვითარების ხასიათზე დაკვირვება, აგრეთვე იმ მომენტების დადგენა, რომლებიც კონკრეტული ქვეყნისა და ეპოქის ხელოვნების სტილისტიკიდან გამომდინარეობს, უდავოდ მეტად საინტერესოა.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული ფსიქოლოგიის, კულტურისა და ხელოვნების ჩამოყალიბებაზე გარემოს გავლენის საკითხი ნაკლებადაა განხილული სპეციალურ ლიტერატურაში, განსაკუთრებით ეს ეხება არქიტექტურას. თუმცა, ისეთი მკვლევრები, როგორებიც არიან ხელოვნებათმცოდნეობაში კულტურულ-ისტორიული სკოლის შემქმნელი იპოლიტ

[18] F. L. Wright, *The Future of Architecture* (New York, 1953).

ტენი და სტილისტური ანალიზის „მამა“ ჰაინრიხ ველფლინი არა მარტო აღიარებენ ამ კავშირს, არამედ ღრმადაც აანალიზებენ და ასაბუთებენ მას, ხოლო გიორგი გაჩევი, ცნობილი ბულგარელი კულტუროლოგი და ფილოსოფოსი, თავის ნაშრომში „სამყაროს ეროვნული ხატებანი“ ამ კუთხით განიხილავს საქართველოს კულტურასაც. თუმცა, სამწუხაროდ, ეს ავტორები ნაკლებად ეხებიან არქიტექტურის საკითხებს, მაგრამ მათ ნაშრომებში აშკარადაა გამოვლენილი გარემოს როლი ხელოვნების თავისებურებათა ჩამოყალიბებაში. ამის ნათელი ილუსტრაციაა ქვემოთ მოყვანილი ფრაზა იპოლიტ ტენის „ხელოვნების ფილოსოფიიდან“:

„დათესეთ ერთი და იმავე სახეობის თესლი სხვადასხვა ნიადაგზე და სხვადასხვა ტემპერატურაზე; დაე, მცენარეები გაიზარდონ, ნაყოფი მოისხან, წარმოშვან იმავე სახეობის უამრავი სხვა მცენარე; თითოეული მათგანი შეეგუება თავის ნიადაგს, რის შედეგადაც თქვენ მიიღებთ ერთი ჯიშის რამდენიმე სახესხვაობას, მით უფრო განსხვავებულთ, რაც უფრო მკვეთრია კონტრასტი სხვადასხვა კლიმატურ პირობებს შორის“.

ბიბლიოგრაფია

References

I. Adamia, *Georgian Folk Architecture* (Tbilisi, 1979) (in Georgian).

V. Beridze, *Old Georgian Architecture* (Tbilisi, 1974) (in Georgian).

V. Beridze, *16th-18th c., Georgian Architecture*, t. I (Tbilisi, 1983) (in Georgian)

A. Blunt, R. Beresford, *Art and Architecture in France, 1500-1700* (New Haven, Connecticut, 1999).

B. Dawson, J. Gillow, *The Traditional Architecture of Indonesia* (London, 1994).

Le Corbusier, *Toward an Architecture* (Los Angeles, 2007).

K. Gan, Travels to the Country of Pshavs, Khevsurs, Kistins and Ingushes (in Summer 1897), *Kavkazskii Vestnik,* №3 (1900).

A. Frazer, *The Roman Villa* (Pennsylvania, 1998).

E. S. Kazantsev, *Scandinavia and its Culture* (Moscow, 1998) (in Russian).

Archangelo Lamberti, *Description of Samegrelo* (Tbilisi, 1991) (in Georgian).

Pausanias, *Description of Greece* (Charleston, South Carolina, 2009).
M. E. Reynolds, *Earthship: System and Components*, vol. 2 (Taos, New Mexico, 1991).
N. S. Steinhardt, *Traditional Chinese Architecture* (New York, 1984).
Vitruvius, *Ten Books on Architecture* (Cambridge, 2001).
N. Volkova, G. Javakhishvili, *Culture of Georgia of the 19th-20th cc.: Traditions and Innovations* (Moscow, 1989) (in Russian).
F. L. Wright, *The Future of Architecture* (New York, 1953).
A. L. Zisserman, *Twenty-five Years in the Caucasus, 1842-1867*, t. I (Saint-Petersburg, 1879) (in Russian).

Teo Jalagania

Impact of the Environment on Architecture: Past and Present

People live in the environment – house, street, city, the whole planet. All this is a man-made or natural environment. Consequently, art is closely related to the environment as well. This correlation is particularly obvious when we are dealing with architecture, which, at all times, represented a synthesis of art, engineering science and building technologies.

This is exactly why it is so easy to see the direct impact of the environment on architecture. If we take a look at the images of the traditional residential architectural models from different countries, we shall see that the differences in planning, materials, roof shapes, size, number and arrangement of openings are dictated by peculiar environmental and climate conditions and, as a result, we get different artistic images and aesthetic impressions.

It is no accident that in Georgia, where we have many regions and respectively various climate conditions and landscapes, many different types of traditional houses have been established. What can be more different than Shatili mass, the material of which – thin layers of dark slate – give it a distinctive, stern appearance and western *Oda*-house standing on columns, with its wooden balconies covered with fretwork, or Kartlian *Darbazi* and Svanetian *Machubi*? At the same time, all these house types not only comply with the lifestyle and traditions of old times and of each region – but with the environmental conditions, climate and landscape as well.

Let us take for example the *Darbazi* – the oldest type of dwelling house common in Kartli and Samtskhe. This is a one-storey building with *Gvirgvini* (crown style) roofing, usually situated on a slope of a mountain or a hill with its back built into the ground. It has just one façade – an open corridor with columns. It is obvious that the purpose of this kind of design was not only to complement the local landscape, but to suit the continental, dry climate as well: it would not get damp, it was warm in winter and cool in summer.

Also we should mention the wooden upright (*Dedabodzi*), which symbolically represents the Tree of Life and in the early period it, supposedly, was an actual tree. From this point of view it is directly related to the topic of discussion.

In western Georgia, where the climate is much damper, *Darbazi*-type house would be absolutely unfit and useless. This is why the specific features of the *Oda*-house developed in the 19th century – such as wooden boards as building material, rooms standing on pillars, big balconies – were fit for mild and damp climate and, at the same time, they produced a proper decorative effect.

We have very little information about the oldest types of residential architecture of western Georgia. In fact, the only documents available are the notes of Arcangelo Lamberti about Megrelian village of the first half of the 17th century and a few sketches of Cristoforo de Castelli. It is especially interesting to note that according to Lamberti Megrelians built houses in different locations for different seasons: in winter they would move to the woods and in summer to highland, mountainous areas. Lamberti writes: '...Mingrelians, in order to taste the pleasure of each location, move from one place to another'. What is especially worthy of attention in these words, is that the author does not only point out the link between architecture and nature – he emphasizes the aesthetic side of this link as well.

In the 19th century residential town houses (Tbilisi, Telavi, Sighnaghi, etc.) were constructed according to imperial, identical projects. However, it is obvious that residential houses built in Georgian cities have gradually transformed to become fit for the local conditions and requirements. Tbilisi houses, with courtyards and balconies that correspond better to the natural settings, building traditions and local lifestyle, differ significantly from the Russian houses built in the same period according to the same initial projects.

A direct influence of the environment on the development of architectural forms can also be witnessed while discussing contemporary architecture, such as 'ecological' or 'green' architecture. It began to take shape when serious environmental changes, caused by technical progress, led to a lot of problems and ecological threats. Michael Reynolds proposed the idea of 'Green Homes', or 'Earthships'. Even though the main purpose of these buildings was purely practical – to prevent pollution of the environment and overconsumption of resources – their horizontally spread shapes and décor clearly indicate their connection with nature.

Now ecological principles are being considered even when constructing skyscrapers – for example, Norman Foster's 'St Mary Axe' office building in London, or David Fisher's 'Dynamic Towers', the floors of which rotate independently and are absolutely autonomous from the energy point of view as they only use natural sources of energy, such as the sun and wind.

Less 'technological' looking are the works of the architect and artist Friedensreich Hundertwasser, who believed that standardized, geometric shapes of buildings inflicted a great harm on a human's mental health as they were so alienated from nature. The author claimed that the bright colors of his buildings, windows, set on different levels and walls and roofs covered with grass and bushes – all this was intended to "animate" the houses and to improve both the physical and mental health of their inhabitants. In other words, his works are another bright example of how important the idea of architecture and nature is nowadays.

We also have examples where the connection with nature represents a deliberate artistic challenge, for instance, organic and biomorphic shapes of Antonio Gaudi, or Frank Lloyd Wright's "Prairie Style" residential houses – they reflect the peculiarities of American prairies or "flat lands".

The main idea of Organic Architecture, the trend established by Frank Lloyd Wright, is also based on relationship between architecture and environment. Of course, Wright was not the first one whose buildings were in perfect harmony with the peculiarities of land forms and landscapes – this principle has been put into practice in many countries since ancient times. But Wright however was the first ever architect to theoretically define these principles and make them one of the leading approaches of his movement.

In various countries, at different stages of architectural development, the

principles of relationship between architectural monument and the environment are very different and diverse. Therefore, it is extremely interesting to identify the patterns of these relationships, observe the nature of their development and also identify the points related to the stylistics of a specific country or era.

რეცენზიები

Pro Georgia – ოცი წელი ქართველოლოგიის სამსახურში



2011 წელს დაარსებიდან ოცი წელი შეუსრულდა პოლონეთში გამომავალ ქართველოლოგიურ სამეცნიერო ჟურნალს "Pro Georgia". იგი 1991 წელს დაარსდა ვარშავაში ("Pro Georgia. Prace i materiały do dziejów stosunków gruzińsko-polskich"). ვარშავის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ფაკულტეტის აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტის კავკასიური კვლევების სემინარის ინიციატივით, „Pro Georgia" ვარშავის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ფაკულტეტის აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტის ყოველწლიური სამეცნიერო გამოცემად იქცა. 2002 წლიდან მასში სტატიები იბეჭდება პოლონურ, გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. იმავე წლიდანვე ჟურნალი გამოდის ახალი სახელწოდებით: "Pro Georgia - Journal of Kartvelological Studies".

ქართველოლოგიური კვლევებით დაინტერესებას პოლონეთში დიდი ხნის ისტორია აქვს. მას საფუძველი XX საუკუნის ოცდაათიან წლებში ჩაუყარა ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორმა გრიგოლ ფერაძემ. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ გრიგოლ ფერაძის მიერ დაწყებული საქმე გააგრძელა ამ უნივერსიტეტში ამჟამად მოღვაწე ქართველმა მეცნიერმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, ისტორიის დოქტორმა, პროფესორმა დავით ყოლბაიამ, რომელმაც თავის პოლონელ კოლეგებთან ერთად და მათი მხარდაჭერით დააარსა ვარშავის უნივერსიტეტში კავკასიური კვლევების სემინარი. სწორედ მისი ძალისხმევით შეიქმნა ვარშავის უნივერსიტეტის ქართველი პროფესორის, ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი მოღვაწის, გრიგოლ ფერაძის მემკვიდრეობის შემსწავლელი საერთაშორისო კომისია, შეგროვდა და გამოიცა მისი სამეცნიერო ნაშრომები, რის შემდეგაც საზოგადოებამ კიდევ უფრო კარგად გაიცნო იგი, როგორც მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.

ჟურნალის დამაარსებლების უმთავრესი მიზანი იყო პოლონეთში მეცნიერთა ისეთი ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელიც დაინტერესებული იქნებოდა ჩვენი ქვეყნის ისტორიითა და კულტურით. დღეს, Pro Georgia-ს დაარსებიდან ოცი წლის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალმა დასახულ მიზანს უკვე მიაღწია – მან შეკრიბა პოლონეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში მოღვაწე ქართველოლოგები, ხელი შეუწყო პოლონური ქართველოლოგიის განვითარებას, პოლონელი მეცნიერების დაინტერსებას ქართული ენით, მწერლობით, საქართველოსა და ქართული ეკლესიის ისტორიით.

პოლონეთში მოღვაწე მეცნიერთაგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ჰენრიკ პაპროცკი, რომელმაც პოლონურ ენაზე გამოაქვეყნა გრიგოლ ფერაძის შრომები ვრცელი გამოკვლევებითა და კომენტარებით, რამაც პოლონურ სამეცნიერო წრეებში დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა ვარშავაში გრიგოლ ფერაძის შრომების სამტომეულის ქართულ ენაზე გამოსაცემად მომზადება, რომელსაც გამომცემლის ვრცელი კომენტარები ახლავს. პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობების შესწავლის სფერო განსაკუთრებით გაამდიდრა ისტორიკოსის, პროფესორ ვოიცეხ მატერსკის მიერ ისტორიული ნაშრომის, "Historia Swiata XX wieku, Gruzja"-ს, გამოცემამ, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი აღნიშნულ ურთიერთობებს.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ჟურნალის დამაარსებლისა და რედაქტორის, დავით ყოლბაიას როლი და ღვაწლი. მან ძველქართულიდან პოლონურ ენაზე თარგმნა და გამოსცა „მოქცევაჲ ქართლისაჲს" შატბერდული და ჭელიშური რედაქციები შენიშვნებითა და კომენტარებით. დღეს ეს წიგნი ვარშავის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის სავალდებულო საისტორიო წყაროდ ითვლება. დ. ყოლბაიამ პოლონელ მკითხველს გააცნო ქართული ჰაგიოგრაფიის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში – გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი", უძველესი ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები – „მატიანე ქართლისაჲ", ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება", ჯუანშერის „მეფე ვახტანგ გორგასალის ცხოვრება", სუმბათ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა" და სხვ.

"Pro Georgia"-ში ქვეყნდება ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტის კავკასიური კვლევების სემინარის მიერ ორგანი-

ზებულ, წმ. გრიგოლ ფერაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ, ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, ქართველოლოგიურ-კავკასიოლოგიური ენათმეცნიერული, ლიტერატურათმცოდნეობითი, ეთნოლოგიური, ისტორიული გამოკვლევები.

ჟურნალში დიდი ადგილი ეთმობა ქართულ-პოლონური ისტორიული ურთიერთობების საკითხებს. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ საკმაოდ უხვ და საინტერესო მასალას იძლევა პოლონელ მემატიანეთა და ჟამთააღმწერელთა, დიპლომატთა და მოგზაურთა, კათოლიკე-მისიონერთა და მწერალთა ნაშრომები. ამ ურთიერთობათა კვლევამ სისტემატური ხასიათი სწორედ Pro Georgia-ს დაარსების შემდეგ მიიღო. აღსანიშნავია, რომ ჟურნალის სპეციალური ნომერი, რომელიც 2008 წელს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, ლეხ კაჩინსკის, წინასიტყვაობით გამოვიდა, მიეძღვნა 1921-1944 წლებში პოლონეთის არმიის სამსახურში მყოფი ქართველი იუნკრების ისტორიას.

ჟურნალი რეგულარულად აქვეყნებს ახალგაზრდა მკვლევართა სამეცნიერო ნაშრომებსაც, მასში იბეჭდება ქართველოლოგიის დარგში გამოსული ახალი პუბლიკაციების ვრცელი მიმოხილვა, ბიბლიოგრაფია, ანოტაციები და ინფორმაცია სამეცნიერო სიახლეების შესახებ.

ქართველოლოგიური კვლევევის ამსახველი პერიოდული სამეცნიერო ჟურნალის არსებობა ხელშემწყობი ფაქტორი აღმოჩნდა ვარშავის უნივერსიტეტში ქართველოლოგიის, როგორც სამეცნიერო დარგის, ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის, რასაც მოწმობს ქართული ენის, ისტორიისა და კულტურის შესწავლით დაინტერესებული არაერთი ახალგაზრდა მკვლევრის გამოჩენა ვარშავის უნივერსიტეტში.

ჟურნალ Pro Georgia-ს ინიციატივით ვარშავის უნივერსიტეტში დაარსდა წმინდა გრიგოლ ფერაძის პრემია, რომელიც მის ლაურეატებს იმ ჰუმანიზმისა და ფასეულობებისათვის გადაეცემათ, რომლებსაც ისინი მთელი ცხოვრების განმავლობაში ამკვიდრებდნენ. პრემია წარმოადგენს X საუკუნის ქართული ხელოვნების ნიმუშის – მარტვილის პანაგიის ასლს (ოქრო, ვერცხლისა და მარგალიტის თვლებით მოოჭვილი, ზომა – 8x5,5 სმ), რომელზეც ტიხრული მინანქრით წმიდა გრიგოლის ხატია გამოსახული წარწერით – *წმიდა გრიგოლი* (მედალი შეასრულა ცნობილმა ქართველმა ხელოვანმა ნინო ბურკაძემ). წმინდა გრიგოლ ფერაძის პრემიას ვარშავის უნივერსიტეტის ქართველოლოგიური ჟურნალი Pro Georgia და საქართველოს საპატრიარქოს თბილისის წმინდა თამარ მეფის უნივერსიტეტი ორ წელიწადში ერთხელ გასცემს. 2010 წელს წმინდა გრი-

გოლ ფერაძის პრემიის ლაურიატები გახდნენ ჰენრიკ პაპროცკი და იან მალიცკი. 2012 წელს, მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, წმინდა გრიგოლ ფერაძის პრემია გადაეცემათ ბერნარდ უტიეს (სორბონის უნივერსიტეტი) და ვლოჯიმეჟ ლენგაუერს (ვარშავის უნივერსიტეტი).

დღეს ჟურნალთან თანამშრომლობს საქართველოსა და კავკასიის კულტურითა და ისტორიით დაინტერესებული მრავალი უცხოელი მკვლევარი. ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაში შედიან: დავით ყოლბაია (რედაქტორი), სოფო ჟვანია (მდივანი), ვოიცეხ მატერსკი, ჰენრიხ პაპროცკი და იან მალიცკი. ჟურნალის სამეცნიერო საბჭოს წევრები კი, ქართველ მეცნიერებთან ერთად, არიან: იან ბრაუნი (ვარშავა), ალექსანდრე ბარალ-იგლესიასი (სანტიაგო დე კომპოსტელა), სოფიო ვაშალომიძე (ჰალე-ვიტენბერგი), ანჯეი ვოჟნიაკი (ვარშავა), სტანისლავ ლიშევსკი (ლოძი), იან მალიცკი (ვარშავა), ვოიცეხ მატერსკი (ვარშავა), მარეკ მონჯიკი (ლუბლინი), ლეხ მროზი (ვარშავა), ჰენრიკ პაპროცკი (ვარშავა), ანჯეი პისოვიჩი (კრაკოვი), ანეგრეტ პლონტკე-ლიუნინგი (იენა), თადეუშ სვეტოჩოვსკი (ნიუ-იორკი) და ბერნარდ უტიე (პარიზი).

შეიძლება ითქვას, რომ დღეისთვის ჟურნალი Pro Georgia – Journal of Kartvelological Studies ერთ-ერთი წამყვანი სამეცნიერო ჟურნალია არა მარტო პოლონეთში, არამედ მთელ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, რომელიც ქართული კულტურისა და ისტორიის საკითხებს ფართოდ აშუქებს და ამით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროპაში ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში.

დარეჯან თვალთვაძე

Annegret Plontke-Lüning, Frühchristliche Architektur in Kaukasien. Die Entwicklung des christlichen Sakralbaus in Lazika, Iberien, Armenien, Albanien und den Grenzregionen vom 4. bis zum 7. Jahrhundert [Veröffentlichungen zur Byzanzforschung, Bd. XIII], Wien, Werlag der Österreichischen Akademie der Wissenschaften, 2007.



ამ ვრცელი, ზედმიწევნით დოკუმენტირებული მონოგრაფიის უმთავრესი მიზანი ამიერკავკასიის ადრექრისტიანული საეკლესიო ხუროთმოძღვრების გენეზისისა და განვითარების სურათის შეძლებისდაგვარი სისრულით ნათელქმნა და ქრისტიანული არქიტექტურის საზოგადო კონტექსტში ხსენებული რეგიონის ძეგლებისთვის ადგილის მიჩენაა. განმაზოგადებელი ხასიათის ნაშრომში თავმოყრილია ამიერკავკასიის სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულის მრავალრიცხოვანი ძეგლები, ამასთან ისინი განხილულია თანამედროვე სახელოვნებათმცოდნეო მეცნიერების შესაბამისი კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. განსახილველი მასალის ქრონოლოგია IV-VII საუკუნეებით ისაზღვრება და მისი ზედა მიჯნა VII საუკუნის 40-იანი წლებია – ამიერკავკასიაში არაბი დამპყრობლების გამოჩენის დრო.

მონოგრაფიის გაცნობისთანავე ცხადი ხდება, რომ იგი მრავალწლიანი მუშაობის შედეგია. ამის თაობაზე ანეგრეტ პლონტკე-ლუნინგი თავადვე მიუთითებს – კვლევა 1992 წელს დაიწყო და იგი დაეფუძნა ავტორის მიერ სხვადასხვა წლებში განხორციელებულ კვლევებს სამხრეთი კავკასიის სხვადასხვა რეგიონში.

შეძლებისდაგვარად სრული და მრავალმხრივი სამეცნიერო აპარატით აღჭურვილ ამ ენციკლოპედიური რიგის ფუნდამენტურ გამოკვლევაში სხვადასხვა კუთხითაა ნაჩვენები როგორც ადრექრისტიანული საეკლე-

სიო არქიტექტურის განვითარების სურათი ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეში, ისე ამ სურათის მიმართება ზოგადად ქრისტიანული ხუროთ-მოძღვრების წიაღში მიმდინარე პროცესებთან – ცალკეულ ხუროთმოძ-ღვრულ სახესხვაობათა გენეზისთან, ფორმათქმნის თვალსაზრისით მათი განვითარების გეზთან; ნაჩვენებია, რომ მრავალი საერთოს არსებობის პირობებში, ეს გეზი, ამიერკავკასიის ამა თუ იმ რეგიონში, გარკვეული თვითმყოფადობით იყო ნიშანდებული.

საგანგებო ყურადღებას იქცევს გამოკვლევის ის მონაკვეთი, რომელ-შიც განხილულია ამიერკავკასიის ადრექრისტიანულ არქიტექტურაში გავრცელებულ ნაგებობათა სახესხვაობების წარმომავლობის საკითხები: ამ მხრივ გამოკვლევაში ყურადღება გამახვილებულია ქრისტიანობის წინარე ეპოქის ხუროთმოძღვრულ ფორმებზე – წარმართული ტაძრების ტიპებზე, ხალხურ სამშენებლო ტრადიციებზე და სხვ.

ნაშრომი ინტერდისციპლინარული ხასიათისაა – იგი აერთიანებს მასა-ლებს ამიერკავკასიის ქვეყნების პოლიტიკური და საეკლესიო ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიის, წერილობითი წყაროების, ასევე კონკრეტული არქიტექტურული ტიპების შესახებ. ამასთანავე, მასში დიდ ყურადღება ეთმობა ისტორიოგრაფიასა და წყაროების მიმოხილვას: საგანგებო თავში ვრცლად და კრიტიკულადაა განხილული ამიერკავკასიის ადრექრისტიან-ული არქიტექტურის შესწავლის ისტორია; საუბარია ქართველი, სომეხი, ევროპელი, ამერიკელი მკვლევრების მიერ პრობლემის მეცნიერული კვლევის მიმართულებებზე, თავისებურებებზე, ცალკეულ ხარვეზებზე. ავტორი საგანგებოდ განიხილავს სხვადასხვა თეორიას, მათ შორის – ი. სტრჟიგოვსკის მოსაზრებებს სომხური არქიტექტურის განსაკუთრებ-ული როლის შესახებ შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების განვითარე-ბაში და სხვ. ავტორი თავადაც მიუთითებს, რომ იგი ეცადა, სხვადასხვა არამართებული თეორიისათვის დაეპირისპირებინა სხვაგვარი მიდგომა – განეხილა ამიერკავკასიის IV-VII საუკუნეების არქიტექტურა გვიანანტი-კური და ადრექრისტიანული მსოფლიოს კულტურის კონტექსტში მთელი თავისი მრავალფეროვნებით და რთული ურთიერთმიმართებებით.

საგანგებო ნაკვეთში ერთიანი სახითაა თავმოყრილი და განხილული საისტორიო წყაროები – ბერძნულ-ლათინური საისტორიო მწერლობა, ქართული და სომხური საისტორიო თხზულებები, ჰაგიოგრაფიულ ლიტ-ერატურა და ეპიგრაფიკული მასალა.

წიგნში დიდ ადგილი უჭირავს მასალებს და მონაცემებს კავკასი-ის ქვეყნების პოლიტიკური, საეკლესიო ისტორიის და ისტორიული

გეოგრაფიის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ მონოგრაფიის აღნაგობის პრინციპი ეფუძნება არქიტექტურული ძეგლების განხილვას სწორედ ისტორიული პროვინციების მიხედვით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უცხოელი მკითხველისათვის: ავტორს დეტალურად აქვს შესწავლილი ამ რეგიონების ისტორია. მისი კლასიფიკაციით, დაჯგუფებულია დასავლეთი (აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი – კოლხეთი/ლაზიკა/ეგრისი, აბაზგია), ცენტრალური (იბერია/ქართლი), აღმოსავლეთი (ალბანეთი) და სამხრეთი (სომხეთი) კავკასიის ადრექრისტიანული ძეგლები. ამასთანავე, მას დამატებით, საგანგებოდ აქვს გამოყოფილი მოსაზღვრე რეგიონები, ე.წ. „მარკები“ და მათთვის ნიშანდობლივი ხუროთმოძღვრული თავისებურებები (მისი დაყოფით, ასეთი რეგიონებია: სომხურ-იბერიული „მარკები“ – ტაო და გოგარენე, იბერიულ-ალბანური „მარკა“ – ჰერეთი, სომხურ-ალბანური „მარკა“ – არცახი).

წიგნის საგანგებო, ვრცელ ნაკვეთში განხილულია კავკასიის ადრექრისტანული მონუმენტური საეკლესიო ხუროთმოძღვრების ფაქტობრივად მთელი ტიპოლოგიური რიგი (ძეგლები გეოგრაფიული პრინციპითაა მოცემული):

1. დარბაზული ეკლესიები. ისინი ავტორს დაყოფილი აქვს: ა. ნაგებობებად, რომლებსაც აქვთ გვერდითი სათავსები და ბ. ნაგებობებად, რომლებსაც ასეთი დამატებები არ გააჩნია. აღსანიშნავია, რომ იმავე კატეგორიაში ავტორი აერთიანებს აგრეთვე სამეკლესიანი ბაზილიკებს, რაც, ალბათ, ძნელად გასაზიარებელი იქნებოდა, მით უფრო რომ ავტორს ისინი კვალიფიცირებული აქვს, როგორც *პორტიკებიანი დარბაზული ეკლესია*.

2. სამნავიანი ბაზილიკები. ავტორს მოხმობილი და გაანალიზებული აქვს ამ რიგის ძეგლთა ვრცელი რიგი; განიხილება ამ ტიპის განვითარების ტენდენციები ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეში.

3. ჯვრული ტიპის საეკლესიო ნაგებობები. წიგნში ისინი დაყოფილია რამდენიმე ქვეტიპად – მონოკონქებად, ტრიკონქებად, მარტივ ტეტრაკონქებად, კვადრატულ ტეტრაკონქებად, დანაწევრებულ ცენტრულ შენობებად (გარშემოსავლელიანი როტონდები, ოქტოგონები, ტეტრაკონქები, გვერდითი სათავსებიანი ტეტრაკონქები, ნაგებობები გუმბათის ოთხი საყრდენი ბურჯით, ტეტრაკონქები დიაგონალზე განლაგებული გვერდითი სათავსებით, ნიშებიანი ცენტრული შენობები და სხვ. – ამ ფორმებში ავტორი ხედავს კავშირს ამიერკავკასიისა და წმინდა მიწის საეკლესიო არქიტექტურას შორის). გამოკვლევის ამ ნაწილში ცალკე გამოიყოფა

მონაკვეთი, რომელიც ეძღვნება დრანდას ეკლესიას. ეს ძეგლი, ავტორის ვარაუდით, შეიძლება ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ჯვარგუმბათიანი ნაგებობა იყოს.

წიგნის დასკვნით ნაწილში მოცემულია მრავალგვარი მონაცემი კავკასიის არქიტექტურის შესახებ – ესაა მშენებლობის ორგანიზაცია და დამკვეთთა როლი, სამშენებლო ტექნიკა და ცალკეული არქიტექტურული ტიპების განვითარების გზები. იქვეა ვრცელი ნარკვევი ლიტურგიკისა და ხუროთმოძღვრების ურთიერთმიმართების თაობაზე, დასასრულ – კავკასიის ყველა რეგიონის მონუმენტური არქიტექტურისთვის დამახასიათებელი თავისებურებების მოკლე მიმოხილვა.

ნაშრომი ყურადღების ღირსია იმ მხრივაც, რომ მასში მოცემულია კონკრეტული ძეგლების აღწერა-დახასიათება, რასაც თან ერთვის თითოეული მათგანის მხატვრულ-სტილისტური ანალიზი, რიგ შემთხვევაში – რეკონსტრუქცია. წიგნი უხვადაა ილუსტრირებული ფერადი და შავთეთრი ფოტოებით, ნახაზებით, რუკებით, ცხრილებით, რომლებიც კომპაქტდისკის ფორმით ერთვის ტექსტს.

გამოკვლევის ბოლოს მოტანილია საგანგებო ცხრილები ძეგლების მითითებით, ანბანური თანმიმდევრობით – მითითებულია ძეგლის ტიპი, დათარიღება (მიღებული და ზოგჯერ უახლესი მონაცემების მიხედვით დაზუსტებული) და მდებარეობა (ქვეყანა, პროვინცია, ოლქი), რუკები ძეგლების მითითებით და სხვ.

მართალია, ანეგრეტ პლონტკე-ლუნინგის ნაშრომი არ გამოირჩევა კონცეპტუალური სიახლეებით, მაგრამ ამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში იშვიათია სამეცნიერო ნაშრომი, რომელშიც ასე მომცველად, ამასთან, ერთიან კონტექსტში იქნებოდა წარმოჩენილი ამიერკავკასიის არქიტექტურის განვითარების სურათი; ეს სურათი დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთს მოიცავს, ამასთან იმ ეტაპს, რომელიც ასე მნიშვნელოვანი იყო ამიერკავკასიის ქვეყნების იდენტობისა და მხატვრული თვითმყოფადობის საბოლოო ჩამოყალიბებისათვის.

ანეგრეტ პლონტკე-ლუნინგის მონოგრაფია უკვე იქცა მეტად საჭირო, სამაგიდო წიგნად სპეციალისტებისთვის. ამასთანავე, იგი მნიშვნელოვანია, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო ხელოვნებათმცოდნეობისა და მისი მიმიჯნავე სპეციალობების სტუდენტებისთვის.

ნინო სილაგაძე
ზაზა სხირტლაძე

ქრონიკა

ქრონიკა – 2010

09.03.10-11.03.10 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ზაარლანდის უნივერსიტეტს შორის არსებული პარტნიორობის ფარგლებში ზაარლანდის უნივერსიტეტის პრივატ დოცენტის, **ელისაბედ ვენორის,** საერთაშორისო სემინარი თემაზე: **კონტრასტული ტექსტის ლინგვისტიკაში**. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტი.

26.03.10 OSI HESP ReSET-ის პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო სემინარი თემაზე: **რელიგიისა და სეკულარიზმის პრობლემებისადმი ანთროპოლოგიური მიდგომები. ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის ინსტიტუტი.

14.04.10 დედაენის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: **„ქართული სალიტერატურო ენის ისტორია და დღევანდელობა, აქტუალური პრობლემები“. ღონისძიების ორგანიზატორი**: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტი.

14.04.10-15.04.10 პროფ. პიტ რივერსისადმი მიძღვნილი სტუდენტ-არქეოლოგთა საერთაშორისო საანგარიშო კონფერენცია. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი.

22.04.10 შეხვედრა ცნობილ თანამედროვე ფრანგ მწერალსა და ფილოსოფოსთან, **პიერ პეჟუსთან**. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტი.

02.05.10-05.05.10 სტუდენტ-არქეოლოგთა III საერთაშორისო კონფერენცია **„სტუდენტური პრეზენტაციები“. ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი.

13.05.10 ამერიკისმცოდნეობის XI ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია **„ამერიკა და მისი ღირებულებები“. ღონისძიების ორგანიზატორები**: ამერიკის შესწავლის ინსტიტუტი, ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია.

03.06.10-04.06.10 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებთა ფაკულტეტის დოქტორანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერთა მე-2 სამეცნიერო საფაკულტეტო კონფერენცია. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

21.06.10-22.06.10 პროფ. ალექსი ლეკიაშვილის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი მე-5 საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

22.09.10 იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის (ისრაელი) პროფესორის, **კოტე ლერნერის,** საჯარო ლექციები თემაზე: **ქრისტიანული სივრცის მარკირება ძველ ქართულში. ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

23.09.10-24.09.10 ნანტის უნივერსიტეტის (საფრანგეთი) პროფესორის, **გასტონ ბუაჩიძის,** საჯარო ლექციები თემაზე: **1. ქართული ლიტერატურის კოლექცია ფრანგულად; 2. ქართული ფერწერის რომანი. ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

25.10.10 გერმანელი მეცნიერის, შტეფი ხოტივარი-იუნგერის (ბერლინის ჰუმბოლტის უნივერსიტეტი) ქართველოლოგიური მოღვაწეობისადმი მიძღვნილი შეხვედრა. **ღონისძიების ორგანიზატორები:** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებასთან არსებული ქართული ლიტერატურის კომისია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

25.10.10 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული ღონისძიებების, აკაკის კვირეულის, ფარგლებში სამეცნიერო კონფერენცია: **„აკაკი წერეთელი – პოეტი და საზოგადო მოღვაწე“**. **ღონისძიების ორგანიზატორები:** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებასთან არსებული ქართული ლიტერატურის კომისია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

28.10.10-29.10.10 თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის** ყოველწლიური სამეცნიერო კონფერ-

ენცია. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი.

28.10.10 სტუდენტური ფილმების ჩვენება თემაზე: **„ჩემი საქართველო“. ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამის წარმომადგენლები.

22.11.10-24.11.10 იუნესკოს პროგრამის ფარგლებში ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: **„ფილოსოფია და რელიგია“. ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის ინსტიტუტი.

26.11.10 წიგნის: **„ბიზანტია ქართულ წყაროებში“** პრეზენტაცია. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი.

29.11.10 სამეცნიერო სემინარი ვენეციის უნივერსიტეტის **პროფ. გაგა შურღაიას** ქართველოლოგიური მოღვაწეობის შესახებ. **ღონისძიების ორგანიზატორები:** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებასთან არსებული ქართული ლიტერატურის კომისია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

9.11.10-12.11.10 კავკასიოლოგთა II საერთაშორისო კონგრესი თემაზე: **„კავკასიური ცივილიზაცია (ისტორია და თანამედროვეობა)“. ღონისძიების ორგანიზატორები:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტი, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

ქრონიკა – 2011

08.01.11 აკადემიკოს ვარლამ თოფურიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა და სამეცნიერო კონფერენცია. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტი.

18.01.11 აკადემიკოს მზექალა შანიძისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტი.

04.02.11-05.02.11 საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: **„ისტორიის კვლევის ახალი ტენდენციები 21-ე საუკუნის დასაწყისში: ძველი წინა აზიისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის გზაჯვარედინზე“. ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

26.02.11 აკაკი შანიძის 124-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტი.

04.03.11 შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ განხორციელებული პროექტების – **„ქართული ლიტერატურა აღმოსავლეთ ევროპის მეცნიერებაში“** და **„ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია“** – პრეზენტაცია. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

10.03.11-13.03.11 ღია საზოგადოების ინსტიტუტის (ბუდაპეშტი) უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის (Higher Education Support Program) მიერ დაფინანსებული პროექტის: **"Anthropological approaches to Religion and Secularism"** ფარგლებში ჩატარებული საერთაშორისო სემინარები. **ღონისძიების ორგანიზატორები**: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ანთროპოლოგთა ასოციაცია. **ღონისძიების ჩატარების ადგილი**: ქ. ბათუმი (საქართველო), ქ. სტამბული (თურქეთი).

15.03.11 მწერალ **ნოდარ გრიგალაშვილის** ახალი წიგნის **„თანამდევი სულის“** წარდგენა და საჯარო ლექცია თემაზე: **„104 წლის შემდეგ გახსნილი ილიას მკვლელობის საიდუმლო“**. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

18.03.11 პროფ. ნანა ტონიას საჯარო მოხსენება თემაზე: **„მეოცე-ოცდამეერთე საუკუნეთა მიჯნის ლიტერატურული პანორამა. ფემინიზმი – თანამედროვე და ანტიკური“. ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი.

23.03.11 მეორე სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: **„ტექნიკური საშუალებების გამოყენება სწავლისა და სწავლების პროცესში“. ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, AUF-ის ციფრული ცენტრი.

31.03.11 პროფ. ჰაინც ფენრიხის უახლესი ქართველოლოგიური ნაშრომების პრეზენცატია. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი.

07.04.11 პროფესორ ჰაინც ფენრიხის დაბადებიდან 70 წლისადმი მიძღვნილი სხდომა. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი.

27.04.11 პროფ. ინესა მერაბიშვილის საჯარო ლექცია თემაზე: **„ლექსის ინტერპრეტაცია და თარგმანი – გალაკტიონი, შექსპირი, ბაირონი...“**. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების ინსტიტუტი.

08.04.11 პროფ. ეკატერინე კობახიძის საჯარო მოხსენება თემაზე: **„ROMA ETRUSCA“. ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი.

08.04.11 ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის, რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის **„ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონის (პირველი და მეორე ტომები)“** პრეზენტაცია. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

15.04.11 ალიკო ცინცაძის საჯარო მოხსენება თემაზე: **„იოანე ზოსიმე და ქართული გემატრია“**. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი.

27.04.11 პროფ. შოთა მესხიას დაბადებიდან 95 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო სხდომა. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

29.04.11 პროფ. ირინე დარჩიას საჯარო მოხსენება თემაზე: **„საბერძნეთის მანი და საქართველოს სვანეთი – ტიპოლოგიური ანალიზი“. ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი.

03.05.11-04.05.11 ივანე ჯავახიშვილის 135 წლის იუბილესთან დაკავშირებული სამეცნიერო კონფერენცია. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

06.05.11 პროფ. იამზე გაგუას საჯარო მოხსენება თემაზე: **„ეპიკური გმირის ეთიკური სახე“. ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი.

13.05.11 პროფ. რუსუდან ცანავას საჯარო მოხსენება თემაზე: **„ოდისევსი ნიღბით და უნიღბოდ“. ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი.

23.05.11-25.05.11 ამერიკისმცოდნეობის მეთორმეტე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: **„ამერიკა: XXI საუკუნის გამოწვევები“. ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკის შესწავლის ინსტიტუტი.

27.05.11 პროფ. სოფიო შამანიდის საჯარო ლექცია თემაზე: **„კოლხები ადრიატიკაში – პოეტური ფანტაზია თუ ისტორიული რეალობა?“ ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი.

31.05.11 პროფ. ტრიფონ რუხაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო და მონოგრაფიის **„ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია“** მეორე გამოცემის პრეზენტაცია. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტი.

06.06.11 პროფ. ელგუჯა ხინთიბიძის წიგნის: **„რუსთველის ვეფხისტყაოსანი და ევროპული ლიტერატურა“** (ლონდონი, 2011), პრეზენტაცია. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი.

10.06.11 კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დღის აღსანიშნავი ღონისძიება. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი.

14.06.11 პროფ. მიხეილ ქურდიანისა და **ეკა ვარდოშვილის** წიგნის **„წმინდა ანდრია პირველწოდებულისა და წმინდა ნინოს სახისმეტყველების პარა-**

დიგმატული და სინტაგმატური ასპექტების“ პრეზენტაცია. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს რუსთაველის საზოგადოება.

16.06.11-17.06.11 სამეცნიერო კონფერენცია: **„ქრისტიანობა და მსოფლიოს რელიგიები“. ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის ქრისტიანობის კვლევის სამეცნიერო ცენტრი და ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის რელიგიათმცოდნეობის ინსტიტუტი.

07.07.11-08.07.11 პროფ. გივი ჟორდანიას 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი მეექვსე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

28.09.11-30.09.11 ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი **„მითოსური აზროვნება, ფოლკლორი და ლიტერატურული დისკურსი. ევროპული და კავკასიური გამოცდილება“**. **ღონისძიების ორგანიზატორები:** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

14.07.11-15.07.11 საერთაშორისო კონფერენცია: **„სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები: პრობლემები და გამოწვევები“. ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

05.10.11-06.10.11 საერთაშორისო სიმპოზიუმი: **„ქრისტიანული ეთიკა და თანამედროვეობა“**. **ღონისძიების ორგანიზატორები:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის ინსტიტუტი, გერმანიის პროფესორთა ფორუმი.

05.10.11-06.10.11 საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: **„ბერძნული ცივილიზაცია და კულტურათა დიალოგი“. ღონისძიების ორგანიზატორები:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, დემოკრიტეს სახელობის თრაკიის უნივერსიტეტის შავიზღვისპირეთის ქვეყნების ენის, ფილოლოგიისა და კულტურის დეპარტამენტი.

07.10.11 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: **„მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი“. ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტი.

12.10.11 პროფ. როსტომ ფარეულიძის წიგნის **„ჩეჩნური ენა“** პრეზენტაცია. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტი.

17.10.11 შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტისა და წიგნის **„გლოტალიზაციის ნიშანი ქართველურ ენებში აკუსტიკური და ფუნქციონალური თვალსაზრისით“** პრეზენტაცია. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

27.10.11-30.10.11 გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერის, აფხაზოლოგის, აკადემიკოს **ქეთევან ლომთათიძის** დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ლინგვისტ-კავკასიოლოგთა მე-3 საერთაშორისო სიმპოზიუმი: **„იბერიულ-კავკასიური ენები: სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება“. ღონისძიების ორგანიზატორები:** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტი, არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

28.10.11-29.10.11 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: **„ლინგვისტიკა, ლიტერატურა, დიდაქტიკა – თანამედროვე მიდგომები და სტრატეგიები”. ღონისძიების ორგანიზატორები:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტო.

31.10.11-05.11.11 საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე: **“Caucasus, Conflict, Culture. First Symposium on Anthropology and Prevention of Conflicts in Armenia, Azerbaijan and Georgia”**. **ღონისძიების ორგანიზატორები**: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ანთროპოლოგთა ასოციაცია, მარბურგის ფილიპსის უნივერსიტეტის სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის დეპარტამენტი.

31.10.11-05.11.11 საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე: „კავკასია, კონფლიქტი, კულტურა“. **ღონისძიების ორგანიზატორები:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის ინსტიტუტი, მარბურგის ფილიპსის უნივერსიტეტის სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის დეპარტამენტი.

07.11.11-11.11.11 თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის ვარშავის უნივერსიტეტის ეთნოლოგიისა და კულტურული ანთროპოლოგიის ინსტიტუტის პროფესორთა ლექციების ციკლი: **„თანამედროვე ანთროპოლოგიის პრობლემე-**

ბი და მისი მიმართება სხვა დისციპლინებთან“. ღონისძიების ორგანიზატორი: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის ინსტიტუტი.

14.11.11-18.11.11 მეექვსე საერთაშორისო **ქართველოლოგიური სიმპოზიუმი**. **ღონისძიების ორგანიზატორები:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიური ცენტრი.

17.11.11 ელექტრონული რეცენზირებადი ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალის **„ქართველოლოგი“** პრეზენტაცია. **ღონისძიების ორგანიზატორები:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიური ცენტრი.

17.11.11 ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია **„ფილოსოფია და დღევანდელობა“**. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის ინსტიტუტი.

18.11.11 პროფესორ ირმა რატიანის წიგნის **„ტექსტი და ქრონოტოპი“** პრეზენტაცია. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

24.11.11 აკადემიკოს შოთა ძიძიგურის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტი.

01.12.11 აკადემიკოს შოთა ძიძიგურის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა. **ღონისძიების ორგანიზატორები:** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

01.12.11-02.12.11 საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის ინსტიტუტი.

09.12.11-10.12.11 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: **„განათლება გლობალიზაციის ეპოქაში – ოცდამეერთე საუკუნის გამოწვევები“. ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის ინსტიტუტი.

16.12.11 შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებული წიგნების **„ლაზურის გრამატიკის კონსპექტი“ და „ინფორმაციის სტრუქტურირება: ლაზური“**

პრეზენტაცია. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

21.12.11 სამეცნიერო კონფერენცია: **„რევაზ ინანიშვილი. მწერალი და დრო“**. **ღონისძიების ორგანიზატორი:** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

22.12.11-23.12.11 2011 წელს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე განხორციელებული საველე ექსპედიციებისა და პრაქტიკის ანგარიში. **ღონისძიების ორგანიზატორი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

გამომცემლობის რედაქტორები: ცირა ჯიშკარიანი
ნანა კაჭაბავა
გარეკანის დიზაინი თინათინ ჩირინაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა ნინო ვაჩეიშვილი

TSU Press Editors: Tsira Jishkariani
Nana Katchabava
Cover Designer Tinatin Chirinashvili
Compositor Nino Vacheishvili

0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel 995(32) 2 25 14 32
www.press.tsu.ge